ვახუშტი მენაბდე
ქეთევან შუბაშვილი

მასწავლებლის სახელმძღვანელო

ადამიანის უფლებების ძირითადი კურსი

ბაკალავრიატის საფეხური

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
(GIPA)
2017

 წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებლები ავტორები არიან. სახელმძღვანელოში განხილული თემები არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებას და არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

ავტორთა შესახებ:

ვახუშტი მენაბდე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი საჯარო სამართლის მიმართულებით, ადამიანის უფლებების პროექტის ხელმძღვანელი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA). 2008 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2012 წელს კი სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის მიერ მიენიჭა. 2010 წლიდან საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში კითხულობს საბაკალავრო და სამაგისტრო კურსებს კონსტიტუციურ სამართალში.

ქეთევან შუბაშვილი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი, ადამიანის უფლების პროექტის ასისტენტი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA). 2013 წელს მიენიჭა მაგისტრის ხარისხი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში ესექსის უნივერსიტეტის მიერ (კოლჩესტერი, დიდი ბრიტანეთი). 2015 წლიდან კითხულობს ლექციებს ადამიანის უფლებათა სამართალში.

კონსტანტინე ერისთავი (მე-13 ლექციის ავტორი) - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და კულტურული კვლევების ინსტიტუტის მკვლევარი. 2006 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი მაგისტრის ხარისხით; 2010 წელს მიენიჭა მაგისტრის ხარისხი ედინბურგის უნივერსიტეტში, ხოლო 2016 წელს იმავე უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი სამართლის თეორიაში. 2016 წლიდან საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში კითხულობს საბაკალავრო და სამაგისტრო კურსებს სამართლისა და პოლიტიკის თეორიის სფეროებში.

ტექნიკური რედაქტორი: ზაალ ჩხეიძე

ტექსტში მოყვანილი მასალების კომერციული მიზნით გადაბეჭდვა, გამრავლება და გავრცელება ავტორთა წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

სარჩევი

შესავალი 4

I ლექცია 6

I სემინარი 155

II ლექცია 266

II სემინარი 322

III ლექცია 355

III სემინარი 433

IV ლექცია 533

IV სემინარი 611

V ლექცია 666

V სემინარი 722

VI ლექცია 777

VI სემინარი 855

VII ლექცია 911

VII სემინარი 955

VIII ლექცია 1011

VIII სემინარი 1022

IX ლექცია 1044

IX სემინარი 1088

X ლექცია 1133

X სემინარი 1188

XI ლექცია 1233

XI სემინარი 1266

XII ლექცია 1300

XII სემინარი 1377

XIII ლექცია 1466

XIII სემინარი 1511

XIV ლექცია 1566

XIV სემინარი 1611

XV ლექცია 1766

XV სემინარი 1777

XVI კვირა 187

დანართი: სილაბუსი 190

შესავალი

ადამიანის უფლებების დაცვა წარმოუდგენილია მისი აკადემიური კვლევისა და სწავლების გარეშე. საუნივერსიტეტო სივრცეში ამ მიმართულებით გადასადგმელი პირველი ნაბიჯი სასწავლო ლიტერატურის შექმნაა, იგულისხმება არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ ლექტორებისთვის განკუთვნილი ლიტერატურაც. ადამიანის უფლებების ძირითადი კურსი ბაკალვრიატის დონეზე ქმნის ბაზისს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს კვლევა და სწავლება. რადგან ქართულ ენაზე აქამდე არ არსებობდა ამ კურსის მასწავლებლის სახელმძღვანელო, გადავწყვიტეთ, შეგვექმნა იგი. ნაშრომი ითვალისწინებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და აკრედიტაციის მოთხოვნებს.

სახელმძღვანელო ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავს და ადამიანის უფლებებს სწორედ მისი გათვალისწინებით წარუდგენს მკითხველს. კურსი გათვლილია 16 კვირიან სწავლებაზე, რომლის დროსაც თითო კვირა ეთმობა შუალედურ და დასკვნით გამოცდებს. გათვალისწინებულია 14 ლექცია და 14 სემინარი, თითოეულის ხანგრძლივობა 90 წუთია (ჯამში 180 წუთი). წარმოდგენილი ტექსტი მორგებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სწავლების მეთოდიკას. ამდენად, სააუდიტორიო მუშაობის თვალსაზრისით, სხვა ქართული უნივერსიტეტების უმრავლესობისგან, რომლებშიც ლექცია-სემინარებისთვის კვირაში 200 წუთია გათვალისწინებული, განსხვავებულ მოდელზეა აგებული.

წარმოდგენილი ნაშრომი არის სქემატური სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების ლექტორებისთვის, იგი მკითხველს წარუდგენს მხოლოდ ზოგად მიმართულებებს და სიღრმისეულად არ განიხილავს პრობლემატიკას, ამიტომ ამიტომ მკითხველი არ უნდა მოელოდეს, რომ მასში რთულ კითხვებზე პასუხებს იპოვის.

წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს ერთგვარ კომპილაციას. მის შესაქმნელად, ერთი მხრივ, გამოყენებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და ქართული და საერთაშორისო აქტები, ხოლო მეორე მხრივ - ქართულ ენაზე არსებული სხვადასხვა სახელმძღვანელო (დაწვრილებთ იხილეთ თითოეული ლექციის ბოლოს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში). მასში შინაასრობრივი თვალსაზრისით არ არის ორიგინალური მიგნებები და სამეცნიერო დასკვნები. შესაბამისად, სახელმძღვანელოში სქოლიოები არ არის გამოყენებული.

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია პროექტის - ,,ადამიანის უფლებების პროექტის ხელმძღვანელი საზოგადოებრივ საქმეთა ინტიტუტში (GIPA)'' -

ფარგლებში. პროექტი განხორციელდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროექტის - ,,კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოშის'' (EWMI-PROLoG) - თანადგომით.

სახელმძღვანელოს გამოცემაში გაწეული მხარდაჭერისთვის გვინდა მადლობა გადავუხადოთ PROLoG-ის თანამშრომლებს - ბატონ გიორგი ჩხეიძესა და ქალბატონ მარიამ ვარდოსანიძეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონი გიორგი ვაშაკიძის წვლილი, რომლის იდეებმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრეს სახელმძღვანელოს ფორმატი. აღსანიშნავია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სამართლისა და პოლიტიკის სკოლის სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკადემიური ხელმძღვანელის ირაკლი სოკოლოვსკის ინიციატივა, სწორედ მან მიგვიწვია ამ პროექტში სამუშაოდ, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ეს სახელმძღვანელო. ფასდაუდებელია მკვლევარ-ასისტენტის ხატია გოგილაშვილის ტექნიკური დახმარება, რომელსაც ის მუდმივად გვიწევდა პროექტის მიმდინარეობისას, რისთვისაც დიდი მადლობა მას.

ავტორები სახელმძღვანელოს მზადებისას გამართულ განხილვებში მონაწილეობისა და მნიშვნელოვანი რჩევებისთვის მადლობას ვუხდით ჩვენს კოლეგებს: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ ბესარიონ ლოლაძეს; კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ნინო კილასონიას; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ თამარ გურჩიანს; თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორს, ბატონ გიორგი მშვენიერაძეს; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მკვლევარს, ბატონ ალიკა კუპრავას; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტებს - ბატონებს ზურაბ მაჭარაძესა და დიმიტრი გეგენავას; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, ბატონ თენგიზ თევზაძეს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ბატონ კონსტანტინე ერისთავს, რომელმაც არ დაიზარა და, ჩვენი თხოვნით, უაღრესად კვაიფიციურად მოამზადა სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული მე-13 ლექცია: ,,ეკონომიკური და სოციალური უფლებები''.

წარმოგიდგენთ მასწავლებლის სახელმძღვანელოს ადამიანის უფლებების საბაკალავრო საფეხურის ძირითადი კურსისთვის. იმედს ვიტოვებთ, რომ ის დაეხმარება ადამიანის უფლებების სწავლების განვითარებას საქართველოში.

ვახუშტი მენაბდე

ქეთევან შუბაშვილი

I ლექცია - 90 წთ.

ლექციის თემა:

სილაბუსის, სასწავლო მიზნების, შეფასების სისტემისა და ლიტერატურის სტუდენტებისთვის გაცნობა.

ძირითად უფლებათა განვითარების ისტორია, არსი და ცნება. ძირითადი უფლების დაცული სფერო. დაცულ სფეროში ჩარევა. ჩარევის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლების საფუძვლები, ძირითად უფლებათა სახეები, სახელმწიფოს ვალდებულების სახეები.

დროის განაწილება:

გაცნობა - 10 წთ.
სილაბუსის წარდგენა - 15 წთ.
სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა - 50 წთ.
სტუდენტების კითხვები - 10 წთ.
დავალება - 5 წთ.

1. **გაცნობა**

ლექტორი აცნობს სტუდენტებს საკუთარ თავს, განათლებასა და პროფესიულ გამოცდილებას. სტუდენტები წარადგენენ საკუთარ თავსა და საუბრობენ საკუთარი ინტერესების შესახებ.

2. **სილაბუსის წარდგენა**

ლექტორი წარადგენს სასწავლო მიზნებს, სილაბუსს, შეფასების სისტემას, ლიტერატურას. აღნიშნულის შესახებ ლექტროს მომზადებული აქვს Power Point პრეზენტაცია.

სლაიდი 1:

კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სემინარის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
საგნის დასახელება
სასწავლო წელი და სემესტრი
უნივერსიტეტის დასახელება

სლაიდი 2:

კურსის ფორმატი და შეფასება:

- სემინარებზე დასწრება - 10%;
- კაზუსების ამოხსნა - 25% (5 კაზუსი, თითოეული კაზუსის შეფასება - 5%);
- ტესტირება - 5% (ტესტი 10 დახურული კითხვით, თითოეული კითხვის შეფასება -0.5%);
- სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი - 10%;
- შუალედური შეფასება (VIII კვირა) - 20%:
  - ტესტური ნაწილი - 5% (ტესტი 10 ღია კითხვით, თითოეული კითხვის შეფასება - 0.5%);
  - კაზუსი - 15%.
- ფინალური გამოცდა - 30%:
  - ტესტური ნაწილი - 10% (ტესტი 10 ღია კითხვით, თითოეული კითხვის შეფასება - 1%);
  - 2 კაზუსი - თითოეული ფასდება 10%-ით
- საბოლოო შეფასება - 100%.

სლაიდი 3:

კურსის მიზნები

კურსის მიზანია ადამიანის უფლებების სამართლის შესწავლა, მისი პრინციპების გაცნობა და შესაბამის სამართლებრივ ნორმებთან და თეორიებთან მუშაობისთვის საჭირო ჩვევების ჩამოყალიბება.

სლაიდი 4:

ლექცია I:

კურსის წარდგენა
შეფასების სისტემა
ადამიანის უფლებების ისტორია
ადამიანის უფლებების სამართლის ზოგიერთი თეორიული საკითხი
ადამიანის უფლებების შეზღუდვა და პროპორცულობის პრინციპი - თავისუფლების უფლებების ტესტი

სლაიდი 5:

ლექცია II:

სიცოცხლის უფლება (მ. 15)
ღირსების უფლება (მ.17)

სლაიდი 6:

ლექცია III:

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება:

- პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (მ.16);
- პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება, ფარული თვალთვალისა და მიყურადების აკრძალვა (მ. 20);
- ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (მ. 36);
- სახელმწიფოს ხელთ არსებული პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა (41.2).

სლაიდი 7:

ლექცია IV:

გამოხატვის თავისუფლება (მ. 24)
ინფორმაციის თავისუფლება (მ. 41, მ.37.5)

სლაიდი 8:

ლექცია V:

რელიგიის თავისუფლება (მ.19)

სლაიდი 9:

ლექცია VI:

შეკრების თავისუფლება (მ.25)
გაერთიანების თავისუფლება (მ. 26)

სლაიდი 10:

ლექცია VII:

საარჩევნო უფლება (მ.28, მ.29.1)

სლაიდი 11:

ლექცია VIII:

საკუთრების უფლება (მ.21)

სლაიდი 13:

ლექცია IX:

ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება (მ.18)

სლაიდი 14:

ლექცია X:

უდანაშაულობის პრეზუმფცია (მ.40)

სლაიდი 15:

ლექცია XI-XII:

სამართლიანი სასამართლოს უფლება (მ.42)

სლაიდი 16:

ლექცია XIII:

ეკონომიკური და სოციალური ძირითადი უფლებები:

- შრომის უფლება (მ.30);
- განათლების უფლება (მ.35);
- ჯანმრთელობის უფლება (მ.37).

სლაიდი 17:

ლექცია XIV:

უფლება თანასწორობაზე (მ.14)

სლაიდი 18:

ლექცია XV:

კურსის შეჯამება. მზადება დასკვნითი გამოცდისთვის.

3. სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა

ლექტორი იწყებს სტუდენტებისთვის სალექციო მასალის ახსნას.

სლაიდი 1:

კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სემინარის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
საგნის დასახელება
სასწავლო წელი და სემესტრი
უნივერსიტეტის დასახელება

სლაიდი 2:

ადამიანის უფლებების პირველი დოკუმენტები - ევროპა

- თავისუფლების დიდი ქარტია (1215 წელი);
- პეტიცია უფლებათა შესახებ (1628 წელი);
- Habeas Corpus Act (1679 წელი);
- უფლებათა ბილი:
  - ინგლისი (1689 წელი);
  - საფრანგეთი (1789 წელი).

სლაიდი 3:

ადამიანის უფლებების პირველი დოკუმენტები - აშშ;

- განცხადება უფლებებისა და პრინციპების შესახებ (1774 წელი);

- დამოუკიდებლობის დეკლარაცია (1776 წელი);
- პირველი ათი შესწორება (1791).

სლაიდი 4:

ადამიანის უფლებების ზოგიერთი თეორიული საკითხი:

1. ბუნებითი და პოზიტიური სამართალი.
2. თავისუფლება და თანასწორობა.
3. სამართალსუბიექტობა და ღირსება.
4. ადამიანის უფლებების საყოველთაოობა და უნივერსალურობა.
5. ადამიანის უფლბების განუყოფლობისა და ურთიერთდაკავშირებულობის პრინციპი.
6. ადამიანის უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი.
7. აბსოლუტური და შეფარდებითი უფლებები.

სლაიდი 5:

ადამიანის უფლებების სუბიექტები

- ♦ ადამიანის უფლებების სუბიექტია ადამიანი (ზოგიერთ შემთხვევაში იურიდიული პირი) და არა სახელმწიფო;
- ♦ ადამიანის უფლებების ვერტიკალური, ჰორიზონტალური და გაშუალებული მოქმედების ეფექტი;
- ♦ ადამიანის უფლებების კლასიფიკაცია სუბიექტების მიხედვით:
  - – უფლებები, რომლით სარგებლობაც ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია;
  - – უფლებები, რომლითაც მხოლოდ ფიზიკური პირები სარგებლობენ;
  - – უფლებების, რომლითაც მხოლოდ მოქალაქეები (ან მათი ბუნების გათვალისწინებით, მხოლოდ მათ მიერ დაარსებული იურიდიული პირები) სარგებლობენ.

სლაიდი 6:

საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ადამიანის უფლებების სუბიექტები სპეციფიურად და გამონაკლისი წესის მიხედვით არიან:

- პოლიტიკური პარტიები;
- მედია;
- რელიგიური ორგანიზაციები;
- სასწავლო დაწესებულებები;
- პროფესიული გაერთიანებები (მაგ. ადვოკატთა ასოციაცია).

სახელმწიფოს მიერ დაარსებული კერძო სამართლის იურიდიული პირებზე ადამიანის უფლებების გავრცელების სტანდარტი.

სლაიდი 7:

ადამიანის უფლებების თაობებად დაყოფა და მისი კრიტიკა:

- პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები
  (I თაობის უფლებები, XVIII ს–ის დასასრული);
- სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები
  (II თაობის უფლებები, XX ს–ის მეორე ნახევარი);
- კოლექტიური უფლებები
  (III თაობის უფლებები, XX –ის 70–იანი წლები).

სლაიდი 8:

ადამიანის უფლებების კლასიფიკაცია სუბიექტების მიხედვით

- ინდივიდუალური უფლებები (მაგ. გამოხატვის თავისუფლება);
- კოლექტიური უფლებები (მაგ. თვითგამორკვევის უფლება);
- ინდივიდუალური უფლებები, რომელიც კოლექტიურად ხორციელდება (მაგ. შეკრების თავისუფლება).

სლაიდი 9:

სახელმწიფოს ვალდებულებები - ევროპის საბჭოს სტანდარტი

- პოზიტიური ვალდებულება (მაგ. ECtHR, Plattform Artze fur das Leben v. Austria);
- ნეგატიური ვალდებულება (მაგ. ECtHR, United Macedonian Organisation Ilinden and Ivanov v. Bulgaria).

სლაიდი 10:

სახელმწიფოს ვალდებულებები - გაეროს სტანდარტი

- პატივისცემის ვალდებულება;
- დაცვის ვალდებულება;
- განხორციელების ვალდებულება:
  - ხელშეწყობის ვალდებულება;
  - უზრუნველყოფის ვალდებულება.

სლაიდი 11:

უფლებების კატეგორიზაცია:

- ნეგატიური უფლებები - status negativus;
- დამცავი უფლებები -Status positivus;
- აღმჭურველი უფლებები - status activus;
- საპროცესო უფლებები - Status activus procesualis;
- თანასწორობის უფლებები - Status relativus;
- ინსტიტუტის ობიექტურ სამართლებრივი გარანტია.

სლაიდი 12:

თავისუფლების უფლებების ტექსტი:

- დაცული სფერო (იცავს თუ არა კონკრეტული უფლება იმ ქმედებას, რომელიც მოსარჩელეს შეეზღუდა?);
- ჩარევა დაცულ სფეროში (ხდება თუ არა სახელმწიფოს ქმედებით უფლების შეზღუდვა?);

- კანონით გათვალისწინებული (იყო თუ არა შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული?);
- ხელმისაწვდომობა (არის თუ არა კანონი ხელმისაწვდომი?);
- განჭვრეტადობა (არის თუ არა კანონი ნათელი?);

- ლეგიტიმური საჯარო მიზანი (შეესაბამებოდა თუ არა შეზღუდვა, კონკრეტული უფლების შემთხვევაში, ვარგის ლეგიტიმურ საჯარო მიზანს?);
- გამოსადეგობა (სახელმწიფოს ამ ქმედებით მიიღწევა თუ არა დასახული მიზანი?);
- აუცილებლობა (სახელმწიფოს ქმედება იყო თუ არა უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალება მიზნის მისაღწევად?);
- თანაზომიერება ვიწრო გაგებით (სახელმწიფოს მიერ დასახული მიზანი უფრო მნიშვნელოვანია, თუ შეზღუდული უფლება?).

4. სტუდენტების კითხვები

სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს მოსმენილი ლექციის შესახებ. გამოხატავენ საკუთარ აზრს და აფიქსირებენ პოზიციას.

5. დავალება

ლექტორი სტუდენტებს აძლევს დავალებას: თითოეული სტუდენტი ვალდებულია, მომდევნო ლექციისთვის მოამზადოს სულ ცოტა ერთი კითხვა, რომელიც მას სასწავლო მასალის დამუშავების დროს გაუჩნდება.

ლექტორი სტუდენტებს აძლევს საკითხავ მასალას:

სავალდებულო ლიტერატურა:

- კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 46-84.
- საქართველოს კონსტიტუციის პირველი და მე-2 თავი.

დამატებითი ლიტერატურა:

- ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 374-378.

I სემინარი- 90 წთ.

სემინარის თემა:

ადამიანის უფლებათა პრინციპები

ადამიანის უფლებათა სამართლის სუბიექტები; სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სახეები; ადამიანის უფლებათა სამართლის გავრცელების სფერო, ადამიანის უფლებების ტესტი - თავისუფლების უფლებების ტესტი. როგორ დგინდება უფლების დარღვევა.

დროის განაწილება:

კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ - 15 წთ.

სადისკუსიო თემების განხილვა - 30 წთ.

თავისუფლებების უფლების ტესტის განხილვა - 45 წთ.

1. **კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ** - სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ.

2. **სადისკუსიო თემების განხილვა:**

2.1. ვინ არის ადამიანის უფლებათა სამართლის სუბიექტი? შეიძლება თუ არა, ადამიანის უფლებების სუბიექტი იყოს ადმინისტრაციული ორგანო/თვითმმართველობის ორგანო? შეიძლება თუ არა, ადამიანის უფლებების სუბიექტი იყოს რელიგიური გაერთიანება, თუ მას საჯარო სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა აქვს?
2.2. რით განსხვავება ერთმანეთისაგან ადამიანის უფლებების შეზღუდვა და დარღვევა?
2.3. ვინ/რამ შეიძლება დაარღვიოს ადამიანის უფლებები და როგორ?
2.4. რას ნიშნავს სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები? კერძო პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენისას, რა შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფოს პასუხისმგებლობა?

დისკუსიის მიზანი: აღნიშნული დისკუსიის ფარგლებში სტუდენტს პირველადი წარმოდგენა შეექმნება ადამიანის უფლებების სამართლებრივ მხარეზე. ადამიანის უფლებათა სამართალი მოიცავს სამართლის ყველა დარგს, ამავე დროს, უფლებებით დაცული სფეროები არ არის განუსაზღვრელი და, ხშირ შემთხვევაში, მოიცავს საკითხების კონკრეტულ ჩამონათვალს. სტუდენტმა სავარაუდო დარღვევის აღმოჩენისას, უნდა გამოარკვიოს, აღნიშნული საკითხი ექცევა თუ არა

საქართველოს კონსტიტუციით დაცულ სფეროში და მოახდინოს კონსტიტუციით გარანტირებული შესაბამისი უფლების იდენტიფიცირება.

პირველი კითხვის შესახებ დისკუსიისას სტუდენტი გაიაზრებს, რომ ადამიანის უფლებათა სამართლის სუბიექტები კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირები არიან, დისკუსია ასევე შეეხება იმ გამონაკლის შემთხვევებს, რომლის მიხედვით, ადამიანის უფლებათა სამართლით ის რელიგიურ ორგანიზაციებიც სარგებლობენ, რომლთაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი აქვთ. ასევე განიხილება, ადამიანის უფლებებით სარგებლობისას რამდენად აქვს მნიშვნელობა პირის მოქალაქეობას.

მეორე კითხვის შესახებ დისკუსიისას განიხილება განსხვავება უფლების შეზღუდვასა და დარღვევას შორის. სტუდენტი გაიაზრებს, რომ უფლებაში ჩარევა ავტომატურად არ ნიშნავს მის დარღვევას.

მესამე და **მეოთხე** კითხვების შემდეგ წარმოშობილი დისკუსიის ფარგლებში განიხილება, რა შემთხვევებში დგება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა - იურისდიქციის და კონტროლის საკითხები, სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები (მაგალითად, შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა, დარღვევაზე რაგირება, პრევენციის ზომების მიღება). განხილვისას სტუდენტი იგებს, რომ ადამიანის უფლებათა სამართალი ვერტიკალური სისტემაა და გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებებს ადამიანის მიმართ. დისკუსია ასევე შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ადამიანის უფლებათა სამართლის სისტემის გაშუალება ხდება და იგი ინდივიდებს შორის მოქმედებს.

მეთოდი:

ლექტორი დისკუსიას წარმართავს „სოკრატეს მეთოდით“. ლექტორი ჯგუფს უსვამს კითხვას სადისკუსიო თემის შესახებ. მსჯელობის პროცესში, ლექტორი ხელმძღვანელობით, სტუდენტები მიდიან სწორ დასკვნამდე.

ჯგუფისთვის დასმული სავარაუდო კითხვები:

- დაასახელეთ ადამიანის რომელიმე უფლება;
- აზრის საჯაროდ დაფიქსირება არის თუ არა ადამიანის უფლება? რამდენად არსებობს უფლება უმაღლესი განათლების მიღების შესახებ?
- ვინ შეიძლება ისარგებლოს ადამიანის უფლებათა სამართლით? სარგებლობს ადმინისტრაციული ორგანო ადამიანის უფლებებით თუ ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მისი უფლება დაარღვია?
- ვინ არის პასუხისმგებელი ადამიანის უფლებებზე? საკმარისია თუ არა სახელმწიფოს მიერ უფლებებში ჩაურევლობა?
- როგორ შეიძლება დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, თუ, მაგალითად, ქმარი ძალადობს ცოლზე?
- რა განსხვავებაა უფლებებს და თავისუფლებებს შორის?

3. **თავისუფლებების უფლების ტესტის განხილვა:** ლექტორი სტუდენტებს წარუდგენს თავისუფლების უფლებების ტესტს და კაზუსს, რომელშიც იკვეთება სავარაუდო დარღვევა. სემინარის განმავლობაში, ლექტორი, კაზუსის მეშვეობით, სტუდენტებს უხსნის ტესტის გამოყენების მეთოდს.

განსახილველი საკითხის მიზანი: სტუდენტმა მიიღოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის იდენციფირების შესახებ, გამოიმუშაოს უნარები, სტანდარტები კონკრეტულ შემთხვევას შეუფარდოს.

მეთოდი: ლექტორი სტუდენტებს ეხმარება თავისუფლების უფლებების ტესტის საფეხურების გაანალიზებაში. ყოველი შემდეგი საფეხურის განხილვის დაწყებისას ლექტორი მას აკავშირებს წინა საფეხურთან და სტუდენტებს განუმარტავს მათ შორის არსებულ კავშირს.

კაზუსის ნიმუში:

გიორგი მუშაობს მედია ჰოლდინგში „გაიგე პირველმა“. კომპანია მოიცავს ბეჭდურ გაზეთს, ინტერნეტ ტელევიზიას და ვებ-გვერდს. გიორგიმ მედია ჰოლდინგში მუშაობა სტაჟიორად 5 წლის წინ დაიწყო, როდესაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამამთავრებელ კურსზე სწავლობდა. ექვსთვიანი სტაჟირების წარმატებით გავლის შემდეგ, როდესაც გიორგიმ სწავლა დაასრულა და ჟურნალისტიკის ბაკალავრი გახდა, კომპანიამ მისი დასაქმება გადაწყვიტა. თავდაპირველად, გიორგის საქმიანობა შემოიფარგლებოდა პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მომზადებითა და მისი ვებ-გვერდზე განთავსებით.

დაახლოებით წელიწადნახევრის შემდეგ, გიორგიმ დამქირავებელს აცნობა, რომ ძირითადად, მისი ინტერესის საგანს სწორედ ეს სფერო წარმოადგენდა. ვინიდან გიორგი ჰოლდინგის ერთ-ერთი საუკეთესო თანამშრომელი იყო, კომპანიამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა, ასევე შესთავაზა, რომ ვებ-გვერდის ნაცვლად ინტერნეტ ტელევიზიაში ემუშავა, რასაც გიორგი სიხარულით დათანხმდა.

თებერვლის დასაწყისში მთავრობამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საქართველოში მოწვეული იყო ცნობილი როკ ჯგუფი Pink Floyd. მთავრობის წარმომადგენლების განცხადებით, ამ ჯგუფის მიერ კონცერტის გამართვა საქართველოს მსოფლიო მოვლენების ეპიცენტრში მოაქცევდა, გაიზრდებოდა ქვეყნის მიმართ ინტერესი და ზაფხულის განმავლობაში საქართველოში ვიზიტს ბევრი ტურისტი გადაწყვეტდა.

აღნიშნული ინფორმაცია ბედნიერ გულშემატკივარს, სხვა მედია საშუალებებთან ერთად, გიორგიმაც აცნობა. ეს მოვლენა ასევე ფართოდ გააშუქა საერთაშორისო მედიამ, რომელიც აღნიშნავდა, რომ ჯგუფს დიდი ხნის განმავლობაში არ გაუმართავს კონცერტი, 26 მაისს კი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად იმღერებდა. კონცერტის ბილეთები, საქართველოს გარდა, 50-მდე ქვეყანაში გაიყიდა.

ვინაიდან გიორგი Pink Floyd-ის გულშემატკივარი იყო და მისთვის ჯგუფის საქართველოში ვიზიტი უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა, აღნიშნულის შესახებ პერიოდულად აკეთებდა სიუჟეტს და მაყურებელს სხვადასხვა ინფორმაციას აწვდიდა.

16 მაისს, როდესაც კონცერტამდე 10 დღე რჩებოდა, მორიგი სიუჟეტისთვის, რომელიც კონცერტის საორგანიზაციო საკითხებს შეეხებოდა, ინფორმაციის მოძიებისას, გიორგისთვის ცნობილი გახდა, რომ 26 მაისს საქართველოში არა Pink Floyd-ის ვოკალისტი დევიდ გილმორი, არამედ მისი ორეული ჩამოვიდოდა.

თავზარდაცემულმა გიორგიმ აღნიშნული ინფორმაციის შესახებ დაუყოვნებლივ გააკეთა სიუჟეტი, ეს სიუჟეტი, ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ინტერნეტ-ტელევიზიით გავიდა. სიუჟეტის გასვლიდან 20 წუთის შემდეგ მედია ჰოლდინგში მივიდა ორი მამაკაცი, რომლებიც დამხვდურებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებად გაეცნენ. მათ ხელმძღვანელს მშვიდად უთხრეს, რომ გიორგის სიუჟეტში ასახული ინფორმაცია შელახავდა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს, გამოიწვევდა ხელისუფლების მიმართ მოქალაქეების აგრესიას, ასევე, შემცირდებოდა ტურისტების რაოდენობა, რაც ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა. მამაკაცებმა ასევე აღნიშნეს, რომ სიუჟეტი უკვე აღარ იყო ინტერნეტით ხელმისაწვდომი, რადგან მათ დაბლოკეს და იმედი გამოთქვეს, რომ ჰოლდინგი „მცდარი ინფორმაციის“ გავრცელებისთვის ბოდიშს მოიხდიდა. მათი განცხადებით, ინფორმაცია დაიბლოკა „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-3 მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა არის საქართველოს სახელმწიფო ინტერესების უზრუნველსაყოფად განხორციელებული საქმიანობა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის შიგნით და მისი ფარგლების გარეთ არსებული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენას, იდენტიფიცირებას, შეფასებას, თავიდან აცილებასა და აღკვეთას, ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთ სფეროს კი ინფორმაციული უსაფრთხოება წარმოადგენს.

მედია ჰოლდინგი „გაიგე პირველმა“ და გიორგი დავობენ, რომ მათ წინააღმდეგ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლები.

კაზუსის ამოხსნის ნიმუში:

1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლებას. ეს ნორმა მოიცავს აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებას, რაც დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს, იმდენად, რამდენადაც თავისუფალი აზრისა და ინფორმაციის გარეშე დემოკრატიული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის არსებობა წარმოუდგენელია. გამოხატვის თავისუფლების სრულყოფილი რეალიზაცია, ერთი მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, საზოგადოების წევრთა მიერ მოსაზრებების ღიად დაფიქსირებას და

აზრების ურთიერთგაცვლას, მეორე მხრივ კი გამოხატვის თავისუფლებით სრული სარგებლობა თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციისა და პიროვნული განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. გამოხატვის თავისუფლების სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი, მაგალითად, მედია საშუალება.

24-ე მუხლი ეხმიანება კონსტიტუციის მე-19 (სიტყვის, აზრის, სინდისის და რწმენის თავისუფლება), 25-ე (შეკრების თავისუფლება), 26-ე (გაერთიანების თავისუფლება), 28-ე (არჩევნებში მონაწილეობის უფლება) და 41-ე (საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება) მუხლებს.

კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულია გამოხატვის თავისუფლების სხვადასხვა ელემენტი. მუხლის პირველი პუნქტი იცავს აზრის გამოხატვის/გავრცელებისა და ინფორმაციის მიღების უფლებას „ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“. აღნიშნული, პირველ რიგში, გულისხმობს, რომ დაცულია გამოხატული აზრის შინაარსი. ამ კუთხით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა, რომლის თანახმადაც, დაცულია არა მხოლოდ „ინფორმაცია“ ან „იდეები“, რომელსაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდეფერენტული დამოკიდებულება არსებობს, არამედ დაცულია ასევე ისეთი აზრებიც, რომელიც გულისხმობს შეურაცხყოფას, შოკის მომგვრელია ან შემაშფოთებელია სახელმწიფოსთვის ან საზოგადოების რომელიმე ჯგუფისთვის. ასეთი მიდგომა გამომდინარეობს პლურალიზმისა და შემწყნარებლობის მოთხოვნებიდან, რაც დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების წინაპირობაა.

ეს მუხლი უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას და მიღებას ნებისმიერი - ზეპირი, წერილობით, ვიდეო თუ აუდიო - ფორმით, ასევე დაცულია ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობა ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის, პრესის, ტელევიზიისა თუ სხვა გზით. 24-ე მუხლით გარანტირებულია ასევე გამოხატვის თავისუფლების ნეგატიური ასპექტი - ადამიანის უფლება, თავი შეიკავოს აზრის გამოთქმისგან. კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად კრძალავს ადამიანის დევნას აზრის გამო, ასევე მის იძულებას, გამოთქვას ან არ გამოთქვას აზრი.

24-ე მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლების კიდევ ერთი ასპექტი არის ინფორმაციის თავისუფლების უფლება, რომელიც გულისხმობს, რომ ინდივიდს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია მისთვის სასურველი ნებისმიერი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროდან. ეს უფლება ეხმიანება საჯარო ხელისუფლების ვალდებულებას, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ინფორმაცია.

კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია გამოხატვის თავისუფლების სპეციფიური ელემენტი - მედიის თავისუფლება. აღნიშნული პუნქტი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას მედია საშუალებების მიერ აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის მიღების უფლების განსაკუთრებულ

მნიშვნელობაზე. მე-3 პუნქტით კი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონოპოლიზაცია არის აკრძალული.

რაც შეეხება განსახილველ კაზუსს, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მედია ჰოლდინგის და მისი ჟურნალისტის, გიორგის, უფლებები ხვდება 24-ე მუხლით დაცულ სფეროში, იმდენად, რამდენადაც მედია ჰოლდიგის მიერ გამოხატვის თავისუფლება განხორციელდა ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების, განუსაზღვრელი აუდიტორიისთვის მიწოდების გზით. შესაბამისად, ვინაიდან ინფორმაცია მიეწოდა საზოგადოების ფართო წრეს, გამოიყენება არა მე-19, არამედ 24-ე მუხლი. ასევე, გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციისთვის არ ყოფილა გამოყენებული ისეთი საშუალებები, როგორიცაა 25-ე მუხლით გარანტირებული შეკრების თავისუფლება ან 26-ე მუხლით დაცული გაერთიანების თავისუფლება. ამასთან, ინფორმაციის გავრცელება 24-ე მუხლით მუხლით დაცულ ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, დაცულია ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, ინფორმაციის ინტერნეტ მედია საშუალებით გავრცელება. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებული ინფორმაცია შესაძლოა მიუღებელი ყოფილიყო სახელმწიფოსთვის ან საზოგადოების რომელიმე ჯგუფისთვის, მისი შინაარსი ნებისმიერ შემთხვევაში დაცული იქნებოდა 24-ე მუხლით. თანაც, საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სწორედ ტელევიზიისა თუ პრესის საქმეა. შესაბამისად, არსებობს დაცული სფერო.

2. ჩარევა დაცულ სფეროში

მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ არსებობს კონსტიტუციის რომელიმე მუხლით დაცული სფერო, უფლების შესაძლო დარღვევის დასადგენად უნდა გაირკვეს, მოხდა თუ არა ამ უფლებაში ჩარევას, ანუ შეიზღუდა თუ არა უფლება. უფლებაში ჩარევა გულისხმობს ქმედებას, რომელიც განხორციელებულია საჯარო ხელისუფლების რომელიმე ორგანოს ან ორგანოს წარმომადგენლის მიერ და რომელიც ზღუდავს უფლებით სარგებლობას ან კერძო პირის ქმედება, რომელიც ლახავს პირის უფლებას და რის შესახებაც საჯარო ხელისუფლება ინფორმირებულია, თუმცა, უფლების შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად ზომებს არ იღებს. განსახილველ კაზუსში, ინტერნეტ ტელევიზიით გასული სიუჟეტი ინტერნეტიდან აიღეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ანუ სახელმწიფო უწყების, წარმომადგენლებმა. აღნიშნული ქმედების შედეგად კი მედია ჰოლდინგს შეეზღუდა შესაძლებლობა, საზოგადოებისთვის მიეწოდებინა სიუჟეტში ასახული ინფორმაცია, ვინაიდან მისი შინაარსი მიუღებელი აღმოჩნდა სახელმწიფოსთვის. ეს წარმოადგენს მედიის გამოხატვის თავისუფლებაში, კერძოდ კი ინფორმაციის გავრცელების უფლებაში, ჩარევას.

3. არის თუ არა უფლების შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული

სახელმწიფოს მიერ უფლებაში ჩარევა, ანუ მისი შეზღუდვა, თავისთავად არ გულისხმობს, რომ უფლება დარღვეულია, რაც ნიშნავს, რომ ჩარევა შესაძლოა

გამართლებული იყოს. ამისათვის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედება რამდენიმე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს.

პირველ რიგში, უნდა არსებობდეს ჩარევის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან, რაც გულისხმობს კანონის არსებობას, რომლითაც ასეთი ჩარევა დაშვებულია. შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი კანონის საფუძველზე უნდა მოქმედებდეს.

როგორც განსახილველ კაზუსშია მითითებული, ასეთ კანონს წარმოადგენს „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სიუჟეტი წაშალა. შესაბამისად, არსებობს კანონი, რომელიც გამოხატვის თავისუფლებაში მსგავს ჩარევას ითვალისწინებს.

4. კანონის ხელმისაწვდომობა

თავის მხრივ, კანონი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ჩარევა, უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი. უფლებაში ჩარევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამართლდეს, თუ ყველას შეუძლია გაეცნოს კანონს, რომელიც კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევის, მისი შეზღუდვის შესაძლებლობას ითვალისწინებს. აღნიშნული გულისხმობს, რომ კანონი საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში უნდა იყოს გამოქვეყნებული, რათა კანონის გაცნობის შესაძლებლობა ჰქონდეს ყველას და არა მხოლოდ საზოგადოების ცალკეულ ჯგუფს.

განსახილველ კაზუსში ივარაუდება, რომ „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის შესახებ“ საქართველოს კანონი გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და, შესაბამისად, ყველასთვის ხელმისაწვდომია.

5. კანონის განჭვრეტადობა/განსაზღვრულობა

უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი, ანუ კანონი, რომლის საფუძველზეც შეიზღუდა უფლება, არ უნდა იყოს ბუნდოვანი. კანონის ნორმა, რომელიც კონსტიტუციურ უფლებას ზღუდავს, უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულობის ტესტს - უნდა იყოს ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდმიზანმიმართული კანონი. ამასთან, გამოკვეთილი უნდა იყოს ის ინტერესი, რომლის დასაცავადაც კონკრეტული კონსტიტუციური უფლება იზღუდება.

აღნიშნული გულისხმობს, რომ კანონის შესაბამისი ნორმა, რომლითაც უფლების შეზღუდვა არის ნებადართული, უნდა იყოს ყველასთვის გასაგები, არ უნდა იყოს მორგებული მხოლოდ პროფესიონალთა - იურისტთა უნარებზე. კანონი გასაგებად უნდა განმარტავდეს იმ შემთხვევებს, როდესაც კონსტიტუციური უფლება შესაძლოა შეზღუდვას დაექვემდებაროს, ასევე დეტალურად უნდა იყოს გაწერილი უფლებაში ჩარევის პროცედურა და ჩარევის ფარგლები.

განსახილველ კაზუსში ივარაუდება, რომ „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის შესახებ“ საქართველოს კანონი ყველასთვის განჭვრეტადია, რაც გულისხმობს - კანონით გასაგებად არის გაწერილი, რომ გარკვეულ შემთხვევებში უსაფრთხოების სამსახურებს შეუძლიათ სიუჟეტი ინტერნეტ სივრციდან აიღონ.

6. ლეგიტიმური საჯარო მიზანი

ამასთან, ინფორმაციის და აზრის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. ის შეიძლება კონფლიქტში მოვიდეს სხვების უფლებებთან ან სახელმწიფოს ინტერესებთან, ასეთ დროს შესაძლებელია მისი შეზღუდვა ლეგიტიმური ინტერესის შესაბამისად. 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოთვლის ლეგიტიმურ მიზნებს, რომლის საფუძველზე, შესაბამისი კანონის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ამ უფლების შეზღუდვა. კანონი, რომელიც ამ უფლებას ზღუდავს, უნდა ემსახურებოდეს მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი მიზნების მიღწევას.

იმისათვის, რომ კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევა გამართლებული იყოს, აუცილებელია, არსებობდეს შეზღუდვის საფუძველი, რომელიც სახელმწიფოს ქმედებას გაამართლებდა. აღნიშნული გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უნდა დაასახელოს ლეგიტიმური მიზანი, რომლის მიღწევასაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ემსახურება. 24-ე მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევა ხდება ასევე კონსტიტუციით გათვალისწინებული რომელიმე სიკეთის დასაცავად, რომელთა ამომწურავ, საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს მუხლის მე-4 პუნქტი მოიცავს.

განსახილველ კაზუსში 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი შეზღუდვის საფუძვლებიდან სახელმწიფო უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები ასახელებენ სახელმწიფო უშიშროების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზანს, რამდენადაც, მათი განმარტებით, სიუჟეტში ასახული ინფორმაცია შელახავს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს, შეამცირებს საერთაშორისო საზოგადოების ნდობას სახელმწიფოს მიმართ, მათ შორის, დიპლომატიურ და ფინანსურ საკითხებში, გამოიწვევს ხელისუფლების მიმართ მოქალაქეების აგრესიას, რაც შესაძლოა, ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, ასევე, შემცირდება ტურისტების რაოდენობა, რაც ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს.

7. გამოსადეგობა

კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში დასახელებული მიზნები გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ საფუძველს წარმოადგენს, თუმცა, სახელმწიფოს მიერ უფლებაში ჩარევის გასამართლებლად მხოლოდ რომელიმე კონსტიტუციური სიკეთის დასახელება არ არის საკმარისი. აუცილებელია, არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დასახულ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებას შორის. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვა მიზანს ლოგიკურად არ უკავშიდება, უფლების შეზღუდვა გაუმართლებელია. აღნიშნული გულისხმობს, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყენებული საშუალება, რის შედეგადაც უფლებაში

ჩარევა მოხდა, უნდა იძლეოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის თეორიულ შესაძლებლობას, ანუ უნდა იყოს მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება.

განსახილველ კაზუსში, სახელმწიფო უშიშროების სამსახური ასახელებს სახელმწიფო უშიშროების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ლეგიტიმურ დაცვას. სახელმწიფო მიიჩნევს, რომ სიუჟეტით გავრცელებული ინფორმაცია ამ კონსტიტუციური სიკეთეების შელახვას გამოიწვევს. აღნიშნული შესაძლოა წარმოადგენდეს მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას, ვინაიდან, მედიას, განსაკუთრებით კი ვიზუალურ მედია საშუალებებს, განსაკუთრებული ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. სიუჟეტის წაშლის და, შესაბამისად, ინფორმაციის გავრცელებისთვის ხელშეშლის შედეგად, თავიდან იქნება აცილებული საქართველოს თუ სხვა ქვეყნების მოქალაქეების აგრესია, სახელმწიფოს არ მიადგება ფინანსური ზიანი, რაც შეიძლება კონცერტის ბილეთების დაბრუნებამ მოუტანოს, ასევე, არ შეილახება მისი საერთაშორისო რეპუტაცია, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს საგარეო ურთიერთობებზე.

8. აუცილებლობა

იმისათვის, რომ უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური იყოს, არ არის საკმარისი, რომ სახელმწიფოს მიერ უფლების შეზღუდვის მიზნით განხორციელებული ქმედება ლეგიტიმურ მიზანთან ლოგიკურ კავშირში იყოს. სახელმწიფომ ასევე უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ ჩარევა გარდაუვალია კონსტიტუციით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. სახელმწიფომ მიზნის მიღწევის ნაკლებად მზღუდავ, ყველაზე მსუბუქ საშუალებას უნდა მიმართოს. გამოყენებული ღონისძიება, რომელმაც უფლების შეზღუდვა გამოიწვია უნდა იყოს კონსტიტუციით აღიარებული სიკეთის დაცვის აუცილებელი საშუალება.

მოცემული კაზუსის მიხედვით, სახელმწიფოს მიზანს სახელმწიფო უშიშროების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს, რომლის მიღწევის ყველაზე მსუბუქ საშუალებას სიუჟეტის წაშლა წარმოადგენს, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია არ გავრცელდება, არც აღნიშნულ ფასეულობებს შეექმნება საფრთხე. შესაბამისად, სიუჟეტის წაშლა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს.

9. პროპოციულობა/თანაზომიერება ვიწრო გაგებით

უფლებაში ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში, რაც გულისხმობს, რომ უნდა მოხდეს შეზღუდული და დაცული სიკეთეების შედარება. უფლებაში ჩარევის გასამართლებლად, ის ლეგიტიმური მიზანი, რომლის მისაღწევადაც სახელმწიფომ კონსტიტუციური უფლება შეზღუდა, უნდა აღემატებოდეს ინდივიდის მიერ შეზღუდული უფლების განხორციელების ინტერესს. შეზღუდვა კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია, თუ ის დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების პირობებში კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი და თუ გამოხატვის შეზღუდვის შედეგად დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს შელახული საზოგადოებრივი

სიკეთე ან მისი შელახვის საფრთხე და დაუპირისპირდეს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას. ასევე, უნდა შეფასდეს, ერთი მხრივ, გამოხატვის ფორმის და შინაარსის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მეორე მხრივ კი ზიანი, რომელიც ამ უფლების რეალიზაციამ გამოიწვია.

განსახილველ კაზუსში, ერთმანეთს მედია ჰოლდინგის გამოხატვის თავისუფლება და სახელმწიფო უშიშროების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესები უპირისპირდება. ცალსახაა, რომ სახელმწიფოს მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნები კონსტიტუციით დაცულ უმნიშვნელოვანეს სიკეთეს წარმოადგენს, რომლის უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რომელ სიკეთეს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, მნიშვნელოვანია, შეფასდეს გავრცელებული ინფორმაციის შინაარსი და მისი ღირებულება საზოგადოებისთვის. ინფორმაციის გავრცელება და საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხების გაშუქება ჟურნალისტის უმთავრესი დანიშნულებაა. მოცემულ შემთხვევაში, Pink Floyd-ის კონცერტი ქვეყანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა, რომლის მიმართაც როგორც ადგილობირივი, ასევე საერთაშორისო საზოგადოების ინტერესი იყო მიმართული. ინტერნეტ ტელევიზიით გასული სიუჟეტი კი ავრცელებდა ინფორმაციას, რომლის თანახმად, სახელმწიფოს საზოგადოება შეცდომაში შეჰყავდა საერთაშორისო იმიჯის ამაღლებისა თუ ფინანსური დაინტერესების მიზნით. როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლოა, მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნებამ მართლაც გამოიწვიოს საპროტესტო აქციები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, საზოგადოების მხრიდან აგრესიული ქმედებები, ასევე, მოსალოდნელია, რომ ამ ფაქტს საერთაშორისო მედია საშუალებებიც ფართოდ გააშუქებენ და შესაძლოა, მომავალში საქართველოს სახელმწიფოს მიმართ ნდობა შემცირდეს. მეორე მხრივ კი მედიის კონსტიტუციური უფლებაა, რომ საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის, ეჭვქვეშ დააყენოს სახელმწიფო უწყებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია. მედია არ არის ვალდებული, დამალოს სახელმწიფოს მცდარი ქმედებები, უფრო მეტიც, მას სოციალური პასუხისმგებლობაც აკისრია, ამხილოს სახელმწიფო ხელისუფლება და უზრუნველყოს საზოგადოება მართებული ინფორმაციით.

თავის მხრივ, თითოეული ინდივიდის უფლებაა, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმირებული იყოს, შეიქმნას საკუთარი აზრი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ და თავად მიიღოს გადაწყვეტილება, როგორ რეაგირებას მოახდენს საპასუხოდ. მოცემულ შემთხვევაში მედიის მიერ ინფორმაციის გავრცელების უფლების რეალიზება და საზოგადოების მიერ სწორი ინფორმაციის ფლობა უფრო მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს იმ უწესრიგობის პრევენციასთან შედარებით, რომელიც შესაძლოა ინფორმაციის გამჟღავნებამ გამოიწვიოს. საზოგადოება შეცდომაში სწორედ სახელმწიფომ შეიყვანა და, შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, გაუმკლავდეს მოსალოდნელ უწესრიგობას. თუ სახელმწიფოს ექნება ბერკეტი, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც იარსებებს მისთვის არასასურველი ინფორმაციის გავრცელების საფრთხე, ჩაერიოს მედიის გამოხატვის თავისუფლებაში, მივიღებთ

ტოტალიტარულ სახელმწიფოს, სადაც არ არსებობს პლურალიზმი და გავრცელებული ინფორმაციის შინაარსი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კონტროლდება. სახელმწიფოს მიერ მცდარი ინფორმაციის გავრცელებასა და შემდეგ, სიმართლის დაფარვის მიზნით, მედიის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას დემოკრატიული საზოგადოებისთვის შესაძლოა დამანგრეველი ეფექტი ჰქონდეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, სიუჟეტის წაშლა ინტერნეტ სივრციდან ვერ ჩაითვლება ლეგიტიმური მიზნების პროპორციულ საშუალებად, შესაბამისად, მედია ჰოლდინგის და ჟურნალისტი გიორგის საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება დარღვეულია.

II ლექცია - 90 წთ.

ლექციის თემა:

სიცოცხლის უფლება (მ. 15)
ღირსების უფლება (მ.17)

დროის განაწილება:

სტუდენტების კითხვები განვილი მასალის გარშემო - 15 წთ.
სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა - 55 წთ.
სტუდენტების კითხვები - 15 წთ.
დავალება - 5 წთ.

1. **სტუდენტების კითხვები განვილი მასალის შესახებ**

სტუდენტები უსვამენ ლექტორს კითხვებს წინა ლექციაზე ახსნილი თემატიკის შესახებ.

2. **სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა**

ლექტორი წარადგენს სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხს. მე-2 ლექციაზე განიხილება სიცოცხლის და ღირსების უფლებები.

სლაიდი 1:

კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სემინარის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
ლექციის თემატიკა
სასწავლო წელი და სემესტრი
უნივერსიტეტის დასახელება

<u>სიცოცხლის უფლება</u>

სლაიდი 2:

მუხლი 15
1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.
2. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

სლაიდი 3:

სიცოცხლის უფლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება - კანონით სიცოცხლის დაცვა, რისთვისაც მან უნდა განსაზღვროს:

- სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები;
- შრომის უსაფრთხოების რეგულირება;
- ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტები;
- ძალის გამოყენების ინსტრუქციები.

სლაიდი 4:

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება - ადამიანის სიცოცხლის დაცვა ხელყოფისაგან:

- სიცოცხლისთვის საფრთხის თავიდან აცილება (საკმარისი ღონისძიებების დოქტრინა - არა მხოლოდ ძალადობა, არამედ გარემოს უსაფრთხოებაც);
- პატიმრების სიცოცხლის უფლება (ნებისმიერ ლეტალურ შედეგზე მტკიცების ტვირთის სახელმწიფოზე დაკისრება) - მოშიმშილე პატიმრები და იძულებითი კვება;
- მკვლელობის გამოძიება.

სლაიდი 5:

სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება:

- სასიკვდილო ძალის გამოყენება ,,აბსოლუტური აუცილებლობის'' პირობებში - სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი ვითარების განეიტრალება;
- არამართლზომიერი ძალადობისგან დაცვა;
- აჯანყების ჩახშობა;
- დაკავება ან დაკავებულის გაქცევა - სიცოცხლის ან სხვა სერიოზული ზიანის აშკარა, პირდაპირი და რეალური საფრთხე.

სლაიდი 6:

სიკვდილით დასჯა

- საქართველოში სიკვდილით დასჯა სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღეს 1997 წლის 11 ნოემბერს;
- ევროპის საბჭომ მე-13 დამატებითი ოქმით 2002 წელს აკრძალა სიკვდილით დასჯა;
- მე-13 დამატებით ოქმს რატიფიცირება საქართველომ 2003 წელს გაუკეთა;
- სიკვდილით დასჯა საქართველოში კონსტიტუციით გაუქმდა 2006 წლის 27 დეკემბერს.

სლაიდი 7:

გარდაცვლილის უფლებამონაცვლის უფლება, გამოძიების პროცესში იმ მოცულობით უნდა იყოს ჩართული, რომ შეძლოს საკუთარი ინტერესის დაცვა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში არ ექცევა სისხლის სამართლის საქმეებში დაზარალებულის უფლებამონაცვლის შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს ბრალდების ფორმულირებაზე.

სლაიდი 8:

კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი არ აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, თავი შეიკავოს პირის დაბეგვრისაგან მისი (ამ პირის) საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის მოტივით.

სახელმწიფომ უნდა გასწიოს, სულ მცირე, იმგვარი დახმარება, რაც უზრუნველყოფს სიცოცხლის უფლების შენარჩუნებას.

სლაიდი 9:

ფეტუსის სიცოცხლის უფლება:

- ნებადართული აბორტი;
- აბორტი სამედიცინო ან სოციალური ჩვენებით.

ევთანაზია:

- აქტიური ევთანაზია;
- პასიური ევთანაზია.

სლაიდი 10:

სიცოცხლის უფლების სუბიექტია ყველა ფიზიკური პირი.

<u>ღირსება</u>

სლაიდი 10:

მუხლი 17
1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.
3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

სლაიდი 11:

სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპის რეალიზება ემსახურება ადამიანის ღირსების პატივისცემას.

ღირსება არის არა მხოლოდ უფლება, არამედ ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპიც, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება სხვა ძირითადი კონსტიტუციური უფლებები.

კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით დაცული პატივისა და ღირსების კონსტიტუციურ-სამართლებრივი განმარტება ფართო შინაარსის მატარებელია და განსხვავდება ამ ცნებათა სამოქალაქო-სამართლებრივი გაგებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ღირსების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი გულისხმობს სოციალურ მოთხოვნილებას ადამიანის პატივისცემაზე.

სლაიდი 12:

პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა აბსოლუტური უფლებაა.

სლაიდი 13:

ღირსების უფლების რამდენიმე ასპექტი:

- საარსებო მინიმუმისუფლება;
- საპროცესო უფლებების ჩამორთმევა;
- თანასწორობა (მონობა, რასიზმი);
- ფსიქოლოგიური და სხვა მანიპულაციები (კლონირება);
- სიკვდილით დასჯა;
- იდეოლოგიური პროპაგანდა.

სლაიდი 14:

წამება, როგორც ღირსების უფლების დარღვევა:

- წამება - ფიზიკური და სულიერი ტანჯვა; სახელმწიფოს წარმომადგენლის განზრახი მოქმედება ან უმოქმედობა; მიზანი ინფორმაციის მიღება;
- მინიმალური ზღვარი;
- პირის ისეთი სახელმწიფოსთვის გადაცემა, სადაც მას წამება ემუქრება;

- საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება;
- თავისუფლების კანონიერი შეზღუდვისას, ცალკეული უფლებების თანმდევი შეზღუდვის მიუხედავად, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი ინარჩუნებს ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებისაგან დაცვის უფლებას.

სლაიდი 15:

არაადამიანური მოპყრობა:

- წინასწარი განზრახვა;
- ინტენსივობის მაღალი ხარისხი - ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა;
- ხანგრძლივობა.

სლაიდი 16:

დამამცირებელი მოპყრობა:

- მიზანი;
- საზოგადოების დამოკიდებულება და პირადი აღქმა.

სლაიდი 17:

ღირსების კონცეფცია:

- ადამიანი სამართლის სუბიექტია, ეს ნიშნავს, რომ იგი არის სამართლის მიზანი;
- დაუშვებელია ადამიანის სამართლის ობიექტად განხილვა. დაუშვებელია, ადამიანი იყოს საშუალება მიზნის მისაღწევად;
- დაუშვებელია, ადამიანი იყოს სახელმწიფოს მოქმედების ,,შიშველი ობიექტი'';
- არათანაზომიერი სასჯელები ეწინააღმდეგება ღირსების უფლებას.

სლაიდი 18:

მე-17 მუხლის სუბიექტი:

- ღირსების სუბიექტია ფიზიკური პირი;
- პატივის სუბიექტი, საქმიანი რეპუტაციის ნაწილში, შეიძლება იყოს იურიდიული პირიც.

3. სტუდენტების კითხვები

სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს მოსმენილი ლექციის შესახებ. გამოხატავენ საკუთარ აზრს და აფიქსირებენ პოზიციას.

4. დავალება

ლექტორი სტუდენტებს აძლევს დავალებას: თითოეული სტუდენტი ვალდებულია მომდევნო ლექციისთვის მოამზადოს სულ ცოტა ერთი კითხვა, რომელიც მას სასწავლო მასალის დამუშავების დროს გაუჩნდება.

სავალდებულო ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუციის მე-15 და მე-17 მუხლები;
- კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 86-93, 130-132; 124-130;
- ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 60-72; 83-101;
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 71-86; 105-127.

დამატებითი ლიტერატურა:

- ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 216-249.
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 45-61, 83-95;
- პოლიციის შესახებ კანონი.

II სემინარი- 90 წთ.

სემინარის თემა:

სიცოცხლის უფლება (მ.15)
ღირსების უფლება (მ.17)

დროის განაწილება:

კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ - 15 წთ.
სადისკუსიო თემების განხილვა - 45 წთ.
ტესტირება - 30 წთ.

1. **კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ** - სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ.

2. **სადისკუსიო თემების განხილვა:**

   2.1. ვინ არის სიცოცხლის უფლების ადრესატი? ამ უფლებით სარგებლობისთვის აუცილებელია თუ არა დადგეს სასიკვდილო შედეგი?
   2.2. რის საფუძველზე არის შესაძლებელი სიცოცხლის უფლების შეზღუდვა?
   2.3. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, როგორც „უკიდურესი ღონისძიება";
   2.4. რა ძირითადი გასხვავება არსებობს ღირსების უფლებასა და სხვა უფლებებს შორის? როგორ გამოიყენება თავისუფლების უფლებების ტესტი ღირსების უფლებასთან მიმართებით?
   2.5. რით განსხვავდება წამებას არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან?
   2.6. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები სიცოცხლის და ღირსების უფლებებთან მიმართებით.

დისკუსიის მიზანი: დისკუსიის ფარგლებში სტუდენტს წარმოდგენა ექმნება სიცოცხლისა და ღირსების უფლებებით დაცული სფეროების შესახებ. სიცოცხლის უფლების შეზღუდვისას, სხვა თავისუფლების უფლებებთან შედარებით, მკაცრი ტესტი გამოიყენება. ამასთან, ღირსების უფლება ადამიანის იმ რამდენიმე უფლებას განეკუთვნება, რომელიც აბსოლუტური ხასიათისაა და მისი შეზღუდვა დაუშვებელია. დისკუსია ასევე შეეხება აღნიშნული უფლებების მახასიათებლებს.

პირველი სადისკუსიო კითხვის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს, რომ სიცოცხლის უფლების სუბიექტი მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს და რომ აღნიშნული უფლება შეიძლება იმ შემთხვევებშიც შეიზღუდოს, თუ არ დადგა სასიკვდილო შედეგი.

მეორე კითხვის განხილვისას ლექტორი სტუდენტებს განუმარტავს, რომ დასაშვებია არა სიცოცხლის უფლების მიზანმიმართული შეზღუდვა, არამედ

ცეცხლსასროლი იარაღის იმგვარი გამოყენება, რომლის შედეგადაც შესაძლოა სასიკვდილო შედეგი დადგეს. ასევე განხილული იქნება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილი საფუძვლები, როდის აქვს პოლიციელს უფლება, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი. დისკუსიისას სტუდენტი იაზრებს, რომ ინდივიდის სიცოცხლის უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ თანაბარი სიკეთის, ესე იგი, სხვა ინდივიდის/ინდივიდების სიცოცხლის გადასარჩენად.

მესამე კითხვის შესახებ დისკუსიისას განიხილება ის გარემოებები, რომელთა შეფასებითაც დადგინდება, იყო თუ არა გამართლებული სიცოცხლის უფლებაში ჩარევა: ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მიზანი; პოლიციელის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ გაფრთხილება, ადრესატისთვის გონივრული ვადის მიცემა - გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება სხვა პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვიოს; ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების აუცილებლობა/გარდაუვალობა, ინტენსიურობა, დამდგარი შედეგი.

მეოთხე კითხვის გარშემო დისკუსიისას ყურადღება გამახვილდება ღირსების უფლებაზე, როგორც აბსოლუტური ხასიათის უფლებაზე, სტუდენტი გაიაზრებს, რომ მსგავს უფლებებში ჩარევა ავტომატურად გულისხმობს მათ დარღვევას.

მეხუთე კითხვის შესახებ დისკუსიისას საუბარი შეეხება წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებს შორის განსხვავებას. ყურადღება გამახვილდება მოპყრობის სახეზე, ინტენსივობასა და მიზნის არსებობაზე, რაც წამებას არასათანადო მოპყრობისგან.

მეექვსე სადისკუსიო კითხვის მიზანია სიცოცხლის და ღირსების უფლებებთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების განხილვა. სტუდენტი გაიგებს, რომ აღნიშნული უფლებების დასაცავად არ არის საკმარისი, სახელმწიფომ თავი შეიკავოს უფლებაში ჩარევისგან, იგი ვალდებულია მიიღოს კანონმდებლობა, რომლის თანახმად, სიცოცხლის უფლებაში ჩარევა და ნებისმიერი სახის არასათანადო მოპყრობა წარმოადგენს სისხლი სამართლის დანაშაულს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ადეკვატურად მკაცრი სასჯელი. სახელმწიფო ვალდებულია ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება, რომლის ფარგლებში საგამოძიებო ორგანო დროულად განახორციელებს ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელ ყველა საგამოძიებო მოქმედებას. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გასწიოს სათანადო ძალისხმევა სიცოცხლის მოსპობის თუ ღირსების შელახვის პრევენციისთვის.

მეთოდი:

ლექტორი დისკუსიას წარმართავს „სოკრატეს მეთოდით“. ლექტორი ჯგუფს უსვამს კითხვას სადისკუსიო თემის შესახებ. მსჯელობის პროცესში, ლექტორი ხელმძღვანელობით, სტუდენტები მიდიან სწორ დასკვნამდე.

ჯგუფისთვის დასმული სავარაუდო კითხვები:

- რა პრინციპების დაცვით უნდა მოხდეს სიცოცხლის უფლებაში ჩარევა? სარგებლობს თუ არა ადამიანის სიცოცხლის უფლებით დაბადებამდე?
- მოიცავს თუ არა სიცოცხლის უფლება უფლებას სიკვდილზე?
- დასაშვებია თუ არა, სიკვდილით დასჯის, როგორც სისხლის სამართლის სასჯელის, გამოყენება?
- რომელი ლეგიტიმური მიზნით შეიძლება გამართლდეს ჩარევა ღირსების უფლებაში?
- რა განსხვავებაა წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებს - არაჰუმანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობასა და სასჯელს შორის?

4. **ტესტირება**

სტუდენტები წერენ 10 ტესტურ კითხვას, თითოეულ კითხვას აქვს ოთხი სავარაუდო პასუხი და ფასდება 0,5 ქულით. ტესტი შეეხება განვლილ საკითხებს, კერძოდ, სიცოცხლის და ღირსების უფლებებს, განსაკუთრებულ აქცენტს კი თავისუფლების უფლებების ტესტზე აკეთებს. ტესტის საშუალებით მოწმდება, რამდენად სწორად გაიგო სტუდენტმა თავისუფლების უფლებების ტესტის ცალკეული ელემენტები.

ტესტის შემადგენელი ცალკეული კითხვის მაგალითები:

1. *რას ნიშნავს მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც „კანონი უნდა იყოს განჭვრეტადი?“*

ა. უფლებაში ჩარევა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული;

ბ. კანონის მოძიების შესაძლებლობა ყველას უნდა ჰქონდეს;

გ. კანონის ნორმები არ უნდა იყოს ბუნდოვანი;

დ. უფლებაში ჩარევა კონსტიტუციით უნდა იყოს გათვალისწინებული.

2. *ღირსების უფლებაში ჩარევა შესაძლებელია გამართლდეს:*

ა. თუ არსებობს ლეგიტიმური მიზანი;

ბ. თუ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც არის მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება;

გ. თუ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც არის მიზნის მიღწევის გამოსადეგი, აუცილებელი და თანაზომიერი საშუალება;

დ. ღირსების უფლებაში ჩარევას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე გამართლება.

III ლექცია - 90 წთ.

ლექციის თემა:

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება:

- პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (მ.16);
- პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება, ფარული თვალთვალისა და მიყურადების აკრძალვა (მ. 20);
- ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (მ. 36);
- სახელმწიფოს ხელთ არსებული პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა (41.2).

დროის განაწილება:

სტუდენტების კითხვები განვლილი მასალის გარშემო - 15 წთ.
სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა - 55 წთ.
სტუდენტების კითხვები - 15 წთ.
დავალება - 5 წთ.

1. **სტუდენტების კითხვები განვილი მასალის შესახებ**

სტუდენტები უსვამენ ლექტორს კითხვებს წინა ლექციაზე ახსნილი თემატიკის შესახებ.

2. **სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა**

ლექტორი წარადგენს სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხს. მე-3 ლექციაზე განიხილება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

სლაიდი 1:

კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სემინარის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
ლექციის თემატიკა
სასწავლო წელი და სემესტრი
უნივერსიტეტის დასახელება

სლაიდი 2:

საქართველოს კონსტიტუცია რამდენიმე მუხლით იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას:

- თავისუფალი განვითარების უფლება (მ.16);
- პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება, ფარული თვალთვალისა და მიყურადების აკრძალვა (მ.20);
- ოჯახური ცხოვრების თავისუფლება (მ.36);
- სახელმწიფოს ხელთ არსებული პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა (41.2).

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ამოუწურავი კონცეფციაა.

<u>თავისუფალი განვითარების უფლება</u>

სლაიდი 3:

მუხლი 16
ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

სლაიდი 4:

- ადამიანის პიროვნულობა უზენაესი ღირებულებაა. პიროვნულობა ეფუძნება განსხვავებულობასა და ინდივიდუალურობას, რისი საფუძველი თავისუფლებაა;
- ზოგადი პიროვნული უფლება და მისი სუბსიდიარული ბუნება (20, 36, 41);
- ზოგადი პიროვნული უფლება და საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება.

სლაიდი 5:

დაცული სფერო:

ზოგადი პიროვნული უფლება - პიროვნული თვითგამორკვევის უფლება, პირადი ცხოვრების უფლება (the right to be let alone), თვითგამოხატვის უფლება, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება;

საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება - პირს ყველაფრის უფლება აქვს, რაც კანონით აკრძალული არ არის.

სლაიდი 5:

ქმედუნარიანობა და სამართალსუბიექტობა

სლაიდი 6:

სექსუალური ორიენტაცია და სისხლის დონორობა

სლაიდი 7:

თავისუფალი განვითარების უფლების ინტიმური და სოციალური ასპექტები:

- პირის ავტნომიურობა, თავად განსაზღვროს საკუთარი თავი, ღირსება, იდენტობა;
- თავად განსაზღვროს კავშირისამყაროსთან, სოციალიზაცია (პატიმრისკონტაქტი).

სლაიდი 8:

ოჯახური და პირადი კავშირები:

როდესაც ადამიანის სოციალური კავშირი ქორწინებითა და ოჯახით შემოიფარგლება, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება არა კონსტიტუციის მე-16, არამედ კონსტიტუციის 36-ე მუხლი;

სლაიდი 9:

თავისუფალი განვითარების უფლების სუბიექტი:

- თავისუფალი განვითარების უფლების სუბიექტი ძირითადად ფიზიკური პირია;
- საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების ნაწილი ასევე ვრცელდება იურიდიულ პირებზე.

<u>პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება, ფარული თვალთვალისა და მიყურადების აკრძალვა</u>

სლაიდი 10:

მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის აქვს უფლება, შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება, ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

სლაიდი 10:

დაცული სფერო:

- გონივრული მოლოდინის კონცეფცია;
- ხელშეუხებლობა სახელმწიფოს ფარული ჩარევისაგან;
- პირადი ცხოვრება, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, ტექნიკური საშუალებები;
- სახლი და პირადი საქმიანობის ადგილი;
- ჩხრეკა.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ ვითარდება უფლების შინაარსი.

სლაიდი 11:

უფლების შეზღუდვის ფორმალური საფუძვლები:

- სასამართლოს წინასწარი ნებართვა;
- გადაუდებელი აუცილებლობა და სასამართლოს პოსტფაქტუმ ნებართვა.

სლაიდი 12:

სასამართლოს კონტროლის აუცილებლობა:

კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს, რომ პირად ცხოვრებაში ფარული ჩარევის შემთხვევაში, ინდივიდი უზრუნველყოფილი იყოს მიუკერძოებელი სასამართლო კონტროლის შესაძლებლობით. სასამართლომ უნდა დაიცვას, როგორც იმ პირის, რომელიც ფარული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ინტერესის საგანს წარმოადგენს, ასევე მესამე პირების ინტერესები. აღნიშნულს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სუბიექტისათვის უცნობი რჩება თავის სატელეფონო თუ სხვაგვარ კომუნიკაციაზე ფარული დაკვირვების შესახებ;

სლაიდი 13:

გადაუდებელი აუცილებლობა:

გადაუდებელი აუცილებლობა გვხვდება კანონით გათვალისწინებულ ისეთ შემთხვევაში, როცა კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის

მიღწევა შეუძლებელია, რეალურად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, კერძო ინტერესების დაუყოვნებლივი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე. ,,გადაუდებლობა'' მიუთითებს დროის სიმცირეზე, რაც უფლების შესაზღუდად მოსამართლის ბრძანების მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას;

სლაიდი 14:

შეზღუდვის მატერიალური საფუძვლები:

- ეროვნული უშიშროება;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოება;
- ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესები;
- უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილება;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა;
- საზოგადოებრივი მორალის დაცვა;
- სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

სლაიდი 15:

კონსტიტუციის მე-20 მუხლის მეორე პუნქტით დაცული სფეროს განსხვავება კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული საკუთრების უფლებისაგან.

სლაიდი 16:

კონსტიტუციის მე-20 მუხლის სუბიექტია ყველა პირი.

<u>ოჯახური ცხოვრების თავისუფლება</u>

სლაიდი 15:

მუხლი 36

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.
3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

სლაიდი 16:

დაცული სფერო:

- სახელმწიფო მიერ ქორწინების უფლების რეალიზაციისას ბარიერების დაწესებისაგან თავის შეკავების ვალდებულება;

- კონსტიტუციური ნორმა ქორწინებასთან ერთად მოიცავს ქორწინების შედეგად წარმოშობილ საოჯახო თანაცხოვრებას და განქორწინების უფლებასაც;
- ნორმის რეგულირების სფეროდან გამოირიცხება ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესის დაცვით რეგისტრირებულ ქორწინებას აღიარებს;
- ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების უფლება.

სლაიდი 17:

დაირღვევა 36-ე მუხლის პირველი პუნქტი, თუკი შეზღუდვა არ ისახავს მიზნად დემოკრატიული საზოგადოებისათვის ღირებულ სიკეთეს, რომლის მიღწევას ან დაცვას ემსახურება გათვალისწინებული შეზღუდვა.

სლაიდი 18:

დაცული სფერო:

- სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს ოჯახური კეთილდღეობას, რათა საკანონმდებლო ცვლილებებმა არ გამოიწვიოს ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება;
- ოჯახური კეთილდღეობის უფლება ასევე მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს პატიმარი თავისი ოჯახის წევრებთან შეხვედრის შესაძლებლობით და სხვა იმგვარი საშუალებებით, რომელიც ხელს შეუწყობის მისი ოჯახის კეთილდღეობას.
- ამავდროულად, საპატიმრო დაწესებულების უსაფრთხოება, დანაშაულისა და არეულობის აღკვეთა, არის ის ლეგიტიმური მიზნები, რომლებიც ამართლებენ პატიმრის ოჯახური ცხოვრების კეთილდღეობაზე დაწესებულ შეზღუდვებს.

სლაიდი 20:

- სახელმწიფო, დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით, მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს, რომ საკანონმდებლო ცვლილებებმა არ გამოიწვიოს ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის უკიდურესად გაუარესება;
- ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებაში მყოფი ქალისთვის ფულადი დახმარება საგნობრივად ექცევა კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ სფეროში;
- საცხოვრებელი სახლის ხარჯების დაბეგვრა არ იჭრება კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ სფეროში.

სლაიდი 17:

ოჯახური ცხოვრების თავისუფლების სუბიექტები არიან მხოლოდ ფიზიკური პირები.

<u>სახელმწიფოს ხელთ არსებული პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა</u>

სლაიდი 18:

მუხლი 41

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

სლაიდი 19:

დაცული სფერო:

- პერსონალური ინფორმაციის მოპოვების უფლებას არ იცავს ინფორმაციის თავისუფლება;
- 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კერძო სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებას აქვს დამხმარე ხასიათი სხვა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

სლაიდი 20:

სახელმწიფოს ხელთ არსებული პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობის უფლების სუბიექტია ყველა პირი.

3. სტუდენტების კითხვები

სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს მოსმენილი ლექციის შესახებ. გამოხატავენ საკუთარ აზრს და აფიქსირებენ პოზიციას.

4. დავალება

ლექტორი სტუდენტებს აძლევს დავალებას: თითოეული სტუდენტი ვალდებულია, მომდევნო ლექციისთვის მოამზადოს სულ ცოტა ერთი კითხვა, რომელიც მას სასწავლო მასალის დამუშავების დროს გაუჩნდება.

ლექტორი სტუდენტებს აძლევს საკითხავ მასალას:

სავალდებულო ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუციის მე-16, მე-17, 36-ე მუხლი და 41-ე მუხლის მე-4 პუნქტი;
- კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 93-123; 156-168;
- ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 73-82; 186-220; 493-511;
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 87-104; 176-198; 438-451;

დამატებითი ლიტერატურა:

- ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 378-425.
- ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოსკონსტიტუციისკომენტარები: ადამიანისძირითადიუფლებანიდათავისუფლებანი, თბილისი, 2005, გვ. 62-95.
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი; პოლიციის შესახებ კანონი;
- კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონი;
- საგადასახადო კოდექსი;
- პატიმრობის კოდექსი;
- ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი.

III სემინარი - 90 წთ.

სემინარის თემა:

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება:

- პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (მ. 16);
- ტექნიკური საშუალებებით პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის უფლება (მ. 20);
- ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (მ. 36);
- ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული პირადი მონაცემების დაცვის უფლება (მ. 41.2).

დროის განაწილება:

კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ - 15 წთ.
სადისკუსიო თემების განხილვა - 30 წთ.
სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი - 45 წთ.

1. **კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ** - სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ.

2. **სადისკუსიო თემების განხილვა:**

   2.1. პირადი ცხოვრების რომელ ელემენტებს მოიცავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება? ვინ არის უფლების სუბიექტი?
   2.2. რას მოიცავს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული სფერო? ვინ არის უფლების სუბიექტი?
   2.3. რას მოიცავს საცხოვრებლის პატივისცემის უფლება?
   2.4. რა შემთხვევებში გამოიყენება, ერთი მხრივ, ზოგადი, მე-16 მუხლი და, მეორე მხრივ, სპეციალური, მე-20 და 36-ე მუხლები?
   2.5. რას მოიცავს კონსტიტუციის 36-ე მუხლით დაცული სფერო?
   2.6. რა ფორმით არსებული ინფორმაციის დაცვას უზრუნველყოფს 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი? ვინ არის უფლების სუბიექტი? რა არის ამ უფლებით სარგებლობის წინაპირობა?

დისკუსიის მიზანი: დისკუსიის მიზანია კონსტიტუციის მე-16, მე-20 და 36-ე მუხლების დაცული სფეროების და შეზღუდვის საფუძვლების შესახებ მსჯელობა, ამ მუხლებით დაცული უფლებათა ელემენტების გამიჯვნა. დისკუსიისას სტუდენტი გაიაზრებს, თუ რა შემთხვევებში გამოიყენება ზოგადი, მე-16 მუხლი და რა შემთხვევებს მიემართება სხვა, სპეციალური მუხლები.

პირველი სადისკუსიო კითხვის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს მე-16 მუხლით დაცული სფერო, მისი ფარგლები - რომ აღნიშნული მუხლი წარმოადგენს ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვის ზოგად ნორმას, ერთი მხრივ, მოიცავს *ზოგად პიროვნულ უფლებას,* მეორე მხრივ კი იცავს *საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას.* ინდივიდის პირადი ცხოვრების სფერო, თავის მხრივ, მოიცავს პირის *თვითგამორკვევის, პირადი ცხოვრების* და *თვითგამოსახვის* უფლებებს. *თვითგამორკვევის* უფლება გულისხმობს უფლებას, *გაარკვიოს საკუთარი წარმოშობა, საკუთარი პიროვნების შეგრძნებაზე* და *ინფორმაციული თვითგამორკვევის* უფლებას. *პირადი ცხოვრების* უფლების ელემენტი ინდივიდს იცავს პირად ცხოვრებაში არასასურველი ჩარევებისგან. *თვითგამოსახვის* უფლება კი შემდეგ უფლებებს მოიცავს: უფლება საკუთარ სიტყვაზე, სურათზე, საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე, საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაციის გავრცელებაზე. ასევე, ინდივიდის მიერ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არ ხვდება ზოგადი პიროვნული უფლებით დაცულ სფეროში, დაცულია საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით.

მე-16 მუხლი პირს აძლევს უფლებას, განახორციელოს ყველა ქმედება, რომელიც კანონით აკრძალული არ არის. ეს მუხლი ზოგადი ხასიათისაა და ზოგიერთი მისი შემადგენილი ელემენტი კონსტიტუციის სხვა, სპეციალური მუხლებით არის დაცული. უფლების სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. გარდაცვლილ ადამიანზე შეიძლება უფლების მხოლოდ ერთი ელემენტი - პირადი ცხოვრების სფეროსთან დაკავშირებული უფლებები - გავრცელდეს. მე-16 მუხლი არ არის აბსოლუტური უფლება და საჯარო ხელისუფლების მიერ მასში ჩარევა დასაშვებია.

მეორე სადისკუსიო კითხვის განხილვის მიზანს წარმოადგენს უშუალოდ მე-20 მუხლით დაცული სფეროს განსაზღვრა, ასევე მისი სპეციალური ხასიათის ხაზგასმა. მე-20 მუხლი იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონკრეტულ სფეროს - ტექნიკური საშუალებების მეშვეობით პირად ცხოვრებაში ჩაურევლობას, მიმოწერის და საცხოვრებლის ძირითად უფლებებს. უფლების სუბიექტები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები. მე-20 მუხლით გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და მასში ჩარევა დასაშვებია ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.

მესამე კითხვის შესახებ მსჯელობისას სტუდენტი გაანალიზებს, რომ მე-20 მუხლით დაცული საცხოვრებლის უფლება არ გულისხმობს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საცხოვრებელი, არამედ უზრუნველყოფს პირის უფლებას, ისარგებლოს თავისი საცხოვრებლით სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის გარეშე, მაგალითად, მის სახლში არ ჩატარდეს ჩხრეკა. ამასთან, მე-20 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს მხირიდან ჩარევისაგან დაცულია არა მხოლოდ ადგილი, სადაც პირი ცხოვრობს, არამედ მისი სამუშაო ადგილიც, მანქანაც ან სხვა მფლობელობაც.

მეოთხე სადისკუსიო კითხვის შესახებ მსჯელობისას სტუდენტი კონსტიტუციის 36-ე მუხლით დაცულ სფეროს გაიაზრებს. აღნიშნული მუხლი იცავს რეგისტრირებული ქორწინების უფლებას, მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას ქორწინებაში. სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას, ამასთან, ცალკე გამოყოფს ოჯახში ყველაზე დაუცველ ჯგუფებს - ქალებს და ბავშვებს, აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათი უფლებები კანონით არის დაცული.

მეხუთე კითხვის შესახებ დისკუსიისას სტუდენტი გაიაზრებს, თუ როგორ იმიჯნება ერთმანეთისგან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის/საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების დამცავი ზოგადი და სპეციალური ნორმები, რომ პირადი ცხოვრების დაცვის და საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების უფლებები დაცულია მე-16 მუხლით, თუკი რომელიმე ასპექტი სხვა, სპეციალური მუხლით დაცული სფეროს მოქმედების ქვეშ არ ხვდება.

მეექვსე კითხვის შესახებ მსჯელობა შეეხება 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ პირადი ცხოვრების სფეროს, რაც გულისხმობს ადამიანის შესახებ კერძო ინფორმაციის დაცვას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის დაცვა ვრცელდება ინფორმაციაზე, რომელიც დაცულია ოფიციალურ ჩანაწერებში, შეეხება პირს, იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და არსებობს მისი დაცვის გონივრული მოლოდინი. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ამ სახის ინფორმაცია მესამე პირებისთვის არ უნდა გახდეს ხელმისაწვდომი იმ პირის თანხმობის გარეშე, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება.

ეს მუხლი იცავს უშუალოდ იმ ინფორმაციას, რომელიც სახელმწიფოს მოეპოვება ოფიციალური ჩანაწერების სახით და დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, მაგალითად, ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ იგულისხმება არა მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ ფულს ან ფულად ურთიერთობებს შეეხება და სრულად ან ნაწილობრივ ქმნის წარმოდგენას პირის ფინანსურ მდგომარეობაზე, არამედ იგულისხმება ის მონაცემებიც, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ასახავს პირის კერძო მატერიალურ მხარეს, მისი არსებობის თუ საქმიანობის მატერიალურ საფუძვლებს, როგორიცაა, მაგალითად, საგადასახადო საიდუმლოება.

იმის მიუხედავად, რომ 41-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია სიტყვა „ადამიანი“, უფლების სუბიექტი არის ასევე იურიდიული პირიც. ზოგიერთი საკითხი, მაგალითად, ჯანმრთელობა, არის დაცული სიკეთე, რომლითაც შეიძლება მხოლოდ ფიზიკურმა პირმა ისარგებლოს. იურიდიული პირები კი ამ უფლებით, მაგალითად, მატერიალურ სფეროში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით სარგებლობენ. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დაცული სიკეთეა, არ გახდეს ხელმისაწვდომი ოფიციალურ წყაროებში პირის კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომლის გამჟღავნება, თანმდევი შედეგების და მისი სიმწვავის მიუხედავად, ნიშნავს უფლების დარღვევას. სასამართლომ მიუთითა, რომ ამ უფლების სუბიექტები არიან საჯარო

მოხელეები, თანამდებობის პირები და მათი პირადი ცხოვრება გამიჯნა მათი სამსახურებრივი საქმიანობისგან. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირიც სარგებლობს ამ უფლებით. რამდენად უნდა იყოს მის ფინანსურ საკითხებთან ან სხვა სახის კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი, კონსტიტუციის მოთხოვნების გათვალისწინებით, განსაზღვრავს კანონმდებელი.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ოფიციალური ჩანაწერები“ გულისხმობს, რომ 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ სფეროში შეიძლება მოექცეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაცულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ და სახელმწიფო ამოცანების განმახორციელებელ ორგანოებში.

41-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლება არ არის აბსოლუტური და ამავე მუხლში არის მოცემული შეზღუდვის საფუძვლები: სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებების და თავისუფლებების დაცვა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე იმსჯელა პირადი მონაცემების დაცვის უფლების და ინფორმაციის თავისუფლების კოლიზიის შემთხვევებზე და აღნიშნა, რომ ავტომატურად არც ერთ უფლებას არ ენიჭება უპირატესობა, თუმცა, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ პირს არ სურს მის კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ინფორმაციის გამჟღავნება. სახელმიფო ვალდებულია, დაიცვას პირის კერძო სფერო, სანამ თავად ეს პირი არ გამოხატავს საწინაარმდეგო ნებას და არ მოითხოვს ინფორმაციის გაცემას.

მეთოდი:

სემინარის ხელმძღვანელი დისკუსიას წარმართავს „სოკრატეს მეთოდით“. სემინარის ხელმძღვანელი ჯგუფს უსვამს კითხვას სადისკუსიო თემის შესახებ. მსჯელობის პროცესში, ლექტორის ხელმძღვანელობით, სტუდენტები მიდიან სწორ დასკვნამდე.

ჯგუფისთვის დასმული სავარაუდო კითხვები:

- რომელი მუხლით დაცულ სფეროში ხვდება უფლება საკუთარ ფოტოსურათზე? წინაპრების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება?
- რომელი მუხლით დაცულ სფეროში ხვდება უფლება ელექტრონული მეილით მიღებული შეტყობინების ხელშეუხებლობაზე?
- რომელი მუხლით არის დაცული ადამიანის სამუშაო ადგილის ხელშეუხებლობა?
- შესაძლებელია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება შეიზღუდოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ჭეშმარიტების დადგენის მიზნით? ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ ჭეშმარიტების დადგენის მიზნით?

- არის თუ არა ქორწინების უფლება პირადი ცხოვრების შემადგენელი ელემენტი?
- რა მოცულობით აქვს სახელმწიფოს ადამიანის პირადი მონაცემების დაცვის ვალდებულება?

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი

განსახილველი საკითხის მიზანი: უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის დადგენის შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან მისადაგება.

მეთოდი: სემინარის ხელმძღვანელი სტუდენტებს შეურჩევს თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებულ სასამართლოს გადაწყვეტილებას. სტუდენტები აანალიზებენ გადაწყვეტილებას და, თავისუფლებების უფლების ტესტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ტექსტს დაყოფენ თითოეული კრიტერიუმის მიხედვით, მაგალითად, გამოყოფენ დაცულ სფეროს, უფლებაში ჩარევას და ა. შ.

სასამართლოს გადაწყვეტილება #1

ფაქტობრივი გარემოებები:

კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია, რომ მოსარჩელეს ეკავა საქართველოს სსრ-ის ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის თანამდებობა, მოგვიანებით იგი მუშაობდა თელავის რაიონში პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნად. მოსარჩელე მიუთითებს, რომ 2013 წლის 17 ივნისს მონაწილეობა მიიღო თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობის დასაკავებლად გამართულ კონკურსში, თუმცა იგი დაუსაბუთებლად მოხსნეს კონკურსიდან. მოგვიანებით კი, ზეპირი ფორმით, განუცხადეს, რომ იგი, სადავო ნორმების საფუძველზე, კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებდა.

საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტიის“ მე-8 მუხლში ჩამოთვლილია თანამდებობები, რომლის დაკავებაც ეკრძალებათ კონკრეტულ პირებს. ამავე კანონის მე-9 მუხლში კი მითითებულია პირები, რომლებსაც ეკრძალებათ მე-8 მუხლში ჩამოთვლილი თანამდებობების დაკავება. მოსარჩელე დავობს საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტიის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების კონსტიტუციურობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

სადავო ნორმა:

მუხლი 9. თანამდებობრივი შეზღუდვის გავრცელების დრო და პირები, რომლებზედაც ვრცელდება ეს შეზღუდვა

1. ამ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრულ თანამდებობებზე არ შეიძლება დანიშნულ ან არჩეულ იქნენ პირები, რომლებიც 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე იყვნენ:

გ) ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების წევრები, რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნები;

დ) ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტების ბიუროების წევრები.

I. მე-17 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო

დაცული სფერო ზოგადად

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია". საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ პატივი და ღირსება ადამიანის სოციალური იდენტობის არსებითი ატრიბუტებია, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის მორალურ მდგომარეობას საზოგადოებაში. აღნიშნული უფლება ბუნებით უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება, შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანს ღირსების უფლება აქვს იმიტომ, რომ იგი ადამიანია ,,...და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ გააჩნია საზოგადოების შეხედულებას მასზე ან მის სუბიექტურ თვითშეფასებას. ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია. კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ...მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი. ადამიანის ღირსების დაცვა არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს სახელმწიფოსაგან. ღირსებაში იგულისხმება სოციალური მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის რესპექტირებაზე" (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე *„საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ",* II-30). აღნიშნული უფლების თანახმად, სახელმწიფოსთვის ადამიანი უნდა იყოს მთავარი ფასეულობა, კონსტიტუციური უფლებების სუბიექტი და არა მიზნის მიღწევის საშუალება.

2. საქართველოს კონსტიტუციით დაცული ამა თუ იმ უფლების მზღუდავი საკანონდებლო რეგულირება ავტომატურად არ იწვევს სამართალსუბიექტობაზე უფლების დარღვევას. საკონსტიტუციო სასამართლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უფლების მზღუდავი რეგულირების შინაარსის, მიზნის და შეზღუდვის ინტენსივობის გათვალისწინებით ადგენს გასაჩივრებული ნორმის (ნორმების) შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებასთან.

დაცული სფერო მოსარჩელის ინდივიდუალურ გარემოებებთან მიმართებით

3. მოსარჩელე კონსტიტუციურ სარჩელში მიუთითებს, რომ ის დაიბადა, გაიზარდა და ამა თუ იმ მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე მუშაობდა საბჭოთა კავშირის დროს საბჭოთა სოციალისტურ საქართველოში, რის გამოც სადავო ნორმა მას უკრძალავს დამოუკიდებელ საქართველოში სადავო აქტის მე-8 მუხლში მითითებული თანამდებობების დაკავებას, რაც, მოსარჩელის აზრით, წარმოადგენს მისი პატივისა და ღირსების შელახვას, მით უფრო იმიტომ, რომ ის გათანაბრებულია სპეცსამსახურებთან მომუშავე საიდუმლო თანამშრომლებთან, აგენტებთან და იმ ოფიცრებთან, რომლებმაც უარი განაცხადეს დამოუკიდებელ საქართველოში შესაბამის სამსხურებში მუშაობაზე. მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმების შემოღებით სახელმწიფო მოსარჩელეს და მის მსგავს სიტუაციაში მყოფ პირებს მიზნის მიღწევის საშუალებად იყენებს, რითაც ილახება მათი ღირსება.

4. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის პრინციპს. მოსარჩელის განმარტებით, ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო თანამდებობის პირი გათანაბრებულია სპეციალურ სამსახურებში მომუშავე აგენტებთან, ლახავს მისი ღირსების უფლებას.

5. მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობას განაპირობებს ასევე ის გარემოება, რომ ინდივიდი იგნორირებულია სახელმწიფო მმართველობის სისტემიდან, რის შედეგადაც ხდება ამგვარი პირის სტიგმატიზება და მნიშვნელოვნად ილახება მისი ავტორიტეტი. მოსარჩელის განმარტებით, კონსტიტუციის მე-17 მუხლი განამტკიცებს ინდივიდის უფლებას, ისარგებლოს ეთიკური, ღირსეული მოპყრობით, ხოლო სადავო ნორმები ამგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს.

II. ჩარევა დაცულ სფეროში

6. სადავო ნორმებით მოსარჩელეს და მის მსგავს სიტუაციაში მყოფ პირებს სრულად და უვადოდ ერთმევა სახელმწიფო სამსახურის მნიშვნელოვან სეგმენტში საქმიანობის უფლება მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ მოსარჩელე 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე, ყოფილი სსრკ-ის პერიოდში, გარკვეულ პარტიულ თანამდებობებს იკავებდა.

7. სადავო ნორმით კანონმდებლობა ადგენს უფლების მზღუდავ სპეციალურ რეგულირებას და ქმნის სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს სადავო აქტით განსაზღვრული პირებისთვის, თითოეული მათგანის პარტიულ საქმიანობაში მონაწილეობის ხარისხის, გაწეული საქმიანობის ინდივიდუალური შეფასების გარეშე. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირების დაწესებისათვის სადავო რეგულირება უნდა

ითვალისწინებდეს თითოეული ინდივიდის საქმიანობის, ფუნქციური დატვირთვის შესწავლის და იმის შეფასების სავალდებულო წინაპირობას, თუ რამდენად არსებითი და ხელშესახებია დღესაც ამ პირებისგან მომდინარე საფრთხე სადავო აქტის მე-8 მუხლით განსაზღვრულ თანამდებობაზე მათი განწესების შემთხვევაში.

ვინაიდან, სასამართლო მსჯელობს კანონის კონსტიტუციურობაზე (და არა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედების მართლზომიერებაზე), არ აფასებს, არის თუ არა სახელმწიფოს ქმედება გაწერილი კანონით და არის თუ არა ეს კანონი ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი, შესაბამისად, პროპორციულობის ტესტის მე-3 (არის თუ არა ქმედება გაწერილი კანონით), მე-4 (არის თუ არა არნიშნული კანონი ხელმისაწვდომი) და მე-5 (არის თუ არა აღნიშნული კანონი განჭვრეტადი) საფეხურები გამოტოვებულია.

III. მოპასუხის (სახელმწიფოს) მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზანი

8. მოპასუხემ აღნიშნა, რომ საქართველო იმყოფება გარდამავალ პერიოდში, ხოლო ყოფილ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის პარტიული თანამდებობის პირებს და ყოფილ სპეციალურ სამსახურებს ძლიერი ზეგავლენა აქვთ სახელმწიფოს შიდა პოლიტიკაზე. შესაბამისად, არსებობს რისკი, მოხდეს ტოტალიტარული რეჟიმის აღდგენა ან დემოკრატიის ძალადობრივი დამხობა. მოპასუხის განმარტებით, ყოველივე აღნიშნული ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და ოკუპაციის პირობების გათვალისწინებით, მოითხოვს ქვეყნის თავდაცვის და უშიშროების განსამტკიცებლად დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას, რათა მოხდეს კომუნისტური მემკვიდრეობის დაძლევა მენტალობის ტრანსფორმაციის გზით. ამასთან, მოპასუხემ აღნიშნა, რომ სადავო ნორმები მიზნად ისახავს ნეგატიური შედეგების პრევენციას და არა პასუხისმგებლობის დაკისრებას.

IV. გამოსადეგობა

9. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ცალკეული პირების მიმართ, რომელთაც კომუნისტურ პარტიაში ეკავათ მაღალი პარტიული თანამდებობები, შესაძლებელია, არსებობდეს მაღალი სახელმწიფო თანამდებობის დაკავების აკრძალვის ლეგიტიმური საჯარო ინტერესი **(ანუ, სასამართლომ მიიჩნია, რომ გარკვეული პირებისთვის მაღალი სახელმწიფო თანამდებობის დაკავების აკრძალვა შეიძლება გამოსადეგი იყოს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად)**

V. აუცილებლობა (საჭიროება) - არსებობდა თუ არა შეზღუდვის უფრო მსუბუქი საშუალება

10. თუმცა, სადავო ნორმები ადგენს ბლანკეტურ აკრძალვას კონკრეტული პირის საქმიანობის/უფლებამოსილების/კომპეტენციის ფარგლების გათვალისწინების გარეშე და, პრაქტიკულად, თანაბარ შედეგებს იწვევს როგორც იმ პირებისათვის,

რომლებიც განსაზღვრავდნენ იმდროინდელ საშინაო/საგარეო/ იდეოლოგიურ პოლიტიკას, ასევე იმ პირებისათვის, რომელთაც კანონმდებლობა და პრაქტიკა არ ანიჭებდა აღნიშნულის შეცვლის სამართლებრივ ბერკეტს, არ ჰქონდათ ამ გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა.

11. სადავო ნორმები ყურადღებას ამახვილებს საქმიანობის პერიოდზე და აკრძალვას ითვალისწინებს იმ პირების მიმართაც, რომლებიც აღნიშნულ თანამდებობაზე თუნდაც ფორმალურად იყვნენ დანიშნულნი, მაგრამ ვერ მოასწრეს საქმიანობის დაწყება; მუშაობდნენ რამდენიმე კვირის/დღის განმავლობაში მნიშვნელოვანი საქმიანობის რეალურად განხორციელების გარეშე.

12. სამართლო აღნიშნავს, რომ დროის ხანგრძლივობასთან ერთად აქტუალობას კარგავს საფრთხეები და გამოწვევები, რაც წარმოადგენდა სადავო ნორმატიული აქტის მიღების მიზეზს. სადავო ნორმა მოსარჩელეს მე-8 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის დაკავების უფლებას უკრძალავს იმის შეფასების გარეშე, თუ რამდენად რეალისტურია ეს საფრთხეები და რამდენად წარმოადგენს მოსარჩელე დღესაც იმავე საფრთხეს სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის.

მხედველობაშია მისაღები სსრკ-ის დაშლის შემდეგ გასული დროის ხანგრძლივობაც და ის გარემოებაც, რომ დღესდღეობით აღარ ფუნქციონირებს სადავო აქტით გათვალისწინებული კომუნისტური პარტიის სტრუქტურები, შემცირებულია კომუნისტური ტოტალიტალური იდეოლოგიისა და საბჭოთა რეჟიმის რეაბილიტაციის საფრთხე. შესაბამისად, ეჭვქვეშ დგება სადავო ნორმებით გათვალისწინებული ბლანკეტური, უვადო აკრძალვის საჭიროება.

VI. სასამართლომ მიიჩნა, რომ გამოყენებული საშუალება არ არის აუცილებელი (საჭირო), თუმცა, მაინც იმსჯელა პროპორციულობაზე (თანაზომიერება ვიწრო გაგებით)

14. სახელმწიფოს არ აქვს უფლება, გადაუხვიოს ადამიანის, როგორც მთავარი კონსტიტუციური ღირებულების აღიარების ვალდებულებას და განიხილოს ადამიანი, როგორც შიშველი ობიექტი და მიზნის მიღწევის საშუალება იმის მიუხედავად, თუ როგორი მნიშვნელოვანი კერძო ან საჯარო ინტერესის მიღწევას ისახავს მიზნად. სახელმწიფოს ლეგიტიმაცია, რომ განახორციელოს გარკვეული ღონისძიებები ეროვნული უშიშროების, უსაფრთხოების, ადამიანის უფლება-თავისუფლებებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად, ზღვარდადებულია ამ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიით.

15. სადავო ნორმების ანალიზის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმების შემოღებით კანონმდებელმა მოსარჩელის და მის მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ ისეთი სამართლებრივი რეჟიმი დაადგინა, რომლის პირობებშიც აღნიშნული პირები სამართლის სუბიექტის ნაცვლად განიხილებიან სამართლის ობიექტებად და წარმოადგენენ კონკრეტული

მიზნების მიღწევის საშუალებას. სადავო ნორმების საფუძველზე პირები ხდებიან სახელმწიფოს მიერ ლეგიტიმური მიზნების მისაღწევი ღონისძიებების ეფექტურობის მსხვერპლნი. სახელმწიფო ასეთ პირებს იყენებს ეროვნული უშიშროების დაცვისა და კომუნისტური ტოტალიტარული იდეოლოგიის დაძლევის მიზნების მიღწევის საშუალებად. ამგვარი მოპყრობა არ შეესაბამება კონსტიტუციით გარანტირებულ ღირსების უფლებას.

16. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს.

IV ლექცია - 90 წთ.

ლექციის თემა:

გამოხატვის თავისუფლება (მ. 24)
ინფორმაციის თავისუფლება (მ. 41.1, მ.37.5)

დროის განაწილება:

სტუდენტების კითხვები განვილი მასალის გარშემო - 15 წთ.
სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა - 55 წთ.
სტუდენტების კითხვები - 15წთ.
დავალება - 5 წთ.

1. **სტუდენტების კითხვები განვილი მასალის შესახებ**

სტუდენტები უსვამენ ლექტორს კითხვებს წინა ლექციაზე ახსნილი თემატიკის შესახებ.

2. **სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა**

ლექტორი წარადგენს სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხს. მე-4 ლექციაზე განიხილება გამოხატვის თავისუფლება და მისი ერთი ნაწილი - ინფორმაციის თავისუფლება.

სლაიდი 1:

კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სემინარის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
ლექციის თემატიკა
სასწავლო წელი და სემესტრი
უნივერსიტეტის დასახელება

სლაიდი 2:

კონსტიტუციის 24-ე, 37-ე და 41-ე მუხლების გამიჯვნა:

- 24-ე მუხლი - ღია წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვების უფლება;
- 41-ე მუხლი - ოფიციალური წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვების უფლება;

- 37-ე მუხლი - გარემოს შესახებ ინფორმაციის მოპოვების უფლება.

ამ ნორმების კონსტიტუციური რეჟიმები ერთმანეთისგან გასხვავებულია.

<u>გამოხატვის თავისუფლება</u>

სლაიდი 3:

მუხლი 24
1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.
2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.
3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.
4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

სლაიდი 4:

დაცული გამოხატვის ფორმები:

- სიტყვისა და პრესის თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას გამოხატოს თავისი აზრი ვერბალური – ზეპირი ან წერილობითი საშუალებებით;
- გამოხატვის თავისუფლება უფრო ზოგადი ტერმინია და მოიცავს ადამიანის მიერ თავისი აზრის გამოხატვას არავერბალური საშუალებებითაც, როგორებიცაა:
    1. ჟესტი, მიმიკა, სხეულის ენის გამოხატვის სხვა ფორმები.
    2. სიმბოლური მეტყველება.
    3. გრაფიკული და ვიზუალური საშუალებები: კარიკატურა, ფოტოგრაფია, კინემატოგრაფია;
- გამოხატვის ყველა ეს ფორმა ისევე დაცულია, როგორც ,,სიტყვა''.

სლაიდი 5:

შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება:

- გამოხატვის მხოლოდ ადგილის, დროისა და ფორმის მიხედვით შეზღუდვა;
- არადისკრიმინაციული რეგულირება;
- შეზღუდვა გავლენას არ უნდა ახდენდეს ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე, ან გამომხატველობით ეფექტზე, ან უნდა ტოვებდეს მათი სხვა გზით გამოხატვის ეფექტიან შესაძლებლობას.

სლაიდი 6:

შინაარსობრივი რეგულირება

ცილისწამება:

- შეფასებითი მსჯელობა და ფაქტები;

- ცილისწამების განმარტება მოიცავს ორ ძირითად ელემენტს:
  - არსებითად მცდარი ფაქტები;
  - პიროვნების ან მისი რეპუტაციისთვის ზიანის მიყენება.
- მტკიცების ტვირთი მოარჩელეზეა;
- სტანდარტები განასხვავებს საჯარო და კერძო პირების ცილისწამებას, საჯარო პირებმა უფრო მეტად უნდა ითმინონ კრიტიკა, ვიდრე ჩვეულებრივმა ადამიანებმა, ამდენად საჯარო პირის შემთხვევაში ცილისწამებას ემატება მესამე ელემენტი. რაც გულისხმობს იმას, რომ გამოხატვა ცილისწამებად ჩაითვლება, თუ ფაქტის მცდარობა ავტორისთვის წინასწარ იყო ცნობილი, ან მან გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება;
- დაუშვებელია პირის იძულება, მოიხადოს ბოდიში.

სლაიდი 7:

შინაარსობრივი რეგულირება

ძალადობისკენ მოწოდება.

მნიშვნელოვანია რომ კანონი, ისევე, როგორც მისი გამოყენების პრაქტიკა, განასხვავებდეს გამონათქვამებს:

- რომელიც შესაძლოა ძალადობის ენას შეიცავდეს, მაგრამ, ამავე დროს, უვნებელია და პოლიტიკური, სოციალური თუ სამეცნიერო დისკურსის ნაწილს წარმოადგენს;
- რომლის ავტორს გააზრებული აქვს მოწოდების სავარაუდო შედეგი და მიზნად ისახავს ამ შედეგის დადგომას.

რეალური საფრთხის დოქტრინა.

სლაიდი 8:

სიძულვილის ენა: სიტყვიერი თავდასხმა მოწყვლად ჯგუფზე მათი იდენტობის გამო.

სლაიდი 9:

იდეათა თავისუფალი ბაზრის კონცეფცია

- იდეათა თავისუფალი ბაზრის თეორიას ფესვები შორეულ წარსულში აქვს, მე-17 საუკუნეში ჯონ მილტონმა ინგლისის პარლამენტში წაიკითხა თავისი ცნობილი სიტყვა, ,,არეოპაგიტიკა", სადაც ამბობდა, რომ სიმართლეს იდეების შეუზღუდავი მოძრაობა წარმოშობს;
- ოლივერ ველდერ ჰოლმსის ,,მყისიერი საფრთხის" დოქტრინა: რომლის მიხედვითაც, გამოხატვა მხოლოდ მაშინ უნდა იყოს დასჯადი, როდესაც აშკარაა ზიანის მიყენების ნათელი და მყისიერი საფრთხე.

სლაიდი 10:

რეგულირების კონცეფცია

კანადის უზენაესმა სასამართლომ 1990 წელს კიინგსტრას საქმეში განაცხადა:

- რასობრივი უპირატესობის იდეების გააზიარება თანდათანობითი პროცესია. ადამიანები შესაძლოა გარეგნულად არ ეთანხმებოდნენ ამ მოსაზრებას, მაგრამ, ვინაიდან, ეს უკანსკენელი მიმართულია არა სააზროვნო სივრცისაკენ, არამედ ემოციებისაკენ, ეს გარემოება აიძულებს მათ მუდმივად იფიქრონ და თანდათანობით დაიჯერონ ეს იდეები.”
- არ შეიძლება, თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებობდეს იმაზე მნიშვნელოვანი ინტერესი, ვიდრე რასიზმის გაქრობაა. ამიტომ სახელმწიფომ თავი არ უნდა შეიკავოს სიძულვილის ენის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენებისაგან.

სლაიდი 11:

უხამსობა:

- ვიწროდ მიზანმიმართული მაყურებელი;
- სქესობრივი ქმედება გამოხატური შეურაცხმყოფელი ფორმით;
- არ გააჩნია სამეცნიერო, მხატვრული და პოლიტიკური ღირებულება.

სლაიდი 12:

გამოხატვის თავისუფლებით არ არის დაცული:

- პანიკის გამოწვევა;
- ინდივიდუალური შუღლის გამოწვევა;
- წაქეზება დამაშაულის ჩასადენად.

<u>ინფორმაციის თავისუფლება</u>

სლაიდი 13:

მუხლი 41
1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

სლაიდი 14:

დაცული სფერო

- ეს უფლება შეესაბამება საჯარო ხელისუფლების ვალდებულებას, ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაცია გონივრული შეზღუდვების ფარგლებში;
- დაცული სიკეთეა პირის უფლება, მიიღოს ინფორმაცია ოფიციალური ჩანაწერებიდან;
- ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი არ არის კავშირში უფლების მიზანთან.

სლაიდი 15:

41-ე მუხლი შეიცავს შემდეგი ტიპის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეგულირებას:

- რომელიც თავად ინფორმაციის მიღების მსურველ პირს შეეხება;
- ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ინფორმაციის მიღების მსურველს არ შეეხება;
- რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას;
- ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც შეეხება კერძო საკითხებს.

სლაიდი 16:[1]

ინფორმაცია, რომელიც თავად ინფორმაციის მიღების მსურველ პირს შეეხება:

ეს ინფორმაცია, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუბრკოლებლად, კანონით დადგენილი წესით უნდა მიეწოდოს პირს.

სლაიდი 17:

ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ინფორმაციის მიღების მსურველს არ შეეხება:

ამ ტიპის ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კანონით დადგენილი წესის დაცვით. კონსტიტუცია არ გვთავაზობს კონკრეტულ წესს, ეს კანონმდებლის დისკრეციაა, თუმცა, 41-ე მუხლი ადგენს სტანდარტს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებელმა, როდესაც მითითებულ წესს შესთავაზებს საკუთარ მოქალაქეებს.

სლაიდი 18:

ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო ან კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას:

ეს არის ყველაზე დახურული ინფორმაცია და მისი მიღება ნებისმიერი მსურველი ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის შეუძლებელია. თუმცა, 41-ე მუხლის პირველი პუნქტი ავტომატურად არ გულისხმობს ინფორმაციის გასაიდუმლოებას.

სლაიდი 19:

საიდუმლო ინფორმაციის ტიპები (ავტონომიური მნიშვნელობა):

- კომერციული საიდუმლოება;
- პერსონალური საიდუმლოება;
- სახელმწიფო საიდუმლოება.

სლაიდი 20:

[1] აღნიშნული უფლება წარმოადგენს არა ინფრმაციის თავისულფლების, არამედ პირადი ცხვორების კონფეციის ნაწილს, თუმცა, კონსტიტუციის სტრუქტურის გათვალისწინებით, წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორებმა მისი განხილვა ტექსტის ამ ნაწილში მიიჩნიეს უმჯობესად.

- ინფორმაციის მიღების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შეიძლება, რომ შეიზღუდოს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე;
- განსაკუთრებით ეს შეეხება იმ ინფორმაციის მიღების უფლებას, რომელიც თავმოყრილი არის სახელმწიფო დაწესებულებებში;
- რამდენად გამართლებულია ხელისუფლების მხრიდან ჩარევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადასაწყვეტი საკითხია.

სლაიდი 21:

ინფორმაციის თავისუფლების სუბიექტია ყველა პირი.

<u>უფლება მიიღო ინფორმაცია გარემოზე</u>

სლაიდი 22:

მუხლი 37

5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ (პირველადი რედაქცია);

5. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ (მოქმედი რედაქცია).

სლაიდი 23:

უფლების ადრესატები:

- საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის ადრესატი არის საჯარო ხელისუფლება და არა კერძო პირი, რომელიც არ ახორციელებს სახელისუფლებო უფლებამოსილებას;
- კონსტიტუციის შესაბამისად, სწორედ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოდან შეუძლია ადამიანს მიიღოს სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ.

სლაიდი 24:

ინკლუზიურობის გამორიცხვა:

- ეს უფლება არ გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებას;
- იღებდე ინფორმაციას გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, ავტომატურად არ ნიშნავს, აუცილებელი წესით მონაწილეობდე ამ საკითხის გადაწყვეტაში.

3. **სტუდენტების კითხვები**

სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს მოსმენილი ლექციის შესახებ. გამოხატავენ საკუთარ აზრს და აფიქსირებენ პოზიციას.

4. **დავალება**

ლექტორი სტუდენტებს აძლევს დავალებას: თითოეული სტუდენტი ვალდებულია, მომდევნო ლექციისთვის მოამზადოს ერთი კითხვა მაინც, რომელიც მას სასწავლო მასალის დამუშავების დროს გაუჩნდება.

ლექტორი სტუდენტებს აძლევს საკითხავ მასალას:

სავალდებულო ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი და 41-ე მუხლის პირველი პუნქტი;
- კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 249-301;
- ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 290-313; 524-526; 566-590;
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 252-279; 497-512;

დამატებითი ლიტერატურა:

- ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 433-456.
- ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 192-215.
- სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი; კანონი ,,თავისუფლების ქარტია“;
- რეკლამის შესახებ კანონი;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი.

IV სემინარი - 90 წთ.

სემინარის თემა:

გამოხატვის თავისუფლება (მ. 24)
ინფორმაციის თავისუფლება (მ. 41, 37.5)

დროის განაწილება:

კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ- 15 წთ.
სადისკუსიო თემების განხილვა - 30 წთ.
საცდელი კაზუსის ამოხსნა - 45 წთ.

1. **ლექციაზე განხილული თემების შესახებ კითხვების დასმა - სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ**

2. **სადისკუსიო თემების განხილვა:**

   2.1. რა ელემენტებს მოიცავს 24-ე მუხლით დაცული სფერო?
   2.2. როგორი შინაარსის მატარებელი გამოხატვა არის დაცული? ვინ არის უფლების სუბიექტი? შეიძლება თუ არა უფლებაში ჩარევა?
   2.3. როგორი ფორმით და რა საშუალებით არის დაშვებული გამოხატვის უფლების რეალიზაცია?
   2.4. რა განსხვავებაა სახელმწიფოს მიერ დაცული და სხვა საჯარო წყაროებიდან ინფორმაციის მიღების უფლებებს შორის?
   2.5. როგორი შინაარსის შემცველი გამოხატვა არ ხვდება 24-ე მუხლით დაცულ სფეროში?
   2.6. როგორი დამოკიდებულება არსებობს, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, ცილისწამების შემცველ გამონათქვამებთან მიმართებით?
   2.7. ინფორმაციის თავისუფლების რა კონკრეტული ელემენტია დაცული კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტით?

დისკუსიის მიზანი: დისკუსიის მიზანია კონსტიტუციის 24-ე მუხლი, 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი და 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფეროების და ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლების შესახებ მსჯელობა.

პირველი სადისკუსიო კითხვის მიზანია მსჯელობა 24-ე მუხლით დაცული უფლების ელემენტების შესახებ - აზრის გამოხატვისა და გავრცელების და ინფორმაციის მიღების თავისუფლების, ასევე მედიის თავისუფლების შესახებ.

მეორე სადისკუსიო კითხვის შესახებ მსჯელობა შეეხება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, რომ დაცულია ნებისმიერი სახის „იდეების“ და

„აზრების“ გამოხატვა და გავრცელება, მათ შორის, ისეთი სახის მოსაზრებების, რომელიც სხვებისთვის შეიძლება მიუღებელი ან შეურაცხმყოფელი იყოს. უფლების სუბიექტები ფიზიკური და იურიდიული პირები არიან. გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი რომელიმე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

მესამე სადისკუსიო კითხვის შესახებ მსჯელობა შეეხება გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის ფორმებს და საშუალებებს - ამ უფლების განხორციელება დასაშვებია ნებისმიერი სახით - ზეპირი, წერილობითი თუ ვიდეო თუ აუდიო ფორმით, ამასთან, გამოხატვისთვის შესაძლოა გამოყენებული იყოს ნებისმიერ საშუალება, მათ შორის, მედია.

მეოთხე კითხვის შესახებ მსჯელობა შეეხება 24-ე და 41-ე მუხლებით დაცული სფეროების გამიჯვნას ინფორმაციის თავისუფლებასთან მიმართებით - 24-ე მუხლი იცავს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან ინფორმაციის მიღების უფლებას და კრძალავს სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი შეზღუდვის დაწესებას. 41-ე მუხლით დაცულ სფეროში კი ხვდება საჯარო უწყებებში არსებული ყველა სახის საჯარო ინფორმაცია, პერსონალური, კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გარდა. ამასთან, ნებიესმიერ პირს აქვს უფლება მიიღოს საჯარო დაწესებულებაში მის შესახებ არსებული ინფორმაცია.

მეხუთე კითხვის შესახებ მსჯელობა შეეხება იმ საკითხებს, რომელიც არ ხვდება გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, დაუშვებელია, რომ კონსტიტუციური უფლება თავად კონსტიტუციით დაცული დემოკრატიული წესწყობილების ხელყოფისაკენ იყოს მიმართული და კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების საფუძველს ქმნიდეს. გამოხატვის თავისუფლების ზღვარი გაივლის იქ, სადაც გამოხატვა კონსტიტუციით დაცულ სიკეთეს, კონსტიტუციით გაცხადებულ პრინციპებსა და ღირებულებებს შეუქმნის საფრთხეს. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად შეიძლება განხორციელდეს.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლები შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირების შესაძლებლობას. კანონის თანახმად, ასეთი რეგულირება ეხება ცილისწამებას; უხამსობას (განცხადება, რომელსაც არ აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს); პირისპირ შეურაცხყოფას; დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებას; მუქარას; პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას; რეკლამას, ტელეშოპინგს ან სპონსორობას; სამხედრო მოსამსახურის, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის, წევრის ან თანამშრომლის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას; თავისუფლებააღკვეთილი ან თავისუფლებაშეზღუდული პირის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. ამასთან, კანონი მიუთითებს, რომ შინაარსობრივი რეგულირება უნდა

განხორციელდეს თვალსაზრისობრივად ნეიტრალური, არადისკრიმინაციული შეზღუდვის სახით.

კანონი ასევე უშვებს შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულრიების დაწესებას, რომლითაც დაუშვებელია გამოხატვის საგნის შეზღუდვა. ასეთი სახის რეგულირება შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ გამოხატვის ისეთ არადისკრიმინაციულ შეზღუდვას ადგილის, დროისა და ფორმის მიხედვით, რომელიც გავლენას არ ახდენს ინფორმაციის ან იდეების შინაარსსა ან გამომხატველობით ეფექტზე ან ტოვებს მათი სხვა გზებით გამოხატვის ეფექტიან შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა დანაშაულისკენ მოწოდებაზე, როგორც შემთხვევაზე, რომელიც 24-ე მუხლით დაცული სფეროს მიღმაა. სასამართლომ ერთმანეთისგან განასხვავა დანაშაულისკენ მოწოდება, რომელიც, შედეგის თვალსაზრისით, შესაძლოა უსაფრთხო იყოს და გამოხატვა, როდესაც არსებობს დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ კანონი, ისევე, როგორც მისი გამოყენების პრაქტიკა, განასხვავებდეს გამონათქვამებს, რომლებიც, შესაძლოა, ძალადობის ენას შეიცავდეს, მაგრამ, ამავე დროს, უვნებელია და პოლიტიკური, სოციალური თუ სამეცნიერო დისკურსის ნაწილს წარმოადგენს, და მოწოდებას, როდესაც მის ავტორს გააზრებული აქვს მოწოდების სავარაუდო შედეგი და მიზნად ისახავს ამ შედეგის დადგომას. ფორმალურად, ძალადობისკენ მოწოდების შემცველი გამონათქვამები ან ისეთი გამონათქვამები, რომლებიც ერთეულ, იზოლირებულ შემთხვევას წარმოადგენს, ყოველთვის არ ქმნის ძალადობის განხორციელების რეალურ საფრთხეს. ამავე დროს, საფრთხის რეალურობის განსასაზღვრად, უნდა შეფასდეს, თუ რა კონტექსტში და ვითარებაში არის წარმოთქმული ასეთი მოწოდება. გამოხატვის შეწყვეტის უფლება სახელმწიფოს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ მოწოდება აკმაყოფილებს ორივე კრიტერიუმს - არის ძალადობისკენ მოწოდება და იგი არის რეალური.

მეექვსე სადისკუსიო კითხვის მიზანია ცილისწამების, როგორც გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი საფუძვლის შესახებ მსჯელობა. ცილისწამებისთვის პირს შესაძლოა დაეკისროს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა. კერძო და საჯარო პირის შემთხევაში ცილისწამების მტკიცების განსხვავებული სტანდარტები მოქმედებს. კერძო პირმა, თუკი იგი მიიჩნევს, რომ ცილისწამების მსხვერპლია, სასამართლოს წინაშე უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს ფაქტებს და არა მსჯელობას, რომელიც არის არსებითად მცდარი და რომ ამ განცხადების შედეგად მას, მოსარჩელეს, ზიანი მიადგა. რაც შეეხება საჯარო პირს, მან დამატებით უნდა დაამტკიცოს, რომ განცხადების მცდარობა მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

მეშვიდე კითხვა შეეხება ინფორმაციის მიღების უფლებას უშუალოდ გარემოს მდგომარეობის შესახებ, რაც თავის მხრივ, ჯანმრთელობის დაცვის უფლების შემადგენელი ნაწილია.

მეთოდი:

სემინარის ხელმძღვანელი დისკუსიას წარმართავს „სოკრატეს მეთოდით“. სემინარის ხელმძღვანელი ჯგუფს უსვამს კითხვას სადისკუსიო თემის შესახებ. მსჯელობის პროცესში, ლექტორის ხელმძღვანელობით, სტუდენტები მიდიან სწორ დასკვნამდე.

ჯგუფისთვის დასმული სავარაუდო კითხვები:

- რომელი მუხლით დაცულ სფეროში ხვდება ინფორმაციის სხვებისთვის გაზიარების უფლება სახლში? ტელევიზიით?
- სარგებლობს თუ არა გამოხატვის თავისუფლებით ადამიანი, რომლის მიერ გამოთქმულ აზრს არანაირი სოციალური/პოლიტიკური დატვირთვა არ გააჩნია?
- არსებობს თუ არა აზრი ან გამონათქვამი, რომელიც შეიძლება ვერ მოხვდეს გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში?
- ხვდება თუ არა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში აზრები და იდეები, რომელიც უმრავლესობისთვის მიუღებელი ან შეურაცხმყოფელია?
- ხვდება თუ არა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში (კონკრეტული პირის შესახებ) მცდარი ინფორმაციის გავრცელება?
- რომელი მუხლით დაცულ სფეროში ხვდება ადამიანის უფლება, მოიპოვოს გამოძიებული დანაშაულების შესახებ სტატისტიკა?

3. საცდელი კაზუსის ამოხსნა

განსახილველი საკითხის მიზანი: კაზუსის ამოხსნის კომპონენტის შეფასებამდე სტუდენტები ვარჯიშობენ თავისუფლების უფლებების ტესტის პრაქტიკაში გამოყენებაზე.

მეთოდი: სტუდენტები დამოუკიდებლად ხსნიან კაზუსს, იღებენ შენიშვნებს და რჩევებს, თუმცა, საცდელ კაზუსში მიღებული ქულა შეფასებაში არ აისახება.

საცდელი კაზუსი:

ქვეყანაში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელმაც დაძაბულობის ფონზე ჩაიარა. წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერებს შორის ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირების არაერთი ფაქტი დაფიქსირდა. რამდენიმე პირი დააკავეს კიდეც. თავს დაესხნენ სხვადასხვა პარტიის რამდენიმე პარტიულ შტაბს. არჩევნების დღეს ხუთი საარჩევნო უბნიდან გაიტაცეს ურნა, ასევე, ხმების დათვლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ საარჩევნო უბანში დაგროვილი ხმების რაოდენობა აღემატებოდა მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას. აღნიშნულის შედეგად, რამდენიმე ოლქში მიღებული შედეგი ბათილად გამოცხადდა და არჩევნების განმეორებითი ტური ჩატარდა.

არჩევნების საბოლოო შედეგების დათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ ერთ-ერთმა გავლენიანმა პარტიამ, მცირე მცირე უპირატესობით, პირველი ადგილი დაიკავა. ოპოზიციური პარტიები ლიდერ პარტიას არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდნენ, ისინი არაერთხელ შეხვდნენ დიპლომატიური კორპუსის და

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ ისინი, რომ ჩატარებული არჩევნები არალეგიტიმურად გამოეცხადებინათ.

საბოლოოდ, პოლიტიკოსებმა აღიარეს არჩევნების შედეგები, ახალი შემადგენლობა შეიკრიბა და პარლამენტმა მუშაობა ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძო. არჩევნებთან დაკავშირებული დაძაბულობა განეიტრალდა.

პარლამენტის გაზაფხულის სესიის პირველ დღეს ერთ-ერთი მედია საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვებ-გვერდზე www.youtube.com ატვირთულია ვიდეო, რომელიც პარლამენტის ერთ-ერთი წევრის ინტიმურ ცხოვრებას ასახავს. ინფორმაციას თან ერთვოდა ვიდეოს ბმული. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა ვიდეო ინტერნეტიდან აიღო. ვიდეოს ნახვა 5 000-მდე მომხმარებელმა შეძლო.

მედია საშუალებები დავობენ, რომ ინტერნეტიდან ვიდეოს წაშლის შედეგად, მათ მიმართ დაირღვა კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლები, ვინაიდან, არ შეუძლიათ, გაავრცელონ ინფორმაცია. თავის მხრივ, საზოგადოების სხვადასხვა წევრი დავობს, რომ მე-19 და 24-ე მუხლები დაირღვა ასევე მათ წინააღმდეგ, ვინაიდან, მათ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა შეეზღუდათ.

V ლექცია - 90 წთ.

ლექციის თემა:

რელიგიის თავისუფლება (მ.19)

დროის განაწილება:

სტუდენტების კითხვები განვილი მასალის გარშემო - 15 წთ.
სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა - 55 წთ.
სტუდენტების კითხვები - 15 წთ.
დავალება - 5 წთ.

1. **სტუდენტების კითხვები განვილი მასალის შესახებ**

სტუდენტები უსვამენ ლექტორს კითხვებს წინა ლექციაზე ახსნილი თემატიკის შესახებ.

2. **სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა**

ლექტორი წარადგენს სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხს. მე-5 ლექციაზე განიხილება რელიგიის თავისუფლება.

სლაიდი 1:

კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სემინარის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
ლექციის თემატიკა
სასწავლო წელი და სემესტრი
უნივერსიტეტის დასახელება

სლაიდი 2:

მუხლი 19
1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

სლაიდი 3:

რელიგიის თავისუფლება მოიცავს:

- ადამიანის უფლებას, **სწამდეს ღმერთი, აირჩიოს და აღიაროს ნებისმიერი რელიგია, რწმენა თუ მსოფლმხედველობრივი მრწამსი, იქონიოს და სხვებს გაუზიაროს თავისი შეხედულებანი, იცხოვროს და იმოქმედოს მათ შესაბამისად.**
- **რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას;**
- თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, განკერძოებით ან საქვეყნოდ, **გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, ქადაგებით, წესების, რიტუალებისა და სხვა მოვალეობების შესრულებით.** რელიგიური კუთვნილების დამადასტურებელი სამოსის ან სიმბოლიკის ტარების, განდეგილი ცხოვრების წესის არჩევის და სხვა უფლებებს; რელიგიურ გაერთიანებათა უფლებებს.
- **იყოს ათეისტი და არ გახდეს** რომელიმე რელიგიის მიმდევარი, არ აღიაროს ესა თუ ის რწმენა თუ მსოფლმხედველობრივი მრწამსი
- უარი თქვას საკუთარი რწმენისა თუ ფილოსოფიური შეხედულებების გამჟღავნებაზე.
- აღსარების და საეკლესიო საიდუმლოებების დაცვას;
- ადამიანის უფლებას, დაიკრძალოს რწმენის შესაბამისად;
- ადამიანის უფლებას, არ მიიღოს სამედიცინო მომსახურება.

სლაიდი 4:

უფლებათა დაცულობა და სახელმწიფოს ვალდებულებები.

ეკლესია[2] დამოუკიდებელი უნდა იყოს სახელმწიფოსაგან, რაც გულისხმობს:

- რელიგიურ ორგანიზაციათა რეალურ ავტონომიურობას;
- რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფოს მიერ ოფიციალურ აღიარებას;
- სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციათა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფას, მათთან მიმართებით ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვას;
- სახელმწიფოს მიერ იმის უზრუნველყოფას, რომ რეგულაციები, რომლებიც უკავშირდება ამ ორგანიზაციებისათვის რელიგიური თაყვანისცემის ადგილების გადაცემას ან გამოყენებას, შეესაბამებოდეს რელიგიის თავისუფლების პრინციპებს;
- დისკრიმინაციის აღმოფხვრას;

[2] იგულისხმება ნებისმიერი და არა მხოლოდ ქრისტიანული რელიგიური გაერთიანებების ორგანიზაციული ფორმა.

- მოზარდი თაობისათვის ღვთისმეტყველების სწავლების დროს სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულებას, აღნიშნული განახორციელოს ყველა რელიგიასთან მიმართებაში ობიექტური, კრიტიკული და ფლურალისტული ფორმით და არ მოახვიოს მას ესა თუ ის დოქტრინა;
- პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას რელიგიური ჯგუფები მათდამი რელიგიური სიძულვილის გამოვლენისა და ფიზიკური თავდასხმებისაგან.

სლაიდი 5:

რელიგიის თავისუფლების კომპონენტები:

- აღმსარებლობაში იგულისხმება - რელიგიები: ტრადიციული და არატრადიციული;
- რწმენაში იგულისხმება - რაიმეს ჭეშმარიტების ან მცდარობის რწმენა; რელიგიური და არარელიგიური რწმენა; ფილოსოფიური შეხედულებები; **რწმენა უნდა აღწევდეს დამაჯერებლობის, სერიოზულობის, სიმყარისა და მნიშვნელობის განსაზღვრულ ხარისხს;**
- სინდისის თავისუფლებაში იგულისხმება - წარმოდგენა კარგსა და ცუდზე;
- აზრის თავისუფლებაში იგულისხმება - რელიგიით მოტივირებული აზრის ქონა;
- სიტყვის თავისუფლებაში იგულისხმება - რელიგიით მოტივირეული სიტყვის გამოხატვა.

სლაიდი 6:

Forum Internum

- Forum internum ირღვევა, მაგალითად, მაშინ, როდესაც ფიზიკური მუქარის ან გარკვეული სანქციების გამოყენებით სახელმწიფო აიძულებს ინდივიდს, უარყოს ესა თუ ის აზრი, ფილოსოფიური მრწამსი, სინდისის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, რელიგია ან სხვაგვარი რწმენა, ანდა გახდეს რომელიმე სხვა რელიგიის ან რწმენის მიმდევარი.
- სახელმწიფოს არა აქვს უფლება, უკარნახოს ადამიანს, თუ რომელი რწმენა გააჩნდეს, ანდა მოსთხოვოს მას, გაამჟღავნოს მისი შეხედულებები თუ რელიგიური კუთვნილება.

სლაიდი 7:

Forum Externum: შეზღუდვებს ექვემდებარება მხოლოდ თავისუფლების გარეგანი გამოვლინება.

სლაიდი 8:

რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევები:

- რელიგიური სიმბოლიკა;
- რელიგიური სამოსი;
- არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმი;
- გადასახადების დაკისრება;
- ქონების ჩამორთმევა;
- პატიმართა უფლებები;
- სამხედრო მოსამახურეები;
- ბაშვები;
- ჯანმრთელობის დაცვა;
- რეკლამა;
- რელიგიური გრძნობების დაცვა.

სლაიდი 9:

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი იცავს:

- ადამიანის პირადულ სფეროს, მის თავისუფლებას, იქონიოს, გაიზიაროს ან/და უარყოს შეხედულება, რელიგია, რწმენა. კონსტიტუციის მიზანია, ჩამოაყალიბოს აზრის, სიტყვის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების, როგორც forum internum, ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი პირადი სფეროს ხელშეუხებლობის გარანტია.
- ეს არის უფლება (უფლების ასპექტი), რომელიც არ შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შორის, საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი.
- არავის ძალუძს და არ აქვს უფლება, აიძულოს ადამიანი, მიიღოს ან შეიცვალოს საკუთარი აზრი და რწმენა.
- ადამიანი დაცულია იძულებისაგან, თქვას ის, რაც მას არ სურს ან გამოთქვას საკუთარი აზრი. ეს უფლება არ ექვემდებარება რეგულირებას, ვინაიდან, იგი ინდივიდის თავისუფლების, მისი იდენტობის, ავტონომიის საფუძველს ქმნის.

სლაიდი 10:

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი:

- ადამიანის შინაგანი სამყარო (Forum Internum), მისი პირადული სფერო, დაცულია სახელმწიფოს ჩარევისაგან, მაგრამ შეზღუდვას ექვემდებარება ქმედება, რომელიც ამ სფეროს შიგნით მყოფი სხვა პირების უფლებებს არღვევს.
- მაგალითად, კერძო წრეში, ოჯახში აზრის ან რწმენის გამოვლინება რეგულირებას არ ექვემდებარება, ვინაიდან, არ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც კერძო პირებს ან ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობაში ჩარევას გაამართლებდა, გარდა ერთი გამონაკლისისა,

როდესაც აზრის ან რწმენის გამოვლინება ამ ურთიერთობების რომელიმე მონაწილის უფლებას ლახავს.

სლაიდი 11:

კეთილისინდისიერი წინააღმდეგობის უფლება:

- სინდისისა და რელიგიის თავისუფლებათა ფუნდამენტური ასპექტის, მომაკვდინებელი ძალის, გამოყენების ვალდებულება შესაძლოა მნიშვნელოვნად შეეწინააღმდეგოს პირის სინდისის, რელიგიისა და მრწამსის გამოვლენის უფლებას.
- პიროვნების იძულება, მოიქცეს თავისი რწმენის საწინააღმდეგოდ, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, რწმენის უარყოფის ეკვივალენტური იყოს და ძალიან ახლოს იდგეს რწმენის თავისუფლების შინაგანი სფეროს დარღვევასთან. შესაბამისად, სახელმწიფომ რწმენის კონკრეტული გამოვლენის უარყოფის იძულებით, შეიძლება, გავლენა მოახდინოს თავად შინაგან მრწამსზე.

სლაიდი 12:

მე-19 და 24-ე მუხლების გამიჯვნა:

- აზრი ან სიტყვა პირადულ სფეროს გასცდება და შეიძლება შეზღუდვას დაექვემდებაროს, როდესაც ის გარე სამყაროს შეეხება და პირადული სივრცის მიღმა მყოფი პირების უფლებებს ან საზოგადოების ინტერესებს უპირისპირდება.
- ასეთი „გამოვლინება“ შინაგანი სამყაროს ფარგლებს სცდება და გამოდის მე–19 მუხლით დაცული სფეროდან. ამგვარი გამოხატვის შეზღუდვა კონსტიტუციის 24-ე ან/და სხვა მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლებით იქნება შესაძლებელი.
- შესაბამისად, ,,სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესი ადამიანის რწმენის, მისი შეხედულებებისადმი შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ისინი გარკვეულ ქმედებაში (ან უმოქმედობაში), საზოგადო საქმიანობაში გამოიხატება.''
- ამგვარად, კონსტიტუციის მე-19 მუხლი იცავს აზრის თავისუფლებას მანამ, სანამ იგი პირადულ სივრცეში რჩება, კონსტიტუციის 24-ე მუხლი კი მას შემდეგ, რაც იგი პირადული სივრცის გარეთ გადის.

სლაიდი 13:

რელიგიის თავისუფლების სუბიექტია ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი.

3. სტუდენტების კითხვები

სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს მოსმენილი ლექციის შესახებ. გამოხატავენ საკუთარ აზრს და აფიქსირებენ პოზიციას.

4. **დავალება**

ლექტორი სტუდენტებს აძლევს დავალებას: თითოეული სტუდენტი ვალდებულია, მომდევნო ლექციისთვის მოამზადოს ერთი კითხვა მაინც, რომელიც მას სასწავლო მასალის დამუშავების დროს გაუჩნდება.

ლექტორი სტუდენტებს აძლევს საკითხავ მასალას:

სავალდებულო ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი;
- კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, გვ. 137-155,;
- ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 158-185;
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 154-175;

დამატებითი ლიტერატურა:

- ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 425-432.
- ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 110-121.

V სემინარი - 90 წთ.

სემინარის თემა:

რელიგიის თავისუფლება (მ. 19)

დროის განაწილება:

კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ - 15 წთ.
სადისკუსიო თემების განხილვა - 30 წთ.
კაზუსის ამოხსნა - 45 წთ.

1. **კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ** - სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ.

2. **სადისკუსიო თემების განხილვა:**

   2.1. რას მოიცავს მე-19 მუხლით დაცული სფერო?
   2.2. რა განსხვავებაა მე-19 და 24-ე მუხლებით დაცულ სფეროებს შორის?
   2.3. რა წარმოადგენს რწმენისა და სინდისის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს?
   2.4. რას გულისხმობს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება?

დისკუსიის მიზანი: დისკუსიის მიზანია კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული სფეროს და შეზღუდვის საფუძვლების შესახებ მსჯელობა, მისი გამიჯვნა კონსტიტუციის 24-ე მუხლისგან.

პირველი სადისკუსიო კითხვის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს, თუ რას მოიცავს მე-19 მუხლით დაცული სფერო - ეს მუხლი მოიცავს სხვადასხვა თავისუფლებას - აზრის, სიტყვის, რწმენის და სინდისის თავისუფლებას. ერთი მხრივ, დაცულია რწმენის/აზრის ქონის, მეორე მხრივ კი მისი გამოხატვის უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, რწმენის თავისუფლება გულისხმობს ადამიანის შინაგან თავისუფლებას, დამოუკიდებლად, თავად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური, მსოფლმხედველობრივი, მორალურ-ეთიკური კუთხით განვითარების მიმართულებები, პრიორიტეტები, ჩამოყალიბდეს მათ შესაბამისად, საზოგადოებაში იცხოვროს ინდივიდუალური თვითრეალიზაციის შესაძლებლობით და ამ განცდით იპოვოს საკუთარი თავი.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მე-19 მუხლი მოიცავს რწმენის ორ სახეს - რელიგიურ და არარელიგიურ რწმენას და, შესაბამისად, არ არის მხოლოდ რელიგიის თავისუფლების იდენტური ცნება. ის მოიცავს რელიგიის თავისუფლებით დაცულ სფეროს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით. ამასთან, რწმენა და შეხედულებები, რომელიც კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის

საფუძველია, არ არის აუცილებელი, იყოს რელიგიური ხასიათის, მაგალითად, ამ უფლებით დაცულია პაციფიზმი.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა, თუ რა მიიჩნევა *რწმენად.* სასამართლოს მითითებით, რწმენის თავისუფლების არსიდან გამომდინარე, ნათელია, რომ რწმენა უნდა კარნახობდეს ადამიანს იმგვარ გადაწყვეტილებას, რომელიც მის პირად იდენტურობას ეხება. პიროვნება, კონკრეტულ ვითარებაში, შინაგანად უნდა გრძნობდეს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მისთვის მბოჭავი და უპირობოდ მავალდებულებელია. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან რელიგიის და რწმენის ფართო განმარტებამ, შესაძლოა, უფლებით დაცული სფერო გახადოს უკონტურო, არ არის საკმარისი, რომ პირი მიუთითებდეს საკუთარი ქმედების რომელიმე რწმენით მოტივაციაზე, არამედ მან საკუთარი გადაწყვეტილება უნდა წარმოაჩინოს, როგორც დამაჯერებელი, სერიოზული, რომელიც უალტერნატივოდ მოითხოვება მისი მრწამსის მიერ. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ თავად მრწამსი ან რწმენა, რომელიც პირისგან ითხოვს მოქმედებას ან უმოქმედობას, უნდა აკმაყოფილებდეს დასაბუთებულობის, სერიოზულობის, ორგანიზებულობისა და მნიშვნელოვნების გარკვეულ დონეს.

აღნიშნულ მუხლს გააჩნია პოზიტიური და ნეგატიური გარანტიები - ერთი მხრივ, ის იცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს, აირჩიოს და ვიწრო წრეში გამოთქვას ნებისმიერი აზრი, რწმენა, რელიგია თუ სხვა შეხედულება, მეორე მხრივ, მე-19 მუხლს აქვს ასევე ნეგატიური ასპექტი, რაც პირს ასევე ანიჭებს უფლებას, შეიცვალოს რელიგია ან არ ჰქონდეს რაიმე აზრი ანდა რელიგია ან თავი შეიკავოს მათი გამჟღავნებისგან. სახელმწიფოს მიერ რწმენის თავისუფლების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ადამიანზე იდეოლოგიური, ფსოქოლოგიური და მორალური ზემოქმედებით, დაშინებით, იძულებით, რომლის მიზანია, ადამიანმა უარი თქვას კონკრეტულ რწმენაზე ან გაიზიაროს სხვა რწმენა. ასევე, რწმენის თავისუფლება მოიცავს მის შესაბამისად ცხოვრების უფლებასაც.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა ის საკითხები, რომლებიც არ ხვდება მე-19 მუხლით დაცულ სფეროში, მაგალითად, ამომრჩეველთა ნების გამოვლენის უფლება, პოლიტიკური პარტიის შექმნის საკითხები, ასევე, საჯარო დაწესებულების მართვის ორგანოს საქმიანობაში მონაწილეობის ან თანამდებობაზე ყოფნის უფლება.

მეორე სადისკუსიო კითხვის განხილვის მიზანია, სტუდენტმა მოახერხოს მე-19 მუხლის განსხვავება კონსტიტუციის 24-ე მუხლისგან. აღნიშნული მუხლებით დაცულია ურთიერთმსგავსი სამართლებრივი სიკეთე. მათ შორის განსხვავებას წარმოადგენს ამ უფლების რეალიზაციის ფორმა. კერძოდ, მე-19 მუხლი იცავს პირის უფლებას, ჰქონდეს რაიმე მოსაზრება/რელიგია და გამოხატოს ის ვიწრო წრეში *(forum internum).* 24-ე მუხლი კი იცავს პირის უფლებას, საკუთარი აზრი თუ რელიგია საჯაროდ, ფართო მასშტაბით გამოხატოს და გაავრცელოს *(forum externum).*

მესამე სადისკუსიო კითხვის შესახებ მსჯელობისას სტუდენტი გაიაზრებს, რომ სხვა თავისუფლების უფლებებისგან განსხვავებით, რომლებიც შესაძლოა რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის (მაგ. საზოგადოებრივი უსაფრთხოება, დანაშაულის თავიდან აცილება) მისაღწევად შეიზღუდოს, Forum Internum-ში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, რაზეც მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს. საკონსტიტუციო სასამართლომ მე-19 მუხლით დაცული უფლება ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი პირადი სფეროს ხელშეუხებლობის გარანტიად მიიჩნია და მასში ჩარევის ერთადერთ საფუძვლად სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზანი მიუთითა. როგორც სასამართლომ აღნიშნა, მე-19 მუხლი უპირატესად უზრუნველყოფს ადამიანის შინაგანი სფეროს, მისი შინაგანი სამყაროს აბსოლუტურ დაცვას და ადგენს ფარგლებს, შეზღუდვის შესაძლებლობას, მათი გამოვლენისას - ადამიანის თავისუფლება, საკუთარი ცხოვრება წარმართოს მისი რწმენის შესაბამისად, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით, სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, შეიძლება შეიზღუდოს.

მეოთხე კითხვა შეეხება რწმენის თავისუფლების ერთ-ერთი ასპექტის - კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის შესახებ მსჯელობას. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, ეს პრინციპი გულისხმობს ადამიანის წინააღმდეგობას, გაიაროს სამხედრო სამსახური, ვინაიდან, რწმენა მას უკრძალავს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირები, როგორც წესი, უარყოფენ იარაღით ხელში სამსახურს ომისა და მშვიდობის დროს, რადგან ომი გარდაუვლად გულისხმობს ძალის გამოყენებას, ადამიანის სიცოცხლის მოსპობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება მე-19 მუხლით დაცულ სფეროში ხვდება (და არა 24-ე მუხლით დაცულ სფეროში), იმდენად, რამდენადაც ამ უფლებით სარგებლობა მიზნად ისახავს კონკრეტული რწმენის შენარჩუნებას და მის შესაბამისად ცხოვრებას, ანუ ამ კონკრეტული რწმენის როგორც ქონა, ისე მისი გამოვლენა (სამხედრო სამსახურზე უარის თქმის ფორმით) უკავშირდება გადაწყვეტილების მიღებას უშუალოდ მათი პირადი ცხოვრების წესის თაობაზე და მიზნად არ ისახავს საკუთარი რწმენის სხვებისთვის გაზიარებას ან გავლენის მოხდენას. ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ რწმენის შესაბამისად კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამოვლენა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სახელმწიფო მათ ავალდებულებს, მოიქცნენ საკუთარი რწმენის საწინააღმდეგოდ. ანუ სახელმწიფოს მიერ დავალდებულებამდე ამ რწმენის მიმდევარი არ მოითხოვს აქტიურობას, რაიმე ქმედების განხორციელებას და, შესაბამისად, საზოგადოებაზე რაიმე სახით ზეგავლენის მოხდენას.

მეთოდი:

სემინარის ხელმძღვანელი დისკუსიას წარმართავს „სოკრატეს მეთოდით". სემინარის ხელმძღვანელი ჯგუფს უსვამს კითხვას სადისკუსიო თემის შესახებ. მსჯელობის პროცესში, ლექტორის ხელმძღვანელობით, სტუდენტები მიდიან სწორ დასკვნამდე.

ჯგუფისთვის დასმული სავარაუდო კითხვები:

- რომელი მუხლით არის დაცული პირის უფლება ჰქონდეს კომუნისტური შეხედულებები? შეიძლება ნაცისტური იდეოლოგიის ქონის უფლება შეიზღუდოს სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნით?
- რომელი მუხლით დაცულ სფეროში ხვდება პირის უფლება, იყოს ათეისტი?
- რომელი მუხლით დაცულ სფეროში ხვდება პირის უფლება საჯარო ლოცვასთან დაკავშირებით?
- რომელიც მუხლით არის დაცული რელიგიის ქადაგების უფლება?

3. სტუდენტები ხსნიან პირველ კაზუსს, რომელიც შეფასდება 5 ქულით

კაზუსი #1

მამუკა წარმატებული არქიტექტორია, ქალაქში მისი არაერთი ნამუშევარია. ის დასაქმებულია ერთ-ერთ არქიტექტურულ-სამშენებლო კომპანიაში, ასევე აქვს კერძო შეკვეთებიც, ამიტომ ის ძალიან დაკავებულია და თავისუფალი დრო თითქმის არ რჩება, რის გამოც ოჯახის წევრები და მეგობრები მამუკას ხშირად საყვედურობენ. როდესაც მამუკას თავისუფალი დრო აქვს, ის მეგობრებთან ერთად სათევზაოდ დადის ან კოლეგებთან ერთად კალათბურთს თამაშობს, ის ასევე გატაცებულია ფეხბურთით და „ბარსელონას“ გულშემატკივარია. მამუკა ოჯახთან - დედასთან, მამასთან და დასთან - ერთად ცხოვრობს.

რამდენიმე თვის წინ, კოლეგის რჩევით, მამუკა ერთ-ერთი რელიგიით დაინტერესდა, ის რელიგიური გაერთიანების რამდენიმე შეხვედრასაც დაესწრო და გადაწყვიტა, მისი მიმდევარი გამხდარიყო.

ერთ დილით, ზამთარში, მამუკას მსუბუქად ახველებდა. ავადმყოფობა რომ არ გამწვავებოდა, მან გადაწყვიტა იმ დღეს სახლში დარჩენილიყო და ემუშავა. მისმა დედამ, ლალიმ, რომ გაიგო მამუკას ავადმყოფობის შესახებ, ცხელი ჩაი და მედიკამენტები შესთავაზა. მამუკამ ჩაი დალია, თუმცა მედიკამენტებზე დედას უარი უთხრა იმ მიზეზით, რომ მისი რელიგიის თანახმად, აკრძალული იყო ნებისმიერი სახის სამედიცინო თუ მედიკამენტური ჩარევა. დედამ გაიკვირვა, რადგან არ იცოდა, თუ მამუკა რომელიმე რელიგიას მისდევდა. მამუკამ დედას განუმარტა, რომ დიდი ხანი არ იყო, რაც ამ რელიგიით დაინტერესდა და ცდილობდა, ყველა რელიგიური წესი დაეცვა. საღამოს, როდესაც სახლში მამა და და დაბრუნდნენ, მამუკამ მათაც აცნობა თავისი რელიგიური გატაცების შესახებ და ოჯახის წევრებს შესთავაზა, ისინიც დაინტერესებულიყვნენ რელიგიით. ოჯახის წევრებმა მამუკას უთხრეს, რომ პატივს სცემდნენ მის გადაწყვეტილებას, თუმცა მათ ეს რელიგია არ აინტერესებდათ.

ორი თვის შემდეგ, როდესაც მამუკა სამსახურში იყო, მას დაურეკა მეზობელმა - ქალბატონმა ნათელამ და აცნობა, რომ დედამისი ძალიან ცუდად გრძნობდა თავს და სასწრაფო სამედიცინო დახმარებას გამოიძახებდა. მამუკამ მეზობელს უთხრა, რომ სასწრაფო დახმარებას თავად დაურეკავდა და სახლშიც მალე მივიდოდა. მამუკა დაუყოვნებლივ წავიდა სახლისკენ, თუმცა, სასწრაფო დახმარებისთვის არ დაურეკავს. როდესაც მივიდა, მეზობელმა აცნობა, რომ დედას ძალიან მაღალი

წნევა ჰქონდა და შესაბამის მედიკამენტს მიაწვდიდა, თუმცა, მამუკამ უთხრა, რომ დედა ამის გარეშეც გადარჩებოდა და მისთვის მთავარი ლოცვა იყო. ქალბატონი ნათელა ძალიან დაიბნა, ვინაიდან, მამუკას ფიზიკურად ვერ შეეწინააღმდეგა, სასწრაფო დახმარების დაგვიანების გამო გაბრაზებულმა დარეკა და მოიკითხა, თუ როდის მივიდოდნენ ექიმები. ქალბატონ ნათელას აცნობეს, რომ აღნიშნულ მისამართზე სასწრაფო დახმარება არ გამოუძახებიათ, თუმცა, ექიმები დაუყოვნებლივ გამოვიდოდნენ. როდესაც ნათელა ლალის ოთახში გავიდა, აღმოაჩინა, რომ ის გარდაცვლილიყო.

აღნიშნული ფაქტიდან ათი დღის შემდეგ, ნათელამ მამუკას ქმედების შესახებ მის მამას და დას აცნობა, თუმცა მათ ყურადღება არ მიქციეს და უთხრეს, რომ ლალის უეცარი გარდაცვალების შემდეგ მათი ოჯახი ისედაც მძიმე მდგომარეობაში იყო და მსგავსი უაზრობის მოსმენა არ სურდათ. ამის შემდეგ, ნათელამ გადაწყვიტა, რომ მამუკას ქმედების შესახებ საგამოძიებო ორგანოებისთვის შეეტყობინებინა. ნათელას შეტყობინების საფუძველზე, მამუკას მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლით (დაუხმარებლობა) გათვალისწინებული დანაშაულის საფუძველზე.

მამუკა დავობს, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლები.

VI ლექცია - 90 წთ.

ლექციის თემა:

შეკრების თავისუფლება (მ. 25)
გაერთიანების თავისუფლება (მ. 26)

დროის განაწილება:

სტუდენტების კითხვები განვილი მასალის გარშემო - 15 წთ.
სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა - 55 წთ.
სტუდენტების კითხვები - 15წთ.
დავალება - 5 წთ.

1. **სტუდენტების კითხვები განვილი მასალის შესახებ**

სტუდენტები უსვამენ ლექტორს კითხვებს წინა ლექციაზე ახსნილი თემატიკის შესახებ.

2. **სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა**

ლექტორი წარადგენს სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხს. მე-6 ლექციაზე განიხილება შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებები.

სლაიდი 1:

კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სემინარის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
ლექციის თემატიკა
სასწავლო წელი და სემესტრი
უნივერსიტეტის დასახელება

<u>შეკრების თავისუფლება</u>

სლაიდი 2:

მუხლი 25
1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.
2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

სლაიდი 3:

შეკრების უფლება არის ინდივიდუალური უფლება, რომელიც კოლექტიურად ხორციელდება.

შეკრების უფლების ზოგიერთი ასპექტი:

- შეკრების გამართვის ადგილის, დროის, ფორმისა და შინაარსის არჩევის უფლება;
- საქართველოს კონსტიტუციით არ არის დაცული per se ქუჩის გადაკეტვის ან მისი ბლოკირების შესაძლებლობა;
- ამ უფლების გამოვლინება ხშირად კონფლიქტში მოდის სხვათა უფლებებთან, მაგ. მესამე პირთათვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა შეკრების (მანიფესტაციის) უფლების რეალიზაციის თანმდევ შედეგს, მის გვერდით მოვლენას შეიძლება წარმოადგენდეს;
- სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს აქციის უსაფრთხო და ორგანიზებული მიმდინარეობა.

სლაიდი 4:

შეკრების თავისუფლების ორი ასპექტი:

- შეკრება, როგორც აზრის გამოხატვის ფორმა - უფლების ფორმალური მხარე;
- კონკრეტული აზრის გამოხატვა, რომელსაც შეკრება ემსახურება - მატერიალური მხარე;
- შეკრების უფლება, როგორც ინსტრუმენტული უფლება;
- შეკრების უფლების რეალიზაციის გამოხატვის თავისუფლების შუქზე განხილვის თეორია.

სლაიდი 5:

რა არის შეკრება?

- ორი (ზოგიერთი მოსაზრებისთ სამი) ან მეტი ადამიანის შეკრება;
- გამიზნული შეკრება (რაც არ გამორიცხავს სპონტანურ შეკრებას).

როგორი შეკრება არის დაცული?

- აქტიური წინააღმდეგობა;
- პასიური წინააღმდეგობა;

- ჯგუფური და ინდივიდუალური ძალადობა.

სლაიდი 6:

ძალადობისკენ მოწოდება:

- ძალადობისკენ მოწოდების შემცველი გამონათქვამები ან ისეთი გამონათქვამები, რომლებიც ერთეულ, იზოლირებულ შემთხვევას წარმოადგენს, ყოველთვის არ ქმნის ძალადობის განხორციელების რეალურ საფრთხეს;
- საფრთხის რეალურობის განსასაზღვრად უნდა შეფასდეს, რა კონტექსტში და რა ვითარებაში არის წარმოთქმული ასეთი მოწოდება.
- სახელმწიფო უფლებამოსილია, ჩაერიოს და შეწყვიტოს შეკრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწოდება ორივე კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

  - მოწოდება;
  - რეალური საფრთხე.

სლაიდი 7:

გაფრთხილება:

- შეიძლება თუ არა გაფრთხილების არარსებობა გახდეს შეკრების უფლებით სარგებლობის დამაბრკოლებელი გარემოება (ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ, საქართველოს კონსტიტუცია);
- საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, გაფრთხილება საჭიროა თუ შეკრება ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება;
- გაფრთხილების მიზანია ხელისუფლების ინფორმირება, უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი;
- ,,გაფრთხილების არმიღება'' და საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტი.

სლაიდი 8:

შეკრება, რომელიც ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებას იწვევს:

- შეკრების მონაწილეთა რაოდენობა;
- თავისუფალი გასასვლელების ორგანიზება (პოლიცია, სასწრაფო, სახანძრო);
- ავტომობილებით გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა:
- შეკრების უფლებით სარგებლობისას ავტოსატრანსპორტო საშალებების გამოყენების შესაძლებლობის ფარგლები;
- შეკრების უფლებით სარგებლობისთვის აუცილებელი კონსტრუქციები (ტრიბუნა და ა.შ);

- მონაწილეთა არასაკმარისი ოდენობა და მტკიცების ტვირთი.

სლაიდი 9:

შეზღუდვის საფუძვლები:

- კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი;
- ფორმალური რეგულირება (შეფასების ფართო ფარგლები);
- მარეგულირებელი ნორმები არ იყოს აშკარად არაგონივრული, შესასრულებლად მძიმე და აზრს არ უკარგავდეს კონსტიტუციით აღიარებული უფლებების რეალიზაციას;
- შინაარსობლივი რეგულირება (შეფასების ვიწრო ფარგლები).

სლაიდი 10:

შეზღუდვის სტანდარტები:

- სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის ინტენსივობა. შეზღუდვების სიმკაცრე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ფორმით და რა მიზნით ხორციელდება ქმედება.
- სიტყვა ან ქმედება, თუ მას არ გააჩნია პოლიტიკური, სოციალური, მხატვრული ან სხვა ღირებულება, კონსტიტუციით დაცული სფეროდან გამოდის, როდესაც ის საზოგადოებრივ წესრიგს, უსაფრთხოებას, სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს უპირისპირდება.

სლაიდი 11:

შეწყვეტა თუ შეზღუდვა?

- შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევა;
- სამართალდარღვევის სიმძიმე და საფრთხე, რომელსაცკანონსაწინააღმდეგო შეკრება საზოგადოებრივ წესრიგს უქმნის;
- ხელისუფლება უფლებამოსილია:

  - შეზღუდოს შეკრების უფლების რეალიზება და აღადგინოს ტრანსპორტის მოძრაობა, ან მოითხოვოს შეკრების დაუყოვნებლივი შეწყვეტა.

სლაიდი 12:

20 მეტრის რადიუსის წესი:

- დაწესებულების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, მისი ფუნქციური დანიშნულების, სპეციფიკის ან/და ადგილმდებარეობის გათვალისწინება;
- კონსტიტუციური უფლების არსის უგულებელყოფა;
- ბლანკეტური აკრძალვა;
- შენობები ან ტერიტორია, რომელიც დაცვის და უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს საჭიროებს.

სლაიდი 13:

უფლების სუბიექტები:

- უფლების სუბიექტია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი;
- მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი;
- ძალოვანი სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლებს უფლება არ აქვთ, ისარგებლონ შეკრების თავისუფლებით;
- ორგანიზების უფლება: არასრულწლოვნები (ბავშვთა უფლებები).

<u>გაერთიანების თავისუფლება</u>

სლაიდი 14:

მუხლი 26

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის, პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.
2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ორგანული კანონის შესაბამისად, შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.
3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ომის ან ძალადობის პროპაგანდა, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივება.
4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.
5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.
6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

გაერთიანების უფლება ინდივიდუალური უფლებაა, რომელიც კოლექტიურად ხორციელდება.

სლაიდი 15:

უფლების კომპონენტები:

ა) პირთა ერთობა;
ბ) პირთა ერთობა შექმნილია ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად;
გ) პირთა ერთობა ჩამოყალიბებულია ხანგრძლივი ვადით;
დ) პირთა ერთობას აქვს საერთო მიზანი;
ე) პირთა ერთობაში ნების ფორმირებას აქვს ორგანიზაციული სახე.

სლაიდი 16:

გაერთიანების თავისუფლება და სხვადასხვა ტიპის გაერთიანებები:

- არასამეწარმეო გაერთიანებები;
- სამეწარმეო გაერთიანებები;
- არარეგისტრირებული გაერთიანებები;
- პროფესიული კავშირები;
- პოლიტიკური გაერთიანებები;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა;
- ადვოკატთა ასოციაცია.

სლაიდი 17:

პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულება:

- სახელმწიფომ ხელი არ უნდა შეუშალოს პირების გაერთინებას;
- სახელმწიფომ თავს არ უნდა მოახვიოს პირებს რაიმე გაერთინება.

სლაიდი 18:

გაერთიანების თავისუფლებით დაცულია:

- გაერთიანების, გაერთიანებაზე უარის თქმის და გაერთიანებიდან გამოსვლის უფლება;
- ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია ფორმალური და შინაარსობრივი საფუძვლით, პირველ შემთხვევაში, სახელმწიფოს უფრო ფართო შეფასების არე აქვს, მეორეში კი ვიწრო.

სლაიდი 19:

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი არეგულირებს, ორივე, როგორც (1) საზოგადოებრივი ასე (2) პოლიტიკური გაერთინების შეჩერებისა და აკრძალვის ფორმალურ საფუძვლებს. სადაც მითითებულია, რომ ეს ხდება შემდეგი კუმულატიური პირობების არსებობისას:

- სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- ორგანული კანონის შესაბამისად.

სლაიდი 20:

იკრძალება ისეთი გაერთიანების შექმნა, რომელიც კუმულატიურად ისახავს მიზნად როგორც კონსტიტუციური წყობილების შეცვლას, ისე ამ ცვლილებების ძალადობრივ განხორცილებას.

სლაიდი 21:

გაერთიანების თავისუფლების სუბიექტები:

- საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლების სუბიექტი შეიძლება იყოს ყველა, მიუხედავად მოქალაქეობისა;
- 26-ე მუხლის მეორე პუნქტით დაცული უფლებით სარგებლობა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ.

3. სტუდენტების კითხვები

სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს მოსმენილი ლექციის შესახებ. გამოხატავენ საკუთარ აზრს და აფიქსირებენ პოზიციას.

4. დავალება

ლექტორი სტუდენტებს აძლევს დავალებას: თითოეული სტუდენტი ვალდებულია მომდევნო ლექციისთვის მოამზადოს ერთი კითხვა მაინც, რომელიც მას სასწავლო მასალის დამუშავების დროს გაუჩნდება.

ლექტორი სტუდენტებს აძლევს საკითხავ მასალას:

სავალდებულო ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუციის 25-ე და 26-ე მუხლები;
- კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 302-320;
- ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 314-373;

- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 280-328.

დამატებითი ლიტერატურა:

- ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 456-470.
- ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 216-235.
- შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ ორგანული კანონი;
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანული კანონი.

VI სემინარი - 90 წთ.

სემინარის თემა:

შეკრების თავისუფლება (მ. 25)
გაერთიანების თავისუფლება (მ. 26)

დროის განაწილება:

კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ - 15 წთ.
სადისკუსიო თემების განხილვა - 30 წთ.
კაზუსის ამოხსნა - 45 წთ.

1. **კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ** - სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ.

2. **სადისკუსიო თემების განხილვა:**

   2.1. რა შემთხვევებშია დაცული შეკრება კონსტიტუციის 25-ე მუხლით? რა არ არის დაცული 25-ე მუხლით? ვინ/რა არის უფლების სუბიექტი?
   2.2. რა შემთხვევებში შეიძლება შეკრების თავისუფლების შეზღუდვა?
   2.3. როგორ გავლენას ახდენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გაფრთხილების ვალდებულება შეკრების თავისუფლების რეალიზაციაზე? კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულია თუ არა სპონტანური შეკრების უფლება?
   2.4. როგორი გაერთიანებებია დაცული საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით? ვინ არის უფლების სუბიექტი? რა შემთხვევაში შეიძლება გავიდეს გაერთიანება 26-ე მუხლით დაცული სფეროდან?

დისკუსიის მიზანი: დისკუსიის მიზანია კონსტიტუციის 25-ე და 26-ე მუხლებით დაცული უფლებების ცალკეული ელემენტების და შეზღუდვის საფუძვლების გააზრება.

პირველი სადისკუსიო კითხვის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს, თუ რა სახის შეკრებებია დაცული კონსტიტუციის 25-ე მუხლით, კერძოდ, შეკრება უნდა იყოს საჯარო და მშვიდობიანი (მათ, შორის, უაიარაღო) და უნდა იმართებოდეს პროტესტის, სოლიდარობის ან რაიმეს მოთხოვნის მიზნით. ვინაიდან, შეკრების თავისუფლება გამოხატვის თავისუფლების სპეციალური, ვიწრო გამოვლინებაა, მიზნად უნდა ისახავდეს ინფორმაციის გავრცელებას, მესამე პირებისთვის გაზიარებას, შესაბამისად, ადამიანების თავყრილობა, რომელიც მოკლებულია იდეას, კონსტიტუციის 25-ე მუხლით ვერ იქნება დაცული. მშვიდობიანი შეკრების უფლება გულისხმობს, რომ ძალადობრივი აქცია საფუძველშივე გამორიცხულია დაცული სფეროდან. 25-ე მუხლით დაცულია შეკრების ადგილის, დროის,

შინაარსის და ფორმის არჩევის უფლება. დაცულია არა მხოლოდ შეკრებაში მონაწილეობის, არამედ მისი დაგეგმვის და ორგანიზების უფლება. ამასთან, შეკრების გამართვა არ საჭიროებს ხელისუფლების წინასწარ ნებართვას. 25-ე მუხლი არ იცავს არც გზის სავალი ნაწილის გადაკეტვის და არც კონსტრუქციების აგების უფლებას, თუ ეს პირდაპირ არ არის დაკავშირებული შეკრების ფორმასთან ან შინაარსთან.

უფლებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. ამასთან, სხვა მუხლებისგან განსხვავებით, 25-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს პირთა კონკრეტულ წრეს - ძალოვანი სტრუქტურების შემადგენლობაში მყოფ პირებს. აღნიშნული განპირობებულია ამ უწყებისთვის დამახასიათებელი ფუნქციებით და კომპეტენციებით - სამართალდამცავი და ოპერატიულ-სამებრო საქმიანობა, სპეციალური დანიშნულების შეიარაღებული ან/და გასამხედროებული დანაყოფების არსებობა, ლეგიტიმური, პროპორციული ძალის და ფიზიკური იძულების გამოყენების უფლება.

მეორე სადისკუსიო კითხვის განხილვისას სტუდენტი გაიაზრებს, რა შემთხვევებშია დასაშვები შეკრების თავისუფლების შეზღუდვა. შეკრების თავისუფლება კოლექტიური უფლებაა, რომელიც ინდივიდუალურად რეალიზდება. აქედან გამომდინარე, ერთ შემთხვევაში, შესაძლოა, მთლიანად შეკრებამ მიიღოს კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, გავიდეს კონსტიტუციით დაცული სფეროდან ან ლეგიტიმური მიზნის საფუძველზე ხელისუფლების მიერ მისი შეწყვეტა გამართლებული იყოს. სხვა შემთხვევაში კი შესაძლოა არა მთლიანად შეკრების შეწყვეტა, არამედ შეკრების მონაწილე ცალკეული ინდივიდების უფლების შეზღუდვა იყოს დასაშვები. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ შეკრების თავისუფლების შეზღუდვისას გამოიყენება კონსტიტუციის 24-ე მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი საჯარო მიზნები.

შეზღუდვა შეიძლება შეეხოს შეკრების როგორც ფორმალურ (ადგილი, გეზი და ა. შ), ასევე შინაარსობრივ მხარეს. თუმცა, შინაარსობრივი შეზღუდვის დაწესების შემთხვევაში, ხელისუფლების დისკრეცია მნიშვნელოვნად ვიწროა.

შეკრება ვერ ხვდება 25-ე მუხლით დაცულ სფეროში, როდესაც მისი მიზანი არის/გახდება მოწოდება ძალადობისკენ, კონსტიტუციური წყობილების დამხობისკენ ან ძალადობით შეცვლისკენ. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განავითარა რეალური საფრთხის დოქტრინა, რაც გულისხმობს, რომ შეკრება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს ძალადობისკენ მოწოდების გამო, თუ ძალადობის განხორციელების საფრთხე რეალურია.

მესამე სადისკუსიო კითხვის შესახებ მსჯელობის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს, რომ ხალხის ან ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას შეკრების გამართვის შემთხვევაში, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით და კანონით გათვალისწინებული 5 დღით ადრე გაფრთხილების აუცილებლობა წარმოადგენს ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოსთვის შეტყობინების ვალდებულებას და არ გულისხმობს ხელისუფლების მიერ ნებართვის გაცემის აუცილებლობას. გაფრთხილების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით განიხილოს შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების ადგილისა და დროის შეცვლის მიზანშეწონილობის საკითხი და წერილობით გადასცეს მათ რეკომენდაცია, თუ შეკრება ან მანიფესტაცია რეალურ საფრთხეს უქმნის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალურ ფუნქციონირებას ან სხვა აქციის (რომელზეც გაფრთხილება უფრო ადრე იქნა შეტანილი) ჩატარება დაგეგმილია იმავე ადგილას და იმავე დროს. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია, იმსჯელოს მხოლოდ შეკრების ადგილის ან/და დროის და არა მისი შინაარსის ან ფორმის შეცვლის შესაძლებლობაზე. ასევე, ხელისუფლების ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა.

გაფრთხილების ვალდებულება თავისთავად არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა, პრობლემურია, რომ 5 დღით ადრე გაფრთხილების ვალდებულებიდან გამონაკლისის სახით არის გათვალისწინებული სპონტანური შეკრების უფლება, რაც ნიშნავს, რომ ისეთი სახის შეკრებები, რომელიც გაფრთხილებას საჭიროებს, აუცილებელია იყოს წინასწარ ორგანიზებული, ჰყავდეს ორგანიზატორი, რომელიც გაფრთხილებით მიმართავს ადგილობრივ ხელისუფლებას და გამორიცხავს რაიმე მოვლენის გარშემო ხალხის სპონტანურ შეკრებას, რამაც შეიძლება შელახოს შეკრების თავისუფლების არსი, ვინაიდან, მოვლენიდან 5 დღის შემდეგ შეკრების გამართვა შესაძლოა აღარ იყოს აქტუალური, ხოლო ისეთ ადგილას შეკრების ან მანიფესტაციის გამართვამ, სადაც ტრანსპორტი არ მოძრაობს, აქციას ეფექტურობა დაუკარგოს.

მეოთხე სადისკუსიო კითხვის შესახებ მსჯელობა შეეხება კონსტიტუციის 26-ე მუხლით დაცულ სფეროს, რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკური ანდა სხვა იდეის გარშემო შექმნილი კონსტრუირებული გაერთიანებების (მათ შორის, პროფესიული კავშირების), მისი შექმნისა და მასში გაწევრიანების უფლებას. 26-ე მუხლით დაცული სფერო მხოლოდ კერძო ნების საფუძველზე ჩამოყალიბებულ იურიდიულ პირებს მოიცავს. გაერთიანება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: უნდა არსებობდეს პირთა ერთობა, რომელიც შექმნილია ნების თავისუფალი გამოვლინების შედეგად, პირთა ერთობა ჩამოყალიბებული უნდა იყოს ხანგრძლივი ვადით, უნდა ჰქონდეს საერთო მიზანი და პირთა ერთობაში ნების ფორმირებას უნდა ჰქონდეს ორგანიზებული სახე. ჩარევისაგან დაცულია ასევე გაერთიანებიდან გამოსვლის უფლება და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები. 26-ე მუხლი იცავს გაერთიანების თავისუფლების ნეგატიურ ასპექტსაც - ადამიანის უფლებას, არ გახდეს რომელიმე გაერთიანების წევრი.

გაერთიანების თავისუფლების სუბიექტი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, მისი მოქალაქეობის მიუხედავად, გაერთიანების შექმნის შედეგად ჩამოყალიბებული კოლექტივი - პირთა ჯგუფი და გაერთიანება - იურიდიული პირი. 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებული პოლიტიკური პარტიების და სხვა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობაში მყოფ პირს, მოსამართლეს და პროკურორს არ აქვს პოლიტიკური გაერთიანების წევრობის უფლება.

კონსტიტუციის 25-ე მუხლის მსგავსად, 26-ე მუხლში ჩარევისას გამიჯნულია უფლების შეზღუდვის ფორმალური და შინაარსობრივი შემთხვევები და პირველ შემთხვევაში, სახელმწიფოს შედარებით ფართო დისკრეცია აქვს (მაგალითად, დაადგინოს გაერთიანებების რეგისტრაციის ვალდებულება). 26-ე მუხლით გარანტირებულ უფლებაში ჩარევა დასაშვებია გაერთიანების შეჩერების ან აკრძალვის სახით, რაც უნდა განხორციელდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით და ორგანული კანონით დადგენილი წესითა და დადგენილ შემთხვევებში. 26-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები განსაზღვრავენ იმ შემთხვევებს, როდესაც გაერთიანების შექმნა და საქმიანობა აკრძალულია.

მეთოდი:

სემინარის ხელმძღვანელი დისკუსიას წარმართავს „სოკრატეს მეთოდით“. სემინარის ხელმძღვანელი ჯგუფს უსვამს კითხვას სადისკუსიო თემის შესახებ. მსჯელობის პროცესში, ლექტორის ხელმძღვანელობით, სტუდენტები მიდიან სწორ დასკვნამდე.

ჯგუფისთვის დასმული სავარაუდო კითხვები:

- დაცულია თუ არა ხალხის შეკრება ქუჩაში მუსიკოსის მოსასმენად?
- შეკრების თავისუფლების წესების დარღვევისას დასაშვებია მხოლოდ დამრღვევთა შეკრების თავისუფლებაში ჩარევა თუ დასაშვებია შეკრების შეწყვეტაც?
- დაცულია თუ არა საქართველოს კანონმდებლობით სპონტანური შეკრება?
- დაცულია თუ არა 26-ე მუხლით მოგებაზე ორიენტირებული გაერთიანება?
- რა შემთხვევაში არის დასაშვები პოლიტიკური პარტიის აკრძალვა?

3. კაზუსის ამოხსნა

სტუდენტებს სააუდიტორიო მუშაობის ფარგლებში მიეცემათ დავალება - ამოხსნან კაზუსი, რომელიც ფასდება 5 ქულით.

კაზუსი #2

სანდრო ახალგაზრდა არქიტექტორია. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მან სწავლა საზღვარგარეთ მაგისტრატურაში განაგრძო. სწავლის პარალელურად, სანდრომ არაერთი სტაჟირება გაიარა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში და მუშაობის

პრაქტიკული გამოცდილებაც შეიძინა. სწავლის დასრულების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და სურდა, საინტერესო სამუშაო მოეძებნა.

ერთ დილას, ახალდაბრუნებულ სანდროს დაურეკა მეგობარმა ნიკამ, რომელიც ქალაქის მერიაში მუშაობდა. მან სანდროს უთხრა, რომ ქალაქის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ქალაქის ისტორიული ნაწილი რეაბილიტაციის შესახებ და მერია გეგმავდა არქიტექტორების დაქირავებას. ამ ამბავით სანდრო ძალიან დაინტერესდა, ნიკა მას დაპირდა, რომ როდესაც ვაკანსიები გამოქვეყნდებოდა, შეატყობინებდა.

იმავე საღამოს, როდესაც სანდრო სახლში ტელევიზორს უყურებდა, ერთ-ერთ ტელეარხით ქალაქის მერმა საზოგადოებას აცნობა, რომ იგეგმებოდა ქალაქის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია, რაც გულისხმობდა შენობების საყრდენი კედლების გამაგრებასა და გარე ფასადების მოწესრიგებას. ქუჩებში დაირგვებოდა მცენარეები, შესაბამისი სამუშაოები კი ზაფხულში დაიწყებოდა და ექვს თვეს გასტანდა. მერის განცხადებით, რეაბილიტირებული ნაწილი გახდებოდა ერთ-ერთი ტურისტული ადგილი. მერმა ასევე აღნიშნა, რომ სამუშაოების შედეგად ქალაქის ძველი ნაწილის იერსახე არ შეიცვლებოდა.

რამდენიმე დღეში ნიკამ სანდროს კვლავ დაურეკა და უთხრა, რომ მერიის ვებ-გვერდზე დაიდო ინფორმაცია არიტექტორის პოზიციაზე გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ. სანდრომ მერიას განაცხადით იმ დღესვე მიმართა. ის დიდი ენთუზიაზმით იყო განწყობილი, რადგან ისტორიული უბნების რეკონსტრუქციაზე მას სტუდენტობისას არერთხელ უოცნებია. რამდენიმე დღეში სანდროს მერიიდან შეატყობინეს, რომ მისი კანდიდატურა შერჩეული იყო და გასაუბრებაზე დაიბარეს. სანდრომ ყველა შესარჩევი ეტაპი წარმატებით გაიარა და მერიასთან ექვსთვიანი შრომითი ხელშეკრულება გააფორმა.

ვიდრე მუშაობას შეუდგებოდა, სანდრო მერიაში რამდენიმე სამუშაო შეხვედრას დაესწრო, სადაც მომავალი სამუშაოების შესახებ ისაუბრეს. როგორც სანდროსთვის შეხვედრებიდან გახდა ცნობილი, მერიის მიერ ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა, მზადდებოდა ქალაქის ძველი ნაწილის იერსახის ძირეული ცვლილება, კერძოდ, ქალაქის აღნიშნულ ნაწილში იგეგმებოდა სავაჭრო და ბიზნეს ცენტრის მშენებლობა, რის გამოც, ისტორიული დანიშნულების რამდენიმე ძეგლის დანგრევა გახდებოდა საჭირო, ამასთან, ისტორიული შენობების დიდი ნაწილი შუშით გაფორმდებოდა.

ვითარებაში გარკვევის მიზნით სანდრომ მიმართა ნიკას, რომელმაც უთხრა, რომ ზუსტ ინფორმაციას არ ფლობდა, რადგან ქალაქის ისტორიული ნაწილის პროექტზე მერიის სხვა სამსახური მუშაობდა, თუმცა, პროექტების განხორციელების პროცესში გეგმები ხშირად იცვლებოდა და სანდროს ეს არ უნდა გაკვირვებოდა. სანდრომ ვითარებაში გარკვევა ასევე სთხოვა თავის ხელმძღვანელს, რომელმაც განუმარტა, რომ გეგმები შეიცვალა და ზუსტ ინფორმაციას მუშაობის პროცესში მიიღებდა. სანდრომ ხელმძღვანელს უთხრა, რომ ის სამუშაოს დათანხმდა, ვინაიდან, როგორც თავად ფიქრობდა, ქალაქის

ძველი უბნების რეაბილიტაციაში შეიტანდა წვლილს, თუმცა, მათ დამახინჯებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა.

იმედგაცრუებულმა სანდრომ თავის ფეისბუქის გვერდზე სტატუსად დაწერა, რომ მერიის მიერ გამოცხადებული პროექტი ისტორიული უბნების რეაბილიტაციის შესახებ რეალურად ამ უბნების იერსახის სრულ ცვლილებას გულისხმობდა, რაც, სავარაუდოდ, კონკრეტული ადამიანების ბიზნესის ინტერესებს ემსახურებოდა. ამის შესახებ მან დანამდვილებით იცოდა, ვინაიდან, ამ პროექტში იყო დასაქმებული, თუმცა, ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ სამუშაოზე უარი თქვა.

სანდროს ფეისბუქის სტატუსით არაერთი მედია საშუალება დაინტერესდა და აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით დღის ბოლომდე გავრცელდა. ამ ამბავის გაპროტესტესტების მიზნით, დაახლოებით 1 საათში მეორე დღის 15:00 საათისთვის დაიგეგმა საპროტესტო აქცია.

მეორე დღეს, ზუსტად 15:00 საათზე, მერიის წინ 400-მდე ადამიანი შეიკრიბა, მათ შორის იყვნენ არქიტექტორები, ურბანისტები, გარემოს დამცველები და სხვა დაინტერესებული ადამიანები. აქციას სანდროც ესწრებოდა. აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ პლაკატები, რომელზეც სხვადასხვა სლოგანი იყო გამოსახული. მონაწილეები, ერთი მხრივ, აპროტესტებდნენ ქალაქის ისტორიული უბნების იერსახის შეცვლას, მეორე მხრივ კი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საზოგადოებისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდებას. აქციის 10 მონაწილეს ხელში ეჭირა პლაკატები წარწერით, რომლითაც აღნიშნული პროექტი არაეთიკური სიტყვით იყო მოხსენიებული. აქციის დაწყებიდან დაახლოებით 1 საათის შემდეგ აქციის ამ მონაწილეებს პოლიციელებმა პლაკატები ჩამოართვეს და დააკავეს „შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

აქციის მონაწილეები დავობენ, რომ მათ წინააღმდეგ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და 25-ე მუხლები.

VII ლექცია - 90 წთ.

ლექციის თემა:

საარჩევნო უფლება (მ. 28, მ. 29.1[3])

დროის განაწილება:

სტუდენტების კითხვები განვილი მასალის გარშემო - 15 წთ.
სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა - 55 წთ.
სტუდენტების კითხვები - 15წთ.
დავალება - 5 წთ.

1. **სტუდენტების კითხვები განვილი მასალის შესახებ**

სტუდენტები უსვამენ ლექტორს კითხვებს წინა ლექციაზე ახსნილი თემატიკის შესახებ.

2. **სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა**

ლექტორი წარადგენს სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხს. მე-7 ლექციაზე განიხილება საარჩევნო უფლება.

სლაიდი 1:

კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სემინარის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
ლექციის თემატიკა
სასწავლო წელი და სემესტრი
უნივერსიტეტის დასახელება

სლაიდი 2:

მუხლი 28

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.

[3] საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას. აღნიშნული გულისმობს რამდენიმე ასპექტს, წინამდებარე სალექციო კურსში გამხილული იქნება მხოლოდ ის ნაწილი რომელიც, უკავშირდება საყოველთაო და ფარული არჩევნების წესით სახელმწიფო თანამდებობის დაკავებას.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული.

სლაიდი 3:

უფლების მნიშვნელობა:

- დემოკრატიის პრინციპის გამოხატულება;
- პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბება;
- ადამიანის თვითგამორკვევა და ღირსების პატივისცემა (მართოს, ვისაც ამის ლეგიტიმაცია მიენიჭება).

სლაიდი 4:

დაცული სფერო:

- აქტიური საარჩევნო უფლება;
- პასიური საარჩევნო უფლება;
- ნორმა ვრცელდება როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე.

სლაიდი 5:

საარჩევნო უფლების პრინციპები (არასრული ჩამონათვალი):

- საყოველთაობა;
- ნებაყოფლობითობა;
- ფარულობა;
- თანასწორობა.

სლაიდი 6:

აქტიური თანასწორი საარჩევნო უფლება:

- ყველა მოქალაქეს აქვს ერთი ხმა;
- ყველა ხმის წონა თანაბარი უნდა იყოს;
- ჯერიმანდერინგი აკრძალულია - ჯერიმანდერინგს ყოველთვის ახასიათებს დისკრიმინაციული ნიშანი, ანუ ერთი რომელიმე ამომრჩევლის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება.

სლაიდი 7:

რა შემთხვევაშია არჩევნები კონსტიტუციის შესაბამისი:

- არჩევნებთან დაკავშირებული რიგი საკითხების მოწესრიგებისას, კანონმდებელს გააჩნია ფართო მიხედულების ფარგლები;
- საარჩევნო სისტემის ფორმირება წარმოადგენს პოლიტიკური პროცესის ნაწილს, ხოლო სასამართლო არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის შესახებ ვერ იმსჯელებს პოლიტიკური მიზანშეწონილობის კონტექსტში;
- საარჩევნო უფლება, თავისთავად, არ მოითხოვს რომელიმე კონკრეტული საარჩევნო მოდელის ჩამოყალიბებას;
- არჩევნები უნდა უზრუნველყოფდეს სუბიექტის მიერ სახელმწიფო თანამდებობის დაკავებას ხალხის ნების შესაბამისად. არა მხოლოდ გაუმართლებელი დაბრკოლებები არ უნდა შეიქმნას არჩევნების გზით თანამდებობის დაკავების მსურველთათვის, არამედ ადეკვატურად უნდა განხორციელდეს ამომრჩევლის ნება.

სლაიდი 8:

მაჟორიტარიზმის იდეა - განსხვავება პროპორციული სისტემისგან.

მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები თავსებადი უნდა იყოს საარჩევნო გეოგრაფიის განსაზღვრის ძირითად - ხმათა თანაბარწონადობის, მოსაზღვრეობის, ადმინისტრაციული საზღვრების ხელშეუხებლობის, გეოგრაფიული იდენტობის, ინფრასტრუქტურული კავშირის არსებობის თუ სხვა - პრინციპებთან.

სლაიდი 9:

28-ე მუხლის შეზღუდვის სტანდარტები:

აქტიური საარჩევნოს უფლების შეზღუდვის კონსტიტუციით დადგენილი შემთხვევები არ ექვემდებარება პროპორციულობაზე შემოწმებას.

საარჩევნო უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის:

- საარჩევნო უფლების შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული და არათვითმიზნური;
- პასიური საარჩევნო პროცესის დემოკრატიული ბუნებიდან გამომდინარე, ამგვარი შეზღუდვის გამამართლებელი ლეგიტიმური მიზანი ვერ იქნება უკეთესი, თანამდებობასთან უფრო შესაბამისი, კვალიფიციური კანდიდატის არჩევის უზრუნველყოფა;
- პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის მატერიალური საფუძვლები (მათ შორის ცენზები) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს, თუ ის საფრთხეს უქმნის დემოკრატიას (მაგ. კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

სლაიდი 10:

უფლების სუბიექტია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი.

სლაიდი 11:

მუხლი 29

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, აქვს უფლება, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა.

სლაიდი 12:

სახელმწიფო სამსახური არის პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა საჯარო ფუნქციის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ ინსტიტუციებში.

სლაიდი 13:

შეზღუდვის სტანდარტები:

- სახელმწიფო სამსახურის დაკავების პირობები, ფორმალური და მატერიალური შინაარსით უნდა შეესაბამებოდეს 29-ე მუხლის მოთხოვნებს.
- სახელმწიფოს მმართველობის პროცესის და მასში მონაწილეობის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ამ ურთიერთობიდან პირის დისტანცირება მხოლოდ მნიშვნელოვანი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ღირებულებით უნდა გამომდინარეობდეს.

სლაიდი 14:

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლების გამიჯვნა:

28-ე მუხლი გამოიყენება - მასში არ ექცევა ყველა ტიპის არჩევნები, არამედ მხოლოდ ის არჩევნები, რომელიც კონსტიტუციით პირდაპირ არის გათვალისწინებული.

29-ე მუხლით დაცულია პასიური საარჩევნო უფლება ყველა იმ არჩევნებში მონაწილეობასთან მიმართებით, რომელიც არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით.

VII სემინარი - 90 წთ.

სემინარის თემა:

საარჩევნო უფლება (მ. 28, მ. 29)

დროის განაწილება:

კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ - 15 წთ.
სადისკუსიო თემების განხილვა - 30 წთ.
კაზუსის ამოხსნა - 45 წთ.

4. **კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ** - სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ.

5. **სადისკუსიო თემების განხილვა:**

   5.1. რა არის საარჩევნო უფლების დანიშნულება? რომელ ძირითად პრინციპებს მოიცავს ეს უფლება? ვინ არის უფლების სუბიექტი?
   5.2. რას მოიცავს საარჩევნო უფლებით დაცული სფერო?
   5.3. რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს საარჩევნო უფლება?
   5.4. რა განსხვავებაა კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლებს შორის?

დისკუსიის მიზანი: დისკუსიის მიზანია კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლებით დაცული სფეროების და შეზღუდვის საფუძვლების გააზრება.

პირველი სადისკუსიო კითხვის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს საარჩევნო უფლების დანიშნულება და ის ძირითადი პრინციპები, რომელსაც ეს უფლება ემყარება. საარჩევნო უფლებით განმტკიცებულია ადამიანის უფლება, მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში, რაც ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, თავად მიანიჭოს ლეგიტიმაცია სახელმწიფო ხელისუფლებას და რაც დემოკრატიის პრინციპის გამოხატულებაა. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, 28-ე მუხლით აღიარებულ საარჩევნო უფლებას „მოქმედებაში მოჰყავს“ დემოკრატია და უზრუნველყოფს ხელისუფლების ფორმირებას ხალხის ნების შესაბამისად.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების და თავისი წარმომადგენლის მეშვეობით. საარჩევნო უფლება ხორციელდება საყოველთაობის, ნებაყოფლობითობის, ფარულობის და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე. საარჩევნო უფლების სუბიექტი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი.

მეორე სადისკუსიო კითხვის განხილვისას სტუდენტი გაიაზრებს საარჩევნო უფლებით დაცულ სფეროს. 28-ე მუხლით დაცულია აქტიური საარჩევნო უფლება - საქართველოს 18 წელს მიღწეული მოქალაქის უფლება მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში და ადგილობრივი და სახელმწიფო ორგანოების არჩევნებში ნების თავისუფალი გამოვლენის გზით აირჩიოს ხელისუფლება. ყოველ ამომრჩეველს აქვს ერთი, სხვა ამომრჩევლების თანაბარი წონის მქონე ხმა. ამ მუხლში მოაზრებულია მხოლოდ იმ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რომელიც კონსტიტუციით პირდაპირ არის გათვალისწინებული. ამასთან, 28-ე მუხლი ასევე იცავს მოქალაქის პასიურ საარჩევნო უფლებას, არჩეული იყოს სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის თანამდებობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტი ქმნის კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიას, რომ საქართველოს ყოველმა მოქალაქემ თავისუფალი ნების გამოვლინების საწყის ეტაპზე მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესი - ცენტრალური, საოლქო და საუბნო კომისიების დაკომპლექტება - არ უკავშირდება კონსტიტუციის 28-ე მუხლით დაცულ უფლებას.

რაც შეეხება კონსტიტუციის 29-ე მუხლს, ის საქართველოს მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, სახელმწიფო სამსახურში დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა, თუ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ეს უფლება განამტკიცებს მოქალაქის შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მართვაში, რაც დემოკრატიის პრინციპის გამოხატულებაა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, 29-ე მუხლით დაცული სფერო მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან პირის საჯარო სამსახურში თანამდებობაზე დანიშვნისთვის გონივრული, არადისკრიმინაციული რეგულაციების დადგენის ვალდებულებას და საჯარო მოსამსახურის უფლებას, დაცული იყოს სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან. თუ რა ჩაითვლება სახელმწიფო სამსახურად, უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტა, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით, გულისხმობს, რომ საჯარო მოსამსახურეთა სტატუსი, თანამდებობის დაკავების წესი, მოხელეთა უფლება-მოვალეობები, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა განისაზღვროს კანონით.

ამასთან, არჩევნებთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია ვრცელდება არა მხოლოდ კონსტიტუციის მე-2 თავით გათვალისწინებულ უფლებებთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის შემოწმების თაობაზე, არამედ, კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს რეფერენდუმისა დ არჩევნების

მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას. აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება მიმართოს საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთმა მეხუთედმა, საქართველოს პრეზიდენტმა ან საქართველოს სახალხო დამცველმა. საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს არსებითად განსახილველად არ მიიღებს, თუ მოქალაქე არა მისი 28-ე ან 29-ე მუხლიდან გამომდინარე უფლების კონსტიტუციურობის, არამედ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ დავობს.

მესამე სადისკუსიო კითხვის შესახებ მსჯელობა შეეხება კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლებს შორის განსხვავებას. საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა, თუ რას გულისხმობს 28-ე მუხლში აღნიშნული „სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები." სასამართლოს განმარტებით, საარჩევნო სპეციფიკიდან და, ზოგადად, არჩევნების ბუნებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ არჩევნების გზით თანამდებობის დაკავება მოითხოვს სპეციფიკურ კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიებსა და სტანდარტებს. კონსტიტუციის 28-ე მუხლი მოიცავს 29-ე მუხლისგან განსხვავებულ სპეციფიურ კონსტიტუციურ-სამართლებრივ რეგლამენტაციას, რომელიც უშუალოდ უკავშირდება არჩევნებსა და არჩევნებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ამდენად, 28-ე მუხლი იცავს პირის უფლებას, მოახდინოს პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაცია და არჩევნების გზით დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა. როგორც სასამართლომ აღნიშნა, 28-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტება მიუთითებს, რომ საარჩევნო უფლებით დაცულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ნებისმიერი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის შინაარსისა და მიზანმიმართულების ანალიზი და სისტემური გააზრება მიუთითებს, რომ ამ მუხლით არ არის დაცული ისეთ არჩევნებში მონაწილეობა, რომელიც კონსტიტუციით არ არის მოაზრებული.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციაში მოცემული ტერმინები უნდა განიმარტოს მათი ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობით, რომლებიც, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს კანონმდებლობაში არსებულ განმარტებებს, აქედან გამომდინარე, შესაძლოა, არსებობდეს აუცილებლობა, რომ დადგინდეს, რა კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველს უკავშირდება კონკრეტულ თანამდებობაზე არჩევნების დაწესება და ხომ არ წარმოდგენს ეს არჩევნები კონსტიტუციით მოაზრებულ საარჩევნო სისტემის ნაწილს.

სასამართლომ იმსჯელა მერების/გამგებლების არჩევნების შესახებ, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით და არ წარმოადგენს კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებულ არჩევნებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამის მიუხედავად, აუცილებელია, დადგინდეს, რა კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველს უკავშირდება ამ თანამდებობებზე არჩევნების დაწესება და ხომ არ წარმოადგენს ეს არჩევნები კონსტიტუციით მოაზრებული საარჩევნო სისტემის ნაწილს. აღნიშნულთან მიმართებით სასამართლომ მიუთითა, რომ მერებისა და

გამგებლების არჩევნების დადგენა უკავშირდება ამ ორგანოების მნიშვნელოვან კონსტიტუციურ სტატუსს და ემსახურება ხალხის წარმომადგენლობის უზრუნველყოფას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს არჩევნები კონსტიტუციით მოაზრებული საარჩევნო სისტემის ნაწილს და, შესაბამისად, კონსტიტუციის 28-ე მუხლით დაცულ არჩევნებს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, 28-ე მუხლით გარანტირებული საარჩევნო უფლება მოიცავს მოქალაქეთა უფლებას, კენჭი იყარონ და წარადგინონ კანდიდატი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებში.

მეოთხე სადისკუსიო კითხვის შესახებ მსჯელობის მიზანია საარჩევნო უფლების შეზღუდვის საფუძვლების შესახებ მსჯელობა. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, საარჩევნო უფლების არც აქტიური და არც პასიური ელემენტი აბსოლუტური არ არის და სახელმწიფოს შეზღუდვის დადგენის ფართო შეფასების ზღვარი აქვს, თუმცა, შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული და არა თვითნებური. პასიური საარჩევნო უფლებისგან განსხვავებით, აქტიური საარჩევნო უფლების შეზღუდვა არ შეიძლება შეფასდეს პროპორციულობის ტესტით. პასიურ საარჩევნო უფლებასთან მიმართებით კი სასამართლომ განმარტა, რომ გონივრულობა შეიძლება შეფასდეს პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის მხედველობაში მიღებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ პირის ერთიან საარჩევნო სიაში შეყვანა მისი კონსტიტუციური უფლების განხორციელებების წინაპირობად მიიჩნია და აღნიშნა, რომ საარჩევნო სიების ფორმირება სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობაა და მისი მიზეზით მოქალაქის სიაში არშეყვანა უფლებით სარგებლობისთვის ხელოვნურად შექმნილ ბარიერად მიიჩნია მოპასუხის მიერ არჩევნების გაყალბების თავიდან აცილების ლეგიტიმური მიზეზის დასახელების მიუხედავად.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე იმსჯელა საარჩევნო ცენზთან, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევისთვის საქართველოში მუდმივად ცხოვრების ათწლიან ცენზთან დაკავშირებით. განსახილველ საქმეში მოსარჩელე დავობდა, რომ ეს დანაწესი ადგენდა პასიური საარჩევნო უფლების არაგონივრულ შეზღუდვას. აღნიშნულთან მიმართებით სასამართლომ აღნიშნა, რომ საარჩევნო ცენზი საარჩევნო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტია და მისი მეშვეობით ხდება კონკრეტულ ქვეყანაში საარჩევნო პროცედურების სრულყოფილად წარმართვა. ცენზის დაწესება არ შეიძლება მიიჩნეოდეს არადემოკრატიულობის მაჩვენებლად, ვინაიდან, ქვეყანაში, სადაც არ არის დაწესებული არც ერთი სახის საარჩევნო ცენზი (ასეთი ქვეყანა კი არ არსებობს), წარმოუდგენელია ნორმალური საარჩევნო პროცესის ჩატარება.

29-ე მუხლთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ იგულისხმება არა მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულება, გონივრული რეგულირება დაადგინოს კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად, არამედ ეს მუხლი ასევე კრძალავს თანამდებობიდან პირის არაგონივრული საფუძვლით გათავისუფლებას.

მეთოდი:

სემინარის ხელმძღვანელი დისკუსიას წარმართავს „სოკრატეს მეთოდით“. სემინარის ხელმძღვანელი ჯგუფს უსვამს კითხვას სადისკუსიო თემის შესახებ. მსჯელობის პროცესში, ლექტორის ხელმძღვანელობით, სტუდენტები მიდიან სწორ დასკვნამდე.

ჯგუფისთვის დასმული სავარაუდო კითხვები:

- ვის აქვს არჩევნებში ხმის მიცემა უფლება?
- ვის აქვს არჩევნებში კენჭისყრის უფლება?
- რატომ არის მნიშვნელოვანი არჩევნებში ხმის მიცემის უფლება?
- სამართლებრივად რა განსხვავებაა საპარლამენტო არჩევნებში კანდიდატის სახით მონაწილეობასა და რომელიმე სახელმწიფო უწყებაში თანამდებობის დაკავებას შორის?
- ეწინააღმდეგება თუ არა არჩევნებში კენჭისყრისთვის დაწესებული შეზღუდვა საარჩევნო უფლებას?

6. საცდელი კაზუსის ამოხსნა

განსახილველი საკითხის მიზანი: სტუდენტები ვარჯიშობენ თავისუფლების უფლებების ტესტის პრაქტიკაში გამოყენებაზე.

მეთოდი: სტუდენტები დამოუკიდებლად ხსნიან კაზუსს, იღებენ შენიშვნებს და რჩევებს, თუმცა, საცდელ კაზუსში მიღებული ქულა შეფასებაში არ აისახება.

საცდელი კაზუსი

ლაშა მუსიკოსია, მას უმაღლესი განათლება მიღებული აქვს მიღებული საშემსრულებლო ხელოვნების სპეციალობით. ის მუსიკას წერს ფილმებისა და რეკლამებისთვის. მუსიკის წერის პარალელურად, ის დაინტერესებულია სოციალური და ეკონომიკური საკითხებით და ხშირად აკეთებს საჯარო განცხადებებს მიმდინარე პოლიტიკურ თუ სხვა მოვლენებთან დაკავშირებით, როგორც საკუთარი ფეისბუქის გვერდის, ასევე მედია საშუალებების მეშვეობით.

მერის მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიამ, „ერთიანმა საქართველომ“, ლაშას შესთავაზა, რომ პარტიის სახელით მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, ვინაიდან, მას იცნობდა ხალხი, მისი მოსაზრებები საზოგადოების უმრავლესობისთვის მისაღები იყო, გარკვეულწილად, გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, კარგი რეპუტაციაც ჰქონდა და შეეძლო არჩევნებში გამარჯვება მოეპოვებინა.

ლაშამ ამ საკითხის შესახებ რჩევა ჰკითხა ოჯახის წევრებს და მეგობრებს და მცირე ხნის ფიქრის შემდეგ პარტიის შემოთავაზებას დათანხმდა.

კანდიდატად რეგისტრაციისას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ლაშას განუცხადეს, რომ მერობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს „საარჩევნო

კოდექსით“ გათვალისწინებულ პროფესიულ მოთხოვნას. კერძოდ, ერთ-ერთი მოთხოვნის თანახმად, კანდიდატს უმაღლესი განათლება მიღებული უნდა ჰქონდეს კონკრეტული სპეციალობებით, რომელთა ჩამონათვალში მუსიკასთან დაკავშირებული სპეციალობები მითითებული არ არის.

ლაშა და პოლიტიკური პარტია „ერთიანი საქართველო“ დავობენ, რომ მათ წინააღმდეგ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლები.

VIII ლექცია - 45 წუთი

შუალედური გამოცდა

სტუდენტები წერენ პასუხებს თეორიულ კითხვებზე. სულ პასუხგასაცემია 10 კითხვა, თითო ფასდება 0.5 ქულით.

კითხვები

1. განმარტეთ სიცოცხლის უფლების შეზღუდვის საფუძველ ,,აბსოლუტური აუცილებლობის'' მნიშვნელობა.
2. განასხვავეთ ერთმანეთისგან ,,წამება'', ,,ღირსების შემლახავი'' და ,,არაადამიანური მოპყრობა''.
3. განსახვავეთ ერთმანეთისგან მე-16 და 36-ე მუხლებით დაცული სფეროები;
4. განმარტეთ რას ნიშნავს ,,გადაუდებელი აუცილებლობის'' ცნება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონტექსტში.
5. ერთმანეთისგან განასხვავეთ ,,ფაქტები'' და ,,შეფასებითი მსჯელობა'' გამოხატვის თავისუფლების მიხედვით და მათი დაცვის სტანდარტი.
6. ერთმანეთისგან განასხვავეთ გამოხატვის შინაარსობრივი და შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება.
7. ერთმანეთისგან გამიჯნეთ მე-19 და 24-ე მუხლით დაცული სფეროები.
8. განმარტეთ კეთისინდისიერი წინააღმდეგობის უფლება.
9. განმარტეთ რა შემთხვევაში აქვთ დემონსტრანტებს აქციის დროს ავტომობილის სავალი ნაწილის გადაკეტვის უფლება.
10. განასხვავეთ ერთმანეთისგან კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლები.

VIII სემინარი - 90 წუთი

შუალედური გამოცდა

სტუდენტები წერენ კაზუსს. კაზუსი ფასდება 15 ქულით.

კაზუსი შუალედური გამოცდისთვის:

„ხალხის კეთილდღეობისთვის“ პოლიტიკური პარტიაა, რომელიც 90-იან წლებში შეიქმნა და მას შემდეგ აქტიურად არის ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში. პარტია გამოირჩეოდა კონსერვატიული შეხედულებებით და ჩამოყალიბდა როგორც კონსერვატიული სუბიექტი.

პარტიის დაარსების შემდეგ მისი შემადგენლობა ბევრჯერ შეიცვალა, პარტია დატოვეს დამფუძნებლებმა, ლიდერებმა, თუმცა, მას ყველა ეტაპზე უერთდებოდნენ სხვადასხვა სფეროს წარმატებული წარმომადგენლები და ყოველთვის იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტორი. ასევე, „ხალხის კეთილდღეობისთვის“ წევრები ყოველთვის ხვდებიან ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოებში - პარლამენტში, საკრებულოებში. წინა საპარლამენტო არჩევნებამდე, იმჟამინდელი მმართველი პარტიის დამარცხების მიზნით, „ხალხის კეთილდღეობისთვის“ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად კოალიციაში გაერთიანდა. არჩევნები კოალიციის გამარჯვებით დასრულდა და „ხალხის კეთილდღეობისთვის“ 15 წევრმა მოიპოვა საპარლამენტო მანდატი. გამარჯვებიდან დაახლოებით 2 წლის შემდეგ, პარტია გამოეყო კოალიციას და საქმიანობა დამოუკიდებლად განაგრძო. ბოლო საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ მონაწილეობა დამოუკიდებლად მიიღო და ამომრჩეველთა ხმების 25% მოაგროვა. მანდატების 70% მმართველმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ მიიღო და პარლამენტში, წინა მოწვევის მსგავსად, დიდი რაოდენობრივი უპირატესობა მოიპოვა. დანარჩენი 5% კი „მწვანეთა პარტიამ“ მოიპოვა.

„ხალხის კეთილდღეობისთვის“ დაარსებიდან, მისი წევრები გამოირჩეოდნენ ღრმა რელიგიური შეხედულებებით და სხვადასხვა დროს აფიქსირებდნენ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს მართვისას რელიგიური ინსტიტუტის მოსაზრებებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. მას შემდეგ, რაც პარტიამ დამოუკიდებლად მოიპოვა საპარლამენტო მანდატების 25%, მისი ლიდერების და სხვა წევრების მხრიდან გახშირდა თეოკრატიული სახელმწიფოს მხარდამჭერი განცხადებები. კერძოდ, პარტიის წევრები აცხადებდნენ, რომ რელიგიური ტექსტები ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილი უნდა გამხდარიყო, რელიგიური ინსტიტუტები უნდა ჩართულიყვნენ ქვეყნის მართვის პროცესში და მათ კონსტიტუციით უნდა მინიჭებოდათ შესაბამისი ფუნქციები. ამ მიზნების მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად პარტიის წევრები სამხედრო ძალის გამოყენებას ასახელებდნენ.

მმართველი პარტიის ხუთმა წარმომადგენელმა შეშფოთება გამოთქვა საპარლამენტო ოპოზიციური პარტიის წევრების მიერ ანტისეკულარული იდეების ტირაჟირების გამო და გადაწყვიტა, „ხალხის კეთილდღეობისთვის“ საქმიანობის აკრძალვის მოთხოვნის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის

მიემართა. თუმცა, მათ ვერ შეძლეს სარჩელის შეტანის უფლების მქონე პარლამენტის წევრთა საჭირო რაოდენობის შეგროვება, ვინაიდან, მმართველი გუნდის ლიდერების განცხადებით, ოპოზიციური პარტიის აკრძალვის მიზნით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვას შესაძლოა ოპონენტების, მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კრიტიკა მოჰყოლოდა და ხელისუფლება ოპოზიციური პარტიის გამოხატვის უფლების და საქმიანობის უსაფუძვლო შეზღუდვაში დაედანაშაულებინათ. მმართველი პარტიის შეშფოთებულმა წევრებმა მოპალარაკება სცადეს „მწვანეთა პარტიასთანაც“, თუმცა, მისმა წევრებმა განუცხადეს, რომ ისინი სხვა აქტივობებით იყვნენ დაკავებულები და აღნიშნული საკითხი მათთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა.

ამის შემდეგ, მმართველი გუნდის ხუთმა წევრმა გადაწყვიტა შეხვედროდა ქვეყნის პრეზიდენტს, ვინაიდან, მასაც ჰქონდა უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიემართა პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის აკრძალვის მოთხოვნით. მათ პრეზიდენტს გაუზიარეს თავისი მოსაზრებები „ხალხის კეთილდღეობისთვის“ საქმიანობის შესახებ და, ამ საკითხის მიმართ მმართველი გუნდის წინააღმდეგობის მიუხედავად, პოლიტიკური თანადგომა გამოუცხადეს.

პრეზიდენტმა მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის კეთილდღეობისთვის“ აკრძალვა. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობა აიკრძალა.

პოლიტიკური პარტია „ხალხის კეთილდღეობისთვის“ და მისი წევრები დავობენ, რომ მათ წინააღმდეგ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და 26-ე მუხლები.

IX ლექცია - 90 წთ.

ლექციის თემა:

საკუთრების უფლება (მ. 21)

დროის განაწილება:

სტუდენტების კითხვები განვილი მასალის გარშემო - 15 წთ.
სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა - 55 წთ.
სტუდენტების კითხვები - 15წთ.
დავალება - 5 წთ.

3. სტუდენტების კითხვები განვილი მასალის შესახებ

სტუდენტები უსვამენ ლექტორს კითხვებს წინა ლექციაზე ახსნილი თემატიკის შესახებ.

4. სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა

ლექტორი წარადგენს სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხს. მე-9 ლექციაზე განიხილება საკუთრების უფლება.

სლაიდი 1:

კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სემინარის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
ლექციის თემატიკა
სასწავლო წელი და სემესტრი
უნივერსიტეტის დასახელება

სლაიდი 2:

მუხლი 21
1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.
2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.
3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი

აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.

სლაიდი 3:

საკუთრების უფლების ორი კონცეფცია:

- ლიბერალური კონცეფცია - ბუნებითი უფლება;
- სოციალური კონცეფცია - ნაწარმოები უფლება.

სლაიდი 4:

საკუთრების უფლების ფუნქციები:

- სუბიექტური უფლება საკუთრებაზე;
- საკუთრების უფლების როლი ღირებულებათა კონსტიტუციური წესრიგის შექმნაში;
- საკუთრების ინსტიტუციური გარანტია.

სლაიდი 5:

საკუთრების უფლების დაცული სფერო[4]:

- დაცულია მხოლოდ კანონიერი გზით მოპოვებული საკუთრება;
- საკუთრების უფლების მოთხოვნები ვრცელდება არა მხოლოდ სახელმწიფოს და კერძო პირს შორის, არამედ კერძო პირებს შორის ურთიერთობებზე;
- დაცულია საკუთრებაზე მოთხოვნის უფლება;
- საკუთრების უფლება მოიცავს უფლებას საკუთრების შეძენაზე;
- საგადასახადო საკითხები ასევე ექცევა საკუთრების უფლების რეგულირების სფეროში;
- დაცულია მიუღებელი მოსალოდნელი შემოსავალი;
- მემკვიდრეობა საკუთრების უფლების კომპონენტია.

სლაიდი 6:

21-ე მუხლის სამი პუნქტი

- პირველი პუნქტი შესაძლებლობას იძლევა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე საკუთრებაზე დაწესდეს კონტროლი;

[4] საკუთრების უფლების კიდევ ერთი კომპონენტია ინტელექტუალური საკუთრება. ის კონსტიტუციის 23-ე მუხლით არის დაცული. ვინაიდან ავტორები კონსტიტუციის ტექსტს მიყვებიან, წინამდებარე სახელმძღვანელოში ეს ასპექტი არ არის განხილული.

- მეორე პუნტი ნებას რთავს სახელმწიფოს, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, კანონის შესაბამისად შეზღუდოს საკუთრების უფლება;
- ამავე მიზნით შესაძლებელია კონკრეტული საკუთრების ჩამორთმევა მესამე პუნქტის შესაბამისად.

სლაიდი 7:

21-ე მუხლის პირველი პუნქტი:

- საკუთრების უფლების **შეზღუდვაა ყველა ის შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო ადგენს** საკუთრების შინაარსსა და ფარგლებს და განსაზღვრავს კონკრეტული რეგულაციის საკანონმდებლო ჩარჩოს.
- სახელმწიფო საკუთრების შეზღუდვისას ადგენს სამართლებრივ რეჟიმს, თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ იგი (სახელმწიფო) პირდაპირ მონაწილეობდეს კონკრეტულ ურთიერთობაში. ურთიერთობის მონაწილენი შესაძლებელია იყვნენ კერძო, ფიზიკური პირები, ან კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირები.

სლაიდი 8:

21-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის საფუძველი:

კანონმდებელი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის" შეიძლება მოქმედებდეს, როდესაც მას ამოძრავებს მთელი საზოგადოებისათვის ან მისი ნაწილისათვის დადებითი შედეგების მომტანი მიზნები.

სლაიდი 9:

21-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის საფუძვლები:

1. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება.
2. კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევა.
3. სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობა.
4. წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურება.
5. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.

სლაიდი 10:

განსხვავება 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის იდენტურ ტერმინებს შორის:

- კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება უფრო ფართოდ უნდა იქნეს გაგებული, ვიდრე იგივე ტერმინი კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის;
- კონსტიტუცია მოითხოვს. რომ განსხვავებით საკუთრების უფლების შეზღუდვისაგან, ჩამორთმევის შემთხვევები ამომწურავად გაიწეროს კანონით;
- საკუთრების უფლების შეზღუდვა ზოგად ხასიათს ატარებს, მაშინ, როდესაც საკუთრების ჩამორთმევისას სახელმწიფო **მოქმედებს ინდივიდუალურად და ერთჯერადად.**

სლაიდი 11:

საკუთრების უფლების სუბიექტია ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი.

5. სტუდენტების კითხვები

სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს მოსმენილი ლექციის შესახებ. გამოხატავენ საკუთარ აზრს და აფიქსირებენ პოზიციას.

ლექტორი სტუდენტებს აძლევს საკითხავ მასალას:

სავალდებულო ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი;
- კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 169-185;
- ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 221-279;
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 199-220.

დამატებითი ლიტერატურა:

- ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 498-512.
- ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 141-173;
- საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ ორგანული კანონი;
- აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ კანონი.

IX სემინარი - 90 წთ.

სემინარის თემა:

საკუთრების უფლება (მ. 21)

დროის განაწილება:

კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ - 15 წთ.
სადისკუსიო თემების განხილვა - 30 წთ.
კაზუსის ამოხსნა - 45 წთ.

1. **კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ** - სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ.

2. **სადისკუსიო თემების განხილვა:**

   2.1. რა არის კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი?
   2.2. რომელი ელემენტებია დაცული კონსტიტუციის 21-ე მუხლით?
   2.3. რა არის საკუთრების უფლების ობიექტი?
   2.4. რის საფუძველზეა შესაძლებელი საკუთრების უფლების შეზღუდვა?

დისკუსიის მიზანი: დისკუსიის მიზანია კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული სფეროს ცალკეული ელემენტების და შეზღუდვის საფუძვლების გააზრება.

პირველი სადისკუსიო კითხვის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს საკუთრების უფლების, როგორც თანამედროვე სამართლებრივი წესრიგის მონაპოვარის და პიროვნების თვითრეალიზაციის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორის, მნიშვნელობა. კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკუთრების უფლება „ხელშეუვალია“. ამ ტერმინით გარანტირებულია სიცოცხლის, ღირსების, უსაფრთხოებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებები. კერძო საკუთრების უფლება საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, 21-ე მუხლის მეორე წინადადება „დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“, ემსახურება კერძო საკუთრების ინსტიტუტის გამყარებას, რომლის გარანტიასაც კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება შეიცავს. „საყოველთაო უფლების“ გაუქმებაზე საუბარი შესაძლოა იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს კანონმდებლის მიერ გამოხატული სახელმწიფოს პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც აუქმებს კერძო საკუთრებას, როგორც ადამიანთა თანაარსებობის ეკონომიკურ ბაზისს, დაუშვებლად აცხადებს საკუთრებასთან დაკავშირებული

ურთიერთობების სივრცეში ინდივიდის მოქმედების თავისუფლების სხვადასხვა სახით გამოვლენას. ასევე უნდა აღინიშნოს, კონსტიტუციის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების მიმართება ეკონომიკური თავისუფლების პრინციპთან.

მეორე სადისკუსიო კითხვის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს 21-ე მუხლით დაცული სფერო - აღნიშნული იცავს საკუთრების არსებულ უფლებას, მისი შეძენის, გასხვისებისა და მემკვიდრეობის უფლებებს. საკუთრების უფლების კანონიერებას განაპირობებს მისი კანონიერად შეძენის ფაქტი. ამასთან, კანონმდებლობა ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მესაკუთრეს ჰქონდეს თავისი საკუთრების დანიშნულებისამებრ გამოყენების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკუთრების შინაარსი მაშინაა გარანტირებული, როცა მესაკუთრეს შეუძლია საკუთრებაში მოაზრებული უფლებამოსილებების სრულყოფილად განხორციელება საკუთრების ობიექტის ფუნქციით განსაზღვრული ნების მიხედვით. უფლების დაცვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ისიც, რომ საკუთრების განკარგვა მესაკუთრის თავისუფლად გამოვლენილი ნების შედეგად ხდებოდეს.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, საკუთრების შეძენის უფლება ვრცელდება მხოლოდ მართლზომიერად შეძენილ ქონებაზე. ამასთან, საკუთრების შეძენაზე მატერიალურ-სამართლებრივად კონსტიტუციასთან შეუსაბამო შეზღუდვის დაწესებამ, შესაძლოა, საკუთრების უფლების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის ელემენტი ილუზორული გახადოს.

მემკვიდრეობის უფლება გულისხმობს როგორც პირის უფლებას, ანდერძის საფუძველზე განკარგოს საკუთარი ქონება, ასევე მემკვიდრის უფლებას, მიიღოს ეს ქონება. მემკვიდრეობის მიღების უფლება საკუთრების უფლების შეძენამდე მიმდინარე პროცესებს არეგულირებს და იცავს პირის უფლებას, გახდეს მესაკუთრე. საკონსტიტუციო სასამართლოს განსაზღვრული აქვს ამ უფლების დროითი მოქმედების მომენტი და მას მემკვიდრეზე საკუთრების უფლების გადასვლას უკავშირებს. მემკვიდრეობის მემკვიდრეზე გადასვლამდე მოქმედებს 21-ე მუხლის „მემკვიდრეობის უფლების“ ელემენტი, მემკვიდრეობის გადასვლის შემდეგ კი პირის ქონება საკუთრების უფლების თავისუფალი ფლობის და განკარგვის ელემენტითაა დაცული.

მესამე კითხვის შესახებ მსჯელობა შეეხება საკუთრების უფლების ობიექტს. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ხვდება არა მხოლოდ საგანი, არამედ ასევე სხვა სახის მატერიალური აქტივი, მაგალითად, აქცია, რამდენადაც ის აძლევს მესაკუთრეს საწარმოს მოგებიდან წილის მიღების უფლებას. ამდენად, აქცია არ არის სავარაუდოდ მისაღები, ვირტუალური შემოსავალი. 21-ე მუხლით ასევე დაცულია „საპრივატიზაციო ბარათები“ და შპს-ს კაპიტალის წილი. 21-ე მუხლით დაცულია მიუღებელი შემოსავალი და მოთხოვნის უფლება. პენსიის გაუქმებისა და შემცირების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული საკითხი უკავშირდება არა კონსტიტუციის 21-ე მუხლს, არამედ სოციალურ უფლებებს, თუმცა, ასევე აღნიშნა, რომ საპენსიო უზრუნველყოფის ეკონომიკური

ხასიათიდან გამომდინარე, სოციალური უფლებების ხელყოფისას, რიგ შემთხვევებში, შეიძლება გავრცელდეს 21-ე მუხლიც. ამასთან, სასამართლოს განმარტების თანახმად, საკუთრებას შეადგენს როგორც დაბეგვრამდე, ასევე დაბეგვრის შემდეგ მიღებული შემოსავალი.

მეოთხე სადისკუსიო კითხვის შესახებ მსჯელობა შეეხება საკუთრების უფლებაში ჩარევის საფუძვლებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, 21-ე მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ ამავე მუხლის დადგენილი წესის თანახმად, რაც ნიშნავს, რომ მესაკუთრეს მინიჭებული აქვს უფლების დაცვის სამართლებრივი შესაძლებლობა, ამასთან, ეს წესი გულისხმობს საკუთრების დაცვას ისეთი ხელყოფისგან, რომელიც არ თავსდება ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით დადგენილ ფარგლებში. სასამართლომ აღნიშნა, რომ 21-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს საკუთრების უფლებაში ჩარევის დამატებით კრიტერიუმს, რომელიც განსხვავდება მეორე და მესამე პუნქტებში განსაზღვრული შეზღუდვისა და ჩამორთმევისგან. კერძოდ, ერთმანეთისგან განასხვავებს, ერთი მხრივ, საკუთრების და მასთან დაკავშირებული უფლებების, როგორც კონსტიტუციური დაცვის ობიექტის შეზღუდვასა და ჩამორთმევას, რაც მეორე და მესამე პუნქტებით არის გათვალისწინებული, მეორე მხრივ კი სახლმწიფოს უფლებას, შექმნას და გამოიყენოს ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც, საერთო ინტერესების შესაბამისად, უზრუნველყოფენ საკუთრებით უფლებით სარგებლობას, როდესაც საზოგადოებრივი მოთხოვნილების აუცილებელი დაკმაყოფილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირის საკუთრების უფლება.

სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრების უფლების ჩამორთმევა შესაძლოა განხორციელდეს როგორც საკუთრების შეზღუდვის (მე-2 პუნქტი), ასევე ჩამორთმევის (მე-3 პუნქტი) გზით. ამ დროს გათვალისწინებული იქნება უფლებაში ჩარევის მიზანი, შინაარსი და ფორმა. საკუთრების უფლების შეზღუდვასა და ჩამორთმევასთან დაკავშირებით სასამართლომ ასევე განმარტა, რომ 21-ე მუხლის მესამე პუნქტით დარეგულირებულია „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით და „საზოგადოებრივი საჭიროების გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი შემთხვევები. ამ ცნებაში ვერ თავსდება ნებისმიერი შემთხვევა, როდესაც პირის საკუთრების უფლება იკარგება კონკრეტულ ობიექტზე; აღნიშნული კანონები განსაზღვრავენ საკუთრების უფლების ჩამორთმევის *ultra vires* ამომწურავ შემთხვევებს. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ 21–ე მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული რეგულირება წარმოადგენს ერთჯერად, ინდივიდუალურ და მიზანმიმართულ ქმედებას სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული პირის საკუთრების ჩამოსართმევად. ხოლო კონსტიტუციის 21–ე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული წესი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი საკუთრების უფლებით სარგებლობის ზოგად ფარგლებს, მესაკუთრეთა გარკვეულ ვალდებულებებს და საკუთრების ისეთი პირობებით შეზღუდვას, რომელიც გარკვეულ პირობებში კონკრეტული საზოგადოებრივი საჭიროების მიღწევას

ისახავს მიზნად. 21-ე მუხლის მესამე პუნქტით დადგენილი პროცედურა გულისხმობს სავალდებულო ფულად კომპენსაციას, მაშინ, როდესაც საკუთრების შეზღუდვა ამას არ მოითხოვს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფულადი კომპენსაციის ანაზღაურება შეიძლება საჭირო გახდეს, თუ აუცილებელია კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსება, რათა კანონმდებელს არ მოუხდეს არჩევანის გაკეთება საზოგადოებრივ საჭიროებასა და მესაკუთრის ინტერესებს შორის.

მეთოდი:

სემინარის ხელმძღვანელი დისკუსიას წარმართავს „სოკრატეს მეთოდით". სემინარის ხელმძღვანელი ჯგუფს უსვამს კითხვას სადისკუსიო თემის შესახებ. მსჯელობის პროცესში, ლექტორის ხელმძღვანელობით, სტუდენტები მიდიან სწორ დასკვნამდე.

ჯგუფისთვის დასმული სავარაუდო კითხვები:

- რატომ არ არის საკუთრების უფლება გარანტირებული გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით ?
- ვრცელდება თუ არა 21-ე მუხლი ქონებაზე, რომელიც პირს ჯერ არ შეუძენია?
- წარმოადგენს თუ არა ქონებას არამატერიალურ ქონება?
- როგორ შიძლება შეიძლება მოხდეს საკუთრების უფლებაში ჩარევა?
- რომელ შემთხვევებში შეიძლება ქონებით სარგებლობის შეზღუდვა ანდა მისი ჩამორთმევა?
- რა პირობით არის დასაშვები ქონებით სარგებლობის შეზღუდვა ანდა მისი ჩამორთმევა?
- მოიცავს თუ არა საკუთრების უფლებით დაცული სფერო მემკვიდრეობის უფლებას?

3. საცდელი კაზუსის ამოხსნა

განსახილველი საკითხის მიზანი: სტუდენტები ვარჯიშობენ თავისუფლების უფლებების ტესტის პრაქტიკაში გამოყენებაზე.

მეთოდი: სტუდენტები დამოუკიდებლად ხსნიან კაზუსს, იღებენ შენიშვნებს და რჩევებს, თუმცა, საცდელ კაზუსში მიღებული ქულა შეფასებაში არ აისახება.

საცდელი კაზუსი

ოთარი არის ბენზინ გასამართი სადგურის მფლობელი. ოთარმა სადგური 4 წლის წინ იყიდა ძველი მფლობელისგან, რომელიც სადგურს არ იყენებდა. დანადგარები შეაკეთა, შეისყიდა ახალი ტექნიკა, დაიქირავა 3 ოპერატორი და მუშაობას შეუდგა. ის თავადაც ხშირად მიდიოდა ადგილზე და მუშაობის პროცესს აკონტროლებდა.

ოთარი ბენზინს და დიზელს სხვადასხვა კომპანიიდან ყიდულობს. მას მხოლოდ ერთი სადგური აქვს, თუმცა, ვინაიდან ის ქალაქის გასასვლელში არის განთავსებული, საკმაოდ ბევრი მომხმარებელი ჰყავს. კარგი ადგილმდებარეობის გარდა, ოთარის სადგური ასევე ცნობილია იმ ფაქტით, რომ იქ კარგი ხარისხის ბენზინი იყიდება და მომხმარებელს საწვავის რაოდენობას არ ატყუებენ.

ერთხელაც ოთარმა შენიშნა, რომ მისი ბენზინ გასამართი სადგურის მომხმარებელი შემცირდა, თუმცა, მიზეზი ვერ დაადგინა. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ოთარი სადგურთან ჩვეული გზით მიდიოდა და სავალი გზის მარჯვენა მხრიდან მარცხნივ - სადგურის მხარეს გადავიდა, საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ის შეაჩერა და უწყვეტი ხაზის გადაკვეთისთვის ჯარიმა გამოუწერა. ოთარი აღშფოთდა და პოლიციელს უთხრა, რომ წლებია, რაც ის ასე დადის სამსახურში, თუმცა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის არასოდეს დაუჯარიმებიათ. საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა მას განუმარტა, რომ დაახლოებით 10 დღის წინ ამ ადგილას საგზაო მოძრაობის წესები შეიცვალა, წყვეტილი ხაზის ნაცვლად დაიხაზა უწყვეტი ხაზი, რომლის გადაკვეთაც აკრძალულია, აღნიშნული ცვლილება კი გამოწვეული იყო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფით.

ოთარმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა საჩივრით, რომლის თანახმად, მისი ბენზინ გასამართი სადგური პრაქტიკულად ვეღარ იმუშავებდა, რადგან მასთან მოსახვედრად მძღოლს კანონის დარღვევა მოუწევდა. სამინისტროს საპასუხო წერილის მიხედვით, ასეთი ცვლილება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გარანტირებით იყო განპირობებული.

ოთარი დავობს, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და 21-ე მუხლები.

X ლექცია - 90 წთ.

ლექციის თემა:

ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება (მ. 18)

დროის განაწილება:

შუალედური გამოცდის შედეგების განხილვა - 15 წთ.
სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა - 55 წთ.
სტუდენტების კითხვები - 15 წთ.
დავალება - 5 წთ.

1. **შუალედური გამოცდის შედეგების განხილვა**

ლექტორი სტუდენტებთან ერთად განიხილავს შუალედური გამოცდის საკითხებს, ამახვილებს ყურადღებას მთავარ თემებზე, აანალიზებს შედეგებს და მიუთითებს სტუდენტებს დაშვებულ ტიპურ შეცდომებზე.

2. **სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა**

ლექტორი წარადგენს სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხს. მე-10 ლექციაზე განიხილება ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება.

სლაიდი 1:

კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სემინარის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
ლექციის თემატიკა
სასწავლო წელი და სემესტრი
უნივერსიტეტის დასახელება

სლაიდი 2:

მუხლი 18
1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.
2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.
3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის

მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
4. ამოღებულია.
5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.
6. ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.
7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

სლაიდი 3:

მე-18 მუხლის პირველი პუნქტი:

- ეს მუხლი იცავს ადამიანის უფლებას, თავისუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე;
- ადამიანის თავისუფლების უფლება არის მისი გადაადგილების თავისუფლება ვიწრო გაგებით. თუმცა, განსხვავებით გადაადგილების თავისუფლებისგან, ამ შემთხვევაში ადამიანის თავისუფლება ზოგადად არის შეზღუდული;
- ადამიანს არ შეუძლია, უარი განაცხადოს თავისუფლების უფლებით სარგებლობაზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის, დაკავების ან დაპატიმრების მიზნით, საკუთარი ნებით ჩაბარდება სახელმწიფო ორგანოებს.

სლაიდი 4:

მე-18 მუხლის პირველი პუნქტი:

- ამ ნორმით დაცულ სფეროში ექცევა: დაკავება, დაპატიმრება, თავისუფლების აღკვეთა;
- თავისუფლების უფლება ვრცელდება როგორც სისხლის-სამართლებრივ, ისე ადმინისტრაციულ-სამართებრივზე პროცედურებზე.

სლაიდი 5:

მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი:

- ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ეს არის ე.წ. ,,საკანონმდებლო დათქმა“, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული

საკითხის მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული აქტით;

- ადამიანის დაკავება დასაშვებია საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებისათვის უფლებამოსილი პირების კონკრეტული და ამომწურავი ჩამონათვალი აუცილებლად უნდა იქნეს განსაზღვრული საკანონმდებლო აქტით;
- პირი დაკავებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც დაკავებისათვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე შეუზღუდავს ადამიანს თავისუფლებას.

სლაიდი 6:

იმისათვის რომ ,,დაკავებამ'' დააკმაყოფილოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი:

- დანაშაული მომხდარი უნდა იყოს;
- დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის თავისუფლების აღკვეთის მიზანს მისი „უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს“ წინაშე წარდგენა უნდა შეადგენდეს;
- დაკავებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ეჭვი „გონივრული უნდა იყოს“.

სლაიდი 7:

კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი:

- დაკავებულს უფლებები უნდა განემარტოს დაკავებისთანავე, მოთხოვნა დამცველის დახმარებაზე უნდა დაკმაყოფილდეს დაკავების მომენტიდან;
- დაკავებულ ეჭვმიტანილს დამცველის დახმარება ესაჭიროება არა მარტო დაკითხვამზეე, არამედ დაკავების მომენტიდან, მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად და მისთვის კვალიფიცირებული იურიდიული დახმარების გასაწევად;
- თუკი დადგენილ ვადაში დამცველი არ ცხადდება, აუცილებელია პირისათვის დამცველის დანიშვნის შეთავაზება ან შერჩეული დამცველის მოსვლამდე დაკავებულისათვის საკუთარი თავის დაცვის შესაძლებლობის მიცემა;
- არაკონსტიტუციურია დაკავებულისათვის დამცველთან პირისპირ შეხვედრის დროის ბლანეტური შეზღუდვა. შეზღუდვის ხანგრძლივობა და რაოდენობა უნდა იყოს გონივრული;
- დაცვის მხარეს უნდა მიეცეს გონივრული, საკმარისი დრო და შესაძლებლობა განახორციელოს სრულფასოვანი დაცვა, რაც გულისხმობს ისეთ დროს და შესაძლებლობას, რომელიც, სისხლის სამართლის ყოველი

კონკრეტული საქმის სირთულიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს მისცემდა სრულფასოვანი მომზადების შესაძლებლობას.

სლაიდი 8:

კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი:

- ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც პირს პირდაპირ თუ არაპირდაპირ 9 თვეზე მეტ ხანს ამყოფებს წინასწარ პატიმრობაში, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას;
- წინასწარი დაკავების ვადა ჩაითვლება 9 თვიან პერიოდში;
- რამდენიმე ბრალდების შემთხვევაში პირს წინაწარი პატიმრობა პარალელურად შეეფარდება. დაუშვებელია ბრალდების წარდგენის ხელოვნურად გაჭიანურება წინასწარი პატიმრობის ახალი ვადის ათვლის დაწყების მიზნით.

სლაიდი 9:

კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი:

- უკანონო დაპატიმრების გამო ინდივიდს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს არა მარტო მაშინ, როცა ირღვევა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნები, არამედ მაშინაც, როცა პატიმრობა გამოწვეულია სხვა რომელიმე კანონით მინიჭებული უფლების დარღვევით;
- ფიზიკური ზიანის წარმომშობი რეჟიმის დარღვევა, არ არის უკანონო პატიმრობისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ერთადერთი საფუძველი. ინდივივიდს უფლება აქვს, კომპენსაცია მოითხოვოს უკანონო პატიმრობასთან მიზეზობრივ კავშირში მყოფი ნებისმიერი ზიანისათვის;
- კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის პირველ წინადადებას გააჩნია მეორე წინადადებისაგან დამოუკიდებელი მოქმედების არეალი;
- კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი გამოიყენება 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან კავშირში უკანონო პატიმრობის კომპენსაციის საქმეებთან დაკავშირებით, რათა სრულად მოხდეს ზიანის კომპენსაცია.

სლაიდი 10:

კონსტიტუციის მე18 და 22-ე მუხლების გამიჯვნა:

- 22-ე მუხლის შემთხვევაში გადაადგილება შეზღუდულია კონკრეტულ სივრცეში, რაც გამონაკლისია;
- მე-18 მუხლის შემთხევაში გადაადგილება დაშვებულია კონკრეტულ სივრცეში, რაც გამონაკლისია.

3. სტუდენტების კითხვები

სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს მოსმენილი ლექციის შესახებ. გამოხატავენ საკუთარ აზრს და აფიქსირებენ პოზიციას.

4. დავალება

ლექტორი სტუდენტებს აძლევს დავალებას: თითოეული სტუდენტი ვალდებულია მომდევნო ლექციისთვის მოამზადოს ერთი კითხვა მაინც, რომელიც მას სასწავლო მასალის დამუშავების დროს გაუჩნდება.

ლექტორი სტუდენტებს აძლევს საკითხავ მასალას:

სავალდებულო ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი;
- კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 133-136;
- ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 102-157;
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 128-153.

დამატებითი ლიტერატურა:

- ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 285-315.
- ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 96-109;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

X სემინარი - 90 წთ.

სემინარის თემა:

ფიზიკური ხელშეუხებლობის თავისუფლება (მ. 18)

დროის განაწილება:

კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ - 15 წთ.
სადისკუსიო თემების განხილვა - 30 წთ.
კაზუსის ამოხსნა - 45 წთ.

1. **კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ** - სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ.

2. **სადისკუსიო თემების განხილვა:**

   2.1. რას მოიცავს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო?
   2.2. თავისუფლების უფლების გამიჯვნა გადაადგილების თავისუფლებისგან;
   2.3. რა ფორმით და რა შემთხვევებშია დასაშვები თავისუფლების უფლების შეზღუდვა?
   2.4. რომელი პროცესუალური უფლებებია გარანტირებული მე-18 მუხლით?

დისკუსიის მიზანი: დისკუსიის მიზანია კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცული სფეროს და შეზღუდვის საფუძვლების გააზრება.

პირველი სადისკუსიო კითხვის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო, რომელიც პირის თავისუფლებას იცავს. ამ მუხლით დაცულია თავისუფლების უფლების როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივი ასპექტები. თავად *თავისუფლების* ქვეშ მოიაზრება ადამიანის უფლება, თავისი ნების შესაბამისად, თავისუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე. მე-18 მუხლის პირველ პუნქტში ხვდება თავისუფლების უფლების შეზღუდვის ყველა ფორმა, რომელზეც სხვა პუნქტებშია საუბარი - დაკავება, დაპატიმრება, თავისუფლების აღკვეთა, იმის მიუხედავად, აღნიშნული ურთიერთობა ექცევა სისხლის სამართლის თუ ადმინისტრაციული სამართლის მოქმედების ქვეშ. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ირღვევა ამავე მუხლის მე-3 (დაცვის უფლება) პუნქტთან და 42-ე მუხლთან (სასამართლოსთვის მიმართვის და გასაჩივრების უფლება) ერთობლიობაში, როდესაც პირს არ შეუძლია, გადაამოწმოს მისი დაკავების ან დაპატიმრების კანონიერება და მართლზომიერება და, უკანონობის

შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს, ასევე, როდესაც დაკავებული მოკლებულია ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას.

მეორე სადისკუსიო კითხვის შესახებ მსჯელობა შეეხება თავისუფლების უფლების გამიჯვნას გადაადგილების თავისუფლებისაგან (კონსტიტუციის 22-ე მუხლი).

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თავისუფლების უფლებაში ჩარევა არის ვიწრო გაგებით გადაადგილების უფლების შეზღუდვა, თუმცა თავისუფლების უფლება განსხვავდება გადაადგილების თავისუფლებისაგან უფლების შეზღუდვის მაღალი ინტენსივობით და ხარისხით, რამდენადაც, გარდა თავისუფლების უფლების შეზღუდვისა, თავისუფლების აღკვეთისას პირს ასევე ეზღუდება გარესამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობა. როგორც სასამართლომ აღნიშნა, პიროვნების თავისუფლების აღკვეთით იზღუდება არა მხოლოდ მისი გადაადგილების თავისუფლება, არამედ ასევე მისი თავისუფალი ნება, ჰქონდეს და განავითაროს ურთიერთობები ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან. პირისთვის თავისუფლების აღკვეთა ავტომატურად ზღუდავს მის კავშირს გარე სამყაროსთან. თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის შეუძლებელია პირადი ცხოვრების უფლების შეუზღუდავად განხორციელება.

მესამე სადისკუსიო კითხვის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს მე-18 მუხლში ჩარევის ფორმები და საფუძვლები. კონსტიტუციით დაცული სხვა თავისუფლების უფლებებისგან განსხვავებით (რწმენის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება და სხვ.), მე-18 მუხლით გარანტირებულ უფლებაში ჩარევა ყოველთვის უფრო ინტენსიური და მძიმეა, ვინაიდან ამ უფლების შეზღუდვისას ადამიანი მოკლებულია ზოგიერთი სხვა უფლებების სრულყოფილად რეალიზაციის შესაძლებლობას. თავისუფლების უფლების შეზღუდვისას დაცული უნდა იყოს არა მარტო მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნები, არამედ ის პროცესუალური წესები, რომელიც მე-18 მუხლით არის გათვალისწინებული.

მე-18 მუხლის მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების თანახმად, თავისუფლების უფლებაში ჩარევა შესაძლებელიან პირისთვის თავისუფლების აღკვეთის, მისი დაკავების ან დაპატიმრების სახით. ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობის შეზღუდვა შესაძლებელია მართლმსაჯულების აღსრულების მიზნით. აღნიშნულ ორ სიკეთეს შორის არჩევანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე უნდა გაკეთდეს. პირის დაკავება კონსტიტუციასთან შესაბამისი იქნება, თუ დაკავების განმახორციელებელი პირი დაასაბუთებს, რომ არსებობს სავარაუდო დანაშაული და გონივრული ეჭვი, რაც დაკავებას წინ უნდა უსწრებდეს. ამ წინაპირობების არარსებობა გამორიცხავს მართლმსაჯულების განხორციელების ლეგიტიმურ მიზანს.

მეოთხე სადისკუსიო კითხვის შესახებ მსჯელობა შეეხება მე-18 მუხლით გარანტირებულ პროცესუალურ უფლებებს, რომელიც აბსოლუტურ უფლებებს წარმოადგენს. მე-18 მუხლის მე-2 მუხლის თანახმად, აუცილებელია, რომ თავისუფლების აღკვეთის მიზანშეწონილობა დადასტურდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, როგორც შინაარსობრივი, ასევე პროცედურული კუთხით.

საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა ტერმინზე „გადაწყვეტილება“ და მიიჩნია, რომ იგი ფართოდ უნდა განიმარტოს და მასში, მაგალითად, მოიაზრება მოსამართლის ან სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გამოტანილი განკარგულება, რომლის საფუძველზეც, სასამართლოს მიმართ გამოვლენილი აშკარა და უხეში უპატივცემულობისთვის პირს პატიმრობა ეფარდება. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა, რომ გადამწყვეტია არა აქტის დასახელება, არამედ ის გარემოება, რომ პირს თავისუფლების აღკვეთა სამართლიანი სასამართლოს პირობების დაცვით შეეფარდოს.

ამასთან, მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს დაკავებისას რიგ პროცესუალურ გარანტიებს, „*Habeas corpus*“ - დაკავების კანონით გათვალისწინებული შემთხვევა, დაკავების განხორციელება საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ, განსჯადი სასამართლო და დაკავების ვადა. თავის მხრივ, კანონმდებლობა ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლებით არის შეზღუდული, რაც გულისხმობს, რომ დაკავება დასაშვები უნდა იყოს უკვე მომხდარი დანაშაულის შემდეგ, დაკავებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს და დაკავების მიზანს პირის უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენა უნდა წარმოადგენდეს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირი დაკავებულად ითვლება და, შესაბამისად, საპროცესო უფლებები წარმოიშობა, როდესაც დაკავებისთვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე, ფაქტობრივად შეუზღუდავს ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებას და არა პირის პოლიციის განყოფილებაში მიყვანის ან ოქმის შედგენის მომენტიდან.

18-ე მუხლის მე-5 პუნქტი ორ პროცესუალურ უფლებას უზრუნველყოფს - პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებების და თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლის შესახებ და მან უნდა შეძლოს, ისარგებლოს დამცველის დახმარებით. „უფლებებში“ იგულისხმება პირის დუმილის უფლება, უფლება არ დაიბრალოს დანაშაული, ისარგებლოს დამცველის დახმარებით. დამცველით სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას სასამართლო ასევე იყენებს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომლითაც ასევე დაცვის უფლებაა გარანტირებული. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი მოიცავს არამარტო სასურველ ადვოკატზე ხელმისაწვდომობას, არამედ ასევე გაწეული იურიდიული დახმარების კვალიფიციურობას. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ, მართლია, მე-5 პუნქტის მეორე წინადადება არ ადგენს დამცველის საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაშვების კონკრეტულ ვადას, მაგრამ აღნიშნული დებულების არსიდან გამომდინარე, დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მოთხოვნა დამცველის დახმარების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ, მაქსიმალურად გონივრულ დროში.

მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის განსაზღვრავს ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახის - წინასწარი პატიმრობის მაქსიმალურ ვადას - 9

თვეს. დაკავების პერიოდი ჩაითვლება წინასწარი პატიმრობის ვადაში. ტერმინს „ბრალდებულის“ ხსენებით, ეს პუნქტი აკონკრეტებს უფლების სუბიექტს. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ბრალდებულის დაპატიმრება თანაბრად უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას თითოეულ ბრალდებასთან მიმართებით. შესაბამისად, თითოეული სისხლის სამართლის საქმეზე პატიმრობის 9 თვიანი ზღვრული ვადის გამოთვლისას ამ ვადაში უნდა ჩაითვალოს ის პერიოდი, რომელიც პირმა ბრალდების შემდეგ პატიმრობაში გაატარა მის მიმართ წარმოებული სხვა საქმის ფარგლებში. ამასთან, ბრალდებულისთვის წინასწარი პატიმრობის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდება უნდა ემსახურებოდეს რომელიმე ლეგიტიმურ მიზანს და უნდა იყოს მიზნის მიღწევის ყველაზე მსუბუქი საშუალება.

მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი ორ დამოუკიდებელ წესს შეიცავს. ამ მუხლის მეორე წინადადება, რომლის თანახმად, უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს კომპენსაციის მიღების უფლება აქვს, უკავშირდება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტს და წარმოადგენს სპეციალურ ნორმას.

მეთოდი:

სემინარის ხელმძღვანელი დისკუსიას წარმართავს „სოკრატეს მეთოდით“. სემინარის ხელმძღვანელი ჯგუფს უსვამს კითხვას სადისკუსიო თემის შესახებ. მსჯელობის პროცესში, ლექტორის ხელმძღვანელობით, სტუდენტები მიდიან სწორ დასკვნამდე.

ჯგუფისთვის დასმული სავარაუდო კითხვები:

- სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ პირის ქუჩაში შეჩერება ხვდება თუ არა მე-18 მუხლით დაცულ სფეროში?
- არის თუ არა საკმარისი, რომ თავისუფლების შეზღუდვა შეესაბამებოდეს მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს (ლეგიტიმური მიზნის არსებობა, პროპორციულობა)?
- წარმოადგენს თუ არა მე-18 მუხლით დადგენილი ვადების უმნიშვნელო, ლეგიტიმური მიზნის მიღწევისკენ მიმართული დარღვევა თავისუფლების უფლებაში ჩარევის უკანონოდ ცნობის საფუძველს?
- შესაძლებელია თუ არა პირს ცხრათვიანი წინასწარი პატიმრობა თითოეულ ბრალდებასთან მიმართებით ინდივიდუალურად შეეფარდოს?
- რომელი საპროცესო უფლებებით სარგებლობს პირი თავისუფლების შეზღუდვისას?
- რომელი უფლებებით სარგებლობს პირი, თუ დადგინდება, რომ მას უკანონოდ შეეზღუდა თავისუფლება?

3. სტუდენტები ხსნიან კაზუსს, რომელიც შეფასდება 5 ქულით

კაზუსი #3

გიორგი კარდიოლოგია. მას მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება აქვს და ერთ-ერთ კვალიფიციურ ექიმად მიიჩნევა. 5 წლის წინ მან გახსნა საკუთარი კლინიკა

„კარდია“, სადაც ასევე გამოცდილი ექიმები მიიწვია სამუშაოდ. მის კლინიკაში სულ 10 კარდიოლოგი და სხვა პროფილის ექიმი მუშაობს. ვინაიდან გიორგი ძალიან ცნობილი ექიმია, ამასთან, „კარდიაში“ ხელმისაწვდომია თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგია, მის კლინიკაში დღეში დაახლოებით 3-4 სხვადასხვა სახის ოპერაცია ტარდება.

გიორგისთან კონსულტაციის მიღების და გამოკვლევების ჩატარების მიზნით მივიდა ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი, პაატა. პაატას თქმით, ბოლო დროს მას ხშირად აწუხებდა გული, თუმცა, დროის უქონლობის გამო, ექიმთან მისვლა აქამდე ვერ მოახერხა. შესაბამისი გამოკვლევების ჩატარების შემდეგ გიორგიმ პაატას უთხრა, რომ გაეკეთებინა კორონალური შუნტირება, რაც აუცილებელი იყო გულის არტერიებში სისხლის მიმოქცევის აღსადგენად. გიორგიმ მას ურჩია, რომ ოპერაცია რაც შეიძლება სწრაფად გაეკეთებინა. პაატამ გადაწყვიტა, დაგეგმილი მივლინება გადაედო და ოპერაცია მომდევნო კვირაში ჩანიშნა.

ოპერაციის შემდეგ, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, პაატა თავს კარგად გრძნობდა, თუმცა, შემდეგ კვლავ შეუძლოდ იგრძნო თავი, რის გამოც გიორგისთან მივიდა. გიორგიმ მას ჩაუტარა გამოკვლევა და უთხრა, რომ ოპერაციის შემდგომ პერიოდში ასეთი შედეგი ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

პაატამ გადაწყვიტა, რომ მისი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია გერმანიის ერთ-ერთ კლინიკაში გაეგზავნა. პაატამ გერმანიიდან 2 კვირაში მიიღო პასუხი, რომლის თანახმად, მას კორონალური შუნტირების გაკეთება არ სჭირდებოდა. ეს დასკვნა პაატამ დაუყოვნებლივ წარადგინა პროკურატურაში და მოითხოვა, რომ გიორგის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულიყო.

გიორგი იმავე დღეს დააკავეს თავის კლინიკაში და შს სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს. დაკავებიდან 61 საათში გიორგი სასამართლოს წარუდგინეს. საქმის განმხილველმა მოსამართლემ გადაწყვეტილება დარბაზშივე მიიღო და პროკურატურის შუამდგომლობა, გიორგისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ, არ დააკმაყოფილა.

გიორგი დავობს, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-18 მუხლები.

XI ლექცია - 90 წთ.

ლექციის თემა:

უდანაშაულობის პრეზუმფცია (მ. 40)

დროის განაწილება:

სტუდენტების კითხვები განვილი მასალის გარშემო - 15 წთ.
სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა - 55 წთ.
სტუდენტების კითხვები - 15 წთ.
დავალება - 5 წთ.

1. **სტუდენტების კითხვები განვილი მასალის შესახებ**

სტუდენტები უსვამენ ლექტორს კითხვებს წინა ლექციაზე ახსნილი თემატიკის შესახებ.

2. **სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა**

ლექტორი წარადგენს სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხს. მე-11 ლექციაზე განიხილება უდანაშაულობის პრეზუმფცია.

სლაიდი 1:

კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სემინარის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
ლექციის თემატიკა
სასწავლო წელი და სემესტრი
უნივერსიტეტის დასახელება

სლაიდი 2:

მუხლი 40
1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.
2. არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.
3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ

უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

სლაიდი 3:

მე-40 მუხლით დაცული უფლების კომპონენტები:

- უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს მხოლოდ სისხლის სამართალში და იგი არ გამოიყენება სამოქალაქო საქმეებზე, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასა და დისციპლინარულ სამართალდარღვევებზე;
- ყველას უნდა მოექცნენ იმ დაშვებით, რომ ის უდანაშუალოა მანამ, სანამ ჯეროვანი პროცედურის გავლით, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით არ დამტკიცდება მისი დამნაშავეობა.

სლაიდი 4:

- მაღალი რანგის საჯარო მოხელეები, სასამართლო, პოლიციისა და ბრალდების ორგანოები ვალდებული არიან, თავი შეიკავონ სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას პირის მიმართ ყოველგვარი წინასწარ დამადანაშაულებელი გამონათქვამებისაგან;
- მეორე მხრივ, ისინი აკმაყოფილებენ ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს ინფორმაციის მიწოდების თაობაზე, როცა იძლევიან ინფორმაციას მიმდინარე პროცესების შესახებ;
- საკითხი იმის შესახებ, დაირღვა თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფცია, ხშირად დამოკიდებულია გამოხატვის დროს სიტყვათა შერჩევასა და კონტექსტზე.

სლაიდი 5:

მე-40 მუხლით დაცული უფლების კომპონენტები:

- მშობლისთვის არასრულწლოვანი შვილის მსჯავრდების შემთხვევაში ჯარიმის გადახდის დაკისრება;
- უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა - მტკიცების ტვირთის დაკისრების გავლენა უდანაშაულობის პრეზუმფციაზე;
- უტყუარი მტკიცებულებების სტანდარტი და ირიბი ჩვენების გამოყენების დასაშვები შემთხვევები.

სლაიდი 6:

მე-40 მუხლის სუბიექტია ყველა ფიზიკური და ირიდიული პირი.

3. სტუდენტების კითხვები

სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს მოსმენილი ლექციის შესახებ, გამოხატავენ საკუთარ აზრს და აფიქსირებენ პოზიციას.

ლექტორი სტუდენტებს აძლევს საკითხავ მასალას:

სავალდებულო ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი;
- ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 553-565;
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 486-496;

დამატებითი ლიტერატურა:

- ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 369-374.
- ლევან იზორია, კონსტანტინეკორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 351;

XI სემინარი - 90 წთ.

სემინარის თემა:

უდანაშაულობის პრეზუმფცია (მ. 40)

დროის განაწილება:

კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ - 15 წთ.
სადისკუსიო თემების განხილვა - 30 წთ.
კაზუსის ამოხსნა - 45 წთ.

1. **კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ** - სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ.

2. **სადისკუსიო თემების განხილვა:**

   2.1. რას გულისხმობს უდანაშაულობის პრეზუმფცია? ვინ არის უფლების სუბიექტი?
   2.2. რა შემთხვევებში შეიძლება გამოვლინდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა?
   2.3. რას გულისხმობს უტყუარი მტკიცებულებების სტანდარტი?

დისკუსიის მიზანი: დისკუსიის მიზანია კონსტიტუციის მე-40 მუხლით დაცული სფეროს და მისი აბსოლუტური ხასიათის გააზრება.

პირველი კითხვის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს მე-40 მუხლით დაცულ სუბიექტთა წრე და უდანაშაულობის პრეზუმფციის არსი. ეს მუხლი ჩამოთვლის რამდენიმე საპროცესო უფლებას და მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესს ეხება. სისხლის სამართლის სხვა საპროცესო უფლებები კონსტიტუციის 42-ე მუხლით არის გარანტირებული.

სისხლის სამართლის საპროცესო უფლებების მოქმედება პირისთვის ბრალის წაყენებისთანავე იწყება და, შესაბამისად, ამ მუხლის სუბიექტი არის ბრალდებული, ვიდრე სასამართლო მის მიმართ გამამართლებელ ან გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს ან გამოძიება არ შეწყდება (ან დაკავებული პირი, თუ, კანონმდებლობის თანახმად, დაკავება პირს ბრალდებულის სტატუსს ავტომატურად არ ანიჭებს). სუბიექტი ასევე შეიძლება იყოს იურიდიული პირი.

მე-40 მუხლი პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის გარანტიას წარმოადგენს და აბსოლუტური უფლებაა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია პირის დამნაშავედ მიჩნევის პირობები. სასამართლომ განსაზღვრა ამ პუნქტის შეფასების ტესტი და მიუთითა, იმის დასადგენად, დაირღვა თუ არა მე-40 მუხლის პირველი პუნქტი, პირველ რიგში,

გასარკვევია, ეხება თუ არა საქმე ადამიანის ბრალეულ პირად, დამნაშავედ აღიარებას. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, ნორმა არ არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, თუ საქმე სისხლის სამართალწარმოების წესით არ განიხილება.

მეორე სადისკუსიო კითხვა შეეხება შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვეს. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ მოსამართლეებმა საქმის განხილვა არ უნდა დაიწყონ წინასწარჩამოყალიბებული შეხედულებით, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა. ასევე, ამ პრინციპის თანახმად, მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. უდანაშაულობის პრეზუმფცია ასევე დაირღვევა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს ბრალის დადგენის გარეშე გამოიტანს. უდანაშაულობის პრეზუმფციასთან არის ასევე დაკავშირებული ადამიანის უფლება არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, თუმცა ეს პროცედურული ასპექტი პირდაპირ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტში არის ასახული.

უდანაშაულობის პრეზუმფცია შეიძლება ასევე დაირღვეს სისხლის სამართლწარმოებისას პირის ბრალეულობაზე მიმანიშნებელი საჯარო განცხადებებით. მსგავსი განცხადება გაკეთებული უნდა იყოს მაღალი თანამდებობის პირის მიერ - პოლიციელი, პროკურორი, მოსამართლე, პოლიტიკოსი. აღნიშნული არ გამორიცხავს საზოგადოებისთვის მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, თუმცა, ეს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გაკეთდეს, რათა არ დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფცია. განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს ასევე ბრალდების მხარის წარმომადგენელს, რომელიც, ერთი მხრივ, მოწოდებულია, რომ ბრალდებულის დანაშაულებრიობა ამტკიცოს, თუმცა, მეორე მხრივ, ვალდებულია, საჯარო განცხადებებისას პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია არ დაარღვიოს. ასევე, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვევა, თუ ბრალდებულს მოეპყრობიან როგორ მსჯავრდებულს, მაგალითად, სასამართლო სხდომის დარბაზში ამ უკანასკნელისთვის განკუთვნილი ტანსაცმლით გამოიყვანენ.

მესამე სადისკუსიო კითხვის მიზანია უტყუარი მტკიცებულებების სტანდარტის შესახებ მსჯელობა, რომელიც ასევე უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას უკავშირდება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს *in dubio pro reo*, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალდების საფუძველზე და პირის წინააღმდეგ განხორციელებული მართლმსაჯულების ღონისძიებების - ბრალდების და პასუხისმგებლობის დაკისრებას ადეკვატური სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფს. სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ პირის ბრალდება და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა არ მოხდა ისეთი მტკიცებულებების საფუძელზე, რომელთა ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს, ჩნდება პირის უსაფუძვლო და თვითნებური ბრალდების რისკი. სასამართლომ ასევე

მიუთითა, რომ ირიბი ჩვენება ზოგადად ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა და მისი გამოყენება შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და არა ზოგადი წესით.

მეთოდი:

სემინარის ხელმძღვანელი დისკუსიას წარმართავს „სოკრატეს მეთოდით". სემინარის ხელმძღვანელი ჯგუფს უსვამს კითხვას სადისკუსიო თემის შესახებ. მსჯელობის პროცესში, ლექტორის ხელმძღვანელობით, სტუდენტები მიდიან სწორ დასკვნამდე.

ჯგუფისთვის დასმული სავარაუდო კითხვები:

- ვის მიმართ შეიძლება დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფცია?
- შესაძლებელია თუ არა, საჯარო განცხადებით ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვიოს პირმა, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, თუმცა, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი არ არის?
- დასაშვებია თუ არა მტკიცებულებად იმ ჩვენების გამოყენება, რომლითაც მოწმე მესამე პირებისგან მოპოვებულ ინფორმაციას გადმოსცემს?
- არსებობს თუ არა ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გაამართლებს ჩარევას პირის უფლებაში, მიჩნეული იყოს უდანაშაულოდ, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება?
- მტკიცებულებების რა სტანდარტი არის საჭირო პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად?
- სხვა რა სახით შეიძლება მოეპყრან ბრალდებულს, როგორც მსჯავრდებულს?

3. საცდელი კაზუსის ამოხსნა

განსახილველი საკითხის მიზანი: სტუდენტები ვარჯიშობენ თავისუფლების უფლებების ტესტის პრაქტიკულ გამოყენებაზე.

მეთოდი: სტუდენტები დამოუკიდებლად ხსნიან კაზუსს, იღებენ შენიშვნებს და რჩევებს, თუმცა, საცდელ კაზუსში მიღებული ქულა შეფასებაში არ აისახება.

საცდელი კაზუსი:

ირაკლი შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრია. ის წელიწადნახევრის განმავლობაში იკავებდა მინისტრის თანამდებობას, ამ დროის განმავლობაში საზოგადოება და ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსები მის მიმართ ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, რადგან ირაკლის გადაწყვეტილებით არაერთი სოციალური პროგრამა გაუქმდა, ასევე, ზოგიერთი პროგრამით სარგებლობა შეეზღუდათ გარკვეულ ჯგუფებს. ირაკლი თავის გადაწყვეტილებებს ბიუჯეტის სიმწირით ხსნიდა.

საზოგადოებრივი გამოკითხვების მიხედვით, უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში მმართველი პოლიტიკური პარტიის რეიტინგი მნიშვნელოვნად დაეცა, წინა

გამოკითხვის შედეგებით უმრავლესობის წარმომადგენელ პოლიტიკურ პარტიას მხარს საზოგადოების 49% უჭერდა, ამასთან, ყველაზე სანდო პოლიტიკოსების სიაში მმართველი გუნდის 5 წევრი მოხვდა. ბოლო გამოკითხვის შედეგებმა კი აჩვენა, რომ საზოგადოების მხარდაჭერა უმრავლესობის გუნდის მიმართ 31%-მდე შემცირდა, სანდო პოლიტიკოსებს შორის კი მხოლოდ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მოხვდნენ.

მმართველმა პოლიტიკურმა გუნდმა გადაწყვიტა, რომ საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად აუცილებელი იყო საკადრო ცვლილებების განხორციელება. ამ მიზნით, პრემიერ-მინისტრმა, სხვა ცვლილებებთან ერთად, ირაკლიც გაათავისუფლა მინისტრის თანამდებობიდან.

ირაკლის გათავისუფლებიდან დაახლოებით 6 თვის შემდეგ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში ფინანსური შემოწმება ჩატარდა. შედეგად გამოვლინდა, რომ ირაკლის მინისტრობის პერიოდში სოციალური პროგრამებისთვის გამიზნული ბიუჯეტიდან 1 მილიონი ლარი ოფშორულ ზონაში იყო გადარიცხული. აღნიშნულ ფაქტზე დაიწყო გამოძიება და ირაკლი ბრალდებულად იქნა ცნობილი.

აღნიშნული ფაქტის მიმართ დიდი იყო საზოგადოებრივი ინტერესი. მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ რამდენიმე საპროტესტო აქცია გაიმართა, ადამიანები მათ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადის არამიზნობრივ ხარჯვას აპროტესტებდნენ.

მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიებას აქტიურად აშუქებდა მედიაც. მედიის საშუალებით, პოლიტიკოსები თუ საზოგადოებისთვის ცნობილი სხვა ადამიანები აფიქსირებდნენ აზრს ირაკლის საქმესთან დაკავშირებით. ერთხელაც, როდესაც პრემიერ-მინისტრი მთავრობის სხდომიდან გამოვიდა, ჟურნალისტებმა მას მოსაზრება ჰკითხეს ირაკლის საქმესთან დაკავშირებით. პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს უპასუხა, რომ ირაკლი სწორედ ბიუჯეტიდან მითვისებული თანხების გამო გაათავისუფლა მინისტრის თანამდებობიდან.

ირაკლი დავობს, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 და მე-40 მუხლები.

XII ლექცია - 90 წთ.

ლექციის თემა:

სამართლიანი სასამართლოს უფლება (მ. 42)

დროის განაწილებათითოეული ლექციისთვის:

სტუდენტების კითხვები განვილი მასალის გარშემო - 15 წთ.
სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა - 55 წთ.
სტუდენტების კითხვები - 15წთ.
დავალება - 5 წთ.

1. **სტუდენტების კითხვები განვილი მასალის შესახებ**

სტუდენტები უსვამენ ლექტორს კითხვებს წინა ლექციაზე ახსნილი თემატიკის შესახებ.

2. **სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა**

ლექტორი წარადგენს სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხს. მე-12 ლექციაზე განიხილება სამართლიანი სასამართლოს უფლება.

სლაიდი 1:

კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სემინარის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
ლექციის თემატიკა
სასწავლო წელი და სემესტრი
უნივერსიტეტის დასახელება

სლაიდი 2:

მუხლი 42:
1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.
2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.
3. დაცვის უფლება გარანტირებულია.
4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.
5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

6. ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს.
7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.
8. არავინ არ არის ვალდებული, მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.
9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება, შესაბამისად, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

სლაიდი 3:

სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მოიცავს პირის უფლებას:

- მიმართოს სასამართლოს (იგულისხმება როგორც საერთო, ისე საკონსტიტუციო სასამართლო);
- მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი საჯარო მოსმენა;
- გამოთქვას თავისი მოსაზრებები და დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით;
- სასამართლო განხილვა წარიმართოს გონივრულ, შემჭიდროებულ ვადებში;
- საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ;
- იდავოს მინიმუმ ორ ინსტანციაში;
- საქმეზე ზეპირი განხილვა სულ ცოტა პირველ ინსტანციაში.

სლაიდი 4:

კრიტერიუმები, რომელსაც ,,სასამართლო'' უნდა აკმაყოფილებდეს:

- სასამართლო უნდა იყოს ეფექტური;
- სასამართლოს უნდა იყოს შემქნილი კანონის საფუძველზე;
- სასამართლოს შემადგენლობა უნდა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს;
- სასამართლოსთვის კანონით დადგენილი უფლებამოსილებები (იურისდიქცია) უნდა იქნეს დაცული;
- საპროცესო ნორმებს უნდა არეგულირებდეს საკანონმდებლო აქტი.

სლაიდი 5:

,,სასამართლოს'' შესახებ მოთხოვნები წაეყენება შემდეგ ინსტიტუტებს:

- საერთო სასამართლოები;

- საკონსტიტუციო სასამართლო;
- საარბიტრაჟო სასამართლო და სხვ.

სლაიდი 6:

სასამართლოს დამოუკიდებლობას აქვს ორი მიმართულება:

1. დამოუკიდებლობა ხელისუფლების დანარჩენი ორი (საკანონმდებლო და აღმასრულებელი) შტოსაგან.
2. დამოუკიდებლობა სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეებისაგან.

სლაიდი 7:

მიუკერძებლობა ნიშნავს, რომ ცალკეულ, კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლე წინასწარ არ არის განწყობილი სასამართლო პროცესის მონაწილე ამა თუ იმ მხარის მხარდასაჭერად.

- „სუბიექტური" მიუკერძოებლობა;
- „ობიექტური" მიუკერძოებლობა.

სლაიდი 8:

სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, მხარეთა მონაწილეობით ჩაატაროს საქმისა და საჩივრის ზეპირი საჯარო განხილვა და სასამართლო გადაწყვეტილება საქვეყნოდ გამოაცხადოს.

თუ მაღალ სასამართლო ინსტანციას შემოწმების შეზღუდული უფლებამოსილებები აქვს, მაშინ არ არის აუცილებელი, რომ ამ მაღალ ინსტანციაში ხდებოდეს საქმის საჯაროდ განხილვა.

სლაიდი 9:

ყოველი ადამიანი აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის განხილვის უფლებით.

დროის შეფასების ოთხ კრიტერიუმს წარმოადგენს:

- შემთხვევის პერსონალური მნიშვნელობა მომჩივნისათვის;
- შემთხვევის სირთულე (ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით);
- მომჩივნის ქცევა;
- სახელმწიფო ორგანოების მიერ განხილვის გაჭიანურება.

სლაიდი 10:

სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის სფერო მოიცავს ოთხ ცალკეულ უფლებას, რომლებიც გარანტირებული უნდა იყოს კუმულაციურად:

1. პირის შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია იმ პროცესსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც მას ეხება.
2. შესაძლებლობა, გამოთქვას თავისი აზრი მტკიცებულებებსა და საპროცესო წესებზე.
3. მხარეთა კონფრონტაციული გამოსვლები სასამართლოს წინაშე უნდა იქნეს მოსმენილი და სასამართოს მიერ შეფასებული.
4. მხარეებს უნდა გადაეცეთ დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილება.

სლაიდი 11:

ბრალდებულს აქვს ინფორმაციის მიღების უფლება სამ საკითხთან მიმართებაში:

1. მის მიმართ გამოყენებადი საპროცესო სამართლის ნორმებზე (საპროცესო გარანტიებზე).
2. მის მიმართ წარდგენილი ბრალდების ფაქტობრივ გარემოებებზე (ბრალდების არსსა და საფუძველზე, დასჯადი ქმედების ჩადენის ადგილზე, დროსა და ობიექტზე).
3. ქმედების სამართლებრივ კვალიფიკაციაზე (მის მიმართ გამოყენებადი მატერიალური სამართლის ნორმებზე).

სლაიდი 12:

სამართლიანი სასამართლოს უფლების კომპონენტები:

- პროცესში უშუალო მონაწილეობა;
- მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა;
- დაცვის მომზადება;
- თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლება.

სლაიდი 13:

დაცვის უფლება:

- ხარისხობრივი (კვალიტატური);
- დროით (ტემპორალური);
- რაოდენობრივი (კვანტიფიკაციური);

- დაცვის უფლების განხორციელება პირადად;
- დაცვის უფლების განხორციელება ბრალდებულის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით;

- დაცვის უფლების განხორციელება უფასო საადვოკატო მომსახურების მეშვეობით;
- კვალიფიციური იურიდიული დახმარება - ლიცენზირება.

სლაიდი 14:

ერთი და იმავე ქმედებისათვის ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი დარღვეულია, თუ არსებობს ოთხი ელემენტი კუმულაციურად:

1. ახალი მსჯავრდების დროს სისხლის სამართლის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის არსებობა.
2. ახალი მსჯავრდება იგივე ქმედებისათვის.
3. კანონიერი ძალის მიუხედავად, ქმედებისათვის ხელახალი სისხლისსამართლებრივი დევნის ან მსჯავრდების განხორციელება იმავე სახელმწიფოში.
4. პროცესის განახლების ახლად გამოვლენილი გარემოების არარსებობა.

სლაიდი 15:

არ არსებობს პასუხისმგებლობა კანონის გარეშე.

ეს პრინციპი შეიცავს სამ საგარანტიო დებულებას:

- ქმედება მისი ჩადენის დროს უნდა წარმოადგენდეს სამართალდარღვევას და ითვალისწინებდეს სათანადო სანქციას;
- ნორმა უნდა იყოს განსაზღვრული;
- სამართალდამრღვევის საზიანოდ ქმედების შემადგენლობის უკუძალით გამოყენება აკრძალულია.

სლაიდი 16:

კანონის უკუძალის აკრძალვა:

- ნამდვილი უკუძალა;
- არანამდვლი უკუძალა.

სლაიდი 17:

- დუმილის უფლება და საკუთარი თავის თვითინკრიმინაციაზე უარი (nemo tenetur);
- გამოყენების სფერო შეეხება არა მარტო ჩვენების გამოძალვას, არამედ სხეულებრივი მტკიცებულებითი საგნების გაცემის იძულებასაც (მაგალითად, გადაყლაპული ნარკოტიკის პარკის ორგანიზმიდან ამოღებას) ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ;

- პრინციპი არ გამოიყენება, თუ საქმე ეხება მტკიცებულებებს, რომელთა არსებობა არ არის დამოკიდებული ბრალდებულის ნებაზე. ამ პრინციპის არსიდან გამომდინარე, სისხლის, სხეულის ქსოვილის ნაწილაკების იძულებითი აღება არ ექცევა მისი გამოყენების სფეროში;
- nemo tenetur-ის პრინციპიდან დასაშვებია გამონაკლისები, ე.ი. თვითმხილების იძულების ნებადართული შემთხვევები, თუ ამით ეს გარანტია არ ილახება არსობრივად. ამისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს შემდეგ კრიტერიუმებს:

  - გამოყენებული იძულების სახესა და ხარისხს;
  - შესაბამისი პროცესუალური გარანტიების არსებობას;
  - მოპოვებული მტკიცებულების გამოყენების მიზანს;
  - სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესის წონას.

სლაიდი 18:

სახელმწიფოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება შემდეგი 5 კუმულატიორი პირობის დაკმაყოფილების შემთხევაში:

- სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ადგილი უნდა ჰქონდეს უკანონო მოქმედების ფაქტს;
- პირს უნდა მიადგეს მატერიალური ზიანი;
- უკანონო ქმედებას და ზიანს შორის უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი;
- ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრულად;
- აბსოლუტური უფლება.

სლაიდი 19:

42-ე მუხლის სუბიექტია ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი.

3. სტუდენტების კითხვები

სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს მოსმენილი ლექციის შესახებ, გამოხატავენ საკუთარ აზრს და აფიქსირებენ პოზიციას.

ლექტორი სტუდენტებს აძლევს საკითხავ მასალას:

სავალდებულო ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი;
- კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 335-351;
- ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 591-696;

- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 513-568.

დამატებითი ლიტერატურა:

- ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 316-368.
- ლევანიზორია, კონსტანტინეკორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგიხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანისძირითადიუფლებანიდათავისუფლებანი, გვ. 362-391;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი;
- ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო კოდექსი.

XII სემინარი

სემინარის თემა:

სამართლიანი სასამართლოს უფლება (მ. 42)

დროის განაწილება - 180 წუთი:

კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ - 15 წთ.

სადისკუსიო თემების განხილვა - 30 წთ.

კაზუსის ამოხსნა - 45 წთ.

1. **კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ** - სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ.

2. **სადისკუსიო თემების განხილვა:**

   2.1. რას გულისხმობს 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება? ვინ არის უფლების სუბიექტი? რა შემთხვევებშია დაშვებული მისი შეზღუდვა?
   2.2. რა არის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის არსი?
   2.3. რა სახის პროცედურული გარანტიაა გათვალისწინებული 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით?რა შემთხვევებშია დაშვებული მისი შეზღუდვა?
   2.4. რას გულისხმობს 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით აღიარებული ორმაგი მსჯავრდების აკრძალვა?
   2.5. რას მოიცავს 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კანონიერების პრინციპი?
   2.6. რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს ბრალდებულის უფლება, მოითხოვოს სასურველი მოწმის გამოძახება და დაკითხვა?
   2.7. რა შემთხვევებში და როგორი მოცულობით ანაზღაურდება სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანი?

დისკუსიის მიზანი: დისკუსიის მიზანია კონსტიტუციის 42-ე მუხლით დაცული სფეროს და შეზღუდვის საფუძვლების გააზრება.

პირველი სადისკუსიო კითხვის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების არსი. 42-ე მუხლის პირველი პუნქტი მოიცავს სისხლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალწარმოებას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, 42-ე მუხლის პირველი პუნქტი არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის შესაძლებლობით, არამედ უზრუნველყოფს პირის სრულყოფილ დაცვას. ეს უფლება, პირველ რიგში, მოიაზრებს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ

გადაწყვეტილების/ქმედების და პროცესუალური დოკუმენტის სასამართლოში გასაჩივრებასა და სამართლებრივ შეფასებას, რომელიც, შესაძლოა, არღვევდეს ადამიანის უფლებებს. აღნიშნული გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილების ერთჯერადად გასაჩივრების უფლებასაც. სასამართლომ ასევე მიუთითა ის მინიმალური პროცედურული გარანტიები, რომელიც 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში ხვდება: პირის უფლება, მიმართოს სასამართლოს; უფლება საქმის საჯარო მოსმენაზე; პირის უფლება, გამოთქვას მოსაზრებები და დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით; სასამართლო განხილვა წარიმართოს გონივრულ, შემჭიდროებულ ვადებში; საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. სასამართლოს მიუკერძოებლობის შეფასებისას საკონსტიტუციო სასამართლომ განავითარა სუბიექტური და ობიექტური ტესტი. სუბიექტური ტესტი საქმის მიმართ მოსამართლის პირად დამოკიდებულებას და შეხედულებებს ასახავს, ზოგადად, მოსამართლე მიუკერძოებლად ითვლება, ვიდრე საპიროსპირო არ დამტკიცდება. ობიექტური ტესტი კი იმ ფაქტორებს მოიცავს, რომელმაც, მიუხედავად მოსამართლის ქცევისა და პირადი დამოკიდებულებისა, შეიძლება საკითხის გადაწყვეტაზე მოახდინოს გავლენა.

42-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ტერმინში „სასამართლო“ იგულისხმება საერთო სასამართლოები, საკონსტიტუციო სასამართლო და არბიტრაჟი. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ადამიანს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებული უფლებების უზრუნველყოფის მიზნით აქვს. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ინსტრუმენტალური გარანტიაა, რაც ნიშნავს, რომ ამ უფლების რეალიზაცია მოითხოვს იმ კონკრეტული უფლების არსებობას, რომლის დაცვაც განაპირობებს სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას - აუცილებელია, იყოს *prima facie* უფლება, რომლის სასამართლო წესით დაცვა სურს მოსარჩელეს.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს, თუკი მას საქართველოსთან გარკვეული იურიდიული კავშირი აქვს, იმის მიუხედავად, არის თუ არა იგი საქართველოს მოქალაქე ან ცხოვრობს თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე. ადამიანს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ უშუალოდ თავისი უფლებების დასაცავად, როდესაც თავად არის უფლების დარღვევის მსხვერპლი, უშუალოდ განიცადა ზიანი ან ზიანის მიღების საფრთხე უშუალოდ მისთვის არის რეალური. რამდენადაც 42-ე მუხლი სასამართლოსთვის *action popularis* და*in abstracto* სარჩელებით მიმართვას გამორიცხავს.

სასამართლოსთვის მიმართვის უფლება არ არის აბსოლუტური, თუმცა, მისი შეზღუდვა უნდა მოხდეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და თანაზომიერების პრინციპის დაცვით, იმგვარად, რომ არ ამცირებდეს პირისთვის ნებადართულ ხელმისაწვდომობას იმ ზღვრამდე, რომ თავად უფლების არსი შეილახოს. საკონსტიტუციო სასამართლომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვის შესახებ მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა მის ინსტრუმენტულობაზე და აღნიშნა, რომ ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია იმ

შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს უფლება, რომლის დაცვაც სასამართლოში უნდა განხორციელდეს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოსადმი მიმართვის სრული აკრძალვა დაუშვებელია, რაც უფრო მნიშვნელოვანია ინტერესი, რომლის დაცვაც პირს სასამართლოს მეშვეობით სურს, მით უფრო მკაცრი იქნება კრიტერიუმები, რომლებიც სასამართლოსადმი მიმართვის შეზღუდვის კონსტიტუციურობის შესაფასებლად გამოიყენება. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ ნეგატიურ კონტროლს ახორციელებს და მას არ აქვს საკანონმდებლო სიცარიელის ამოვსების კომპეტენცია. ამ უფლების შეზღუდვის მაგალითებია, პროცედურულ-სამართლებრივი წესების დადგენა - სასამართლო ბაჟი, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები, ასევე, ადმინისტრაციული ბარიერების დაწესება (მაგალითად, სასამართლოსთვის მიმართვამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების ვალდებულება), სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობების, გასაჩივრების საფუძვლების განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთი ვადების არარსებობის შემთხვევაში, კონფლიქტი ვერასოდეს გადაწყდებოდა, უფლება უსასრულოდ იქნებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არსებობაც ეჭვქვეშ დადგებოდა.

მეორე სადისკუსიოკითხვა შეეხებამსჯელობას კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესახებ, რომელიც ვრცელდება სისხლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალწარმოებაზე. ეს პუნქტი გულისხმობს საქმის განხილვას იმ ორგანოს მიერ, რომელიც *სასამართლოს* დეფინიციაში ხვდება. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუცია არ ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოების იურისდიქციის ფარგლებს და ექვემდებარება *იურისდიქციის* კანონით დადგენილ წესებს.

მესამე სადისკუსიო კითხვის მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცული სფერო. აღნიშნული უფლება ვრცელდება სისხლის, სამოქალაქო ადმინისტრაციულ და ასევე საკონსტიტუციო სამართალწარმოებაზე. სისხლის სამართალწარმოებისგან განსხვავებით, სამოქალაქო სამართალწარმოებისას ეს უფლება ვრცელდება, როდესაც წარმომადგენლის არყოლის გამო პირი მოკლებულია გასაჩივრების შესაძლებლობას. სასამართლოს განმარტებით, ეს პუნტი ფარავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით აღიარებულ გარანტიებს - ყოველ პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლება, მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი, ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა საკუთარი დაცვის მოსამზადებლად, დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან თუ არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ დაცვის უფლება მოიცავს როგორც საკუთარი თავის პირადად დაცვის, ასევე დამცველით უზრუნველყოფის შესაძლებლობას. პირადად დაცვის უფლება გულისხმობს პროცესზე დასწრების და საკუთარი პოზიციის წარმოდგენის შესაძლებლობას. სასამართლომ მიუთითა დაცვის უფლების აქცესორულ ხასიათზე - ეს უფლება წარმოიშობა, როდესაც შეიძლება პირს რაიმე სახის პასუხისმგებლობა დაეკისროს. სასამართლოს მითითებით, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტს, რომლის თანახმად, პირს დაკავებისთანავე აქვს უფლება ადვოკატზე, მოიცავს 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი, თუმცა ეს უკანასკნელი გაცილებით ფართოა. სასამართლოს ასევე განმარტა დაცვის უფლების ხარისხობრივი (კვალიტატიური), დროითი (ტემპორალური), რაოდენობრივი (კვანტიფიკაციური) ელემენტები, იმსჯელა ალტერნატიული დაცვის საკითხსა და ამ უფლების სუბიექტურ მხარეზე. კვალიტატიუტი ელემენტი გულისხმობს, რომ პირს აქვს კვალიფიციური იურიდისული დახმარების მიღების უფლება, რაც, მათ შორის, გამოიხატება დამცველთან შეხვედრაში, რომლის მაქსიმალური დრო არ უნდა იყოს კანონით ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული, არამედ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სირთულიდან უნდა გამომდინარეობდეს. ტემპორალური ელემენტის თანახმად, პირს, კონკრეტული საქმის გათვალისწინებით, გონივრული დრო უნდა ჰქონდეს სასურველი დამცველის შერჩევის, დაკავშირების, მისი მოწვევის, დამცველის გამოცხადების და დაცვის პოზიციის მოსამზადებლად. რაც შეეხება კვალიტატიურ ელემენტს, სასამართლომ დამცველთა მაქსიმალური რაოდენობის კანონით განსაზღვრა კონსტიტუციურად მიიჩნია. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე კონსტიტუციურად ცნო პირისთვის ალტერნატიული დამცველის მოძიების მოთხოვნა ან სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული დამცველის მონაწილეობით პროცესუალური მოქმედებების განხორციელება პირის მიერ შერჩეული დამცველის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ პირს გონივრული დრო და შესაძლებლობა ეძლევა, აირჩიოს სასურველი დამცველი. ამასთან, დაცვის უფლების განხორციელება თვით ამ უფლების სუბიექტზეა დამოკიდებული და დაუშვებელია მისი იძულება, დაენიშნოს დამცველი, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლი იმ ბრალდებულებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ, ითვალისწინებს სავალდებულო დაცვას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა სასამართლო მოსმენაზე ბრალდებულის დასწრების უფლების შეზღუდვის საფუძვლებიც: თუ ხელისუფლების ორგანოები მოქმედებდნენ სათანადოდ ოპერატიულად, თუმცა, სასამართლო მოსმენის შესახებ პირის ინფორმირება ვერ შეძლეს; მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებით; ბრალდებულის ავადმყოფობის შემთხვევაში. მხარეს შეუძლია დაცვის უფლებაზე თავად თქვას უარი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარი ეჭვს არ იწვევს და თან ახლავს მინიმალური გარანტიები; თუ ბრალდებული უარს ამბობს დასწრებაზე, მას უნდა ჰქონდეს უფლება იურიდიულ წარმომადგენლობაზე. ამასთან, ზედა ინსტანციაში ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა ყოველთვის არ ჩაითვლება ამ უფლების შელახვად, თუ დაცვით სარგებლობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იყო

თავისუფლების აღკვეტის პროცესში. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვასთან შედარებით, ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ბრალდებულის დასწრებას ზედა ინსტანციების მიერ საქმის განხილვისას, თუ ამ ინსტანციებში საქმის მხოლოდ სამართლებრივი ნაწილი განიხილება. ამასთან, ევროპული სასამართლო ითვალისწინებს, რამდენად სჭირდება სააპელაციო სასამართლოს ბრალდებულის დასწრება ფაქტების დასადგენად.

მეოთხე კითხვის შესახებ მსჯელობა შეეხება ხელმეორედ მსჯავრდების აკრძალვის პრინციპს *non bis in idem*. იმისათვის, რომ პირის უფლება 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცულ სფეროში მოექცეს, მის მიმართ უნდა არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და იმავე იურისდიქციაში იმავე ქმედებისთვის მის მიმართ უნდა ხორციელდებოდეს სისხლის სამართლებრივი დევნა ან მსჯავრდება. ხელმეორედ მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი არ დაირღვევა, როდესაც მსჯავრდებულის ან ბრალდების მხარის შუამდგომლობით განაჩენის გადასინჯვა ხდება კანონით დადგენილი წესით, ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო. ამ უფლების დარღვევას ასევე არ წარმოადგენს ბრალდების მხარის მიერ გამამართლებელი განაჩენის ზედა ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევა.

მეხუთე სადისკუსიო კითხვა შეეხება მსჯელობას 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კანონიერების პრინციპის შესახებ, რომელიც აბსოლუტურ უფლებას წარმოადგენს. აღნიშნული პრინციპი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც პასუხისმგებლობა სამართალდარღვევიდან მომდინარეობს და ამაში ნებისმიერი სახის სამართალებრივი პასუხისმგებლობა იგულისხმება.

ამ პუნქტით დაცულ სფეროში ვერ მოექცევა ისეთი ნორმა, რომლითაც რაიმე ახალი ქმედება არ მიიჩნევა სამართალდარღვევად, არამედ ეხება ისეთ ქმედებას, რომელიც მანამდეც დასჯადი იყო. ასევე, ამ პუნქტის ფარგლებში ვერ მოექცევა ნორმა, რომლით გათვალისწინებული სანქცია სხვა ნორმებით მანამდეც იყო გაწერილი. ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისგან განასხვავა „ნამდვილი“ და „არანამდვილი“ უკუძალა. ნამდვილი უკუძალა გულისხმობს კანონის მოქმედების გავრცელებას იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა და განხორციელდა ახალი კანონის ამოქმედებამდე და იწვევს წარსულში მომხდარი სამართლებრივი ურთიერთობების შედეგების შეცვლას. ეს არის კანონის ინსტიტუციური ხასიათის უკუძალა, რაც, როგორც წესი, აკრძალულია და დაშვებულია გამონაკლისის სახით, როდესაც ახალი კანონი უკეთეს პირობებში აყენებს უფლების სუბიექტს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როდესაც კანონი პირის მდგომარეობას აუმჯობესებს - ახდენს ქმედების დეკრიმინალიზაციას ან ამსუბუქებს სასჯელს ამ ქმედებისთვის, კანონის შემსუბუქებული მოთხოვნები პირს სავალდებულო წესით მიემართება, იმის მიუხედავად, მან (სავარაუდოდ) დანაშაული ჩაიდინა ამ მსუბუქი კანონის მიღებამდე თუ მიღების შემდეგ.

რაც შეეხება კანონის არანამდვილ უკუძალას, აღნიშნული ნიშნავს კანონის მოქმედების გავრცელებას იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობიან ახალი კანონის მიღებამდე, მაგრამ არსებობას აგრძელებენ მისი მოქმედების პერიოდშიც. კანონის არანამდვილი უკუძალა არ ცვლის ახალი კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ და დასრულებულ სამართლებრივ შედეგებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ ნამდვილ უკუძალას კრძალავს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ არანამდვილი უკუძალა იმგვარად იყოს გამოყენებული, რომ პირს გაუმართლებელი ზიანი მიაყენოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონიერების პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინება კანონის უკუძალის აკრძალვაა, რომელიც კანონის დროში მოქმედებას განსაზღვრავს და მისი გარანტიები 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის ორივე წინადადებაშია ასახული. საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს უკვე ჩადენილი ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადებას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. ეს წესი მიემართება როგორც სამართალშემოქმედ, ისე სამართალშემფარდებელ ორგანოებს. საკონსტიტუციო სასამართლომ უკუძალის აკრძალვის ფარგლებში ასევე მოაქცია სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები და პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი.

დანაშაულთან, როგორც სამართალდარღვევის ერთ-ერთ სახესთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ *დანაშაული* შეფასებითი კატეგორიაა, ნორმატიული შეფასებით იწყება მისი, როგორც დანაშაულისა და დასჯადი ქმედების არსებობა. როდესაც კონკრეტული ქმედება არ იყო ნორმატიული შეფასების საგანი მისი ჩადენის დროს, ის ასეთად ვერ იქცევა იმის გამო, რომ მსგავსი ქმედებანი მომავალში გახდა ამ შეფასების ობიექტი. ქმედების მიმართ გამოსაყენებელია ის კანონი, რომელიც მისი ჩადენისას იყო ძალაში, თუ ის არ აუქმებს ან არ ამსუბუქებს პასუხისმგებლობას. კონსტიტუციით ასევე დაცულია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და გამაუქმებელი კანონმდებლობის სავალდებულო მოქმედება. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ღონისძიების სისხლის სამართლებრივად მისაჩნევად აუცილებელია სანქციის შემდეგი თავისებურებების გათვალისწინება: სიმძიმე, გამოწვეული ეფექტი, უფლების შეზღუდვის ხარისხი, პასუხისმგებლობის მიზანი.

42-ე მუხლის მე-5 პუნქტით აღიარებული კანონიერების პრინციპი ასევე იცავს შემდეგ გარანტიებს: ადგენს პირის პასუხისმგებლობის ზოგად საფუძვლებს; ნებისმიერი სასჯელი და დანაშაული მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სისხლის სამართლის კანონში; ემყარება პრინციპებს, რომ არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე (*nullum crimen sine lege)* და არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე *(nulla poena sine lege).* აკრძალულია პირის საზიანოდ სისხლის სამართლის კანონის ფართოდ (ანალოგიით) განმარტებაც; სასამართლოები ვალდებულნი არიან, ნორმა იმგვარად განმარტონ, რომ პირმა განჭვრიტოს, თუ მისი რომელი ქმედება ან უმოქმედობა იწვევს პასუხისმგებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე გამოყო ამ პუნქტის ძირითადი ელემენტები: კრძალავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედობისთვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სისხლისსამართლებრივ დარღვევად არ

ითვლებოდა; ადგენს, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საფუძვლად აუცილებლად უნდა ედოს სამართალდარღვევა; ადგენს, რომ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისთვის მხოლოდ ის პირი აგებს პასუხს, რომელმაც ასეთი ქმედება ჩაიდინა (პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპი).

მეექვსე კითხვა შეეხება სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს - ბრალდებულის უფლებას, ისეთსავე პირობებში მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მხარის მოწმეებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეს უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი“) მიზნად ისახავს ბრალდებულის გათანასწორებას ბრალდების მხარესთან, თუმცა ეს გარანტია არ არის შეუზღუდავი. როგორც წესი, ევროპული სასამართლო ეროვნული მოსამართლის დისკრეციად განიხილავს იმის განსაზღვრას, თუ რამდენად არის აუცილებელი კონკრეტული მოწმის დაკითხვა და იშვიათად ადგენს დარღვევას.

ეს პროცესუალური გარანტია იცავს მოწმეების უსაფრთხოებასაც. ევროპული სასამართლოს განმარტებით, დაუშვებელია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მხოლოდ ანონიმური მოწმეების ჩვენებების საფუძველზე, თუმცა, მოწმეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია, ბრალდებულისთვის მოწმეების ვინაობის დაფარვა იმის გათვალისწინებით, რომ მათ დაკითხვას ესწრებოდა ბრალდებულის ადვოკატი, რომელსაც ასევე ჰქონდა მათთვის კითხვების დასმის საშუალება. ამასთან, საქმის განმხილველმა მოსამართლემ დეტალური ანგარიში წარმოადგინა მოწმეების ვინაობის დაფარვის აუცილებლობის შესახებ. თუმცა, სხვა საქმეში, ევროპულმა სასამართლომ გაუმართლებლად ჩათვალა პოლიციელების, როგორც მოწმეების ანონიმურად დატოვება მათი უსაფრთხოების მიზნით, რადგან მათ ჩვეულებრივი მოქალაქეებისგან განსხვავებული სტატუსი ჰქონდათ და, როგორც წესი, ბრალდების მხარესთან ინსტიტუციურად დაკავშირებულნი იყვნენ. ევროპულმა სასამართლომ ასევე არასაკმარისად მიიჩნია ეროვნული სასამართლოს მიერ წარმოდგენილი დასაბუთება პოლიციელების უსაფრთხოების შესახებ. ასევე, ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირს ბრალად ედება არასრულწლოვანის მიმართ სექსუალურ ძალადობა, ბავშვის მიერ მხოლოდ ბრალდების მხარისთვის მიცემული ჩვენება საკმარისად ჩაითვლება.

მეშვიდე სადისკუსიო კითხვის შესახებ მსჯელობა შეეხება უფლებას კომპენსაციაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ავსებს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტს და ის საკითხები, რომელიც არ არის დარეგულირებული ამ უკანასკნელით (ზიანის ოდენობა და სამართლებრივი დაცვის მასშტაბები), მოცულია პირველით. სასამართლომ განმარტა აღნიშნული მუხლებით დადგენილი სტანდარტები: სახელმწიფო მოხელეებს უნდა ჰქონდეთ ჩადენილი უკანონო ქმედება; პირს უნდა მიადგეს მატერიალური ზიანი; უკანონო ქმედებას და ზიანს შორის უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი; ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრულად; ეს უფლება აბსოლუტური ხასიათისაა.

მეთოდი:

სემინარის ხელმძღვანელი დისკუსიას წარმართავს „სოკრატეს მეთოდით“. სემინარის ხელმძღვანელი ჯგუფს უსვამს კითხვას სადისკუსიო თემის შესახებ. მსჯელობის პროცესში, ლექტორის ხელმძღვანელობით, სტუდენტები მიდიან სწორ დასკვნამდე.

ჯგუფისთვის დასმული სავარაუდო კითხვები:

- მოიცავს თუ არა 42-ე მუხლი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსადმი მიმართვის უფლებას, თუ ის კონკრეტული უფლების დაცვის მექანიზმია?
- სასამართლოსთვის მიმართვის უფლების გარდა რომელი დამატებითი გარანტიებია გათვალისწინებული 42-ე მუხლის პირველი პუნქტით?
- შეუძლია თუ არა პირს მიმართოს სასამართლოს მისი ოჯახის წევრის უფლების დარღვევის შესახებ?
- წარმოადგენს თუ არა სასამართლო ბაჟის დაწესება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების დარღვევას?
- ხვდება თუ არა არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვა 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში?
- დაცვის უფლების სრულყოფილი რეალიზაციისთვის არის თუ არა საკმარისი ბრალდებულისთვის დამცველის ყოლა?
- მოიცავს თუ არა დაცვის უფლება ბრალდებულის უფლებას, დაესწროს სასამართლო განხილვას სამივე ინსტანციაში?
- წარმოადგენს თუ არა უკუძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევას ნორმატიული აქტით ქმედების სამართალდარღვევად ცნობა იმ შემთხვევაში, თუ სხვა ნორმატიული აქტით იგივე ქმედება მანამდეც იყო აკრძალული?
- კანონის უკუძალის აკრძალვის გარდა რომელ გარანტიებს მოიცავს კანონიერების პრინციპი?
- დასაშვებია თუ არა პირის ხელმეორედ მსჯავრდება სხვა სახელმწიფოს მიერ?
- აქვს თუ არა ბრალდებულს სასურველი მოწმის დაკითხვის უფლება ნებისმიერ შემთხვევაში?
- ვის მიერ უნდა იყოს ზიანი მიყენებული, რომ წარმოიშვას უფლება კომპენსაციაზე 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიზნებისთვის?

3. სტუდენტები ხსნიან კაზუსს, რომელიც შეფასდება 5 ქულით

კაზუსი #4

თორნიკე ფერმერია. ის ერთ-ერთ ქალაქში ცხოვრობს. ქალაქთან ახლოს მდებარე სოფელში მას აქვს ფერმა, რომელიც მას ბაბუასგან ერგო მემკვიდრეობით 5 წლის წინ. ფერმაში თორნიკეს ჰყავს როგორც წვრილფეხა, ასევე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ძროხები, ცხვრები, თხები, ქათმები და სხვა შინაური ცხოველები.

თავდაპირველად ფერმას ადგილობრივი მაცხოვრებლები უვლიდნენ, რადგან თორნიკე ქალაქში, ბანკში, მუშაობდა და სოფელში უქმე დღეებში ახერხებდა ჩასვლას. თორნიკე ფიქრობდა, რომ დროის უქონლობის გამო ფერმას გაყიდდა, ვინაიდან იგი მის მოვლას ვერ შეძლებდა, თუმცა, თანდათან ფერმაში საქმიანობამ ძალიან გაიტაცა და გადაწყვიტა, მისთვის მეტი დრო დაეთმო. ამ მიზნით მან სამსახური დატოვა და ცდილობდა, სოფელში მეტი დრო გაეტარებინა. ვინაიდან თორნიკეს ქალაქში ოჯახი ჰყავდა, მან სოფელში საცხოვრებლად გადასვლა ვერ მოახერხა, თუმცა ფერმას ხშირად სტუმრობდა.

მას შემდეგ, რაც თორნიკე ფერმის მოვლას შეუდგა, მან მეურნეობა გააფართოვა და დაიწყო რძის პროდუქტის, კვერცხის, მატყლის და სხვა ნაწარმის გაყიდვა. რადგან ის პროდუქტს ჰიგიენის ყველა ნორმის დაცვით აწარმოებდა, მისი ნაწარმით დიდი მწარმოებელი კომპანიები დაინტერესდნენ და დაიწყეს თორნიკესთვის პროდუქტის შეკვეთა.

თორნიკეს ფერმაში 10 ადამიანის ჰყავდა დასაქმებული, თავისი ნათესავების ჩათვლით, თუმცა, ცდილობდა, თავადაც სათანადო ყურადღება მიექცია ფერმის საქმიანობისთვის. ერთხელ, როდესაც თორნიკე სოფელში იყო ჩასული, საღამოს ფერმის მეხრეს უთხრა, რომ მეორე დღეს თავად წაიყვანდა ძროხებს საძოვარზე. მართლაც, მეორე დილით თორნიკე 6 საათზე მზად იყო და საქონელი საძოვრებისკენ გარეკა. იმ ტერიტორიაზე, სადაც თორნიკემ პირუტყვი წაიყვანა, საქონელი სხვა მეხრეებსაც ჰყავდათ გამოყვანილი. სანამ ძროხები ძოვდნენ, თორნიკე ბალახზე იყო წამოწოლილი, ხან ხან ტელეფონზე საუბრობდა, ხან წიგნს კითხულობდა, ხან კი სხვა მეხრეებს ესაუბრებოდა. საღმოს თორნიკემ შეამჩნია, რომ ორი ძროხა არ იყო ადგილზე. თორნიკემ სხვა მეხრეებს სთხოვა, მისი საქონლისთვის ყურადღება მიექციათ, თავად კი მიმდებარე ტერიტორია კარგად დაათვალიერა და რამდენიმე წუთიანი ძებნის შემდეგ აღმოაჩინა, რომ მისი ძროხები გადასულიყვნენ დაცულ ტერიტორიაზე, სადაც საქონლის ძოვება აკრძალულია. თორნიკემ მაშინვე მიირბინა და ძროხები აკრძალული ტერიტორიიდან გადმორეკა.

თორნიკემ მეორე დღეც ფერმაში გაატარა, შემდეგ დღეს კი ქალაქში გაემგზავრა. სახლში რომ მივიდა, მეუღლემ აცნობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან თორნიკეს სახელზე მისული იყო საფოსტო გზავნილი. თორნიკემ გზავნილი გახსნა და აღმოაჩინა, ძოვების წესების დარღვევისთვის შედგენილი ოქმი და მისი დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება თორნიკემ მეორე დღესვე გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, გადაწყვეტილებაში მიეთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თორნიკე დავობს, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 და 42-ე მუხლები.

XIII ლექცია - 90 წთ.[5]

ლექციის თემა:

ეკონომიკური და სოციალური უფლებები:

შრომის უფლება (მ. 30);

განათლების უფლება (მ. 35);

ჯანმრთელობის უფლება (მ. 37).

დროის განაწილება:

სტუდენტების კითხვები განვილი მასალის გარშემო - 15 წთ.
სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა - 55 წთ.
სტუდენტების კითხვები - 15წთ.
დავალება - 5 წთ.

1. **სტუდენტების კითხვები განვილი მასალის შესახებ**

სტუდენტები უსვამენ ლექტორს კითხვებს წინა ლექციაზე ახსნილი თემატიკის შესახებ.

2. **სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა**

ლექტორი წარადგენს სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხს. მე-13 ლექციაზე განიხილება ეკონომიკური და სოციალური უფლებები: შრომის უფლება (მ.30), განათლების უფლება (მ.35), ჯანმრთელობის დაცვის უფლება (მ.37).

სლაიდი 1:

კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სემინარის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
ლექციის თემატიკა
სასწავლო წელი და სემესტრი
უნივერსიტეტის დასახელება

სალიდი 2:

- სოციალური უფლებების ისტორია;
- თეორიული დებატები სოციალური უფლებების შესახებ:

[5] XIII ლექცია მოამზადა კონსტანტინე ერისთავმა.

- პირველი და მეორე თაობის უფლებები - იერარქია;
- ფასიანი და უფასო უფლებები;
- პოზიტიური და ნეგატიური უფლებები;
- სოციალური უფლების კონსტიტუციონალიზაციის მნიშვნელობა;
- სოციალური უფლების სასამართლო განსჯადობის საკითხი (სასამართლოს კომპეტენცია და ლეგიტიმურობა).

სალიდი 3:

სოციალური უფლებების განსჯადობა

- განსჯადობის არსებული მოდელები:

  - დეფერენციული (სასამართლო უარს ამბობს განიხილოს საქმე საკუთარი ინსტიტუციონალური კომპეტენციის/ლეგიტიმაციის ნაკლებობის გამო);
  - კატეგორიული (სასამართლო პირდაპირ მსჯელობს უფლების შესახებ და, მაგალითად, არაკონსტიტუციურად აცხადებს კანონს);
  - დიალოგური (სასამართლო უზრუნველყოფს დიალოგს ხელისუფლების შტოებს შორის; რთავს პროცესში სხვა დაინტერესებულ მხარეებს).

სალიდი 4:

სოციალური უფლებების განსჯადობა

- სოციალური უფლების შინაარსის დასადგენად შემუშავებული სტანდარტები:

  - პროგრესული რეალიზება და რეგრესული ზომების აკრძალვა;
  - მყისიერი ვალდებულება, სახელმწიფომ შეიმუშაოს უფლებების რეალიზების გეგმა;
  - ,,მინიმალური შინაარსი";
  - ,,გონივრულობა", ,,ადექვატურობა", ,პროპორციულობა";
  - უფლებების პატივისცემა, დაცვა და შესრულება.

სლაიდი 5:

შრომის უფლება

მუხლი 30:
1. შრომა თავისუფალია.
2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა

კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.
3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.
4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

სლაიდი 6:

- რა ითვლება "შრომად"?
  - განგრძობადია;
  - მატერიალური შემოსავლის მომტანია ან მისი ჩამოცილებით აღარ იარსებებდა შემოსავლის მომტანი პროფესიული საქმიანობის ძირითადი მიმართულება.

- შრომის უფლება და თავისუფლება
  - შრომის <u>თავისუფლება</u> - იძულებითი შრომის აკრძალვა
  - გამონაკლისები:
    - სავალდებულო სამხედრო სამსახური;
    - იძულებითი შრომა სასამართლოს განაჩენით;
    - იძულებითი შრომა საგანგებო სიტუაციათა პირობებში.

  - შრომის <u>უფლება</u>
    - უფლება განახორციელო სამუშაო;
    - უფლება შეინარჩუნო სამუშაო;
    - უფლება დათმო სამუშაო;
    - უფლება, დაცული იყო სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლებისგან

სლაიდი 7:

განათლების უფლება

მუხლი 35:

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.
2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.
3. სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს

უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.
4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით.

სლაიდი 8:

- 1-ლი პუნქტის სუბიექტი: მოქალაქეები, უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები;
- მე-3 პუნქტის სუბიექტი: საქართველოს მოქალაქე;
- სკოლამდელი განათლება;
- ზოგადი განათლება;
- უმაღლესი განათლება.

სლაიდი 9:

ჯანმრთელობის დაცვის უფლება

მუხლი 37
1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.
2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.
3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.
4. სახელმწიფო, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად
5. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

სლაიდი 10:

- სასამართლოს ჯერ სრულყოფილად არ განუმარტავს კოსტიტუციის 37-ე მუხლი;
- არ არის განმარტებული, ვინ არის 1-ლი და მე-2 პუნქტების სუბიექტი;
- მე-3 და მე-4 პუნქტის სუბიექტი არ შეიძლება იყოს იურიდიული პირი (მას არ აქვს ჯანმრთელობა);

- მე-4 მუხლის ფარგლებში სასამართლომ განმარტა, რომ ვერ ცერთი პირი ვერ იდავებს სხვა სუბიექტის უფლებების დასაცავად;
- მე-5 პუნქტის მიხედვით, გარემოს შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლების ორგანოდან.

3. სტუდენტების კითხვები

სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს მოსმენილი ლექციის შესახებ, გამოხატავენ საკუთარ აზრს და აფიქსირებენ პოზიციას.

ლექტორი სტუდენტებს აძლევს საკითხავ მასალას:

სავალდებულო ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 407-463; 475-492; 512-523;
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ.384-402;423-437; 452-465.

დამატებითი ლიტერატურა:

- გაეროს პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ;
- ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვის კომიტეტის ზოგადი კომენტარი No. 3 (სახელმწიფოების ვალდებულების ბუნება);
- ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, გვ. 266-322;
- ორგანული კანონი შრომის კოდექსი;
- ზოგადი განათლების შესახებ კანონი;
- უმაღლესი განათლების შესახებ კანონი;
- ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი.

XIII სემინარი - 90 წთ.

სემინარის თემა:

ეკონომიკური და სოციალური უფლებები:

შრომის უფლება (მ. 30);

განათლების უფლება (მ. 35);

ჯანმრთელობის უფლება (მ. 37).

დროის განაწილება:

კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ - 15 წთ.

სადისკუსიო თემების განხილვა - 30 წთ.

სემინარის ხელმძღვანელის პრეზენტაცია - 45 წთ.

1. **კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ** - სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ.

2. **სადისკუსიო თემების განხილვა:**

   2.1. რას მოიცავს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო? რა მიიჩნევა „შრომად"? რა კავშირია 30-ე მუხლის პირველ და მე-4 პუნქტს შორის?
   2.2. 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რას გულისხმობს სახელმწიფოს მიერ თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებისთვის ხელშეწყობა? რა იგულისხმება მომხმარებელთა უფლებების დაცვაში?
   2.3. რა ხვდება კონსტიტუციის 35-ე მუხლით დაცულ სფეროში? რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფოს განათლების თითოეულ სფეროსთან მიმართებით?
   2.4. რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით გარანტირებულ ჯანმრთელობის უფლებასთან მიმართებით?

დისკუსიის მიზანი: დისკუსიის მიზანია კონსტიტუციის 30-ე, 35-ე და 37-ე მუხლების დაცული სფეროების შესახებ მსჯელობა.

პირველი სადისკუსიო კითხვის მიზანია მსჯელობა 30-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფეროს შესახებ, რომელიც იცავს როგორც შრომის თავისუფლებას, ასევე შრომის უფლებას. შრომის თავისუფლება გულისხმობს იძულებითი შრომის აკრძალვას. აღნიშნული წესიდან საკონსტიტუციო

სასამართლომ სამი გამონაკლისი დაადგინა - სავალდებულო სამხედრო სამსახური, იძულებითი შრომა სასამართლოს განაჩენით, იძულებითი შრომა საგანგებო სიტუაციათა პირობებში. რაც შეეხება შრომის უფლებას, ის სოციალურ სახელმწიფოსთან კავშირში მყოფი უფლებაა და მოიცავს სამუშაოს არჩევის, სამუშაოს განხორციელების, სამუშაოს შენარჩუნების, დათმობის, უმუშევრობისგან დაცულობის და სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლებისგან დაცულობის უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „შრომად“ ჩაითვლება საქმიანობა, რომელიც არის განგრძობადი და მატერიალური შემოსავლის მომტანი ან მისი ჩამოცილებით აღარ იარსებებდა შემოსავლის მომტანი პროფესიული საქმიანობის ძირითადი მიმართულება. ამასთან, შრომის უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება დაექვემდებაროს გონივრულ შეზღუდვებს.

30-ე მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებს შორის არსებობს ურთიერთკავშირი, რომლის თანახმად, პირველი პუნქტი ახდენს შრომის უფლების ზოგად დეკლარაციას, მე-4 პუნტი კი აზუსტებს მის ფარგლებს, რომ ეს უფლება მოიცავს შრომითი უფლებების დაცვის, შრომის სამართლიანი ანაზღაურების, უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების და არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობების რეგულირების გარანტიებს. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, მე-4 პუნქტი იძლევა ამ სფეროში მოქმედი ნორმების ფორმალური თუ მატერიალური თვალსაზრისით შემოწმების საშუალებას. ასევე, ნორმა, რომელიც არაკონსტიტუციურად მიიჩნევა 30-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით, წინააღმდეგობაში მოვა პირველ პუნქტთანაც.

მეორე სადისკუსიო კითხვა შეეხება 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ სფეროს, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობის და კონკურენციის განვითარების, მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თავისუფალი მეწარმეობის და კონსკურენციის განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებებია. თავისუფალი მეწარმეობის განვითარების ვალდებულებით სახელმწიფო მხარს უჭერს თავისუფალი ეკონომიკის პრინციპს და იცავს პირის უფლებას, თავისუფლად, დაბრკოლების გარეშე განახორციელოს მეწარმეობა და ასევე პირის უფლებას, მხოლოდ საკუთარი სურვილის შემთხვევაში დაკავდეს მეწარმეობით. უფლების პირველი ელემენტის რეალიზაციისთვის სახელმწიფომ თავისუფალი მეწარმეობა უნდა აღიაროს ნორმატიულ დონეზე. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, *მეწარმეობა* არის მოქალაქეთა და მათ გაერთიანებათა ინიციატივით შექმნილი დამოუკიდებელი საქმიანობა მოგების მისაღებად, რომელიც ხორციელდება მათი რისკითა და ქონებრივი პასუხისმგებლობით. რაც შეეხება უფლების მეორე ასპექტს, სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წაახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს, იზრუნებს მათ გასაჯანსაღებლად. რაც შეეხება თავისუფალი კონკურენციის ცნებას, სასამართლოს განმარტებით, იგი ორგანულად არის დაკავშირებული მეწარმეობის

თავისუფლებასთან და წარმოადგენს საბაზრო მეურნეობის საძირკველს. კონკურენციის განვითარების ხელის შეწყობა, ცალკეულ შემთხვევაში, სახელმწიფოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობების იმ სფეროშიც, რომელშიც ბუნებრივი მონოპოლიებია გაბატონებული. ამ კუთხით, სახელმწიფო ასევე ხელს უწყობს მომხმარებელთა არჩევანის თავისუფლებას. თავისუფალი მეწარმეობის უფლების შეზღუდვა დასაშვებია არაეკვივალენტური, არათანაზომიერი ან უსამართლო ურთიერთობების შემთხვევაში, თუმცა, უფლებაში ჩარევა მხოლოდ თანაზომიერების ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაშია დასაშვები.

რაც შეეხება მომხმარებელთა უფლებების დაცვას, სახელმწიფოს აქვს, ერთი მხრივ, შესაბამისი კანონმდებლობის მიღების ვალდებულება, მეორე მხრივ კი იგი ამ კანონმდებლობის მატერიალურ შინაარსს ადგენს, კერძოდ, მომხმარებელს უფლება აქვს უსაფრთხოებაზე, არჩევანზე, განხილვაზე, სამომხმარებლო განათლებასა და სამართლებრივ დაცვაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს ეს ვალდებულება ვრცელდება როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორზე.

მესამე სადისკუსიო კითხვის შესახებ მსჯელობისას სტუდენტი გაიაზრებს კონსტიტუციის 35-ე მუხლით დაცულ სფეროს, რომლის მიზნებისთვის, განათლება წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის ცოდნის გაღრმავებისკენ. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ დაცულ სფეროში არ მოაქცია მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება, რამდენადაც ის მხოლოდ ადამიანის ცოდნის შემოწმებას ისახავდა მიზნად. კონსტიტუციის 35-ე მუხლით აღიარებულია განათლების შემდეგი სფეროები: სკოლამდელი აღზრდა, ზოგადი განათლების უფლება, უმაღლესი და პროფესიული განათლება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ზოგად განათლებას აფინანსებს სახელმწიფო და ამ ვალდებულების შესრულებაზე ვერ მოახდენს გავლენას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების უარი დაფინანსებაზე. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უმაღლესი და პროფესიული განათლების უფლებით სარგებლობის უფლება აქვთ ასევე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. საკონსტიტუციო სასამართლომ განათლების უფლების დარღვევად არ მიიჩნია სახელმწიფოს მიერ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების წესის შეცვლა, იმის გათვალისწინებით, რომ, მიუხედავად ცვლილებებისა, სტუდენტი ინარჩუნებს უნივერსიტეტში მოხვედრის შესაძლებლობას. ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღების უფლება და ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ სხვა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნია. სასამართლომ მიუთითა, რომ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: არადისკრიმინაციული ხელმისაწვდომობა, განათლების მაღალი, შემოწმებადი ხარისხი, არსებითი თავსებადობა და შესატყვისობა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან.

კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით, რომლის თანახმად, სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს არ წარმოადგენს რაიმე ტიპის უფლებას და მისი გამოყენება კონსტიტუციის მეორე თავში გაწერილი რომელიმე უფლების შესახებ მსჯელობისას დამატებით არგუმენტად არის შესაძლებელი.

მეოთხე სადისკუსიო კითხვა შეეხება მსჯელობას კონსტიტუციის 37-ე მუხლით დაცული სფეროს შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, ეს მუხლი ზოგადად ეხება ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის გარანტირებულ უფლებას, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას. ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით, ამ მუხლით უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი გულისხმობს სახელმწიფოს კონტროლს არა მხოლოდ ლიცენზირების შემოღების გზით, არამედ იმითაც, რომ ნებისმიერი ლიცენზირებული თუ არალიცენზირებული დაწესება ვალდებულია, განახორციელოს ჯეროვანი სამედიცინო მომსახურება და დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებთან მიმართებით სასამართლომ აღნიშნა, რომ უფლების სუბიექტი მხოლოდ ფიზიკური პირია, რადგან იურიდიულ პირს ჯანმრთელობა არ აქვს.

მეთოდი:

სემინარის ხელმძღვანელი დისკუსიას წარმართავს „სოკრატეს მეთოდით“. სემინარის ხელმძღვანელი ჯგუფს უსვამს კითხვას სადისკუსიო თემის შესახებ. მსჯელობის პროცესში, ლექტორის ხელმძღვანელობით, სტუდენტები მიდიან სწორ დასკვნამდე.

ჯგუფისთვის დასმული სავარაუდო კითხვები:

- კონსტიტუციის 30-ე მუხლით არის თუ არა დაცული სამუშაოს ხელმისაწვდომობის უფლება?
- 30-ე მუხლის მიზნებისთვის, რა სახის საქმიანობა ჩაითვლება სამუშაოდ?
- მოითხოვს თუ არა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას თავისუფალი მეწარმეობის და კონკურენციის ხელშეწყობა?
- როგორია სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლები განათლების უფლების ხელისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით?
- რა წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის უფლების დაცვა? რის ფარგლებში?

3. სემინარის ხელმღვანელის პრეზენტაცია

პრეზენტაციის მიზანი: საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ძირითადი სოციალური უფლებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. ამ კატეგორიის უფლებებს გააჩნიათ კურსის განმავლობაში განხილული სხვა უფლებებისგან განსხვავებული რამდენიმე ელემენტი: სახელმწიფოს ვალდებულების სახე და ფარგლები, შეზღუდვის საფუძვლები, აღსრულებადობა. ასევე, სხვა ძირითად უფლებებთან შედარებით, ამ საკითხთან მიმართებით მწირია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა.

დამატებითი ინფორმაციის მომზადებისას სემინარის ხელმძღვანელი, შესაძლოა, დაეყრდნოს შემდეგ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს:

- გაეროს საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ[6];
- გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარები:

- N3 ზოგადი კომენტარი სახელმწიფოების ვალდებულებების ბუნების შესახებ[7];
- N8 ზოგადი კომენტარი ეკონომიკურ სანქციებსა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს შორის მიმართების შესახებ[8];
- N11 ზოგადი კომენტარი დაწყებითი განათლების შესახებ სამოქმედო გეგმის შესახებ (პაქტის მე-14 მუხლი)[9];
- N13 ზოგადი კომენტარი განათლების უფლების შესახებ (პაქტის მე-13 მუხლი)[10];
- N14 ზოგადი კომენტარი ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტის უფლების შესახებ[11];
- N20 ზოგადი კომენტარი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებში დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ[12];
- N23 ზოგადი კომენტარი შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების უფლების შესახებ (პაქტის მე-7 მუხლი)[13];
- ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული)[14];
- მაასტრიხტის პრინციპები სახელმწიფოების ექსტრატერიტორიული ვალდებულებების შესახებ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სფეროში[15].

[6] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577
[7] http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=INT%2fCESCR%2fGEC%2f4758&Lang=en
[8] http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=E%2fC.12%2f1997%2f8&Lang=en
[9] http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=E%2fC.12%2f1999%2f4&Lang=en
[10] http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=E%2fC.12%2f1999%2f10&Lang=en
[11] http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=E%2fC.12%2f2000%2f4&Lang=en
[12] http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=E%2fC.12%2fGC%2f20&Lang=en
[13] http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=E%2fC.12%2fGC%2f23&Lang=en
[14] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1392164
[15] https://www.ilsa.org/jessup/jessup17/Batch%202/Maastricht%20Principles%20on%20Extraterritorial%20Obligations%20of%20States%20in%20the%20Area%20of%20Economic,%20Social%20and%20Cultural%20Rights.pdf

XIV ლექცია - 90 წთ.

ლექციის თემა:

უფლება თანასწორობაზე (მ. 14)

დროის განაწილება:

სტუდენტების კითხვები განვილი მასალის გარშემო - 15 წთ.
სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა - 55 წთ.
სტუდენტების კითხვები - 15 წთ.
დავალება - 5 წთ.

1. **სტუდენტების კითხვები განვილი მასალის შესახებ**

სტუდენტები უსვამენ ლექტორს კითხვებს წინა ლექციაზე ახსნილი თემატიკის შესახებ.

2. **სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა**

ლექტორი წარადგენს სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხს. მე-14 ლექციაზე განიხილება უფლება თანსწორობაზე.

სლაიდი 1:

კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სემინარის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
ლექციის თემატიკა
სასწავლო წელი და სემესტრი
უნივერსიტეტის დასახელება

სლაიდი 2:

მუხლი 14
ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტი- კური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვ- ნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საც- ხოვრებელი ადგილისა.

სლაიდი 3:

თანასწორობის უფლება

- კანონის წინაშე თანასწორობა და შესაძლებლობათა თანასწორობა;
- პარაზიტული ბუნება.

სლაიდი 4:

- სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია ადამიანების სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად თანასწორობის იდეასთან, უფლების არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში.
- თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას.

სლაიდი 5:

- დიფერენციაცია და დისკრიმინაცია;
- დისკრიმინაცია:
  - მიზანი და შედეგი;
  - შედეგი და მიზანი.

სლაიდი 6:

გადახვევა თანსწორობის პრინციპიდან:

- არსებითად უთანასწოროთა თანასწორად განხილვა;
- არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ განხილვა.

სლაიდი 7:

დისკრიმინაციის ნიშნები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 მარტის #2/8/157 განჩინება მოქალაქე დურმიშხან ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

სლაიდი 8:

მკაცრი ტესტის გამოყენების შემთხვევები:

- თუ განსხვავება ეფუძნება მე-14 მუხლის ჩამონათვალში არსებული ნიშნებიდან რომელიმეს;
- თუ ხდება მაღალი ინტესივობის ჩარევა.

მკაცრის ტესტის პირობებში დიფერენციაციის გამართლებისთვის საჭიროა:

- აბსოლუტური აუცილებლობა;
- სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი.

სლაიდი 9:

ჩარევის ინტენსივობა განისაზღვრება იმის მიხედვით:

- დიფერენციაცია რამდენად მკვეთრად დააცილებს თანასწორ პირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებისაგან;
- დიფერენცირებულ პირებს რამდენად შეუძლიათ, საკუთარი ძალისხმევით შეამცირონ დიფერენციაციის ხარისხი ან აღმოფხვრან ის.

სლაიდი 10:

- დიფერენციაციის დაბალი ინტენსივობა, თავისთავად, ვერ გამორიცხავს დიფერენციაციის დისკრიმინაციულობას, რადგან სახელმწიფო არ თავისუფლდება ვალდებულებისაგან, არ მოახდინოს პირთა დაუსაბუთებელი დიფერენციაცია;
- დიფერენციაციის ნეგატიური შედეგების საკუთარი ძალისხმევით აღმოფხვრის/შემცირების შესაძლებლობა დიფერენციაციის არადისკრიმინაციულობას ვერ უზრუნველყოფს, ის მხოლოდ დიფერენციაციის ინტენსივობის შესაფასებლად გამოდგება.

სლაიდი 11:

რაციონალური დიფერენიაციის ტესტი გაიმოყენება ისეთ შემთხვევებში, თუ დიფერენციაციის ინტენსივობა დაბალია და არ ხდება მე-14 მუხლში არსებული დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალიდან არც ერთი საფუძველზე;

რაციონალური დიფერენციაციის ტესტი სახელმწიფოსგან მოითხოვს დაასაბუთოს დიფერენციაციის:

- რაციონალურობა - გარდაუვალობა და საჭიროება; ლეგიტიმური საჯარო მიზანი;
- რეალური და რაციონალური კავშირი მიზეზსა და მოქმედებას შორის; გამოსადეგობა.

სლაიდი 12:

დიფერენციაციის ნიშნები და სახელმწიფოს თავისუფალი მოქმედების არე:

- რასა, კანის ფერი, ეთნიკურობა - აბსოლუტური აკრძალვა, რომელიც გამართლებას არ ექვემდებარება;
- რელიგია, ეროვნება, სქესი, ორიენტაცია - გამართლებისთვის საჭიროა განსაკუთრებული წონადი არგუმენტები;
- სხვა ნიშნები - გამართლებას ექვემდებარება მკაცრი ტესტის პირობებში.

სლაიდი 13:

ქონებრივი ნიშანი - საერთო ქონებრივი მდგომარეობა და არა მოცემულ ურთიერთობაში არსებული მდგომარეობა (აქციები).

სლაიდი 14:

სოციალური ჯგუფი:

1. ჯგუფის წევრებს უნდა ახასიათებდეთ საერთო, მუდმივი ბუნება, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს პირის არჩევანის ან მისგან დამოუკიდებელი გარემოებების (ფაქტორების) შედეგად. მისი შეცვლა არ არის დამოკიდებული ჯგუფის წევრებზე ან იმდენად ფუნდამენტურია მათი პიროვნებისათვის, რომ მისი შეცვლის მოთხოვნა გაუმართლებელია.
2. სოციალურ ჯგუფად შეიძლება მოვიაზროთ როგორც პირთა წრე, რომლის წევრებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული მსგავსი იმიჯის, ქცევების ან/და ინტერესების საფუძველზე. ამავე დროს, ორივე შემთხვევაში ჯგუფის წევრებს უნდა ჰქონდეთ ისეთი ბუნება (თვისებები), რომელიც საშუალებას მისცემდა გარეშე პირებს, მოეხდინათ მათი, როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრების იდენტიფიცირება.
3. საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს ისეთ პირთა წრის არსებობას, რომელიც ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების გარეშეც შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ ჯგუფად.

სლაიდი 15:

თანასწორობის უფლებების ტესტი:

1. რამდენად აქვს ადგილო განსხვავებულ მოპყრობას.
2. რა კრიტერიუმით (ნიშნით) ხდება განსხვავება.
3. განსხვავებას დაქვემდებარებული პირები (ჯგუფები) ერთიანდებიან თუ არა რაიმე საერთო ზემდგომი ცნების ქვეშ.

4. განსხვავებას დაქვემდებარებულ პირებს (ჯგუფებს) აქვთ თუ არა საერთო შეხების წერტილი.
5. კანონით გათვალისწინებული.
6. ხელმისაწვდომობა.
7. განჭვრეტადობა.
8. ლეგიტიმური საჯარო მიზანი.
9. გამოსადეგობა.
10. აუცილებლობა.
11. თანაზომიერება ვიწრო გაგებით.

3. სტუდენტების კითხვები

სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს მოსმენილი ლექციის შესახებ, გამოხატავენ საკუთარ აზრს და აფიქსირებენ პოზიციას.

ლექტორი სტუდენტებს აძლევს საკითხავ მასალას:

სავალდებულო ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი;
- კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 321-331;
- ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 28-59;
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 50-70.

დამატებითი ლიტერატურა:

- ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 480-497, 546-548;
- ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 21-44;
- დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7^3 კარი;
- გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი.

XIV სემინარი - 90 წთ.

სემინარის თემა:

თანასწორობის უფლება (მ. 14)

დროის განაწილება:

კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ - 15 წთ.

სადისკუსიო თემების განხილვა - 30 წთ.

კაზუსის ამოხსნა - 45 წთ.

1. **კითხვები ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ** - სტუდენტები ლექტორს უსვამენ კითხვებს ლექციაზე განხილული საკითხების შესახებ.

2. **სადისკუსიო თემების განხილვა:**

   2.1. რას გულისხმობს თანასწორობის უფლება? რა შემთხვევებში არის გამართლებული ამ უფლებაში ჩარევა?
   2.2. რა წარმოადგენს დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს?
   2.3. რას გულისხმობს მკაცრი ტესტი და რაციონალური დიფერენცირების ტესტი?
   2.4. რა მოცულობით და მექანიზმით ხდება საქართველოში თანასწორობის უფლების დაცვა?
   2.5. დისკრიმინაციის როგორი ფორმები არსებობს?

დისკუსიის მიზანი: დისკუსიის მიზანია სტუდენტის მიერ თანასწორობის უფლების არსის გააზრება, ასევე, ამ უფლების შეზღუდვის ტესტის შესახებ მსჯელობა.

პირველი კითხვა შეეხება თანასწორობის უფლების არსის შესახებ მსჯელობას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციის პრინციპს, რომლის მიზანია, არ დაუშვას არსებითად თანასწორის უთანასწოროდ მოპყრობა ან პირიქით. ამასთან, კანონის წინაშე თანასწორობა განსხვავდება გათანაბრებისგან - თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას. კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას განურჩევლად მათი ბუნებისა და შესაძლებლობებისა. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც

ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორებს შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწოროებს - პირიქით.

ნორმის კონსტიტუციურობის თანასწორობის უფლებასთან მიმართებით შემოწმებისას, სასამართლო ამოწმებს, არის თუ არა სახეზე განსხვავებული მოპყრობა, რომელი კრიტერიუმით ხდება განსხვავება (დისკრიმინაციისგან დაცული რომელი დაცული საფუძვლით/ნიშნით), ერთიანდებიან თუ არა შესადარებელი ჯგუფები ზემდგომი ცნების ქვეშ (არსებობს თუ არა შესადარებელი სუბიექტი/კომპარატორი), აქვთ თუ არა ჯგუფებს საერთო შეხების წერტილი, ემსახურება თუ არა განსხვავებული მოპყრობა ლეგიტიმურ მიზანს და არის თუ არა განსხვავებული მოპყრობა მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება (გამოსადეგობა, აუცილებლობა, თანაზომიერება ვიწრო გაგებით).

სასამართლო მიუთითებს, რომ დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასებისას და დადგენისას ის მიმართავს შემდეგ ძირითად მიდგომას: დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაცია იქნება, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. შესაბამისად, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას.

შესადარებელ სუბიექტებზე (კომპარატორზე) მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შესადარებელი სუბიექტები არსებითად თანასწორები უნდა იყვნენ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში და ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში.

იმის დასადგენად, მოხდა თუ არა ჩარევა თანასწორობის უფლებაში - აქვს თუ არა ადგილი დისკრიმინაციას, საკონსტიტუციო სასამართლომ განავითარა ცალკე ტესტი. ამასთან, განსხვავებული მოპყრობა შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციად, თუ განხორციელებულია ერთი ხელისუფლების (ცენტრალური ან ადგილობრივი) მიერ.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, თანასწორობის უფლება დამოუკიდებელი უფლებაა და მასზე მსჯელობისას არ არის აუცილებელი, ხდებოდეს კონსტიტუციით გარანტირებული სხვა უფლების სავარაუდო დარღვევა.

მეორე სადისკუსიო კითხვა ეხება დისკრიმინაციის არსებობისთვის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს - დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს (საფუძველს). მიუხედავად გრამატიკული თვალსაზრისით დახურული ფორმულირებისა,

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, დისკრიმინაციისგან დაცული საფუძვლების ჩამონათვალი ამომწურავი არ არის.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-14 მუხლში მითითებული ნიშნები მომდინარეობს ადამიანის იდენტობის გამომხატველი ფაქტორებიდან, ემყარება მათი ღირსების პატივისცემას და გააჩნია თავისი ისტორიული წინამძღვრები. ამ ნიშნების საფუძველზე დიფერენცირება წარმოადგენს დისკრიმინაციის მომეტებული რისკის მატარებელ შემთხვევებს და კანონმდებლისგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. აღნიშნული განპირობებულია ადამიანთა სოციალურ სტატუსში რაიმე ფორმის იერარქიული დაუშვებლობით. ჩამონათვალის არსებობა ამ ნიშნებთან დაკავშირებულ ადამიანთა დიფერენცირების შემთხვევების უპირატეს შეზღუდვაზე მიუთითებს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს ადამიანთა არაგონივრული დიფერენცირების სხვა შემთხვევების არსებობას. ამასთან, როდესაც დიფერენცირება არატრადიციული, ანუ იმ ნიშნით ხდება, რომელიც კონსტიტუციის მე-14 მუხლში მითითებული არ არის, და ამავდროულად არც ღრმაა, სასამართლო ამ დროს ნორმის კონსტიტუციურობას ისევე მკაცრად არ აფასებს, როგორც კლასიკური ნიშნების განსხვავების დროს. სასამართლომ არატრადიციულ ნიშნად მიიჩნია, მაგალითად, დასაქმების ადგილი და სამართლებრივი ურთიერთობის დაწყების დრო, ამასთან, იმ საქმეში, რომლშიც დაცული საფუძველი არ იკვეთებოდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს არ წარმოადგენდა დიფერენცირებული მოპყრობის არსებობის დადგენის საფუძველს, იმის გათვალისწინებით, რომ პირმა განსხვავებული მოპყრობა არსებითად სწორად წარმოაჩინა და დაასაბუთა.

მესამე სადისკუსიო კითხვა ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებულ დისკრიმინაციის დადგენის მკაცრი და რაციონალური დიფერენცირების ტესტების (რაციონალური საფუძვლით შემოწმების ტესტი) შესახებ მსჯელობას. მკაცრი ტესტი გამოიყენება ორ შემთხვევაში: 1. როდესაც არსებობს კლასიკური, ტრადიციული ნიშანი ან 2. დიფერენცირების ინტენსივობის ხარისხი არის მაღალი, მხედველობაში მიიღება, არსებითად თანასწორი პირები რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში მოექცევიან, ანუ დიფერენციაცია რამდენად მკვეთრად დააცილებს თანასწორ პირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებისგან. მკაცრი ტესტის გამოყენებისას სახელმწიფოს მიერ უფლებაში ჩარევა უნდა იყოს აბსოლუტურად აუცილებელი, უნდა არსებობდეს სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი. რაციონალური დიფერენცირების ტესტი კი გამოიყენება, როდესაც 1. საკმარისია დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობის დასაბუთებულობა, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდაუვალობა ან საჭიროება და 2. რეალური და რაციონალური კავშირის არსებობს დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის.

მეოთხე სადისკუსიო კითხვა შეეხება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო. კანონი კრძალავს დისკრიმინაციის

ნებისმიერ ფორმას ნებისმიერ სფეროში, ნებისმიერი დაცული საფუძვლით. დისკრიმინაციის ჩადენა ეკრძალებათ როგორც საჯარო უწყებებს, ასევე კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. კანონის აღსრულების ფუნქცია მიენიჭათ საერთო სასამართლოებს და საქართველოს სახალხო დამცველს.

კანონის პირველი მუხლის თანახმად, დისკრიმინაციისგან დაცული საფუძვლების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შეიძლება დისკრიმინაცია არსებობდეს ნებისმიერი „სხვა ნიშნის" საფუძველზე. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო დოკუმენტებისგან განსხვავებით, კანონი პირდაპირ მიუთითებს შეზღუდულ შესაძლებლობას, სექსუალურ ორიენტაციას და გენდერულ იდენტობას, როგორც დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებს.

მეხუთე კითხვა შეეხება დისკრიმინაციის იმ ფორმების განხილვას, რომელიც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-14 მუხლით აკრძალულია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი დისკრიმინაცია.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის მიხედვით, ასეთი ფორმებია: პირდაპირი დისკრიმინაცია, ირიბი დისკრიმინაცია, აღქმით დისკრიმინაცია, ასოციაციით დისკრიმინაცია, დისკრიმინაცია მრავალი ნიშნით, ვიქტიმიზაცია.

კანონის თანახმად, პირდაპირი დისკრიმინაციისას ადამიანს/ჯგუფს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე უფლებით სარგებლობისას, რომელიმე დაცული ნიშნით, რის გამოც, იგი განსხვავებულ/არახელსაყრელ მდგომარეობაში ხვდება შესადარებელ სუბიექტთან (კომპარატორთან), არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფ პირებთან, მიმართებით ან თანაბარ მდგომარეობაში ხვდება არსებითად არათანასწორ ადამიანთან/ჯგუფთან მიმართებით, ასეთ მოპყრობას კი არ აქვს ლეგიტიმური მიზანი/გამართლება ან აქვს ასეთი ლეგიტიმური მიზანი, თუმცა განსხვავება არ არის ამ მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება. ასევე, კანონის თანახმად, ირიბი/არაპირდაპირი დისკრიმინაციაა, როდესაც ვხვდებით ფორმით ნეიტრალურ დებულებას, კრიტერიუმს ან პრაქტიკს, რომელიც არახელსაყრელ მდგომარეობაში ხვდება შესადარებელ სუბიექტთან (კომპარატორთან) - არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფ პირებთან - მიმართებით ან თანაბარ მდგომარეობაში ხვდება არსებითად არათანასწორ ადამიანთან/ჯგუფთან მიმართებით, ასეთ მოპყრობას კი არ აქვს ლეგიტიმური მიზანი/გამართლება ან აქვს ასეთი ლეგიტიმური მიზანი, თუმცა განსხვავება არ არის ამ მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება.

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ კანონის მიდგომა განსხვავდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისგან, რომელიც მე-14 მუხლთან მიმართებით განავითარა - სასამართლო თანასწორობის უფლებას განიხილავს როგორც დამოუკიდებელ უფლებას, რომელზე მსჯელობისას, არ არის აუცილებელი, რომ პარალელურად სხვა უფლების შეზღუდვაც დადგინდეს.

კანონის თანახმად კი დისკრიმინაციის დასადგენად ერთ-ერთი წინაპირობას წარმოადგენს, რომ პირს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე სხვა უფლებით სარგებლობაში ეშლებოდეს ხელი.

რაც შეეხება აღქმით და ასოციაციით დისკრიმინაციას - ზემოთ განხილულ პირობებში, დისკრიმინაცია არსებობს იმის მიუხედავად, პირს რეალურად აქვს თუ არა ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა. აღქმით დისკრიმინაციას ვხვდებით, როდესაც ადამიანის დისკრიმინაცია ხდება მისი გარეგნობის, ქცევის ან სხვა გარემოების გამო, რადგან აღიქვამენ, როგორც რომელიმე დაცული ნიშნის მატარებელს. ასოციაციით დისკრიმინაცია კი არსებობს მაშინ, როდესაც პირი ექვემდებარება დისკრიმინაციას, იმის გამო, რომ მისი ოჯახის წევრი, ახლობელი ადამიანი ან სხვა დაკავშირებული პირი არის რომელიმე დაცული ნიშნის მატარებელი, ეს ადამიანი კი რაიმე ნიშნის მატარებელ პირთან ასოცირდება.

ორმაგი ან მრავალი ნიშნით დისკრიმინაცია მაშინ ხდება, როდესაც დაუსაბუთებელი განსხვავება ეფუძნება ერთზე მეტ ნიშნას (მაგ. სქესი და რელიგია).

ვიქტიმიზაცია არის დისკრიმინაციის კიდევ ერთი ფორმა, როდესაც ადამიანს ეპყრობიან უარყოფითად და მასზე ხდება ზემოქმედება იმის გამო, რომ მან დისკრიმინაციისგან დასაცავად მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან.

აღსანიშნავია, რომ კანონი არ ითვალისწინებს დისკრიმინაციის რამდენიმე ფორმას, მაგალითად, შევიწროებას, სექსუალურ შევიწროებას, უარს გონივრულ მისადაგებაზე (დისკრიმინაციის სპეციფიური ფორმა შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე), სეგრეგაციას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი ასევე კრძალავს იმგვარ ქმედებას, რომელიც ხელს უწყობს მომავალში დისკრიმინაციის განხორციელებას - აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის განსახორციელებლად.

მეთოდი:

სემინარის ხელმძღვანელი დისკუსიას წარმართავს „სოკრატეს მეთოდით“. სემინარის ხელმძღვანელი ჯგუფს უსვამს კითხვას სადისკუსიო თემის შესახებ. მსჯელობის პროცესში, ლექტორის ხელმძღვანელობით, სტუდენტები მიდიან სწორ დასკვნამდე.

ჯგუფისთვის დასმული სავარაუდო კითხვები:

- ჩაითვლება თუ არა ადამიანებს შორის ნებისმიერი გასხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციად?
- ჩაითვლება თუ არა დისკრიმინაციად განსხვავებული მოპყრობა ნებისმიერ პირებს შორის?

- შესაძლებელია თუ არა, კონსტიტუციის მე-14 მუხლში მოიაზრებოდეს შეზღუდული შესაძლებლობა, როგორც დისკრიმინაციისგან დაცული საფუძველი?
- რა განსხვავებაა ტრადიციულ და არატრადიციულ დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებს შორის?
- მსგავსად შემოწმდება თუ არა განსხვავებული მოპყრობის ყველა შემთხვევა?
- დისკრიმინაციის რა და რა ფორმები არსებობს?

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი

განსახილველი საკითხის მიზანი: უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის დადგენის შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან მისადაგება.

მეთოდი: სემინარის ხელმძღვანელი სტუდენტებს შეურჩევს თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებულ სასამართლოს გადაწყვეტილებას. სტუდენტები აანალიზებენ გადაწყვეტილებას, თავისუფლებების უფლების ტესტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ტექსტს დაყოფენ თითოეული კრიტერიუმის მიხედვით, მაგალითად, გამოყოფენ დაცულ სფეროს, უფლებაში ჩარევას და ა. შ.

ფაქტობრივი გარემოებები

კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ არის გამხდარი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება მისი იმ ნორმატიული შინაარსით, რომელიც სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობის არმქონე მამაკაცებს სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ვალდებულებას აკისრებს. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ დასახელებული ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს, რომლითაც დაცულია კანონის წინაშე თანასწორობის ძირითადი უფლება.

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება ადგენს, რომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია, იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე. ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება ქალი, რომელსაც არ გააჩნია სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობა.

მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო ნორმის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლისა და 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ერთობლიობით, პირები, რომლებიც იმყოფებიან ან ვალდებული არიან იმყოფებოდნენ სამხედრო აღრიცხვაზე, ექვემდებარებიან სამხედრო ვალდებულების მოხდას. მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმა დისკრიმინაციულია არა იზოლირებულად, არამედ ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან ერთად, რომლის თანახმადაც, სამხედრო-სააღრიცხვო

სპეციალობის არმქონე ქალები გათავისუფლებული არიან სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ვალდებულების, შესაბამისად, სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან.

მოსარჩელე მხარის მითითებით, ქალები, რომელთაც არ გააჩნიათ სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობა და ამავე კატეგორიის მამაკაცები წარმოადგენენ თანასწორ სუბიექტებს სამხედრო აღრიცხვისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის მიმართ. ეს პირები სადავო ნორმის ძალით, გაუმართლებლად, არათანასწორ მდგომარეობაში იმყოფებიან, რითაც, ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით თითოეული ადამიანისათვის გარანტირებული კანონის წინაშე თანასწორობის უფლება. ამასთან, მოსარჩელე აღნიშნავს, ვინაიდან წარმოდგენილ შესადარებელ ჯგუფებს შორის დიფერენცირებული მიდგომა სქესის ნიშნით ხორციელდება, სადავო ნორმის კონსტიტუციურობა უნდა შემოწმდეს ე.წ. „მკაცრი შეფასების ტესტის“ გამოყენებით, რაც გულისხმობს თანაზომიერების პრინციპთან შესაბამისობის შემოწმებას.

მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიზანია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მიღწევა კონსტიტუციის 101-ე მუხლში ასახული ვალდებულების საკანონმდებლო აქტებში რეგლამენტაციის გზით. სადავო ნორმით, სხვა მითითებულ ნორმებთან ერთად, კანონმდებელმა სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმა აირჩია და განსაზღვრა იმ პირთა წრე, რომელთა ჩართულობა აუცილებელია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსყოფად.

მოპასუხის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლის ტერმინ „საამისო უნარის მქონეში“ ზოგადად ქალთა ჯგუფი არ მოიაზრება. ამასთანავე, სავალდებულო სამხედრო სამსახურის მიზანი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფაა, რაც თავისთავად გულისხმობს, საჭიროების შემთხვევებში, საბრძოლო მოქმედებებში ჩაბმას. მოპასუხე მხარის მოსაზრებით, საბრძოლო მოქმედებებისათვის აუცილებელი ფიზიკური უნარების გათვალისწინებით, მამაკაცები, ქალებთან შედარებით, აღიქმებიან უფრო სათანადო ფიზიკური ძალის მქონედ, რაც საჭიროა საბრძოლო იარაღისა და აღჭურვილობის ტარებისა და გამოყენებისათვის. თუმცა დასახელებული არგუმენტი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, ზოგიერთი ქალის ფიზიკური მონაცემები აღემატებოდეს მამაკაცის ამგვარ მონაცემებს. გარდა ფიზიკური მონაცემებისა, ქალსა და მამაკაცს შორის ბუნებრივად არსებული ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური განსხვავებები შესაძლებელია ქალებისათვის ხელის შემშლელი აღმოჩნდეს მათთვის სამხედრო წვრთნისა და საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას. ამგვარად, მოპასუხეს მიაჩნია, რომ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული დასახელებული განსხვავება საკმარისია იმის დასადგენად, რომ ისინი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღების და, შესაბამისად, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის მიზნებისთვის არ წარმოადგენენ არსებითად თანასწორ პირებს და მათთვის, ამ კუთხით, განსხვავებული მიდგომის დაწესება გამორიცხავს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას.

1. **განსხვავებული მოპყრობა**

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი კრძალავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ დისკრიმინაციას. იმავდროულად, ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა, თავისთავად, დისკრიმინაციად არ უნდა ჩაითვალოს. „მე-14 მუხლის არსის გაგებისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს კანონის წინაშე თანასწორობის განსხვავებას გათანაბრებისგან. ამ პრინციპის ფარგლებში სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია ადამიანების სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად თანასწორობის იდეასთან, უფლების არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისათვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას“. ამგვარად, „ცალკეულ შემთხვევაში, საკმარისად მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებშიც კი, შესაძლოა, დიფერენცირებული მოპყრობა დასაშვები, სასურველი, საჭირო, აუცილებელი და გარდაუვალიც კი იყოს. ეს ხშირად აუცდენელია. შესაბამისად, დიფერენცირება საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროსთვის უცხო არ არის, თუმცა თითოეული მათგანი არ უნდა იყოს დაუსაბუთებელი“.

დადგენილი პრაქტიკის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასებისა და დადგენისას მიმართავს შემდეგ ძირითად მიდგომას: „დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას“.

სადავო ნორმა ადგენს საქართველოს ყველა მოქალაქის მიმართ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ვალდებულებას. კერძოდ, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, „ყველა მოქალაქე ვალდებულია, იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე“. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოთვლის კონკრეტულ პირებს, რომლებიც სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარებიან. ღნიშნული პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი კი ასეთად მიიჩნევს ქალს, რომელსაც არ გააჩნია სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობა. შესაბამისად, თუკი სადავოდ გამხდარი მე-11 მუხლის პირველი პუნქტის წინადადება, ერთი შეხედვით, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, მათ შორის სამხედრო-

სააღრიცხვო სპეციალობის არმქონე მამაკაცებს, აკისრებს სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ვალდებულებას, იმავე პუნქტში ჩამოთვლილი გამონაკლისები ამგვარი ვალდებულებისგან ათავისუფლებს სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობის არმქონე ქალებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ კანონმდებელი სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის საყოველთაო ვალდებულებაში მოიაზრებს მამაკაცებს, განურჩევლად იმისა, მათ სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობა გააჩნიათ თუ არა, რაც დიფერენცირებულ მდგომარეობაში აყენებს მათ იმ ქალებთან შედარებით, რომლებსაც ამგვარი სპეციალობა არ გააჩნიათ და, შედეგად, თავისუფლდებიან მსგავსი ვალდებულებისგან.

2. **დისკრიმინაციის ნიშანი**

მოცემულ შემთხვევაში შესადარებელ ჯგუფებად უნდა განვიხილოთ, ერთი მხრივ, სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობის არმქონე მამაკაცები, ხოლო, მეორე მხრივ, ამგვარი სპეციალობის არმქონე ქალები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დავის ფარგლებში, მოსარჩელე მხარის მოთხოვნიდან გამომდინარე, რელევანტურია შეფასდეს მხოლოდ სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობის არმქონე ქალებსა და მამაკაცებს შორის დადგენილი დიფერენციაცია. სასამართლო არ შეაფასებს, რამდენად გამართლებულია სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირება სხვა სუბიექტებთან მიმართებით.

3. **ზემდგომი ცნება**

სადავო ნორმის (ნორმატიული შინაარსის) კონსტიტუციის მე-14 მუხლთან შესაბამისობაზე მსჯელობისას აუცილებელია, განისაზღვროს, რამდენად წარმოადგენენ შესადარებელი ჯგუფები არსებითად თანასწორ სუბიექტებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით. ამასთან, „მე-14 მუხლზე მსჯელობისას პირთა არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში. დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით, შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები“.

ცნება, რომელიც ამ ორ სუბიექტს აერთიანებს, არის „პირი, რომელსაც არ აქვს სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობა“. ამგვარად, ისინი მოცემულ შემთხვევაში მიეკუთვნებიან შედარებად კატეგორიებს, თუმცა სადავო ნორმის გასაჩივრებული ნორმატიული შინაარსი მსგავსი კატეგორიის მამაკაცებს ამავე კატეგორიის ქალებთან შედარებით გაუმართლებლად არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს; სქესის ნიშანი არ შეიძლება იყოს რაციონალური საფუძველი, რომელიც გაამართლებდა ამგვარ დიფერენციაციას.

4. **საერთო შეხების წერტილი**

სადავო - „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება - საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის ადგენს სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ვალდებულებას, რომელიც, ფართო გაგებით, სამხედრო ვალდებულების ნაწილად განიხილება. კერძოდ, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამხედრო ვალდებულება ითვალისწინებს სამხედრო აღრიცხვას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას, უშუალოდ სამხედრო სამსახურსა და რეზერვს. სამხედრო აღრიცხვისა და, შესაბამისად, სამხედრო სამსახურის მოხდის სამართლებრივი ვალდებულების წარმოშობა უპირველესად გამომდინარეობს პირის საქართველოს მოქალაქედ ყოფნიდან. სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, შიდა და გარე საფრთხეებისგან დაცვა არის ის ვალდებულება, რომელსაც კანონმდებელი პირს აკისრებს საქართველოსთან სამართლებრივი კავშირის (საქართველოს მოქალაქეობის) მოპოვების მომენტიდან. ამგვარად, ერთი მხრივ, ქვეყნის თავდაცვა არის ის საჯარო სიკეთე, რომლითაც ქვეყნის თითოეული მოქალაქე თანაბრად სარგებლობს, ხოლო, მეორე მხრივ, სავალდებულო სამხედრო სამსახური, სწორედ მისი სავალდებულო ხასიათის გათვალისწინებით, ზღუდავს ინდივიდის არჩევანის თავისუფლებას, მათ შორის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით და ამ უკანასკნელისგან მოითხოვს კონკრეტულ აქტივობებში ჩართვას.

ამდენად, როგორც ქვეყნის თავდაცვა, ასევე სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლება, არის ის ინტერესები, რომლებიც თანაბრად გააჩნია ქალსაც და მამაკაცსაც, რაც განსახილველ სამართლებრივ ურთიერთობაში აქცევს კიდეც მათ არსებითად თანასწორ სუბიექტებად. სადავო ნორმა (ნორმატიული შინაარსი) კი ადგენს დიფერენცირებულ მოპყრობას არსებითად თანასწორი სუბიექტების მიმართ, რისი შეფასებაც შესაძლებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

5. ლეგიტიმური საჯარო მიზანი

„დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სადავო ნორმების შეფასებისას სასამართლო იყენებს რაციონალური დიფერენცირების ან შეფასების მკაცრ ტესტს. საკითხი, თუ რომელი მათგანით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ, წყდება სხვადასხვა ფაქტორის, მათ შორის, ჩარევის ინტენსივობისა და დიფერენცირების ნიშნის გათვალისწინებით. კერძოდ, თუ არსებითად თანასწორ პირთა დიფერენცირების საფუძველია კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე ნიშანი ან სადავო ნორმა ითვალისწინებს უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას - სასამართლო გამოიყენებს შეფასების მკაცრ ტესტს". აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია, უპირველესად გაირკვეს სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირება ემყარება თუ არა კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილ რომელიმე ნიშანს.

მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელის პოზიციას და მიიჩნევს, რომ არსებითად თანასწორ პირთა შორის დიფერენცირება ეფუძნება სქესის, ანუ ე.წ. კლასიკურ ნიშანს, რომელიც პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით. შესაბამისად, ამგვარი დიფერენცირების კონსტიტუციურობა უნდა შემოწმდეს მკაცრი შეფასების ტესტის საფუძველზე. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ „უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე. ამასთან, კონკრეტული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის არსებობისას, ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია.

პირველადი (წვევამდელთა) სამხედრო აღრიცხვა, როგორც სავალდებულო სამხედრო სამსახურის წინა პირობა, უპირველესად ემსახურება თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ქვეყანაში ფაქტობრივად არსებული კონტინგენტის მოცულობის დადგენის მიზანს. ამგვარი კონტინგენტის მოცულობის გათვალისწინებით, სახელმწიფო, უფრო კონკრეტულად საქართველოს მთავრობა, წელიწადში ორჯერ საკუთარი დადგენილებით განსაზღვრავს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა იმ ოდენობას, რომელიც საჭიროდ მიიჩნევა იმგვარი კონტინგენტის დაკომპლექტებისა და ჩამოყალიბებისათვის, რომელიც ფლობს შესაბამის სამხედრო ცოდნასა და უნარებს, რათა აუცილებლობის შემთხვევაში, მათი აქტიური მონაწილეობით, მაქსიმალურად ეფექტურად მოხერხდეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სამხედრო სავალდებულო სამსახური სახელმწიფოს მხრიდან არის თავდაცვისუნარიანობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ფორმას. უდავოა, რომ ქვეყნის თავდაცვა უმნიშვნელოვანეს საჯარო ინტერესს წარმოადგენს, რომლის ჯეროვანი განხორციელების გარეშე, უპირველესად, საფრთხის ქვეშ დგება სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, შიდა და გარე უსაფრთხოება. ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა კი, იმავდროულად, ართულებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისა და ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. თუკი სახელმწიფო სათანადო დონეზე ვერ იქნება დაცული გარეშე საფრთხეებისაგან, ეჭვქვეშ შეიძლება დადგეს, არათუ კანონის წინაშე თანასწორობის, არამედ, ზოგადად, ძირითად უფლებათა სრულყოფილი რეალიზაცია თითოეული ინდივიდისათვის.

ამგვარად, პირველადი სამხედრო აღრიცხვა და მის საფუძველზე სავალდებულო სამსახურის გავლა რეალურად უწყობს ხელს ქვეყნის უსაფრთხოებისა და

თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში სამხედრო მოსამსახურეები ექვემდებარებიან შესაბამის სამხედრო წვრთნასა და მომზადებას, რაც უზრუნველყოფს მათ მზაობას, აქტიურად იმოქმედონ მობილიზაციის, საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის არსებობის პერიოდში.

7. გამოსადეგობა

კანონმდებლის მხრიდან მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს, რომ უფლებაში ჩარევა შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. ლეგიტიმური მიზნის არსებობის პირობებში აუცილებელია, კანონმდებელმა ასეთი მიზნის მისაღწევად უფლებაში ჩარევის თანაზომიერი გზა აირჩიოს. ამისათვის კი სადავო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის დასაშვებ, აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას. „ვინაიდან ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგი მიზნისა და საშუალების მიმართებაზეა აგებული, ეს ავალდებულებს სახელმწიფოს, მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ისეთი საშუალება, რომლითაც როგორც ამ უკანასკნელის მიღწევა იქნება გარანტირებული, ასევე თანაზომიერების პრინციპი იქნება დაცული“.

საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლის თანახმად: „1. საქართველოს დაცვა საქართველოს ყველა მოქალაქის მოვალეობაა. 2. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი.“

კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა არაორაზროვნად მიუთითებს, რომ ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა არის ის ვალდებულება, რომელსაც კონსტიტუცია აკისრებს საამისო უნარის მქონე ყველა პირს იმ მომენტიდან, როდესაც ეს უკანასკნელი მოიპოვებს სამართლებრივ კავშირს (საქართველოს მოქალაქეობას) საქართველოსთან. პირველადი (წვევამდელის) სამხედრო აღრიცხვა, ისევე, როგორც სავალდებულო სამხედრო სამსახური, წარმოადგენს აღნიშნული კონსტიტუციური ვალდებულების მოხდის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ერთ-ერთ ფორმას, რომლის უფლებამოსილებასაც ამ უკანასკნელს კონსტიტუცია ანიჭებს. ამგვარად, კონსტიტუციის 101-ე მუხლში მკაფიოდ იკითხება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნები. ადგენს რა საყოველთაო ვალდებულებას, კონსტიტუცია სახელმწიფოს ანიჭებს დისკრეციას თავად განსაზღვროს მისი მოხდის ფორმები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ კონსტიტუციურ დავაში მოსარჩელე მხარისათვის პრობლემას წარმოადგენს მხოლოდ პირველად (წვევამდელთა) სამხედრო აღრიცხვასთან და, შესაბამისად, სავალდებულო სამხედრო სამსახურთან მიმართებით ქალსა და მამაკაცს შორის დიფერენცირების კონსტიტუციურობა, ამიტომ სასამართლოს არ ჭირდება, ამომწურავად განმარტოს კონსტიტუციის 101-ე მუხლში არსებული სამხედრო ვალდებულების მნიშვნელობა.

8. აუცილებლობა

უნდა აღინიშნოს, რომ პირის სამხედრო ვალდებულების არსებობას საქართველოს კონსტიტუცია უკავშირებს მხოლოდ ორ კუმულატიურ წინაპირობას: ა) პირის მოქალაქის სტატუსს და ბ) პირის უნარებს და არავითარ შემთხვევაში სახელმწიფოს დისკრეციას. დადგენილი კონსტიტუციური წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ინდივიდი იმთავითვე ხდება სამხედრო ვალდებული და აღნიშნულზე გავლენას ვერ მოახდენს სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი ვალდებულების ფორმების განსაზღვრის დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე, როგორც ვალდებულების ფაქტობრივად განსაზღვრული ფორმა. ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლით დადგენილი საყოველთაო სამოქალაქო ვალდებულება თანაბრად მიემართება საამისო უნარის მქონე საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, მათ შორის, განურჩევლად სქესისა. ამგვარი ვალდებულება კონსტიტუციურ დონეზე თანაბრად გააჩნია როგორც მამაკაცს, ასევე ქალს. შედეგად, ქვეყნის დაცვისა და სამხედრო ვალდებულების მოხდის მიზნებისათვის თავად კონსტიტუციის მიერ მამაკაცი და ქალი განიხილება არსებითად თანასწორ სუბიექტებად, თუ მათ საამისო უნარი გააჩნიათ.

9. თანაზომიერება ვიწრო გაგებით

სახელმწიფო, უფრო კონკრეტულად კი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო, უფლებამოსილია, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს, თუ როგორი ფორმით უნდა იქნეს განსაზღვრული სამხედრო ვალდებულება. ვალდებულების ფორმის განსაზღვრა კი, ცხადია, იმავდროულად, გულისხმობს ამგვარი ფორმისათვის საჭირო სხვადასხვა კრიტერიუმის განსაზღვრას, როგორიცაა, მაგალითად, ვალდებულების ვადა, ასაკობრივი ზღვარი, დატვირთვის მაჩვენებელი, ვარგისი და გამოსადეგი კონტინგენტი, გენდერული პოლიტიკა სამხედრო საქმეში და სხვ. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფო ამ პროცესში არ შემოიფარგლება მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების ზოგადი ინტერესით. გათალისწინებული უნდა იყოს კონსტიტუციური მნიშვნელობის სხვა ინტერესებიც - ქვეყნის წინაშე უსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევების რეალურობა და მასშტაბები, სახელმწიფოს ფინანსური რესურსები და სხვა.

კონსტიტუციის 101-ე მუხლში მითითებული ყველა მოქალაქის მიერ ქვეყნის დაცვის და სამხედრო ვალდებულების მოხდის მოვალეობა არ გულისხმობს სახელმწიფოს უპირობო ვალდებულებას, ყველას (ქალს და მამაკაცს) თანაბრად დააკისროს ამ ვალდებულების შესრულება. კონსტიტუცია სახელმწიფოს ანიჭებს შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქეს მოსთხოვოს სამხედრო ვალდებულების შესრულება, თუმცა, ამგვარი შესაძლებლობის და არა ვალდებულების არსებობა სახელმწიფოს უტოვებს დისკრეციას საიმისოდ, რომ, თუ საჭიროდ მიიჩნევს, განსხვავებული ფორმით უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება და თავდაცვისუნარიანობა, თვითონ განსაზღვროს, ესაჭიროება თუ არა სამხედრო ძალებს ქალებით და მამაკაცებით

თანაბრად თუ განსხვავებული თანაფარდობით დაკომპლექტება. თუკი სახელმწიფო ეროვნული უსაფრთხოების ეფექტური უზრუნველყოფის განსხვავებულ მიდგომას ჩამოაყალიბებს, შესაძლებელია, მან გარკვეული დროით საერთოდ უარი თქვას ამგვარი ვალდებულების გამოყენებაზე.

როდესაც საუბარია სახელმწიფოს დისკრეციაზე თავდაცვისა და სამხედრო ვალდებულების საკითხებთან დაკავშირებით, ცხადია, აქ არ იგულისხმება დისკრეცია შეუზღუდავი ფორმითა და ყოველგვარი ფარგლების გარეშე. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „...სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში“, შესაბამისად, მოსაზრება, რომ დისკრეციული უფლებამოსილება საქართველოს პარლამენტს უსაზღვრო შესაძლებლობას აძლევს, თავისი შეხედულებით დაადგინოს სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმა და ამგვარ ფორმასთან დაკავშირებული მოთხოვნები საკუთარ მოქალაქეთა მიმართ, საფუძველს მოკლებულია, რადგან ადამიანის უფლებები და კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენს სწორედ დისკრეციული უფლებამოსილების მიზნებისა და ფარგლების განმსაზღვრელ გარემოებას. ამის გაუთვალისწინებლობა ქმნის დისკრეციული უფლებამოსილების გადაჭარბების ან არამიზნობრივად გამოყენების საფრთხეს. „დისკრეციული უფლებამოსილება სწორედ კანონმდებლის მიერ განსაზღვრული რამდენიმე შესაძლებლობიდან კონკრეტული ვითარების მოსაწესრიგებლად ყველაზე უფრო მისაღები სამართლებრივი შედეგის არჩევას გულისხმობს. დისკრეციული უფლებამოსილება სამართლებრივად შებოჭილი თავისუფლებაა და მისი გამოყენება ყოველთვის გულისხმობს გადაწყვეტილების შედეგის დასაბუთებას, რომლის მეშვეობით ირკვევა, მიღებული იქნა თუ არა უშეცდომო გადაწყვეტილება. შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მიღებული სამართლებრივი შედეგი უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ სამართლებრივ საფუძვლებს“.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციით სახელმწიფო ხელისუფლებისათვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება სამხედრო ვალდებულების ფორმის განსაზღვრის თაობაზე, რეალურად ემსახურება სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფას და მიზნად არ ისახავს სქესის ნიშნით პირთა დიფერენცირებას. სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზება და ამ მიზნით ადამიანური რესურსების მობილიზება თუ წვრთნა, განეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა განმგებლობას და მოითხოვს პროფესიულ სამხედრო ექსპერტიზას. შესაბამისად, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საკუთარი შეხედულებისამებრ, სამხედრო აღრიცხვასა და შემდგომში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას (რაც გულისხმობს სპეციალურ სამხედრო წვრთნასა და საბრძოლო მოქმედებებისათვის მზადებას) დაუქვემდებაროს საზოგადოების ის ჯგუფი, რომელიც მეტად აკმაყოფილებს ამგვარი სამსახურისათვის დადგენილ სპეციალურ მოთხოვნებს და დაუქვემდებაროს იმ მოცულობით, რა მოცულობაც საჭიროა, ასევე რამდენი ადამიანის პროფესიული წვრთნის შესაძლებლობაც

რეალურად არსებობს, რათა მაქსიმალურად ეფექტურად მიიღწეს ზემოხსენებული ლეგიტიმური მიზნები.

ამდენად, პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ვალდებულების დაწესება სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობის არმქონე მამაკაცთა მიმართ და ამგვარი ვალდებულებიდან მსგავსი სპეციალობის არმქონე ქალთა ამორიცხვა უნდა ჩაითვალოს როგორც სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გაკეთებული არჩევანი, რომელიც არ არის თვითნებური და წარმოადგენს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების მიღწევის დასაშვებ, აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას.

XV ლექცია - 90 წთ.

ლექციის თემა:

კურსის შეჯამება. მზადება დასკვნითი გამოცდისთვის.

დროის განაწილება:

სტუდენტების კითხვები განვილი მასალის გარშემო - 15 წთ.

სესია დასკვნითი გამოცდის შესახებ - 5 წთ.

1. **სტუდენტების კითხვები განვილი მასალის შესახებ**

სტუდენტები უსვამენ ლექტორს კითხვებს წინა ლექციაზე ახსნილი თემატიკის შესახებ.

2. **სალექციო თემატიკის სტუდენტებისთვის წარდგენა**

ლექტორი აუდიტორიას უსვამს კითხვებს განვილილი მასალიდან და ამოწმებს ჯგუფის მიერ სასწალო მასალის გაცნობიერების დონეს. თავიდან უხსნის რთულ საკითხებს.

3. **სესია დასკვნითი გამოცდის შესახებ**

ლექტორი სტუდენტებს ესაუბრება გამოცდის შესახებ, აცნობს ტესტების დიზაინს და აძლევს საგამოცდოთ მოსამზადებელ დავალებას.

XV სემინარი- 90 წთ.

სემინარის თემა:

კურსის განმავლობაში განხილული საკითხების გამეორება, ფინალური გამოცდისთვის მომზადება.

დროის განაწილება:

სადისკუსიო თემების განხილვა - 45 წუთი

კაზუსის ამოხსნა - 45 წუთი

1. **სადისკუსიო თემების განხილვა - ბოლო სემინარზე განიხილება კურსის განმავლობაში განვლილი თემები, რომლებსაც სემინარის ხელმძღვანელი და სტუდენტები შეარჩევენ საჭიროების მიხედვით.**

დისკუსიის მიზანი: კურსის განმავლობაში განვილილი მასალის გამეორება და ფინალური გამოცდისთვის მომზადება.

მეთოდი:

სემინარის ხელმძღვანელი დისკუსიას წარმართავს „სოკრატეს მეთოდით". სემინარის ხელმძღვანელი ჯგუფს უსვამს კითხვას სადისკუსიო თემის შესახებ. მსჯელობის პროცესში, ლექტორის ხელმძღვანელობით, სტუდენტები მიდიან სწორ დასკვნამდე.

ჯგუფისთვის დასმული სავარაუდო კითხვების კომპილაცია:

- სამართლის რომელ სფეროს ეხება ადამიანის უფლებათა სამართალი? რომელი უფლებებია დაცული?
- ვინ არის ადამიანის უფლებათა სამართლის სუბიექტი? შეიძლება თუ არა, ადამიანის უფლებების სუბიექტი იყოს ადმინისტრაციული ორგანო/თვითმმართველობის ორგანო? რელიგიური გაერთიანება, თუ მას საჯარო სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა აქვს?
- რა განსხვავებაა ადამიანის უფლებების შეზღუდვასა და დარღვევას შორის?
- ვინ/რამ შეიძლება დაარღვიოს ადამიანის უფლებები? როგორ?
- კერძო პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენისას, რა შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფოს პასუხისმგებლობა? რას ნიშნავს სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები?
- რა განსხვავებაა უფლებებს და თავისუფლებებს შორის?
- რომელი პრინციპების დაცვით უნდა მოხდეს სიცოცხლის უფლებაში ჩარევა?
- სარგებლობს თუ არა ადამიანის სიცოცხლის უფლებით დაბადებამდე?

- მოიცავს თუ არა სიცოცხლის უფლება უფლებას სიკვდილზე?
- დასაშვებია თუ არა სიკვდილით დასჯის, როგორც სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენება?
- რომელი ლეგიტიმური მიზნით შეიძლება გამართლდეს ჩარევა ღირსების უფლებაში?
- რა განსხვავებაა წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებს, არაჰუმანურ, სასტიკ ან პატივისა და ღირსების შემლახველ მოპყრობას, და სასჯელს შორის?
- რომელი მუხლით დაცულ სფეროში ხვდება უფლება საკუთარ ფოტოსურათზე? წინაპრების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება?
- რომელი მუხლით დაცულ სფეროში ხვდება უფლება ელექტრონული მეილით მიღებული შეტყობინების ხელშეუხებლობაზე?
- რომელი მუხლით არის დაცული ადამიანის სამუშაო ადგილის ხელშეუხებლობა?
- შესაძლებელია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება შეიზღუდოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ჭეშმარიტების დადგენის მიზნით? ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ ჭეშმარიტების დადგენის მიზნით?
- არის თუ არა ქორწინების უფლება პირადი ცხოვრების შემადგენელი ელემენტი?
- რა მოცულობით აქვს სახელმწიფოს ადამიანის პირადი მონაცემების დაცვის ვალდებულება?
- რომელი მუხლით დაცულ სფეროში ხვდება ინფორმაციის სხვებისთვის გაზიარების უფლება სახლში? ტელევიზიით?
- რომელი მუხლით დაცულ სფეროში ხვდება ინფორმაციის სხვებისთვის გაზიარების უფლება სახლში? ტელევიზიით?
- სარგებლობს თუ არა გამოხატვის თავისუფლებით ადამიანი, რომლის მიერ გამოთქმულ აზრს არანაირი სოციალური/პოლიტიკური დატვირთვა არ გააჩნია?
- არსებობს თუ არა აზრი ან გამონათქვამი, რომელიც შეიძლება ვერ მოხვდეს გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში?
- ხვდება თუ არა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში აზრები და იდეები, რომელიც უმრავლესობისთვის მიუღებელი ან შეურაცხმყოფელია?
- ხვდება თუ არა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში (კონკრეტული პირის შესახებ) მცდარი ინფორმაციის გავრცელება?
- რომელი მუხლით დაცულ სფეროში ხვდება ადამიანის უფლება, მოიპოვოს გამოძიებული დანაშაულების შესახებ სტატისტიკა?
- რომელი მუხლით დაცულ სფეროში ხვდება პირის უფლება, იყოს ათეისტი?
- რომელი მუხლით დაცულ სფეროში ხვდება პირის უფლება საჯარო ლოცვაზე?
- რომელიც მუხლით არის დაცული რელიგიის ქადაგების უფლება?
- შეიძლება თუ არა, პირმა უარი თქვას კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებაზე, თუ მისი შესრულება მის რწმენას ეწინააღმდეგება?
- დაცულია თუ არა ხალხის შეკრება ქუჩაში მუსიკოსის მოსასმენად?

- შეკრების თავისუფლების წესების დარღვევისას დასაშვებია მხოლოდ დამრღვევთა შეკრების თავისუფლებაში ჩარევა თუ შეიძლება შეკრების შეწყვეტა?
- დაცულია თუ არა საქართველოს კანონმდებლობით სპონტანური შეკრება?
- დაცულია თუ არა 26-ე მუხლით მოგებაზე ორიენტირებული გაერთიანება?
- რა შემთხვევაში არის დასაშვები პოლიტიკური პარტიის აკრძალვა?
- რა განსხვავებაა გაერთიანების შეჩერებასა და აკრძალვას შორის?
- ვის აქვს არჩევნებში ხმის მიცემა უფლება?
- ვის აქვს არჩევნებში კენჭისყრის უფლება?
- რატომ არის მნიშვნელოვანი არჩევნებში ხმის მიცემის უფლება?
- სამართლებრივად რა განსხვავებაა საპარლამენტო არჩევნებში კანდიდატის სახით მონაწილეობასა და რომელიმე სახელმწიფო უწყებაში თანამდებობის დაკავებას შორის?
- ეწინააღმდეგება თუ არა არჩევნებში კენჭისყრისთვის დაწესებული შეზღუდვა საარჩევნო უფლებას?
- რატომ არ არის საკუთრების უფლება გარანტირებული გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით?
- ვრცელდება თუ არა 21-ე მუხლი ქონებაზე, რომელიც პირს ჯერ არ შეუძენია?
- წარმოადგენს თუ არა ქონებას არამატერიალურ ქონება?
- რა სახით შეიძლება მოხდეს საკუთრების უფლებაში ჩარევა?
- რა შემთხვევებში შეიძლება ქონებით სარგებლობის შეზღუდვა ანდა მისი ჩამორთმევა?
- რა პირობით არის დასაშვები ქონებით სარგებლობის შეზღუდვა ანდა მისი ჩამორთმევა?
- მოიცავს თუ არა საკუთრების უფლებით დაცული სფერო მემკვიდრეობის უფლებას?
- სამართალდამცავი ორგანოს წარმმადგენლის მიერ პირის ქუჩაში შეჩერება ხვდება თუ არა მე-18 მუხლით დაცულ სფეროში?
- არის თუ არა საკმარისი, რომ თავისუფლების შეზღუდვა შეესაბამებოდეს მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს (ლეგიტიმური მიზნის არსებობა, პროპორციულობა)?
- წარმოადგენს თუ არა მე-18 მუხლით დადგენილი ვადების უმნიშვნელო, ლეგიტიმური მიზნის მიღწევისკენ მიმართული დარღვევა თავისუფლების უფლებაში ჩარევის უკანონოდ ცნობის საფუძველს?
- შესაძლებელია თუ არა პირს ცხრათვიანი წინასწარი პატიმრობა თითოეულ ბრალდებასთან მიმართებით ინდივიდუალურად შეეფარდოს?
- რომელი საპროცესო უფლებებით სარგებლობს პირი თავისუფლების შეზღუდვისას?
- რომელი უფლებებით სარგებლობს პირი, თუ დადგინდება, რომ მას უკანონოდ შეეზღუდა თავისუფლება?

- ვის მიმართ შეიძლება დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფცია?
- შესაძლებელია თუ არა, საჯარო განცხადებით ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვიოს პირმა, რომელსაც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე აქვს გავლენა, თუმცა, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი არ არის;
- დასაშვებია თუ არა მტკიცებულებად იმ ჩვენების გამოყენება, რომლითაც მოწმე მესამე პირებისგან მოპოვებულ ინფორმაციას გადმოსცემს;
- არსებობს თუ არა ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გაამართლებს ჩარევას პირის უფლებაში, მიჩნეული იყოს უდანაშაულოდ, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება?
- მტკიცებულებების როგორი სტანდარტი არის საჭირო პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად?
- სხვა როგორ შეიძლება მოეპყრან ბრალდებულს, როგორც დამნაშავეს?
- მოიცავს თუ არა 42-ე მუხლი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსადმი მიმართვის უფლებას, თუ ის კონკრეტული უფლების დაცვის მექანიზმია?
- სასამართლოსთვის მიმართვის უფლების გარდა რომელი დამატებითი გარანტიებია გათვალისწინებული 42-ე მუხლის პირველი პუნქტით?
- შეუძლია თუ არა, პირმა მიმართოს სასამართლოს მისი ოჯახის წევრის უფლების დარღვევის შესახებ?
- წარმოადგენს თუ არა სასამართლო ბაჟის დაწესება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების დარღვევას?
- ხვდება თუ არა არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვა 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში?
- დაცვის უფლების სრულყოფილი რეალიზაციისთვის არის თუ არა საკმარისი ბრალდებულისთვის დამცველის ყოლა?
- მოიცავს თუ არა დაცვის უფლება ბრალდებულის უფლებას დაესწროს სასამართლო განხილვას სამივე ინსტანციაში?
- წარმოადგენს თუ არა უკუძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევას ნორმატიული აქტით ქმედების სამართალდარღვევად ცნობა იმ შემთხვევაში, თუ სხვა ნორმატიული აქტით იგივე ქმედება მანამდეც იყო აკრძალული?
- კანონის უკუძალის აკრძალვის გარდა რა გარანტიებს მოიცავს კანონიერების პრინციპი?
- დასაშვებია თუ არა პირის ხელმეორედ მსჯავრდება სხვა სახელმწიფოს მიერ?
- აქვს თუ არა ბრალდებულს სასურველი მოწმის დაკითხვის უფლება ნებისმიერ შემთხვევაში?
- ვის მიერ უნდა იყოს ზიანი მიყენებული, რომ წარმოიშვას უფლება კომპენსაციაზე 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიზნებისთვის?
- კონსტიტუციის 30-ე მუხლით არის თუ არა დაცული სამუშაოს ხელმისაწვდომობის უფლება?
- 30-ე მუხლის მიზნებისთვის რა სახის საქმიანობა ჩაითვლება სამუშაოდ?

- მოითხოვს თუ არა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას თავისუფალი მეწარმეობის და კონკურენციის ხელშეწყობა?
- რა არის სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლები განათლების უფლების ხელისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით?
- რა წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის უფლების დაცვა? როგორ ფარგლებში?
- ჩაითვლება თუ არა ადამიანებს შორის ნებისმიერი გასხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციად?
- ჩაითვლება თუ არა დისკრიმინაციად განსხვავებული მოპყრობა ნებისმიერ პირებს შორის?
- შესაძლებელია თუ არა, კონსტიტუციის მე-14 მუხლში მოიაზრებოდეს შეზღუდული შესაძლებლობა როგორც დისკრიმინაციისგან დაცული საფუძველი?
- რა განსხვავებაა ტრადიციულ და არატრადიციულ დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებს შორის?
- მსგავსად შემოწმდება თუ არა განსხვავებული მოპყრობის ყველა შემთხვევა?
- დისკრიმინაციის რა და რა ფორმები არსებობს?

2. სტუდენტები ხსნიან მეხუთე კაზუსს, რომელიც შეფასდება 5 ქულით

კაზუსი #5

სოსო და სალომე 17 წელია დაქორწინებულები არიან და ჰყავთ 3 შვილი - 16 წლის ნინო, 14 წლის სანდრო და 6 წლის საბა. სოსო და სალომე მათი საცხოვრებელი ქვეყნის მოქალაქეები არიან და ქვეყანაში ერთ-ერთ ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ. თავდაპირველად ისინი სოფელში ცხოვრობდნენ, მოგვიანებით კი, სოსოს სამუშაოს ცვლილების გამო, საცხოვრებლად ქალაქში გადავიდნენ. ამჟამად სოსო ერთ-ერთ სამინისტროში არის დასაქმებული ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერის პოზიციაზე, სალომე კი ერთ-ერთ კერძო სადაზღვევო კომპანიაში მუშაობს. მათი სამივე შვილი სკოლის მოსწავლეა. უფროსი შვილი, ნინო, 1 წელიწადში სკოლას ამთავრებს და სურს, მამის მსგავსად, ინფორმაციული ტექნოლოგიები შეისწავლოს.

დიდი ხანია, რაც სოსოს აპენდიციტი აწუხებს, რის გამოც, ხშირად იტარებს სამედიცინო გამოკვლევას, თუმცა, ოპერაციის გაკეთებისგან თავს იკავებს, რადგან ოპერაცია და ასევე პოსტოპერაციული პერიოდი დიდ ფინანსურ ხარჯთან არის დაკავშირებული. ერთხელაც ტელევიზიით სალომესთვის ცნობილი გახდა, რომ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე შემუშავდა სოციალური პროგრამა, რომელიც ერთ-ერთ კომპონენტად, საქართველოს მოქალაქეებისთვის აპენდიციტის ოპერაციის დაფინანსებას ითვალისწინებს. გახარებულმა სალომემ ეს ამბავი სოსოს აცნობა.

მეუღლეები მეორე დღესვე მივიდნენ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში, რათა სოსო დარეგისტრირებულიყო პროგრამაში. სამინისტროში მათ განუმარტეს,

რომ სოსო პროგრამით ვერ ისარგებლებდა, ვინაიდან ის ქვეყანაში ერთ-ერთი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი იყო, რაც მისი გვარით დგინდებოდა. პირველ ეტაპზე, ფინანსური რესურსის სიმცირის გამო, პროგრამა გათვალისწინებული იყო მხოლოდ იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ეთნიკურ უმრავლესობას განეკუთვნებოდნენ. მოგვიანებით კი იგეგმებოდა პროგრამის ყველა მოქალაქეზე გავრცელება.

სოსო მიიჩნევს, რომ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანებაში მითითებული კრიტერიუმის გამო ის ექვემდებარება დისკრიმინაციას.

1. განსხვავებული მოპყრობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს. ეს კონსტიტუციური დანაწესი ახდენს არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ძირითადი უფლების რეგლამენტირებას, არამედ ასევე წარმოადგენს კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისთვის.

თანასწორობის ძირითადი უფლება სხვა კონსტიტუციური უფლებებისგან იმით განსხვავედება, რომ ის არ იცავს ცხოვრების რომელიმე განსაზღვრულ სფეროს, თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში. დისკირმინაციის აკრძალვა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს - არსებითად თანასწორებს მოეპყრას თანასწორად და პირიქით.

იმის დასადგენად, იყო თუ არა დისკრიმინაცია განსახილველ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა გამოირკვეს, იყო თიუ არა განსხვავებული მოპყრობა. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილი სოციალური პროგრამის თანახმად, აპენდიციტის ოპერაციისთვის დაფინანსება გაიცემა მხოლოდ იმ მოქალაქეებზე, რომლებიც ქვეყანაში ეთნიკურ უმრავლესობას განეკუთვნებიან, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები კი პროგრამიდან გამორიცხულნი არიან. შესაბამისად, ერთი მხრივ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებსა და, მეორე მხრივ, დანარჩენი მოქალაქეების მიმართ ხორციელდება განსხვავებული მოპყრობა, რამდენადაც, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, პირველ ჯგუფზე მსგავსი უფლება არ ვრცელდება.

2. დისკრიმინაციის ნიშანი

დისკრიმინაციის გამოსავლენად აუცილებელია, დადგინდეს, თუ რომელი კრიტერიუმით, რომელი დაცული საფუძვლით ხდება განსხვავება. როგორც განსახილველი კაზუსიდან იკვეთება, განსხვავების საფუძველი არის სოსოს ეთნიკური წარმომავლობა. შესაბამისად, კრიტერიუმი, რომლიც იქცევა განსხვავებული მოპყრობის მიზეზად, არის ეთნიკური წარმომავლობა, რაც მე-14 მუხლში პირადაპირ არის მოხსენიებული, როგორც დისკრიმინაციისგან დაცული ერთ-ერთი საფუძველი.

3. ზემდგომი ცნება

კონსტიტუციის მე-14 მუხლის ძირითადი არსი და მიზანი არის ანალოგიურ, მსგავს, საგნობრივად თანასწორ გარემოებებში მყოფ პირებს სახელმწიფო მოეპყრას ერთნაირად, არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ და პირიქით.

სადავო ნორმის კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით შეფასებისთვის, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, არიან თუ არა სადავო ნორმის მოქმედების ადრესატები/სუბიექტები არსებითად თანასწორნი ამ ნორმით განსაზღვრული კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში და, ასეთის დადასტურების შემთხვევაში, ვხვდებით თუ არა არსებითად თანასწორი პირების მიმართ არათანასწორი მოპყრობას.

ტესტის ამ ეტაპზე უნდა დადგინდეს, სუბიექტები, რომელთა შორისაც ხდება განსხვავებული მოპყრობა - ერთი მხრივ ეთნიკური უმრავლესობის, ხოლო მეორე მხრივ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები - ერთიანდებიან თუ არა ზემდგომი ცნების ქვეშ. სოსო, როგორც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, იმ ადამიანების მსგავსად, რომლებიც ეთნიკურ უმრავლესობას მიეკუთვნებიან, არის ქვეყნის მოქალაქე და, სხვა მოქალაქეების მსგავსად, აქვს სახელმწიფოსთან მნიშვნელოვანი სამართლებრივი კავშირი, რომელიც, მათ, როგორც მოქალაქეებს, სახელმწიფოს მიერ სოციალური დაცვის გონივრულ მოლოდინს უჩენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სადავო რეგულირების კონტექსტში, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და ეთნიკურ უმრავლესობას მიკუთვნებული ადამიანები წარმოადგენენ შედარებით კატეგორიებს.

4. საერთო შეხების წერტილი

რაც შეეხება ამ კონკრეტულ ვითარებაში საერთო შეხების პუნქტს ეთნიკური უმცირესობის და უმრავლესობის წარმომადგენელ მოქალაქეებს შორის, ეს არის სოციალური პროგრამით სარგებლობის საჭიროება აპენდიციტის ოპერაციის აუცილებლობის გამო - სოსო, როგორც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს, აღნიშნული ოპერაციის გაკეთება და მისი ხარჯის ანაზღაურება ისევე სჭირდება, როგორც ეთნიკურ უმრავლესობას მიკუთვნებულ მოქალაქეებს.

5. ლეგიტიმური საჯარო მიზანი

დისკრიმინაციის ფაქტის გამოსავლენად საკონსტიტუციო სასამართლომ განავითარა ორი სახის ტესტი: მკაცრი და რაციონალური დიფერენცირების. განსხვავებულია მათი გამოყენების წინაპირობები და საფუძვლები. დიფერენციაციის დისკრიმინაციულობის შეფასება მკაცრი ტესტით ფასდება, როდესაც განსხვავებული მოპყრობა ეფუძნება ისეთ ნიშნებს, რომლებზე დაყრდნობითაც ისტორიულად ხშირი და ძალზე გავრცელებული იყო დისკრიმინაცია და რომლებიც ჩამოთვლილია კონსტიტუციაში. მკაცრი ტესტი გამოიყენება ასევე ისეთ დაცულ ნიშნებთან მიმართებით, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობა, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ნიშნებს, პირობითად, კლასიკური ნიშნები უწოდა. მკაცრი შეფასების ტესტის დროს აუცილებელია, სახელმწიფოს მხრიდან დიფერენცირებული მოპყრობის გასამართლებლად სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესის არსებობის დემონსტრირება და ამ მიზნის მისაღწევად შერჩეული რეგულაციის ამავე მიზნებთან თანაზომიერების მტკიცება. მკაცრი ტესტის გამოყენების საჭიროებას სასამართლო ადგენს დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხის მიხედვითაც. ამასთან, დიფერენციაციის ინტენსივობის შეფასების კრიტერიუმები განსხვავებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიფერენციაციის ბუნებიდან და რეგულირების სფეროდან გამომდინარე. თუ დიფერენციაციის ინტენსივობა მაღალია, სასამართლო გამოიყენებს *მკაცრ ტესტს,* ხოლო ინტენსივობის დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში - *რაციონალური დიფერენციაციის ტესტს,* რომლის მიხედვით, საკმარისია დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობის დასაბუთებულობა, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდუვალობა ან საჭიროება; რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის.

შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო *მკაცრი ტესტით* აფასებს თანასწორობის საკითხს, როდესაც დიფერენცირება ხდება „კლასიკური ნიშნით“ ან დიფერენცირების ინტენსივობა მაღალია. თუ დიფერენცირება ხდება „არაკლასიკური ნიშნით“ და ინტენსივობა დაბალია, სასამართლო ნორმის შეფასებისას იყენებს *რაციონალური დიფერენციაციის ტესტს.* მნიშვნელოვანია ამ ორი ტესტის გამიჯვნა, რადგან მოპასუხეს განსხვავებული მტკიცების ტვირთი ეკისრება. მკაცრი ტესტის შემთხვევაში მოპასუხემ უნდა დაასაბუთოს, რომ არსებობდა სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი, რაციონალური ტესტის გამოყენების შემთხვევაში კი მოპასუხემ უნდა ამტკიცოს რაციონალური კავშირის არსებობა ლეგიტიმურ მიზანსა და სავარადო დისკრიმინაციულ ქმედებას შორის. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან, განსხვავება ხდება მე-14 მუხლში პირდაპირ მითითებული ნიშნით - ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე, ამასთან, უფლებაში ინტენსივობა არის საკმაოდ ინტენსიური - სოსო სრულიად გამორიცხულია სოციალური პროგრამით სარგებლობიდან.

კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა, თავისთავად, დისკრიმინაციას არ ნიშნავს. ცალკეულ შემთხვევაში, საკმარისად

მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებშიც კი, შესაძლოა, დიფერენცირებული მოპყრობა საჭირო და გარდაუვალიც იყოს. შესაბამისად, დიფერენცირება საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროსთვის უცხო არ არის, თუმცა, ის არ უნდა იყოს დაუსაბუთებული. საკონსტიტუციო სასამართლომ ბევრჯერ აღნიშნა, რომ დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასებისას და დადგენისას ის მიმართავს შემდეგ ძირითად მიდგომას: დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას იქნება, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს და, შესაბამისად, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას.

განსახილველ შემთხვევაში დიფერენცირების ლეგიტიმურ მიზნად სახელმწიფო ასახელებს პირველ ეტაპზე ფინანსური რესურსების სიმწირეს. რესურსების არასაკმარისი რაოდენობა, რიგ შემთხვევებში, შეიძლება მივიჩნიოთ განსხვავების ლეგიტიმურ მიზნად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე განსხვავების გასამართლებლად საჭიროა ძალიან წონადი არგუმენტების წარმოდგენა.

6. გამოსადეგობა

სახელმწიფოს მიერ უფლებაში ჩარევის გასამართლებლად ლეგიტიმური მიზნის დასახელება არ არის საკმარისი, უცილებელია, არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დასახულ მიზანსა და დიფერენცირებას შორის. იმ შემთხვევაში, თუ დიფერენცირება მიზანს ლოგიკურად არ უკავშირდება, განსხვავებული მოპყრობა გაუმართლებელია. აღნიშნული გულისხმობს, რომ სახელმწიფოს მიერ სახელმწიფოს მიერ განხორციელებეული დიფერენცირება უნდა იძლეოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის თეორიულ შესაძლებლობას, ანუ უნდა იყოს მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება.

განსახილველ შემთხვევაში, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პროგრამიდან გარკვეული რაოდენობის ადამიანების, ერთი ჯგუფის, გამორიცხვით, ფინანსური რესურსი დაიზოგობა.

7. აუცილებლობა

იმისათვის, რომ უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური იყოს, არ არის საკმარისი, რომ სახელმწიფოს მიერ დიფერენცირების მიზნით განხორციელებული ქმედება ლეგიტიმურ მიზანთან ლოგიკურ კავშირში იყოს, სახელმწიფომ ასევე უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ დიფერენცირება გარდაუვალია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. სახელმწიფომ მიზნის მიღწევის ნაკლებად

მზღუდავ, ყველაზე მსუბუქ საშუალებას უნდა მიმართოს. გამოყენებული ღონისძიება, რომელმაც დიფერენცირება გამოიწვია, უნდა იყოს მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალება. წინამდებარე კაზუსიდან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობის გამორიცხვა პროგრამით სარგებლობიდან, ვერ მიიჩნევა უფლებაში ჩარევის ყველაზე მსუბუქ საშუალებად, პირიქით, ეს შეიძლება შეფასდეს როგორც უკიდურესი ღონისძიება. ნაკლებად მზღუდავი საშუალება იქნებოდა, მაგალითად, აპენდიციტის ოპერაციის არა სრულად, არამედ ნაწილობრივ დაფინანსება, იმგვარად, რომ მისით სარგებლობა ყველა მოქაალქეს თანაბრად შეძლებოდა არსებული რესურსების ფარგლებში ან რომელიმე სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი კომპონენტის ხარჯზე აპენდიციტის ოპერაციის კომპონენტის ყველა მოქალაქეზე თანაბრად გავრცელება. შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც დიფერენცირება არ არის მიზნის მიღწევის ყველაზე მსუბუქი საშუალება, ხდება სოსოს, როგორც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის, დისკრიმინაციას.

8. პროპოციულობა/თანაზომიერება ვიწრო გაგებით

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ დიფერენცირება იყო აუცილებელი საშუალება მიზნის მისაღწევად, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული განსხვავებული მოპყრობა ვერ გადალახავს ტესტის ბოლო საფეხურს.

უფლებაში ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში, რაც გულისხმობს, რომ უნდა მოხდეს შეზღუდული და დაცული სიკეთეების შედარება. იმისათვის, რომ დიფერენცირება გამართლებული იყოს, ის ლეგიტიმური მიზანი, რომლის მისაღწევადად სახელმწიფომ განსხვავებული მოპყრობა განახორციელა, უნდა აღემატებოდეს ინდივიდის მიერ შეზღუდული უფლების განხორციელების ინტერესს. დიფერენცირება კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია.

განსახილველი შემთხვევის თანახმად, უნდა მოხდეს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს რესურსის დაზოგვის საჯარო ინტერესის და, მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა უფლებების შედარება. სახელმწიფოს გადაწყვეტილება, მოქალაქეთა ერთი ჯგუფის ხარჯზე დაზოგოს რესურსი, ვერ გამართლდება, განსაკუთრებით ბუნდოვანია, თუ რის საფუძველზე მიიღო სახელმწიფომ გადაწყვეტილება, უშუალოდ ამ ჯგუფის გამორიცხვის შესახებ, იმ პირობებში, როდესაც ოპერაციის გაკეთების და მისი დაფინანსება თანაბრად შიძლება ჭირდებოდეს როგორც ეთნიკური უმრავლესობის, ასევე უმცირესობის წარმომადგენელ ჯგუფს.

XVI კვირა - 180 წუთი

დასკვნით გამოცდა

სტუდენტები წერენ 2 კაზუსს და 10 თეორიულ კითხვას. თოთოეული კაზუსი ფასდება 15 ქულით, ხოლო თითო კითხვა 1 ქულით.

კაზუსი #1

გიორგი და მარიკა მეგობრები არიან. ისინი სკოლიდან მეგობრობენ და ერთად ხშირად დადიან გასართობად სხვადასხვა ადგილას. ერთ-ერთი ადგილი, რომელსაც ხშირად სტუმრობენ, არის კერძო საცურაო აუზი, სადაც ისინი, ძირითადად, ზაფხულში დადიან. მთელი დღის განმავლობაში აუზით სარგებლობის საფასური 20 ლარია.

როდესაც მოვიდა ზაფხული, ერთ-ერთ შაბათს, მარიკა აუზზე წავიდა თავის ორ მეგობარ გოგონასთან ერთად, თითოეულმა მათგანმა გადაიხადა 20 ლარი. აუზზე შესვლიდან ორი საათის შემდეგ, მარიკას დაურეკა გიორგიმ და მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გასვლა შესთავაზა. მარიკამ უთხრა, რომ აუზზე ცოტა ხნის წინ მივიდა თავადაც მეგობრებთან ერთად და გარკვეული დროის განმავლობაში კიდევ სურდა იქ ყოფნა და დაემშვიდობა გიორგის. მალე გიორგიმ მარიკას კვლავ დაურეკა და უთხრა, რომ ქალაქგარეთ წასვლა გადაიფიქრა, ვინაიდან მისი მანქანა გაფუჭდა, ამიტომ ისიც მივიდოდა აუზზე.

დაალოებით ერთ საათში გიორგი მივიდა აუზზე. მან მარიკას და მის მეგობრებს უკმაყოფილოდ უთხრა, რომ აუზის მომსახურების საფასური გაიზარდა 5 ლარით და მას 20-ის ნაცვლად 25 ლარის გადახდა მოუწია. გოგონებმა გიორგის უთხრეს, რომ მათ მხოლოდ 20 ლარი გადაიხადეს. გიორგიმ გადაწყვიტა ეს საკითხი აუზის ადმინისტრაციასთან გაერკვია. გიორგის კითხვაზე ადმინისტრაციის თანამშრომელმა უპასუხა, რომ აუზის მოვლის ხარჯი გაიზარდა, რის გამოც, მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მამაკაცებისთვის აუზით სარგებლობის საფასური 5 ლარით გაეზარდათ, ქალებისთვის კი აუზით სარგებლობა კვლავ 20 ლარი ღირდა.

გიორგი დავობს, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-38 მუხლები.

კაზუსი #2

ვანო ფიზიკოსია. ის წლების განმავლობაში მუშაობდა ფიზიკის სახელმწიფო ინსტიტუტში, თუმცა, 15 წლის წინ ინსტიტუტში ჩატარდა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც, სხვა თანამშრომლებთან ერთად ვანოც გაათავისუფლეს. მას შემდეგ ვანომ ბევრჯერ სცადა სამუშაოს მოძებნა, მაგრამ სტაბილური სამუშაოს პოვნა ვერ შეძლო.

ეკონომიკურ სიძნელეებთან გამკლავების მიზნით, ვანო გადაწყვიტა გაეყიდა მიწის ნაკვეთი, რომელიც ქალაქის გარეუბანში მდებარეობდა და რომელიც მას წინაპრებისგან ერგო მემკვიდრეობით. მეგობარმა ვანოს ურჩია, რომ ბანკიდან

აეღო სესხი და გაყიდვის ნაცვლად ნაკვეთზე აეშენებინა შენობა, რომელშიც სასურსათო მაღაზიას გახსნიდა. ვანოს ძალიან მოეწონა ეს იდეა და ქალაქის მერიას მშენებლობის ნებართვის მისაღებად მიმართა.

10 დღეში ვანომ მერიიდან მიიღო პასუხი, რომ მის მიერ მითითებულ ადგილას მშენებლობა აკრძალული იყო. ვანო ძალიან შეწუხდა. გარდა იმისა, რომ თავად ვერ ააშენებდა შენობას მაღაზიისთვის, მას ნაკვეთის გაყიდვაც გაუჭირდებოდა, რადგან მასზე მშენებლობა აკრძალული იყო.

ვანომ გადაწყვიტა, რომ ქალაქის მერიის წინააღმდეგ ედავა სასამართლოში და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა და ნებართვის გაცემის დავალდებულება მოეთხოვა. ვანომ მიმართა სასამართლოს, თუმცა აღნიშნული მოთხოვნით, მის სარჩელს დაუდგინდა ხარვეზი, ვინაიდან არ იყო გადახდილი „სახალმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით.

ვანო დავობს, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 და 42-ე მუხლები.

კითხვა #1

არის თუ არა საკმარისი, რომ თავისუფლების შეზღუდვა შეესაბამებოდეს მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს (ლეგიტიმური მიზნის არსებობა, პროპორციულობა)?

კითხვა #2

შესაძლებელია თუ არა პირს ცხრათვიანი წინასწარი პატიმრობა თითოეულ ბრალდებასთან მიმართებით ინდივიდუალურად შეეფარდოს?

კითხვა #3

ვის მიმართ შეიძლება დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფცია?

კითხვა #4

სასამართლოსთვის მიმართვის უფლების გარდა რომელი დამატებითი გარანტიებია გათვალისწინებული 42-ე მუხლის პირველი პუნქტით?

კითხვა #5

განასხვავეთ ერთმანეთისგან ნამდვილი და არანამდვილი უკუძალა.

კითხვა #6

როგორია სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლები განათლების უფლების ხელისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით?

კითხვა #7

რას წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის უფლების დაცვა? როგორია მისი ფარგლები?

კითხვა #8

ჩაითვლება თუ არა ადამიანებს შორის ნებისმიერი გასხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციად?

კითხვა #9

დისკრიმინაციის რა ფორმები არსებობს?

კითხვა #10

რას გულისხმობს პროგრესული რეალიზაციის პრინციპი?

დანართი:

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

სამართლის და პოლიტიკის სკოლა

საბაკალავრო პროგრამა

სილაბუსი

სასწავლო კურსის კოდი	**LLB 230**
სასწავლო კურსის დასახელება	**<u>ადამიანის უფლებები</u>**
ლექტორი **საკონტაქტო ინფორმაცია** **სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობისთვის გამოყოფილი დღე/დღეები**	ვახუშტი მენაბდე ტელ.: ელ.ფოსტა: ქეთევან შუბაშვილი ტელ.: ელ.ფოსტა: საკონსულტაციო დღეები და საათები: ოთხშაბათი 12:00 – 15:00 ადგილი: საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი სამართლის და პოლიტიკის სკოლა. ბროსეს ქ# 2
სასწავლო კურსის მიზანი	კურსის მიზანია ადამიანის უფლებების სამართლის შესწავლა, მისი პრინციპების გაცნობა და შესაბამის სამართლებრივ ნორმებთან და თეორიებთან მუშაობისთვის საჭირო ჩვევების ჩამოყალიბება.
კრედიტების რაოდენობა **საათების გადანაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად**	კრედიტი 6 საკონტაქტო საათი - 45 საათი ლექცია - 22.5 საათი სემინარი - 22.5 საათი საბოლოო გამოცდა - 3 საათი ინდივიდუალური მუშაობა - 60 საათი
საგანზე დაშვების წინაპირობა/ები	კონსტიტუციური სამართალი
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება** **დარგობრივი:** დაეუფლება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო დოკუმენტებით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სიღრმისეულ ცოდნას; შეიძენს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების

დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები	განმარტების უნარს; **ზოგადი:** სასწავლო კურში სტუდენტში ხელს შეუწყობს მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბებას **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** **დარგობრივი:** აქვს მოცემული კურსის ფარგლებში სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტილებისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. შეძლებს ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული იურიდიული დოკუმენტების შედგენას; **ზოგადი:** სტუდენტს განვითარდება დამოუკიდებლად მუშაობის უნარი **დასკვნის უნარი** **დარგობრივი:** შეძლებს აბსტრაქტულ აზროვნებას და ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული საკითხების გაანალიზებას; შეიძენს ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მათი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარს; შეიძენს კრიტიკულ აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარს; შეძლებს ახალი იდეების გენერირებას; **ზოგადი:** კურსი სტუდენტს განუვითარებს დამოუკიდებელი აზროვნების, განსჯის, ანალიზისა და შეფასების უნარი **კომუნიკაციის უნარი** **დარგობრივი:** აქვს ინფორმაციის მშობლიურ და უცხოურ ენებზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი. შეძლებს ზეპირი და წერილობითი ფორმით უკეთ კომუნიკაციას; შეძლებს ჯგუფში უკეთ მუშაობას; შეძლებს დიალოგის უკეთ წარმოებას; **ზოგადი:** კურსი სტუდენტში უზრუნველყოფს მსჯელობის დროს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების კრიტიკულ გააზრებას. **სწავლის უნარი** **დარგობრივი:** შეიძენს ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებისა და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მისი ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარს;

	შეიძენს ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარს; შეძლებს დროის უკეთ დაგეგმვას და მართვას; **ზოგადი:** კურსი აუმჯობესებს მომიჯნავე დარგის შესწავლის უნარებს. **ღირებულებები** **დარგობრივი:** გააცნობიერებს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების არსს და მათ მნიშვნელობას სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის; შეძლებს თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერულ საკითხთა უკეთ გაცნობიერებას; შეძლებს განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას; გაეცნობა იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს, მოწოდებული იქნება ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. **ზოგადი:** კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს გაეზრდება პროფესიული ზრდის მოთხოვნილება.
საგნის შინაარსი	კურსი ძირითადად მოიცავს შემდეგ საკითხებს: **I ლექცია:** სასწავლო მიზნების, სილაბუსის, შეფასების სისტემის, ლიტერატურის სტუდენტებისთვის გაცნობა; ძირითად უფლებათა არსი და ცნება. ძირითადი უფლების დაცული სფერო. დაცულ სფეროში ჩარევა. ჩარევის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლების საფუძვლები. **სავალდებულო ლიტერატურა:** ➢ საქართველოს კონსტიტუცია; ➢ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 46-84. **დამატებითი ლიტერატურა:** ➢ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 374-378. **სემინარი:** დისკუსია სასწავლო მასალის გარშემო; სტუდენტების გამოკითხვა - ადამიანის უფლებათა სამართლის ზოგიერთი საკითხის ზოგადი მიმოხილვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ფონზე. კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა. **II ლექცია:** ღირსების უფლება (მ.17); სიცოცხლის უფლება (მ. 15). **სავალდებულო ლიტერატურა:** ➢ საქართველოს კონსტიტუცია; ➢ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 86-93, 130-132; 124-130;

	➢ ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 60-72; 83-101; ➢ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 71-86; 105-127; **დამატებითი ლიტერატურა:** ➢ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 216-249. ➢ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 45-61, 83-95; ➢ პოლიციის შესახებ კანონი. **სემინარი:** დისკუსია განვლილი მასალის გარშემო; ტესტირება. **III ლექცია:** პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (მ.16); პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (მ. 20); ოჯახური ცხვორების ხელშეუხებლობის უფლება (მ. 36); სახელმწიფოს ხელთ არსებული პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა (41.2). **სავალდებულო ლიტერატურა:** ➢ საქართველოს კონსტიტუცია; ➢ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 93-123; 156-168; ➢ ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 73-82; 186-220; 493-511; ➢ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 87-104; 176-198; 438-451; **დამატებითი ლიტერატურა:** ➢ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 378-425. ➢ ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, გვ. 62-95. ➢ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; ➢ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი; პოლიციის შესახებ კანონი; ➢ კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონი; ➢ საგადასახადო კოდექსი; ➢ პატიმრობის კოდექსი; ➢ ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი; ➢ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი. **სემინარი:** დისკუსია განვლილი მასალის გარშემო; სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი. **IV ლექცია:** გამოხატვის თავისუფლება (მ. 24). ინფორმაციის თავისუფლება. (მ. 41, მ.37.5) **სავალდებულო ლიტერატურა:** ➢ საქართველოს კონსტიტუცია; ➢ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 249-301;

	➢ ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 290-313; 524-526; 566-590; ➢ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 252-279; 497-512; **დამატებითი ლიტერატურა:** ➢ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 433-456. ➢ ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 192-215. ➢ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი; კანონი თავისუფლების ქარტია; ➢ რეკლამის შესახებ კანონი; ➢ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი. **სემინარი:** დისკუსია განვლილი მასალის გარშემო; საცდელი კაზუსის ამოხსნა. **V ლექცია:** რელიგიის თავისუფლება (მ.19). **სავალდებულო ლიტერატურა:** ➢ საქართველოს კონსტიტუცია; ➢ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, გვ. 137-155,; ➢ ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 158-185; ➢ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადმიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 154-175; **დამატებითი ლიტერატურა:** ➢ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 425-432. ➢ ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 110-121. **სემინარი:** დისკუსია განვლილი მასალის გარშემო; I კაზუსის ამოხსნა. **VI ლექცია:** შეკრების თავისუფლება (მ.25). გაერთიანების თავისუფლება (მ. 26). **სავალდებულო ლიტერატურა:** ➢ საქართველოს კონსტიტუცია; ➢ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 302-320; ➢ ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 314-373; ➢ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 280-328;

	დამატებითი ლიტერატურა: ➢ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 456-470. ➢ ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 216-235. ➢ შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი; ➢ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; ➢ საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ ორგანული კანონი; ➢ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანული კანონი. **სემინარი:** დისკუსია განვლილი მასალის გარშემო; II კაზუსის ამოხსნა. **VII ლექცია:** საარჩევნო უფლება (მ. 28, 29.1) **სავალდებულო ლიტერატურა:** ➢ საქართველოს კონსტიტუცია; ➢ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 335-339; ➢ ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 380-392; ➢ ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 242-256. **დამატებითი ლიტერატურა:** ➢ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 516-524; ➢ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 333-359; ➢ საქართველოს საარჩენო კოდექსი. **სემინარი:** დისკუსია განვლილი მასალის გარშემო; საცდელი კაზუსის ამოხსნა. **VIII ლექცია:** შუალედური გამოცდა **სემინარი:** შუალედური გამოცდა **IX ლექცია:** საკუთრების უფლება (მ.21) **სავალდებულო ლიტერატურა:** ➢ საქართველოს კონსტიტუცია; ➢ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 169-185; ➢ ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 221-279; ➢ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 199-220;

	დამატებითი ლიტერატურა: ➢ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 498-512. ➢ ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 141-173; ➢ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ ორგანული კანონი; ➢ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ კანონი. **სემინარი:** დისკუსია განვლილი მასალის გარშემო; საცდელი კაზუსის ამოხსნა. **X ლექცია:** ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება (მ.18) **სავალდებულო ლიტერატურა:** ➢ საქართველოს კონსტიტუცია; ➢ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 133-136; ➢ ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 102-157; ➢ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 128-153; **დამატებითი ლიტერატურა:** ➢ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 285-315. ➢ ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 96-109; ➢ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; ➢ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. **სემინარი:** დისკუსია განვლილი მასალის გარშემო; III კაზუსის ამოხსნა. **XI ლექცია:** უდანაშაულობის პრეზუმფცია (მ.40) **სავალდებულო ლიტერატურა:** ➢ საქართველოს კონსტიტუცია; ➢ ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 553-565; ➢ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 486-496; **დამატებითი ლიტერატურა:** ➢ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 369-374. ➢ ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 351;

	სემინარი: დისკუსია განვლილი მასალის გარშემო; საცდელი კაზუსის ამოხსნა. **XII ლექცია:** სამართლიანი სასამართლოს უფლება (მ.42) **სავალდებულო ლიტერატურა:** ➢ საქართველოს კონსტიტუცია; ➢ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, 335-351; ➢ ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 591-696; ➢ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 513-568; **დამატებითი ლიტერატურა:** ➢ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 316-368. ➢ ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 362-391; ➢ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; ➢ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი; ➢ ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო კოდექსი. **სემინარი:** დისკუსია განვლილი მასალის გარშემო; IV კაზუსის ამოხსნა. **XIII ლექცია:** ეკონომიკური და სოციალური ძირითადი უფლებები (მ. 30, 35, 37) **სავალდებულო ლიტერატურა:** ➢ საქართველოს კონსტიტუცია; ➢ ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 407-463; 475-492; 512-523; ➢ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 384-402;423-437; 452-465; **დამატებითი ლიტერატურა:** ➢ გაეროს პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ; ➢ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვის კომიტეტის ზოგადი კომენტარი No.3 (სახელმწიფოების ვალდებულების ბუნება). ➢ ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, გვ. 266-322. ➢ ორგანული კანონი შრომის კოდექსი; ➢ ზოგადი განათლების შესახებ კანონი; ➢ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი; ➢ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი.

	სემინარი: დისკუსია განვლილი მასალის გარშემო; განვლილი მასალის გამოკითხვა, <u>სემინარის ხელმძღვანელის პრეზენტაცია.</u> **XIV ლექცია:** თანასწორობის ძირითადი უფლებები (მ.14) **სავალდებულო ლიტერატურა:** ➢ საქართველოს კონსტიტუცია; ➢ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გვ. 321-331; ➢ ავტორთა ჯგუფი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 28-59; ➢ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 50-70; **დამატებითი ლიტერატურა:** ➢ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013, გვ. 480-497, 546-548; ➢ ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 21-44; ➢ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი; ➢ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7[3] კარი; ➢ გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი. **სემინარი:** დისკუსია განვლილი მასალის გარშემო; სასამართლოს გადაყვეტილების ანალიზი. **XV ლექცია:** კურსის შეჯამება. მზადება დასკვნითი გამოცდისთვის. **სემინარი:** V კაზუსი. **დასკვნითი გამოცდა;**
სწავლების მეთოდები და მოთხოვნები	სალექციო მუშაობა. სემინარები: კაზუსის ამოხსნა, ტესტირება დახურული კითხვებით, სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი, შუალედური გამოცდა, საბოლოო გამოცდა.
შეფასების კრიტერიუმები	**დასწრება - 10%** თითოეულ შეხვედრაზე დასწრება ფასდება 0.11 ქულით. **კაზუსების ამოხსნა - 25%** სემესტრის განმავლობაში სტუდენტები წერენ 5 კაზუსს. თითოეული ფასდება 5 ქულით. 5 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტს აქვს დამოუკიდებელი აზროვნების, საკუთარი მოსაზრების და არგუმენტების საფუძვლიანად და დამაჯერებლად გადმოცემის უნარი; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს შესაბამის ლიტერატურას და მასალას. 4 ქულა: პასუხი სრულია, ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის;

	სტუდენტი ნაკლებად ეყრდნობა საკუთარ მოსაზრებებზე დაფუძნებულ მსჯელობას, მისი პოზიცია, მოსაზრებები არ არის სათანადოდ გამყარებული შესაბამისი არგუმენტებით; კარგად ფლობს შესაბამის ლიტერატურას და მასალას; 3 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი მართალია იცნობს შესაბამის ლიტერატურას, საჭირო მასალას, მაგრამ ზედაპირულად, ამასთან, არ აკეთებს კონკრეტულ საკითხებზე საკუთარ შეფასებებს, ანალიზს. 2 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; არის არსებითი შეცდომები. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; არ მსჯელობს დამოუკიდებლად. 1 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია მცდარია; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. **ტესტირება - 5%** ტესტი შედგება 10 კითხვიგან. თითოეული კითხვა არის 0.5 ქულიანი. ცალკეული კითხვის **(multiple choice)** შეფასების კრიტერიუმები: ერთ კითხვაში არის 4 სავარაუდო პასუხიდან 1 სწორი პასუხი**:** თითოეული სწორი პასუხი ფასდება 0.5 ქულით, მცდარი პასუხი კი - 0 ქულით. **სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი - 10%** ამგვარი დავალება სტუდენტებმა სემესტრის განმავლობაში ორჯერ უნდა შეასრულონ (თითოეული დავალება ფასდება 5 ქულით), პირველად თავისუფლების ტესტთან ხოლო მეორედ თანასწორობის ტესტთან მიმართებით. სტუდენტებს დაურიგდებათ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი. მათ სტრუქტურულად უნდა დაშალონ გადაწყვეტილება და ერთმანეთისგან გამიჯნონ პროპორციულობის ტესტის თითოეული საფეხური, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მჯელობს. 5 ქულა: პასუხი სრულია; სტუდენტმა უშეცდომოთ გამიჯნა თავისფულების/თანასწორობის ტესტის ყველა საფეხური სასამართლოს გადაწყვეტილებში. 4 ქულა: პასუხი სრულია, სტუდენტმა მცირე შეცდომებით გამიჯნა თავისფულების/თანასწორობის ტესტის საფეხურები სასამართლოს გადაწყვეტილებში. 3 ქულა: პასუხი არასრულია; სტუდენტმა მნიშნველოვანი შეცდომები დაუშვა თავისფულების/თანასწორობის ტესტის საფეხურების გამიჯვნისას სასამართლოს გადაწყვეტილებში. 2 ქულა: პასუხი არასრულია; სტუდენტმა მხოლოდ სანახევროდ შეძლო ფაემიჯნა თავისფულების/თანასწორობის ტესტის საფეხურები სასამართლოს გადაწყვეტილებში.

	1 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; სტუდენტმა მხოლოდ რამდენიმე შემთხევაში შეძლო გაემიჯნა თავისფულების/თანასწორობის ტესტის საფეხურები სასამართლოს გადაწყვეტილებში. 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. **შუალედური შეფასება - 20%** შუალედური გამოცდის დროს, სტუდენტები წერენ ერთ 15 ქულიან კაზუსს და ტესტს 10 ღია კითხვით, თითოეული კითხვა ფასდება 0.5 ქულით. 0.5 ქულიანი კითხვის შეფასების კრიტერიუმები. 0.5 ქულა პასუხის რულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის მოცემული. იურიდიული ტერმინოლოგია სრულად არის დაცული. სტუდენტი ზედმიწევნით ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. 0.3 ქულა პასუხი არასრულია. იურიდიული ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს განვლილი პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. სამართლებრივი მსჯელობა არ არის ზუსტი, 0.1 ქულა პასუხი არასრული და ძირითადად მცდარია. ტექსტი გაუმართავია, სამართლებრივი მსჯელობა საერთოდ არ არის, პროგრამით გათვალისწინებული მასალა გამოყენებული არ არის. 0 ქულა პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის მოცემული. 15 ქულიანი კაზუსის შეფასების კრიტერიუმები. 15 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტს აქვს დამოუკიდებელი აზროვნების, საკუთარი მოსაზრების და არგუმენტების საფუძვლიანად და დამაჯერებლად გადმოცემის უნარი; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს შესაბამის ლიტერატურას და მასალას. 12-14 ქულა: პასუხი სრულია, ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი ნაკლებად ეყრდნობა საკუთარ მოსაზრებებზე დაფუძნებულ მსჯელობას, მისი პოზიცია, მოსაზრებები არ არის სათანადოდ გამყარებული შესაბამისი არგუმენტებით; კარგად ფლობს შესაბამის ლიტერატურას და მასალას; 9-11 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი მართალია იცნობს შესაბამის ლიტერატურას, საჭირო მასალას, მაგრამ ზედაპირულად, ამასთან, არ აკეთებს კონკრეტულ საკითხებზე საკუთარ შეფასებებს, ანალიზს. 6-8 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; არის არსებითი შეცდომები. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; არ მსჯელობს დამოუკიდებლად. 4-5 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია მცდარია; პასუხი

	არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. 0-3 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. **ფინალური გამოცდა - 30 %** ფინალური გამოცდის დროს სტუდენტს ევალება ორი 10 ქულიანი კაზუსის ამოხსნა და ტესტს 10 ღია კითხვით, თითოეული კითხვა ფასდება 1 ქულით. 10 ქულიანი კაზუსის შეფასების კრიტერიუმები. **10** ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტს აქვს დამოუკიდებელი აზროვნების, საკუთარი მოსაზრების და არგუმენტების საფუძვლიანად და დამაჯერებლად გადმოცემის უნარი; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს შესაბამის ლიტერატურას და მასალას. **8-9** ქულა: პასუხი სრულია, ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი ნაკლებად ეყრდნობა საკუთარ მოსაზრებებზე დაფუძნებულ მსჯელობას, მისი პოზიცია, მოსაზრებები არ არის სათანადოდ გამყარებული შესაბამისი არგუმენტებით; კარგად ფლობს შესაბამის ლიტერატურას და მასალას; **6-7** ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი მართალია იცნობს შესაბამის ლიტერატურას, საჭირო მასალას, მაგრამ ზედაპირულად, ამასთან, არ აკეთებს კონკრეტულ საკითხებზე საკუთარ შეფასებებს, ანალიზს. **4-5** ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; არის არსებითი შეცდომები. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; არ მსჯელობს დამოუკიდებლად. **2-3** ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია მცდარია; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. **0-1 ქულა:** პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. 1 ქულიანი კითხვის შეფასების კრიტერიუმები. 1 ქულა პასუხის რულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის მოცემული. იურიდიული ტერმინოლოგია სრულად არის დაცული. სტუდენტი ზედმიწევნით ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. 0.5 ქულა პასუხი არასრულია. იურიდიული ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს განვლილი პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. სამართლებრივი მსჯელობა არ არის ზუსტი, 0.2 ქულა პასუხი არასრული და ძირითადად მცდარია. ტექსტი გაუმართავია, სამართლებრივი მსჯელობა საერთოდ არ არის, პროგრამით

	გათვალისწინებული მასალა გამოყენებული არ არის. 0 ქულა პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის მოცემული. **საბოლოო შეფასება** - 100% ქულათა განმარტება: 91-100 - ფრიადი 81 -90 - ძალიან კარგი 71-80 - კარგი 61-70 - დამაკმაყოფილებელი 51-60 - საკმარისი 41 – 50 - ვერ ჩააბარა (გამოცდის გადაბარების უფლებით) 0-40 - ჩაიჭრა (კრედიტის მისაღებად სტუდენტი ხელახლა გადის საგანს)
ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა	**ძირითადი ლიტერატურა:** • კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003; • ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005; • გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე, თეიმურაზ ტუღუში, ვახუშტი მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი 2013; • ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ლევან იზორია, ბესარიონ ზოიძე. ირაკლი კობახიძე, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაიშვილი, იაკობ ფუტკარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი, სანდრო ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013; **დამატებითი ლიტერატურა:** • ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2013 • ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვის კომიტეტის ზოგადი კომენტარი No.3 (სახელმწიფოების ვალდებულების ბუნება). **ნორმატიული აქტები:** • საქართველოს კონსტიტუცია; • გაეროს პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ; • საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

	• ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო კოდექსი; • ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; • სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; • სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი; • პატიმრობის კოდექსი; • საგადასახადო კოდექსი; • პოლიციის შესახებ კანონი; • ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი; • კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონი; • ლექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი; • პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი • სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი; • თავისუფლების ქარტია; • რეკლამის შესახებ კანონი; • შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი; • ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; • საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ ორგანული კანონი; • მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანული კანონი; • საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ ორგანული კანონი; • აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ კანონი; • დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი; • გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი; • ორგანული კანონი შრომის კოდექსი; • ზოგადი განათლების შესახებ კანონი; • უმაღლესი განათლების შესახებ კანონი; • ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი. **ვებ-გვერდები:** • საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: www.constcourt.ge

	• საქართველოს უზენაესი სასამართლო http://www.supremecourt.ge • საქართველოს პარლამენტი www.parliament.ge • საქართველოს პრეზიდენტი www.president.gov.ge • საქართველოს მთავრობა www.government.gov.ge • საქართველოს სახალხო დამცველი www.ombudsman.ge • საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge • საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა www.nplg.gov.ge • გაეროს ადამიანის უფლებათა სამართლის საძიებო ვებ-გვერდი: www.ohchr.org • ევროპის საბჭო www.coe.int; • ევროპის საბჭოს ოფისი თბილისში http://www.coe.int/ka/web/tbilisi/home • ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო www.ehcr.coe.int • ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საძიებო სისტემა: www.hudoc.echr.coe.int • The European Commission for Democracy through Law (ვენეციის კომისია): www.venice.coe.int

<u>კომპეტენციების მატრიცა:</u>

ცოდნა/გაცნობიერება	პრაქტიკაში გამოყენება	დასკვნის უნარი	კომუნიკაცია უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
√	√	√	√	√	√